სესხების მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 16,602.4 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (18,367.1 ათასი ლარი) 73.6%-ია. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების, საკომისიოს გადახდა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 5,296.3 ათასი ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის - 13,009.9 ათასი ლარი.

(ათას ლარებში)

| კრედიტორები | ვალების დაფარვა | პროცენტი/ საკომისიო | 2022 წელი |
|---|---|---|---|
| თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება | 12 340,7 | 538,7 | 12 879,4 |
| თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა | 0,0 | 2 200,1 | 2 200,1 |
| თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება | 669,1 | 313,7 | 982,8 |
| თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება | 0,0 | 797,3 | 797,3 |
| თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი | 0,0 | 104,7 | 104,7 |
| მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) | 0,0 | 1 402,5 | 1 402,5 |

## 2022 წელს სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული და გადარიცხული გრანტები პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით

(ლარებში)

| ორგანიზაც. კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2022 წლის გეგმა | ხარჯი | სხვაობა | შესრულება |
|---|---|---|---|---|---|
| **00** | **სულ სხვა დონის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული და გადარიცხული გრანტები [10]** | | | | |
| 00 | ჯამური | 312,583,745.00 | 240,346,186.39 | 72,237,558.61 | 76.9% |
| 2 | ხარჯები | 119,431,022.49 | 107,433,821.35 | 11,997,201.14 | 90.0% |
| 2.2 | საქონელი და მომსახურება | 1,872,978.49 | 194,409.75 | 1,678,568.74 | 10.4% |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 117,558,044.00 | 107,239,411.60 | 10,318,632.40 | 91.2% |
| 2.8.2.2 | კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | 117,558,044.00 | 107,239,411.60 | 10,318,632.40 | 91.2% |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 193,152,722.51 | 132,912,365.04 | 60,240,357.47 | 68.8% |
| **01 01 01** | **გზების მშენებლობა და აღდგენა** | | | | |
| 00 | ჯამური | 26,774,900.00 | 21,979,556.35 | 4,795,343.65 | 82.1% |

[10] აუთვისებლობის ნაწილი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების, ქალაქის განვითარების ხელშეწყობის და დასუფთავების ღონისძიებებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვა კაპიტალური გრანტების სახით მისაღებ სახსრებზე (სესხის კომპონენტის ფარგლებში გადასახდელელი დღგ) მოდის.


| ორგანიზაც. კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2022 წლის გეგმა | ხარჯი | სხვაობა | შესრულება |
|---|---|---|---|---|---|
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 26,774,900.00 | 21,979,556.35 | 4,795,343.65 | 82.1% |
| **01 02 01** | **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები** | | | | |
| 00 | ჯამური | 18,822,412.00 | 16,072,411.88 | 2,750,000.12 | 85.4% |
| 2 | ხარჯები | 18,350,000.00 | 15,599,999.88 | 2,750,000.12 | 85.0% |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 18,350,000.00 | 15,599,999.88 | 2,750,000.12 | 85.0% |
| 2.8.2.2 | კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | 18,350,000.00 | 15,599,999.88 | 2,750,000.12 | 85.0% |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 472,412.00 | 472,412.00 | 0.00 | 100.0% |
| **01 02 02** | **საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია** | | | | |
| 00 | ჯამური | 39,714,124.00 | 39,714,124.00 | 0.00 | 100.0% |
| 2 | ხარჯები | 39,714,124.00 | 39,714,124.00 | 0.00 | 100.0% |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 39,714,124.00 | 39,714,124.00 | 0.00 | 100.0% |
| 2.8.2.2 | კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | 39,714,124.00 | 39,714,124.00 | 0.00 | 100.0% |
| **01 02 03** | **მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა** | | | | |
| 00 | ჯამური | 12,836,241.00 | 12,836,241.00 | 0.00 | 100.0% |
| 2 | ხარჯები | 12,836,241.00 | 12,836,241.00 | 0.00 | 100.0% |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 12,836,241.00 | 12,836,241.00 | 0.00 | 100.0% |
| 2.8.2.2 | კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | 12,836,241.00 | 12,836,241.00 | 0.00 | 100.0% |
| **01 02 08** | **საბაგირო ტრანსპორტის განვითარება** | | | | |
| 00 | ჯამური | 1,750,000.00 | 1,750,000.00 | 0.00 | 100.0% |
| 2 | ხარჯები | 1,750,000.00 | 1,750,000.00 | 0.00 | 100.0% |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 1,750,000.00 | 1,750,000.00 | 0.00 | 100.0% |
| 2.8.2.2 | კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | 1,750,000.00 | 1,750,000.00 | 0.00 | 100.0% |
| **02 01** | **საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია** | | | | |
| 00 | ჯამური | 37,353,900.00 | 36,413,902.46 | 939,997.54 | 97.5% |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 37,353,900.00 | 36,413,902.46 | 939,997.54 | 97.5% |
| **02 02** | **ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება** | | | | |
| 00 | ჯამური | 70,000.00 | 49,998.50 | 20,001.50 | 71.4% |
| 2 | ხარჯები | 70,000.00 | 49,998.50 | 20,001.50 | 71.4% |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 70,000.00 | 49,998.50 | 20,001.50 | 71.4% |
| 2.8.2.2 | კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | 70,000.00 | 49,998.50 | 20,001.50 | 71.4% |
| **02 05** | **გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია** | | | | |
| 00 | ჯამური | 6,430,331.00 | 4,272,416.57 | 2,157,914.43 | 66.4% |
| 2 | ხარჯები | 3,530,331.00 | 3,530,331.00 | 0.00 | 100.0% |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 3,530,331.00 | 3,530,331.00 | 0.00 | 100.0% |
| 2.8.2.2 | კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | 3,530,331.00 | 3,530,331.00 | 0.00 | 100.0% |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2,900,000.00 | 742,085.57 | 2,157,914.43 | 25.6% |
| **02 09 01** | **კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები** | | | | |
| 00 | ჯამური | 1,650,000.00 | 1,630,898.64 | 19,101.36 | 98.8% |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,650,000.00 | 1,630,898.64 | 19,101.36 | 98.8% |

| ორგანიზაც. კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2022 წლის გეგმა | ხარჯი | სხვაობა | შესრულება |
|---|---|---|---|---|---|
| **02 10** | **ქალაქის განვითარების ხელშეწყობა** | | | | |
| 00 | ჯამური | 41,323,260.00 | 27,977,666.71 | 13,345,593.29 | 67.7% |
| 2 | ხარჯები | 20,202,738.49 | 12,815,860.17 | 7,386,878.32 | 63.4% |
| 2.2 | საქონელი და მომსახურება | 1,872,978.49 | 194,409.75 | 1,678,568.74 | 10.4% |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 18,329,760.00 | 12,621,450.42 | 5,708,309.58 | 68.9% |
| 2.8.2.2 | კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | 18,329,760.00 | 12,621,450.42 | 5,708,309.58 | 68.9% |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 21,120,521.51 | 15,161,806.54 | 5,958,714.97 | 71.8% |
| **02 12** | **ავარიული სახლების ჩანაცვლება** | | | | |
| 00 | ჯამური | 220,000.00 | | 220,000.00 | 0.0% |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 220,000.00 | | 220,000.00 | 0.0% |
| **03 01** | **გამწვანების ღონისძიებები** | | | | |
| 00 | ჯამური | 53,985,923.00 | 36,032,425.12 | 17,953,497.88 | 66.7% |
| 2 | ხარჯები | 1,020,000.00 | 931,150.88 | 88,849.12 | 91.3% |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 1,020,000.00 | 931,150.88 | 88,849.12 | 91.3% |
| 2.8.2.2 | კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | 1,020,000.00 | 931,150.88 | 88,849.12 | 91.3% |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 52,965,923.00 | 35,101,274.24 | 17,864,648.76 | 66.3% |
| **03 02** | **დასუფთავების ღონისძიებები** | | | | |
| 00 | ჯამური | 21,957,588.00 | 20,206,115.92 | 1,751,472.08 | 92.0% |
| 2 | ხარჯები | 21,957,588.00 | 20,206,115.92 | 1,751,472.08 | 92.0% |
| 2.8 | სხვა ხარჯები | 21,957,588.00 | 20,206,115.92 | 1,751,472.08 | 92.0% |
| 2.8.2.2 | კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | 21,957,588.00 | 20,206,115.92 | 1,751,472.08 | 92.0% |
| **07 01 02** | **სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა** | | | | |
| 00 | ჯამური | 25,668,600.00 | 10,691,229.42 | 14,977,370.58 | 41.7% |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 25,668,600.00 | 10,691,229.42 | 14,977,370.58 | 41.7% |
| **08 06 03** | **სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია** | | | | |
| 00 | ჯამური | 1,163,000.00 | 1,085,791.47 | 77,208.53 | 93.4% |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,163,000.00 | 1,085,791.47 | 77,208.53 | 93.4% |
| **08 06 04** | **სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა** | | | | |
| 00 | ჯამური | 22,863,466.00 | 9,633,408.35 | 13,230,057.65 | 42.1% |
| 31 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 22,863,466.00 | 9,633,408.35 | 13,230,057.65 | 42.1% |


## ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 438,304.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (447,583.8 ათასი ლარი) 97.9%-ია;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 231,238.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (253,749.2 ათასი ლარი) 91.1%-ია;

- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 218,450.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (241,434.5 ათასი ლარი) 90.5%-ია;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 16,119.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (16,244.2 ათასი ლარი) 99.2%-ია;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 40,395.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (40,829.0 ათასი ლარი) 98.9%-ია;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 157,256.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (159,157.8 ათასი ლარი) 98.8%-ია;
- განათლება - 202,133.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (223,425.2 ათასი ლარი) 90.5%-ია;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 46,565.1 ათასი ლარით, რაც გეგმის (63,254.8 ათასი ლარი) 73.6%-ია;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 5,139.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (5,217.8 ათასი ლარი) 98.5%-ია;
- ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 107,403.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (117,086.3 ათასი ლარი) 91.7%-ია.



ათას ლარებში





| | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | განათლება | ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები | ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება | ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება | სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარება | კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2020 წლის ფაქტი | 146,558.3 | 154,612.6 | 86,219.3 | 225,580.2 | 114,577.8 | 281,775.7 | 28,795.0 | 36,513.9 | 4,449.8 | 1,472.8 |
| 2021 წლის ფაქტი | 155,988.9 | 174,139.5 | 94,443.6 | 210,337.4 | 165,471.0 | 338,700.6 | 33,270.3 | 39,541.7 | 4,457.7 | 6,421.8 |
| 2022 წლის ფაქტი | 157,256.2 | 202,133.3 | 107,403.8 | 231,238.0 | 218,450.2 | 438,304.4 | 46,565.1 | 40,395.0 | 5,139.0 | 16,119.5 |


## ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები

### ❖ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა


ათასი ლარი



ათასი ლარი




| | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა მოვლა-შეკეთება | სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები | საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია | საქალაქო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია | საბაგირო ტრანსპორტის განვითარება | მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2020 წლის ფაქტი | 88,867.1 | 20,124.9 | 72,085.4 | 94,698.2 | 0.0 | 6,000.0 |
| 2021 წლის ფაქტი | 74,827.9 | 20,193.6 | 155,035.4 | 71,004.0 | 17,639.7 | 0.0 |
| 2022 წლის ფაქტი | 89,736.2 | 37,211.7 | 257,056.1 | 39,714.1 | 1,750.0 | 12,836.2 |




**01 01 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება** დაფინანსებულია 89,736.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 95,438.3 ათასი ლარის 94%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**01 01 01 გზების მშენებლობა და აღდგენა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** 45,436.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 40,229.0 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 21,979.6 ათასი ლარი), რაც გეგმის 88.5%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** დედაქალაქის I, II და III კატეგორიის გზების ტექნიკური პარამეტრების (სიმტკიცე, სისწორე, ცვეთა, ხორკლიანობა, სანიაღვრეები) 95%-მდე დაკმაყოფილება; რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** სანგარიშო პერიოდში კაპიტალურად შეკეთდა – 188 963,02 კვ.მ. ფართის გზის საფარი. მათ შორის: მთაწმინდის რაიონში - ტაბახმელა, თბილისი-კოჯრის გზატკეცილი N35-დან N45-მდე მონაკვეთზე ტროტუარის მოწყობის; წავკისი, გორგასლის ქუჩის VII ჩიხის; შინდისი, ამაღლებისა და წავკისხევის ქუჩების მონაკვეთები და ამაღლების I შესახვევის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ეტაპი I,II); ტაბახმელა, მ.მაყაშვილის, კ.აფხაზის ქუჩებისა და მიმდებარე ჩიხების რეაბილიტაცია; ტაბახმელაში, კოტე აფხაზის ქუჩის კვეთიდან ტაბახმელას ქუჩა N3-ის ჩათვლით მონაკვეთის; ლადო გუდიაშვილის შესახვევის; დაბა კიკეთში - 9 ძმა ხერხეულიძის ქუჩის მონაკვეთის და სამპანტების ქუჩის პირველი შესახვევის და სამპანტების ქუჩის პირველი შესახვევის N3-ის მიმდებარედ გზის რეაბილიტაცია; პ.მელიქიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის და ფილარმონიის წინ მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები. ვაკის რაიონში - გ.დანელიას ქუჩის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის (თბილისი-ნაფეტვრების დამაკავშირებელი გზის) - სამუშაო ეტაპი: I,II,III,IV,V,VI; უნივერსიტეტის ქუჩაზე, დანელიას ქუჩის კვეთიდან 1 დაზიანებულ მონაკვეთზე ტროტუარის მოწყობის; ნ.რამიშვილის ქუჩიდან საფეხბურთო სტადიონამდე მისასვლელი გზის; უნივერსიტეტის ქუჩიდან მაცხოვრის ამაღლების ეკლესიამდე მისასვლელი გზის და სასაფლაოებს შორის არსებული მოედნის (სამუშაო ეტაპი: I, II, III, IV, V, VI); უნივერსიტეტის ქუჩაზე სასაფლაოს მიმდებარედ ამაღლების ტაძრიდან, მდინარე ვერემდე ჩამსვლელი გზის მონაკვეთის; ნუშის ბაღის ქუჩის მონაკვეთის. გლდანის რაიონში - დავით აღმაშენებლის ქუჩაზე გზის მოწყობა/ რეაბილიტაცია; გმირ კურსანტთა ქუჩა N1-დან ქერჩის ქუჩა N6ა-მდე გზის კაპიტალური მოწყობის სამუშაოები. ნაძალადევის რაიონში - ეროსი მანჯგალაძის ქუჩის რეაბილიტაცია. დიდუბის რაიონში - გ.ცაბაძის ქუჩა 17 ა-ს მიმდებარედ

ასფალტის საფარის რეაბილიტაცია. სამგორის რაიონში - ნაკაშიძე-ბოლქვაძის ქუჩაზე ასფალტის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ჯავახეთის ქუჩაზე მეტრო სადგურ „ვარკეთილი“-ს მიმდებარე ტერიტორიიდან კალოუბნის ქუჩამდე ტროტუარებისა და უსაფრთხოების საგზაო კუნძულების მოწყობის სამუშაო (ეტაპი I,II,III,IV); ი.ზედგინიძის ქუჩის; აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოსადგომის მოწყობის სამუშაოები. ისნის რაიონში - ქეთევან დედოფლის გამზირის; ავლაბრის მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები. საბურთალოს რაიონში - გეხტმანის ქუჩა, შაქარაშვილის ქუჩიდან გეხტმანის II გასასვლელამდე მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოები (I,II,III,IV,V ეტაპი); გეხტმანის VII ჩიხის; ბიძინა ბარათაშვილის I შესახვევის; ვაშლიჯვარი, მ.მაჭავარიანის ქუჩა N20ბ კორპუსის მიმდებარედ ასფალტბეტონის საფარის; მუხრან მაჭავარიანის და მარშალ გელოვანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის კვანძი N1-ის, კვანძის N2-ის, გელოვანის ქუჩაზე ამსვლელ და ჩამსვლელი პანდუსების და კორპუსთან მისასვლელი გზის (მიერთება) სამშენებლო სამუშაოები; დიდ დიღომში მდებარე ავთანდილის ქუჩის; შერმადის ქუჩისა და ტარიელის ქუჩის (ავთანდილის ქუჩის კვეთიდან ჯანიაშვილის და ხატაეთის ქუჩების კვეთამდე) მონაკვეთის; ლ.კვაჭაძის ქუჩის მონაკვეთი.

გზების მიმდინარე (ორმოული) შეკეთების სამუშაოები ჩატარდა – 185,241.88 კვ.მ. ფართობზე. მათ შორის:

გლდანის რაიონში შეკეთდა 21 273.08 კვ.მ ფართის ქუჩები: თ.შეშელიძის ქუჩა (N9, N11დ, N60, N84, ი.ვეკუას ქუჩის, ასევე დ.სარაჯიშვილის გამზირის კვეთების მიმდებარედ და კიდევ 7 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ქერჩის ქუჩა (N1-ის, გმირი კურსანტების და ა.ვასაძის ქუჩების კვეთების მიმდებარედ და კიდევ 4 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); გ.ორბელიანის ქუჩა (N3ა, N13, N17-ისა და N28-ის მიმდებარედ); მინდელის ხიდი; ლიბანის ქუჩა (N4, N31-ის მიმდებარედ და კიდევ 1 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ვ.ჯანჯღავას ქუჩა (N11, N19, N23, N33, N41-ისა და N59-ის მიმდებარედ); დ.სარაჯიშვილის გამზირი (N1 - გლდანის რ-ნის გამგეობასთან 2 ლოკაციაზე; N7-ისა და N19-ის მიმდებარედ და კიდევ 3 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ა.გობრონიძის ქუჩა (N6-ის მიმდებარედ, წრესთან -

ა.ისააკიანისა და ა.გობრონიძის ქუჩების კვეთის, ასევე, ნ.დუმბაძისა და ი.ნონეშვილის ქუჩების კვეთის მიმდებარედ და კიდევ 1 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ი.ნონეშვილის ქუჩა (N4, N5, N8, N10, N11 და N17 კორპუსების მიმდებარედ); გმირი კურსანტების ქუჩა (პოლიციის აკადემიის მიმდებარედ 3 ლოკაცია) და ქერჩის ქუჩის კვეთის მიმდებარედ); ა.ვასაძის ქუჩა (ახმეტელის თეატრის მიმდებარედ და კიდევ 1 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ო.ხიზაშვილის ქუჩა (თ.შეშელიძის ქუჩის კვეთის, გლდანის პარკის, გლდანის საზოგადოებრივი კოლეჯის მიმდებარედ და კიდევ 2 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); რ.შენგელიას ქუჩა N9-ის მიმდებარედ; ა.ისააკიანის ქუჩა (პოლიციის მიმდებარედ და კიდევ 2 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ე.ანდრონიკაშვილის ქუჩა (N10, N12, N18, N29, N29ა, N29გ, N29ლ, N31, N31ა, N33, N33ა, N39, N59, N61, N69, N77, N79, N87, N101, N111, N115გ, N117, N127, N135, N141, N145, N149-ისა და N155-ის მიმდებარედ); მ.ნოზაძის ქუჩა (N2-დან N4-მდე მონაკვეთი, ა.ბოჭორიშვილის ქუჩის კვეთის მიმდებარედ და კიდევ 5 სხვა დაზიანებული მონაკვეთი).

ნაძალადევის რაიონში შეკეთდა 17 708.90 კვ.მ ფართის ქუჩები: ჩარგლის ქუჩა (N57-ის მიმდებარედ და N38ა კორპუსიდან გ.რომელაშვილის ქუჩის წრემდე); ზღვის უბნის დასახლება (XI მ/რ, 1კვ. 22ა კორპუსის მიმდებარედ); გ.რომელაშვილისა და ა.ისააკიანის ქუჩების კვეთის მიმდებარედ; ლიახვის ქუჩა (N1, N2, N8, N11, N19-ისა და ჩარგლის ქუჩის კვეთის მიმდებარედ); ცოტნე დადიანის ქუჩა (რ.ურიდიას ქუჩის, ასევე, ე.ბეჟანიშვილის ქუჩის კვეთის, N87-ის, N133-ისა და N305ა-ს მიმდებარედ); თორნიკე ერისთავის ქუჩა (N1-ის მიმდებარედ და კიდევ 3 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ქსნის ქუჩა (სარკინიგზო ხიდის მიმდებარედ); დ.გურამიშვილის გამზირი (N15ა, N202-ისა და ლიახვის ქუჩის კვეთის მიმდებარედ, ასევე, კიდევ 2 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ლიკანის ქუჩა (მანჯგალაძის ქუჩიდან გომბორის ქუჩამდე მონაკვეთი); ფეიქართა ხიდი; ნ.ხუდადოვის ქუჩა (N139-დან უცნობ გმირთა ქუჩის კვეთამდე მონაკვეთი, N162-დან უცნობ გმირთა ქუჩის კვეთამდე მონაკვეთი; N56, N136, N139-ისა და ნ.აგიაშვილის ქუჩის კვეთის მიმდებარედ, ასევე, კიდევ 1 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); საჭილაოს ქუჩა N22-ის მიმდებარედ; ა.ქართველიშვილის ქუჩა N13-ის

მიმდებარედ; ე.ზაქარაიას ქუჩა (N2, N9, N17, N19, N22, N24, N28, N34, N34ბ, N36, N40, N42, N44, N60, N62, N87, N89ა, N91, N102-ის მიმდებარედ და კიდევ 1 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); წერონისის ქუჩა (N5, N16, N28, N33, N44, N49, N76, N93, N102ა, N115, N121, N123, N128, N143, N145, N164, N168, N172, N196ა, N202-ისა და N228-ის მიმდებარედ); რ.ურიდიას ქუჩა (N113-ისა და N119-ის მიმდებარედ); მუხრანის ქუჩა (N2, N5, N18, N22, N23, N35-ისა და N76-ის მიმდებარედ); ჯავის ქუჩა (N13-ის მიმდებარედ); გ.ჭყონდიდელის ქუჩა (1 დაზიანებული მონაკვეთ); ე.ბეჟანიშვილის ქუჩა (N4, N6ა, N13, N14ა კორპუსის, N17, N18, N21, N27, N34, N41-ისა და N55გ-ს მიმდებარედ); ნ.გაფრინდაშვილის სახელობის სანაპირო (1 დაზიანებული მონაკვეთი); ლ.ქართლელიშვილის ქუჩა (N3, N13, N14, N20, N24-ისა და N28-ის მიმდებარედ).

დიდუბის რაიონში შეკეთდა 17 359.60 კვ.მ ფართის ქუჩები: ა.წერეთლის გამზირი (N12ა, N112 (2 ლოკაცია); N117ბ, N128, N138, N140-ის, გორის ქუჩის, არჩილ გვეტაძის ქუჩის, სამტრედიის ქუჩის კვეთების მიმდებარედ, ასევე, 4 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა (N20, N33, N43-ისა და ა.ბელიაშვილის გამზირის კვეთის მიმდებარედ, ასევე, 2 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); მარცხენა სანაპირო (7 დაზიანებული ლოკაცია); ა.ბელიაშვილის ქუჩა (N7, N9, N11, N13, N15, N17, N20 კორპუსების მიმდებარედ, N179-ის მოპირდაპირედ, N43, N49, N51, N59, N61, N119, N121, N127, N135, N137, N138, N149, N157, N191-ისა და ს.ახმეტელის ქუჩის კვეთის მიმდებარედ, ასევე, 3 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); დები იმხნელების ქუჩა, მუშტაედის ბაღის ცენტრალურ შესასვლელთან; ე.მიქელაძის ქუჩა (N4-ის მიმდებარედ); ბ.პაიჭაძის ქუჩა (დინამოს ბაზის მიმდებარედ და კიდევ 2 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ლუბლიანას ქუჩა (N70ა-ს, დინამოს აკადემიის, ნ.ბოხუას ქუჩის კვეთის მიმდებარედ); გ.ცაბაძის ქუჩა (N15-ის, ვ.მაიაკოვსკის ქუჩის კვეთის მიმდებარედ); აბასთუმნისა და თევდორე მღვდილის ქუჩების კვეთის მიმდებარედ; მოსე გოგიბერიძის ქუჩა (1 დაზიანებული მონაკვეთი).

ჩუღურეთის რაიონში შეკეთდა 3 887.00 კვ.მ ფართის ქუჩები: მახათას აღმართი (1 ლოკაცია); მარჯანიშვილის ხიდი (2 ლოკაცია); მარცხენა სანაპირო

(ნ.ბარათაშვილის ხიდის, კ.ხეთაგუროვის სკვერისა და ზაარბრიუკენის ხიდის მიმდებარედ, ასევე, 2 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); თამარ მეფის გამზირი N30-ის მიმდებარედ; მ.წინამძღვრიშვილის ქუჩა, შშმ პირთა პანდუსის მოწყობა; ე.ახვლედიანის აღმართი N4-ის მიმდებარედ; თამარ მეფის ხიდი (2 დაზიანებული მონაკვეთი).

ვაკის რაიონში შეკეთდა 14 325.20 კვ.მ ფართის ქუჩები: ვაჟა-ფშაველას გამზირი (N47, N50, N51, N58, N61, N67, N71, N73, N80, N87, N91, N97, III კვარტალი, კორპუსი N4-ის, მ.თამარაშვილის ქუჩის კვეთის მიმდებარედ, მე-7 კვარტალი, I კორპუსისა და მე-3 კვარტალი, Iა კორპუსის წინ, ასევე, კიდევ 6 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ავთო ვარაზის ქუჩა (N16, N29, N37, N63, N67, N75, N89ა და რაგბის კავშირის მიმდებარედ, ასევე კიდევ 1 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ზ.ავალიშვილის ქუჩა (1 ლოკაცია); ი.ჭავჭავაძის გამზირი (N49, N59, უკრაინის საელჩოს, ლოკომოტივის სტადიონის მიმდებარედ - 1 ლოკაციაზე); წყნეთის გზატკეცილი (N1-2-ის, N4-ის, N7-ის მიმდებარედ, ასევე, 4 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); წყნეთი (შოთა რუსთაველის ქუჩა N29, N33, N37, N81ა, N83, N120, მე-7 ჩიხისა და ლ.გუდიაშვილის ქუჩა N10-ის მიმდებარედ, წყნეთი-ბეთანიის გზა - მე-2 მონაკვეთი და კიდევ 1 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ა.პოლიტკოვსკაიასა და მინდელის ქუჩების კვეთის მიმდებარედ; ზ.ანჯაფარიძის ქუჩა N19-ის მიმდებარედ; მ.თამარაშვილის ქუჩა (ა.ყაზბეგის გამზირის კვეთის, უნივერსიტეტის ქუჩის კვეთის მიმდებარედ, უნივერსიტეტის ქუჩაზე ამსვლელი ზოლი, საფეხმავლო ბილიკი და კიდევ 3 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); მიხეილ თამარაშვილისა და გიორგი წერეთლის ქუჩების კვეთის მიმდებარედ; ქ.ჩოლოყაშვილის გამზირი, ლოკომოტივის სტადიონის მიმდებარედ; ო.თაქთაქიშვილის ქუჩა N11-ის მიმდებარედ; კუს ტბის ასახვევის მიმდებარედ; პ.ქავთარაძის ქუჩა (1 ლოკაცია); ი.აბაშიძის ქუჩა (N18, N22, N34, N37, N44, N47, N49, N68, N71-ის, N86-ის, დარიალის ქუჩის, ბაზალეთის ქუჩის კვეთების მიმდებარედ); უნივერსიტეტის ქუჩა (24 დაზიანებული ლოკაცია); ბესარიონ ჟღენტის ქუჩა (N8, N24, N72-სა და N76-ის მიმდებარედ); პაატა დათუაშვილის ქუჩა (N5, N7-დან რ.ჩხიკვაძის ქუჩამდე მონაკვეთი, N15-ისა და კ.კაპანელის ქუჩის კვეთის

მიმდებარედ); ნუცუბიძის ქუჩა (მე-4 მ/რ, N38-ე კორპუსის, მე-5 მიკრო, კორპუსი N11-ის მიმდებარედ და კიდევ 1 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); რამაზ ჩხიკვაძის ქუჩა (N12, N14-ისა და N41-ის მიმდებარედ); ე.მინდელის ქუჩა (N9-ის მიმდებარედ); ჭ.ამირეჯიბისა და მ.თამარაშვილის ქუჩების კვეთის მიმდებარედ; ფერმწერთა ქუჩა (N38-ისა და 107-ის მიმდებარედ და 1 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); კაპანელის ქუჩა (N6-ის მიმდებარედ); ვაკის სასაფლაოს წინ, ჭ.ამირეჯიბის გზატკეცილი (გმირთა მოედნამდე ამოსასვლელი და გმირთა მოედნის კვეთის მიმდებარედ); ი.კეჭაყმაძის ქუჩა.

საბურთალოს რაიონში შეკეთდა 29 330.80 კვ.მ ფართის ქუჩები: დავით აღმაშენებლის ხეივანი (N12; N51, N66, N97, N226, N232-ის, პროკურატურის, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და აგრარული უნივერსიტეტის მიმდებარედ, N125-დან ჯ.ბალანჩინის ქუჩის კვეთამდე, დიდი დიღმიდან გამომსვლელი ზოლი და კიდევ 12 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); დემეტრე თავდადებულის ქუჩა (N2, N6, N10, N10ა, N10ბ, N18, N26, N30, N32, N34, N37 მე-4 მ/რ - მე-7 კორპუსის, პეტრე იბერის ქუჩის კვეთის, ბენდუქიძის დასახლების, ფარნავაზ მეფის გამზირის მოედნის კვეთის, სატრანსპორტო კომპანიის მიმდებარედ და კიდევ 5 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); მეფე მირიანის ქუჩა (თინათინის ქუჩისა და პეტრე იბერის ქუჩის კვეთის მიმდებარედ, ასევე, 1 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); მარშალ გელოვანის გამზირი (4 ლოკაცია); ი.გაგარინის აღმართი, საქართველოს ბანკის მიმდებარედ; ო.ჭილაძის 166 ნომერი მე-4-ე კორპუსის მიმდებარედ; მარჯვენა სანაპირო, თამარ მეფის ხიდის პანდუსის მიმდებარედ (2 ლოკაცია); ვ.გოძიაშვილისა და თოფურიძის ქუჩების კვეთის მიმდებარედ; ს.ცინცაძისა და ვლდამიერ და არჩილ ბასათიანების ქუჩების კვეთის მიმდებარედ; თ.იოსებიძის ქუჩა (N59, N65-ისა და N71-ის მიმდებარედ); ჟ.შარტავას ქუჩა (N16-ისა და N20-ის მიმდებარედ); დიდი დიღომი, ნიკო ბურის ქუჩა N18ა-ს მიმდებარედ; სოფელი დიღომი (დიდგორის ქუჩა N2, N19, N33-ის მიმდებარედ, N51-დან 53-ის ჩათვლით და N93-სა და N95-ს შორის მონაკვეთი; ასევე, დავით აღმაშენებლის ქუჩა N29, N30-ისა და N126-ის მიმდებარედ); ი.ბერიტაშვილის ქუჩა (N13, N23, N36ა, ი.ბერიტაშვილის ქუჩის მე-3 შესახვევის კვეთის მიმდებარედ და კიდევ 1 სხვა

დაზიანებული მონაკვეთი); ვაჟა ფშაველას გამზირი (N4-6ა, N6, N10 (2 ლოკაცია), N22, N26 (2 ლოკაცია), N30, N34, N35, N41-ის, პროფკავშირების, მეტრო დელისისა და მ.ასათიანის ქუჩის კვეთის მიმდებარედ); მუხადგვერდის სასაფლაოსთან მისასვლელი გზა და „ჰერმესის“ ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ; ასი ათასი მოწამეთას ქუჩა (N19, N21, N23, N29, N31, N54-ის მიმდებარედ და კიდევ 1 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ა.ყაზბეგის გამზირი (N14-ის (2 ლოკაციაზე), N17-ისა (2 ლოკაციაზე) და N19-ის მიმდებარედ, ასევე 2 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); გ.კარტოზიას ქუჩა (N5-ისა და N10-ის მიმდებარედ); მ.ალექსიძის ქუჩა N1-ის მიმდებარედ; ტაშკენტის ქუჩა N14-ის მიმდებარედ; ბახტრიონის ქუჩა N16-ის მიმდებარედ (სანიაღვრე ჭების გარშემო); გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა, კორპუსი N1-ის მიმდებარედ; მ.მაჭავარიანის ქუჩა (N4ვ-სა და N112-ის მიმდებარედ, ასევე 1 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ს.ცინცაძის ქუჩა (N2, N3, N5, N7, N8, N10, N28, N35, N38, N57ა, N58 (2 ლოკაციაზე), N61, N85 და დ. გამრეკელის ქუჩის, კ.შევარდენიძის ქუჩის კვეთის მიმდებარედ); გ.ფანჯიკიძისა და ტაშკენტის ქუჩების კვეთიდან პეკინის გამზირამდე მოანკვეთი; ფერდინანდ თავაძის ქუჩის მონაკვეთი, ვაჟა-ფშაველას გამზირიდან ს.ზაქარიაძის ქუჩის კვეთამდე; ბრიტანული სკოლიდან სოფელ ლისამდე მონაკვეთი; პეტრე იბერისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩების კვეთაზე 1 დაზიანებული მონაკვეთი; თეიმურაზ I-ისა და ბაგრატ III-ის ქუჩების კვეთის მიმდებარედ; თინათინის ქუჩა (N21-ის მიმდებარედ); მ.ასათიანის ქუჩა (ა.ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას გამზირს შორის და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიმდებარედ); დიდი დიღმის შესახვევთან, ხიდზე დაზიანებული მონაკვეთი; დ.გამრეკელის ქუჩა (ს.ცინცაძის ქუჩის კვეთამდე).

ისნის რაიონში შეკეთდა 18 604.60 კვ.მ ფართის ქუჩები: იალბუზის ქუჩა (N8, N10-ის და N14-ის მიმდებარედ, ასევე 1 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ნავთლუღის ქუჩა (N2, N6, N6ა, N8ა, N15/1, N21, N37, N43, N45, კორპუსი N11-13 მიმდებარედ და კიდევ 1 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ქეთევან წამებულის გამზირი (N14, მეტეხის ქუჩის კვეთის, N77-ისა და N94ბ-ს მიმდებარედ); ვაზისუბანი (1 მ/რ, კორპუსი N14, N15, N19-ის, მე-2ა მ/რ, N20 კორპუსისა და მე-2

მ/რ, I კორპუსის მიმდებარედ); გაბრიელ სალოსის ქუჩა (N10, N13, N14, N15, 25, N31-დან N35-მდე მონაკვეთი, N39, N49, N50, N65, N75, N76, N80, N104, N118, N121, N122, N123 (2 ლოკაცია), N127, N147, N149, N151, N152, N153, N154, N155, N158, N161, N169, N173-ისა (2 ლოკაცია) და N175-ის მიმდებარედ); ლევილის სანაპირო (სანიაღვრე ცხაურების ირგვლივ 6 ლოკაციაზე); ყვარლის ქუჩა (N103-დან N107-მდე მონაკვეთი, ასევე, N122-ისა და N142-ის მიმდებარედ); კაკაბეთის ქუჩა (N32-ისა და N38-ის მიმდებარედ); საინგილოს ქუჩა (N43, N61-ისა და N72-ის მიმდებარედ); ფშავის ქუჩა N41-ის მიმდებარედ; ლეხ კაჩინსკის ქუჩა N5-ის მიმდებარედ; რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა (2 ლოკაცია); ჯორჯ ბუშის ქუჩა (1 ლოკაცია); შ.პეტეფის ქუჩა (N6, N13, N21, N33, N40, N42, N46 (2 ლოკაცია), N54, N57, N62, N63-ისა და N64-ის მიმდებარედ); მარშალ ი.პილსუდსკის ქუჩა (2 დაზიანებული მონაკვეთი); თეოფანე დავითაიას ქუჩა (N5, N7, N13, N18-ისა და N22-ის მიმდებარედ); ღვინის აღმართი N17-ის მიმდებარედ; ს.ყაუხჩიშვილის და თ.დავითაიას ქუჩების კვეთის მიმდებარედ.

სამგორის რაიონში შეკეთდა 43 878.80 კვ.მ ფართის ქუჩები: მოსკოვის გამზირი (N3, N8, N9, N38-ისა და სამგორის ქუჩა N1-ის კვეთის მიმდებარედ); ვარკეთილი 3, IV მ/რ 406 კორპუსის მიმდებარედ; ჯავახეთის ქუჩა (N3, N4, N6, N8, N10 N15, N57, N66, N93, N130, N166, N180, კალოუბნის ქუჩის, ჯავახეთის II შესახვევის კვეთის მიმდებარედ, ასევე, კიდევ 2 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ვ.კუპრაძის ქუჩა (N345 კორპუსის, IV მ/რ 414-ე კორპუსის მიმდებარედ და კიდევ 2 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ქინძმარაულის ქუჩა (N9, N10, N12, N13, N15, N32ბ-ისა და გარდაბნის გზატკეცილის კვეთის მიმდებარედ, ასევე, კიდევ 8 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); თ.ჩანტლაძის ქუჩა (N1, N3-ისა და N5-ის მიმდებარედ); ბ.ჭიჭინაძის ქუჩა (N12-ისა და N13-ის მიმდებარედ, ასევე 1 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ა.ენუქიძის ქუჩა (N2, N4-ისა და N8-ის მიმდებარედ, ასევე, N8-დან N10-მდე მონაკვეთი); წნორისწყლის ქუჩა N51ა კორპუსის მიმდებარედ; ემირ ბურჯანაძის ქუჩა (N4, N8, N37-ის მიმდებარედ და კიდევ 3 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა (N2ა, N10, N11ა, N13ა, N16, N25, N149, I შესახვევის N2-ის მიმდებარედ და ემირ ბურჯანაძის ქუჩისკენ მიმავალი გზა - 3

ლოკაციაზე); კალოუბნის ქუჩა (N1, N4, N5, N6, N8, N10, N14, N18, N22, N24, N28 (2 ლოკაცია), N40-ისა და თრიალეთის ქუჩის კვეთის მიმდებარედ, ასევე 2 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); რ.ხომლელის ქუჩა (N2-ის, N5 და N5ა კორპუსების, გ.აბაშვილის ქუჩის კვეთის მიმდებარედ და 1 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); კახეთის გზატკეცილი (ქალაქში შემომსვლელი მიმართულება, აეროპორტის პანდუსზე ამსვლელი ზოლი, N67-ის მიმდებარედ და კიდევ 2 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); იუმაშევის ქუჩა (N2, N4, N6, N8, N10, N13-ის მიმდებარედ და კიდევ 2 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ვარკეთილი (მე-3 მასივი, მე-3 კვარტალი, მე-4 კორპუსისა და მე-13 კორპუსის მიმდებარედ და კიდევ 1 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); თრიალეთის ქუჩა (N2, N6, N8, N14, N24, N34-ისა და შუამთის ქუჩის კვეთის მიმდებარედ); შუამთის ქუჩა (N2, N2ბ, N4ბ, N10, N13, N16, N22, N26, N28, N33-ისა და N40-ის მიმდებარედ, ასევე 1 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); გ.ბერიაშვილის ქუჩა N5-ის მიმდებარედ (გ.აბაშვილის ქუჩის კვეთაზე); გ.აბაშვილის ქუჩა (N18-ის მიმდებარედ და 1 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); შტენბერგის ქუჩა N20-ის მიმდებარედ; ბრილერის ქუჩა N13-ის მიმდებარედ; საცხენისის ქუჩა (N3, N11 და N16 კორპუსების მიმდებარედ); აეროდრომის დასახლების XI ქუჩა (N4, N5ა კორპუსის, N11, N14, N20, ზ. აბულაძის ქუჩის კვეთის მიმდებარედ და 2 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ვარკეთილის ზემო პლატო (N1 და N4 კორპუსების მიმდებარედ).

კრწანისის რაიონში შეკეთდა 9 345.60 კვ.მ ფართის ქუჩები: ვახტანგ გორგასლის ქუჩა (N107, N109, N111ა, N115-ისა და პროკურატურის მიმდებარედ, N83ა-89 და N115-დან N117-მდე მონაკვეთი, ასევე, კიდევ 6 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); სამასი არაგველის სახელობის ხიდი; გ.გულიას მოედანი; ანტონ კათალიკოსის ქუჩა (N30-ის მიმდებარედ); რუსთავის გზატკეცილი (N16, N18-22, N30, N34, N137, N145-ისა და N233ა-ს მიმდებარედ); კ.კავსაძის ქუჩა 5-ის მიმდებარედ.

მთაწმინდის რაიონში შეკეთდა 9 528.30 კვ.მ ფართის ქუჩები: ბ.ბელინსკის ქუჩა (N1, N3-ისა და N11-ის მიმდებარედ); რ.თაბუკაშვილის ქუჩა (N13-19, N35-ის მიმდებარედ, 9 აპრილის ბაღის მიმდებარედ ქვეითთა გადასასვლელზე

დაზიანებული მონაკვეთი და ჯორჯაძე-ჭანტურიას ქუჩის მონაკვეთი); მ.ზანდუკელის ქუჩა N26-ის მიმდებარედ; მარჯვენა სანაპირო (იუსტიციის სახლის მიმდებარედ და კიდევ 1 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); ზ.გამსახურდიას სახელობის სანაპირო (მარი ბროსეს ქუჩამდე 1 დაზიანებული მონაკვეთი); შოთა რუსთაველის გამზირი (N1, N18, N28, N34, N40, N52-ისა და ლესია უკრაინკას ქუჩის კვეთის მიმდებარედ, ასევე 3 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); თავისუფლების მოედნის პანდუსი; ლ.ასათიანის ქუჩა (N28-დან N38-მდე, N40-დან N46-მდე, N48-დან N54-მდე და N58-დან N62-მდე მონაკვეთი); თ.ჭოველიძის ქუჩა (N5-ის მიმდებარედ და N7-დან N15-მდე მონაკვეთი); გმირთა მოედანი (გმირთა მემორიალის მიმდებარედ და კიდევ 1 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); მ.ჯავახიშვილის ქუჩა (N3, N8-დან N14-მდე მონაკვეთი); მ.კოსტავას ქუჩა (ფილარმონიის და გმირთა მემორიალის მიმდებარედ); შინდისი, თბილისი-კოჯრის ქუჩა (1 ლოკაცია); გ.აბაშიძის ქუჩა (N42-ის მიმდებარედ); კოჯორი, იუნკერთა ქუჩა (N1 შესახვევის, N5, N15, N25, N25-დან შ.ერისთავის ქუჩამდე მონაკვეთი, N28-ისა და და სატყეო ქუჩის კვეთის მიმდებარედ); თბილისი-კოჯრის გზატკეცილი (N146-ის მიმდებარედ და 4 სხვა დაზიანებული მონაკვეთი); პ.მელიქიშვილის ქუჩა, 51-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ (2 ლოკაცია); ფილარმონიის პარკინგი (1 ლოკაცია); რ.ლაღიძის ქუჩა, ოპერის პარკინგის შესასვლელთან; მარო მაყაშვილის აღმართზე დაზიანებული მონაკვეთი; ვარაზისხევისა და პ.მელიქიშვილის ქუჩების კვეთის მიმდებარედ (ტროტუარი); გ.რჩეულიშვილის ქუჩა N7-ის მიმდებარედ.

ამასთან, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გაწეულია 33.6 ათასი ლარი.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს რეაბილიტირებული და მოწყობილი ასფალტო-ბეტონის საფარი - 351,149.98 კვ.მ (მათ შორის: კაპიტალურად შეკეთდა 181,283.94 კვ.მ გზის საფარი და მიმდინარე (ორმოული) შეკეთება ჩაუტარდა 169,866.04 კვ.მ გზის საფარს).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - რეაბილიტაცია ჩაუტარდება და მოეწყობა 750,000 კვ.მ-მდე გზის საფარს (მათ შორის: კაპიტალურად შეკეთდება 600,000 კვ.მ გზის საფარი და მიმდინარე (ორმოული) შეკეთება ჩაუტარდება 150,000 კვ.მ გზის საფარს).

***მიღწეული მაჩვენებელი*** - რეაბილიტაცია ჩაუტარდა და მოეწყო 3374,204.90 კვ.მ-მდე გზის საფარი (მათ შორის: კაპიტალურად შეკეთდა 188,963.02 კვ.მ გზის საფარი და მიმდინარე (ორმოული) შეკეთება ჩაუტარდა 185,241.88 კვ.მ გზის საფარს).

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - განსხვავება გამოწვეულ იქნა - სატენდერო პროცედურების გაჭიანურებით და მიმწოდებლების არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებით; შეცდომებით ლაბორატორიული კვლევების დროს; გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების ზოგიერთ ობიექტზე (ამ ეტაპზე) ჯერ არ არის განხორციელებული გზის საფარის ზედა ფენის მოწყობის სამუშაოები.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - შესრულებული სამუშაოები ხარისხი მოწმდება ლაბორატორიულად და 2021 წელს ტექნიკური პარამეტრები 95%-მდე დაკმაყოფილდა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**მიღწეული მაჩვენებელი** - შესრულებული სამუშაოების ხარისხი შემოწმდა ლაბორატორიულად და ტექნიკური პარამეტრები 95%-მდეა დაკმაყოფილებული.

**01 01 08 გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** გლდანის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 8,118.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 7,865.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.9%-ია.

**დასახული შუალედური შედეგები:** მოწესრიგებული ქუჩები, შიდაკვარტალური გზები და ეზოები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები ჩაუტარდა - 58725.9 კვ.მ. ასფალტის საფარს, მოეწყო 1276 კვ.მ ბეტონის გზა, 3955.3 გრძივი მეტრი სანიაღვრე სისტემა, გზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები ჩატარდა - 45875.8 კვ.მ. გზების მოხრეშვის სამუშაოები -

13626 კვ.მ; გზების მოვლა-შეკეთების სამუშაოები შესრულდა შემდეგ მისამართებზე: ტაბატაძის ქუჩა და ჩიხები, კლარა კვეესის ქუჩა, ფარსმან 2 ქველის ქუჩა, ზაჰესი, შოთაძის ქუჩა, სარაჯიშვილის სკვერსა და ჩაის ფაბრიკას შორის, კაჭარავას ქუჩა N53-47ა, ჯანჯღავას ქუჩა N19-ის მიმდებარედ, თამარ მეფის ქუჩა, საზანოსა და ჟვანიას ქუჩების დამაკავშირებელი გზის მონაკვეთი, კორინთას ქუჩა, მუხიანი 2 იაკობის ქუჩა, მუხიანი 2 გრემის ქუჩა, მუხიანი 2 გამარჯვების ქუჩა, ჯავახეთის ქუჩა, გლდანი ა მ/რ. კორპ. N1, N2, N3, ჭელიძის მეორე შესახვევი, ლიბანის ქუჩა N20ა, გლდანი 3ა მ.რ. კორპ. N20, N21, N23 მიმდებარედ, ნუშის ქუჩის მონაკვეთი, ბოჭორიშვილის პირველი გასასვლელი, მაისურაძის ქუჩა N31-დან ხიზანიშვილამდე, ზარზმის და ჭელიძის ქუჩები, გურიის ქუჩა N19-25-მდე, ლიბანის შესახვევი N22-26 მაისის ქუჩის დამაკავშირებელი, 26 მაისის ქუჩა N38-47, N30-41, N49, ფოცხიშვილის ქუჩა, ლიბანის 14ა, მუხიანი 2-3 მ/რ, მუხიანი 2 მ/რ კორპუსი N4, N18, მუხიანი 4ა მ/რ. კორპ. N8-9 მიმდებარედ, მუხიანი 4 ბ მ/რ. კორპუსი N5, N45, მუხიანი 4 ა მ/რ კორპუსი N13 მიმდებარედ, N17უკანა ეზო, მუხიანი 1 მ/რ. კორპუსი N10, მუხიანი 2 მ/რ. კორპუსი N12 და 3მ/რ კორპუსი N22-შორის, გმირკურსანტთა მეორე შესახვევი N5, გლდანი პირველი მ/რ. კორპუსი N18 მიმდებარედ, გლდანი მესამე მ/რ. კორპუსი N5, N9, N 12, N 13-13ა, N68ა,69,71, N85 მიმდებარედ, გლდანი მეოთხე მ/რ. კორპუსი N96ბ, გლდანი მეხუთე მ/რ. კორპ. N21, N23, N26ბ მიმდებარედ, გლდანი მეექვსე მ/რ. კორპ.ი N14, N30 მიმდებარედ, გლდანი მეშვიდე მ/რ. კორპ. N5ა, N8, N7ვ, N11, N12, N18, N19, N 20, N23 მიმდებარედ, გლდანი მერვე მ/რ. კორპ. N28 დან ხიზანიშვილის ქუჩამდე, ნანეიშვილის ქუჩა N173 სკოლასთან, ნანეიშვილის ქუჩა N100 ბაღთან, ვ. ნანეიშვილის ქუჩა კორპუსი N23ა მესამე მ/რ N19 მიმდებარედ, ი. ვართაგავას N15-ის მიმდებარედ, გლდანისხევი N185 ბაღთან, გლდანი-ლესელიძის ქუჩა N115-ე სკოლასთან, მუხიანი-გობრონიძის ქუჩა N25დ, კობერიძის ქუჩა N10ბ, ა. ბოჭორიშვილის ქუჩა, ბოჭორიშვილის ქუჩა N26, ლესელიძე-ხერგიანის კვეთა, გლდანის ხევისა და თამარ მეფის კვეთა, გლდანის ხევი N7, N8ა მიმდებარედ, გლდანის ხევი წითელ გაჩერებასთან, გლდანის ხევისა და თიანეთის კვეთა, მოსულიშვილის ქუჩა N20, N25, ლიბანის ქ.N10,15,17,19, ჯაბიძისა და კეცხოველის

კვეთა, N177-ე სკოლასთან, მეტრო სადგურ ახმეტელის თეატრის მიმდებარედ, ქერჩის ქუჩა N6, დემნა შენგელაიას ქუჩა N9, თიანეთის გზატკეცილი N7-ის მიმდებარედ, ბოჭორიშვილისა და ნანეიშვილის კვეთა, N39 სკოლასთან, გიორგიწმინდა, აღმაშენებლის N10-12, გლდანულა N1ა კორპუსი 1 სადარბაზოს მიმდებერედ, ზაჰესი, ავჭალის 11, თავისუფლები 8-10 მიმდებარედ, ყაზბეგის ქუჩის მონაკვეთი - 1 ეტაპი, ყაზბეგის ქუჩა, ავჭალის 3, ყაზბეგის ქუჩა, ლაღიძის ქუჩა, გელოვანის ქუჩა, შოთაძის ქუჩა, თბილისის ქუჩა, ტაძრისა და მონასტრის ქუჩა, ავჭალა 2 შალვა ახალციხელის ქუჩა. ამასთან, გაწეულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**

**საბაზისო მაჩვენებელი -** 2021 წელს კაპიტალური შეკეთების სამუშაოები შესრულდა - 73531 კვ.მ, გზების მიმდინარე შეკეთება - 33580 კვ.მ, მოხრეშა- 17 004.36 კვ.მ. გზა, მოეწყო 2 468 კვ.მ ბეტონის გზა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი -** მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების სამუშაოები ჩაუტარდება 120050 კვ.მ ასფალტის საფარს, 12000 კვ.მეტრი მოხრეშილი ქუჩა და 2500 კვ.მ. ბეტონის გზა.

***მიღწეული მაჩვენებელი -*** კაპიტალური შეკეთების სამუშაოები ჩატარდა - 58725.9 კვ.მ ასფალტის საფარს, გზების მიმდინარე შეკეთება - 45875.8 კვ.მ, მოხრეშა - 13626კვ.მ. გზა, მოეწყო 1276 კვ.მ ბეტონის გზა.

**01 01 09 გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ნაძალადევის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა -** 4,277.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 4,253.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.5%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მოწესრიგებული ქუჩები, შიდაკვარტალური გზები და ეზოები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში შეკეთდა შიდაკვარტალური გზების (მიმდინარე და ორმოული) ასფალტის საფარი - 33492.8 კვ.მ, 1025.3 კვ.მ - ტროტუარი, 3154.1 გრძ.მ. - ბორდიური, 105 - ცალი ჭა, 231.4 კვ.მ პანდუსი; 16.6მ3 - საყრდენი კედელი; 265კვ.მ - ბეტონის გზა; შემდეგ

მისამართებზე: მუხრანის ქუჩა №15-ის, ბენდელიანის ქუჩა №12ა-ს მიმდებარედ, ზღვისუბნის დასახლება IX კვ. №16 კორპუსიდან ურეკის ქუჩა №4ვ-ს ჩათვლით, მოლითის ქუჩა I ჩიხი, ახალმოწამეთა, ახტალის, სანზონის N7, ა.ღოღობერიძის N1, ფეიქრების N24, N64 ქუჩების მიმდებარედ, დ. გურამიშვილის გამზ. N15, N35, N62ა, N76-ის მიმდებარედ, ურეკის და ანაპის 414 დივიზიის ქუჩების კვეთაზე, აბაის და ანაპის 414 დივიზიის ქუჩების კვეთაზე, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან დამაკავშირებელი კიბის მიმდებარედ, ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა N39-ის მიმდებარედ, ზღვისუბნის დასახლება 10კვ. N28, N44, ზღვისუბნის დასახლება 10ა კვ. 43-ე კორპუსების მიმდებარედ, ზღვისუბნის დასახლება XI მ/რ. Iკვ. N22-ის მიმდებარედ, ზღვისუბნის დასახლება, მე-4 მ/რ, მე-10 კორპუსის მიმდებარედ, ნოსტეს ქუჩა, სანზონა N19, N20 კორპუსების მიმდებარედ, ბეშენოვას ქუჩის ( ჯინო ფერედაისი ) მიმდებარედ, შ. ჯაფარიძის, გ. ჭყონდიდელის I ჩიხი N5, საყვირის N2 დან ა. მრევლიშვილის N7-ის ჩათვლით, გ. ავალიშვილის N7-ის ქუჩების მიმდებარედ, ჯავის ქუჩა N75ვ დან N75ბ-ეს ჩათვლით, გურამიშვილის გამზ. N61-ის მიმდებარედ, ჭ. ლომთათიძის ქუჩა N5, ლომთათიძის ჩიხი N2, N6, N16-ის მიმდებარედ, ღრმარღელის II ჩიხი, ი. მაღალაშვილის ქუჩა N4, გამყრელიძის ქუჩა N24, გვაზაურის ქუჩა N4 კორპუსის მიმდებარედ, ლეჩხუმის ქუჩა II შესახვევი, ზღვისუბნის დასახლება IVმ/რ. N7 კორპუსის მიმდებარედ, სანზონის დასახლება N10 კორპუსის მიმდებარედ, ც. დადიანის ქუჩა N2-ის მიმდებარედ, სამღერეთის ქუჩის მიმდებარედ, სანზონა 32-ე სკოლის მიმდებარედ, გურამიშვილის გამზირი N7-ის მიმდებარედ, სვანეთის ქუჩისა და ც. დადიანის ქუჩის კვეთა, იმერეთის ქუჩა N30, N32, N34-ის მიმდებარედ, ზღვისუბნის დასახლება 11 მ/რ, 2კვ. N23 დან N36 კორპუსებამდე, ზღვისუბნის დასახლება 3 მ/რ, 1კვ. N18, N10, N12 კორპუსების მიმდებარედ, ზღვისუბნის დასახლება 3 მ/რ, 5კვ. N9 კორპუსის მიმდებარედ, ზღვისუბნის დასახლება 4 მ/რ, N7, N8, N9ა კორპუსების მიმდებარედ, პ. გამყრელიძის ქ. N14-ის მიმდებარედ, ბეჟანიშვილის ქუჩა „ა“ კორპუსის მიმდებარედ, ც. დადიანის ქ. II მ/რ. N2 კორპუსის მიმდებარედ, ფეიქრების ქუჩა N64-ის მიმდებარედ, დ. გურამიშვილის გამზირი N23-ის მიმდებარედ, მექანიზაციის ქ. N1-ის მიმდებარედ, ზღვისუბნის დასახლება გ.ბოთერაშვილის

ქუჩის დასაწყისისა და N23, N27-ის მიმდებარედ, ზღვისუბნის დასახლება, მ. მესხის ქუჩა N17, 27, 34-ის მიმდებარედ, ხერთვისის ქუჩა N5, N7, N6-ის მიმდებარედ, კლდეკარის ქუჩა N1, 2-ის მიმდებარედ, ქვიშხეთის ქუჩა N1ბ-ს მიმდებარედ, ც.დადიანის ქუჩა II მ/რ. N3 კორპუსის მიმდებარედ, ვ. მახალდიანის ქუჩის და ს. ხიმშიაშვილის ქუჩის კვეთა, კავთისხევის ქუჩა N13-ის მიმდებარედ, ზღვისუბნის დასახლება III მ/რ. 2კვ. N23 კორპუსის მიმდებარედ, სანზონის N1 კორპუსის მიმდებარედ, ზღვისუბნის დასახლება XI მ/რ. IIკვ. N36ა კორპუსის მიმდებარედ, ჭ.ლომთათიძის ქუჩა N35-ის მიმდებარედ, მ.კეკელიძის ქუჩის I-ლი გასასვლელი N2-ის მიმდებარედ, დ. ჟღენტის ქუჩა N39-ის მიმდებარედ, ზღვისუბნის დასახლება XI მ/რ. Iკვ. N7ა კორპუსის მიმდებარედ, ვაზიანის ქუჩა N3, N5, N6 , N9-ის მიმდებარედ, გოგაშენის ქუჩა N9, N11-ის მიმდებარედ, ნოსტეს და ნ. კახიანის ქუჩის კვეთა, ფეიქრების ქუჩის N14-ის მიმდებარედ, ზღვისუბნის დასახლება XI მ/რ. II კვ. სკოლა თამარიონის მიმდებარედ, შ. ნიშნიანიძის ქუჩა ზღვისუბნის დასახლება III მ/რ. V კვ. 24 ა კორპუსის ჩათვლით. წითელ ხაზებში მოქცეულ კორპუსების ეზოებში შეკეთდა 18521.7 კვ.მ ასფალტის საფარი; 504.7 კვ.მ ტროტუარი; 1940.6 გრძ.მ ბორდიური; 117 ცალი ჭა. შემდეგ მისამართებზე: ჭ.ბენდელიანის ქუჩა N1ა და N1ბ კორპუსების მიმდებარედ, სანზონა N7, N26 (I ეტაპი) კორპუსების მიმდებარედ, გურამიშვილის გამზირი N1, N14ა, N23, N39, N63, N70-ის მიმდებარედ, გლინკას ქუჩა კორპ. N41-ის მიმდებარედ, მანჯგალაძის ქუჩა N29-ის მიმდებარედ, ზღვისუბნის დასახლება 10ა კვ. N44 კორპუსის მიმდებარედ, ზღვისუბნის დასახლება III მ/რ. 3კვ. N41 კორპუსის მიმდებარედ, სანზონა N16ა N16ბ კორპუსების მიმდებარედ, ზღვისუბნის დასახლება IVმ/რ. N5, N11კორპუსების მიმდებარედ, არბოს ქუჩა N4 კორპუსის მიმდებარედ, ჭოპორტის ქუჩა N3კორპუსის მიმდებარედ, ზღვისუბნის დასახლება 4კვ. N4 კორპუსის მიმდებარედ, ჩარგლის ქუჩა N67-ის მიმდებარედ, სანზონა კორპუსი N1ა, N1ბ, N1გ, N1დ, N1ვ, N6, N9ა და N9ბ კორპუსების მიმდებარედ. გზის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოებზე: მოეწყო 12173.5 კვ.მ გზა, 791.90 კვ.მ ტროტუარი, 867 კვ.მ ბეტონის გზა; 1273 გრძ. მეტრი ბორდიური; საგზაო სამუშაოების განხორციელების მიზნით მოეწყო 446 კუბ.მ გზის დამჭერი საყრდენი კედელი; 134

ერთეული ჭა. შემდეგ მისამართებზე: ბეინაშვილის ქუჩა (დაუსრულებელი), ნოსტეს ქუჩა (დაუსრულებელი), ხევისუბნის ქუჩა N1, სააკაძის ქუჩა N24-დან N32-ის ჩათვლით, მანჯგალაძის მე-2 შესახვევი, ძმები ჭილაშვილების ქუჩა, ავალიშვილის ქუჩა, ჩარგლის ქუჩა N79-თან, ურიდიას ქუჩა N191-ის მიმდებარედ. ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები და დაფარულია შესრულებული სამუშაოებიდან დაკავებული 2,5% - 15.1 ათასი ლარი.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს გზის მოვლა შეკეთების სამუშაოები განხორციელდა 94 მისამართზე, მათ შორის: გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების სამუშაოები შესრულდა 27906,79 კვ.მ-ზე, მოეწყო 34730,5 კვ.მ კაპიტალური გზები, შეკეთდა და მოეწყო 4036,8 კვ.მ. ტროტუარი, მოეწყო 7677.7 გრძ.მ. ბორდიური, 5380.9 კვმ ბეტონის საფარი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - ასფალტის საფარის მიმდინარე და ფრაგმენტული შეკეთების სამუშაოები ჩაუტარდება 36057.20 კვ.მ გზას, კაპიტალური სამუშაოები 19125.4 კვ.მ გზას.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - გზის მოვლა შეკეთების სამუშაოები განხორციელდა 112 მისამართზე, მათ შორის: ეზოებში და შიდაკვარტალურ გზებზე (მიმდინარე და კაპიტალური სამუშაოები) – 64188 კვ.მ-ზე, შეკეთდა და მოეწყო 2322.2 კვ.მ. ტროტუარი, ბორდიური - 6367.7 გრძ.მ, ბეტონის საფარი - 1132კვ.მ.

**01 01 10 გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** დიდუბის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 2,767.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მოწესრიგებული ქუჩები, შიდაკვარტალური გზები და ეზოები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში შეკეთდა შიდაკვარტალური გზებისა და საცხოვრებელი სახლის ეზოების ასფალტის საფარი 49299.71კვ/მ ფართზე შემდეგ მისამართებზე: საცხოვრებელი სახლის ეზოებში

ასფალტის საფარი შეკეთდა 25022.30 კვ.მ: აკ.წერეთლის გამზ. N55-ის ეზო; დ/მ მე-5 კვ. კორპ. N24ა და 24ბ ეზო; დ/მ მე-3 კვ. კორპ.N8-ის ეზო; დ/მ მე-5 კვ. კორპ.N7-ის ეზო; დ/მ მე-5 კვ. კორპ. N14; დ/მ მე-3 კვ. კორპ.N12; დ/მ მე-3 კვ.კორპ. N13 ; დ/მ მე-3 კვ. კორპ.N26; დ/მ მე-5 კვ. კორპ.N8 ; ბაგრატიონის ქ.N27 ; დ/მ მე-4 კვ. კორპ.N14; დ/მ მე-3 კვ. კორპ.N2; თ.მღვდლის ქ.N3; დ/მ მე-4 კვ.კორპ. N25; აღმაშენებლის გამზ. N172; თევდორე მღვდლის ქ.N41; თევდორე მღვდლის ქ.N13; აგლაძის ქ.N5-ის ეზო; ბელიაშვილის II ჩიხი კორპ. N1; დ/მ მე-3 კვ.ყოფილი ბავშვთა სახლის, ე. მიქელაძის ქ.N13-ის ეზო,დ/მასივი, I კვ. კოროპ 6-ის,დ/მ II კვ. N5, N7, N9, N17 და N19-ის,დ/მ. მე-2 კვ. მე-11 -14 კორპ.ბოხუას ქ. N5-ის ეზო ; კედიას ქ.N9-ის ეზო; თ. მღვდლის ქ.N48-ის ეზო; დიღმის მასივი, მე-6 კვ. მე-3 კვ ეზო; წერეთლის გამზ. N93-ის ეზო; დიდუბის III შესახვევი, N13-ის მიმდებარედ ეზო; ცაბაძის ქ. კორპ. N 1-ის ეზო; სამტრედიის ქ.N3-ა ეზო; დიღმის მასივი, I კვ. კორპ N7-ის ეზო; ალ. მირცხულავას ქ.N1-ის მიმდებარედ ეზო; დიღმის მასივი, მე-6 კვ. კორპ N22-ის მიმდებარედ ეზო; დიღმის მასივი, მე-6 კვ. კორპ N13-ის მიმდებარედ ეზო; დიღმის მასივი, მე-5 კვ. კორპ. N15-ის მიმდებარედ ეზო. შიდაკვარტალური გზები შეკეთდა 24277.41 კვ.მ: დ/მ მე-3 კვ. კორპ. N3,4,5-ის მიმდებარედ; ე.მიქელაძის ქ.N2-ის მიმდებარედ; დ/მ მე-5 კვ.კორპ. N16-ის მიმდებარედ; ახმეტელის ქ.N6-8-ის მიმდებარედ; ლუბლიანას ქ.N3-5-7-ის მიმდებარედ; დ/მ მე-3 კვ. კორპ. N27-28-29-30 და 31-ის მიმდებარედ; გუდაუთის ქ.N1-3, N7; ლუბლიანას ქ.N11,13,13ა,13ბ,13გ მიმდებერედ; დ/მ მე-4 კვ. კორპ. N25 და 26-ის მიმდებარედ; დ/მ მე-5 კვ. კორპ. N25 ა და N25 ბ-ს მიმდებარედ; დ/მ მე-5 კვ. კორპ. N14; ბელიაშვილის მე-2 ჩიხი კორპ. N12, N8, N10; თევდორე მღვდლის ქ.N13, N23, N25, N36, N44, N45; ბელიაშვილის მე-2 ჩიხის მიმდებერედ; ტერევერკოს მე-2 შესახვევი; დიღმის მასივი, მე-4 კვ. მე-18 კორპუსი; ტერევერკოს 36; დიღმის მას. I კვ. მე-6 კორპუსი; სტანისლავსკის ქუჩა; აკ.წერეთლის გამზირის ქვემოთ აგლაძის ქუჩამდე; ბათუმის ქ. N25; დ/მ მე-2 კვ. კორპ. N9-10; ე. მიქელაძის ქ.N3-ის , ბოხუას ქ. N5-ის, აკ. წერეთლის გამზ. N55-ის მიმდებარედ (სპ. კედიას ქუჩიდან რ. გვეტაძის ქუჩამდე); ლუბლიანას ქუჩის ტროტუარებზე, კერძოდ ლუბლიანას ქ.N22-დან 66-მდე; ბელიაშვილის მე-2 ჩიხი N1 კორპუსის მიმდებარედ; კედიას ქუჩა გზის ორმოული შეკეთება; კედიას ქ. N10-

ის მიმდებარედ; რონდელის ქ.N13-ის მიმდებარედ; ესმა ონიანის ქ.N18-ის მიმდებარედ, დიღმის მასივი, მე-6 კვ. კორპ N12-ის მიმდებარედ. ამასთან, გაწეულია დეფექტური აქტებისა და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს შიდაკვარტალური გზების და შიდა ეზოების შეკეთებითი სამუშაოები ჩაუტარდა 54469.4 კვ.მ გზის საფარს (81 მისამართი).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - შიდაკვარტალური გზების და შიდა ეზოების შეკეთებითი სამუშაოები ჩაუტარდება 57955 კვ.მ გზის საფარს.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - შიდაკვარტალური გზების და ეზოებში შეკეთებითი სამუშაოები ჩაუტარდა 49299.71 კვ.მ გზის საფარს.

**01 01 11 გზების მოვლა-შეკეთება ჩოღურეთის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჩოღურეთის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 2,689.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,679.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მოწესრიგებული ქუჩები, შიდაკვარტალური გზები და ეზოები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში შეკეთდა შიდაკვარტალური გზებისა და საცხოვრებელი სახლის ეზოების ასფალტის საფარი 38548 კვ.მ. მათ შორის: შიდაკვარტალური გზები - 32771 კვ.მ შემდეგ მისამართებზე: გედევანიშვილის და ეკ.ჭავჭავაძის ქუჩების დამაკავშირებელი გზა, ნინოშვილის ქ, გუმათის ქ.N1-27 მონაკვეთი, სურამის ქ, გედევანიშვილის სკვერის მიმდებარედ და გედევანიშვილის ქ.N29-37 მონაკვეთები, მამარდაშვილის ქ.N23-ის, წყაროს ქ.N4-ის და ქინქლაძის ქ.N2-ის მიმდებარედ, ბენაშვილის და მამარდაშვილის ქუჩების კვეთაზე, კიევის ქ.N10-ის მიმდებარედ, ჩუბინაშვილის ქუჩის მონაკვეთი, მახათას აღმართის IV შესახვევი, ივერთუბნის I გასასვლელი, ლამის ქუჩის მონაკვეთი, დ.აღმაშენებლის გამზ. N65-ის და ტურგენევის ქ. N2-6-ის მიმდებარედ, მახათას აღმართზე ეკლესიის მიმდებარედ, ხუდადოვის ქ. N173-ის

მიმდებარედ, მამარდაშვილის ქ.N21-ის, ართვინის ქ.N 39-ის და ბაგრატიონის მე-3 ჩიხი 1-ის მიმდებარედ, აგიაშვილის მე-2 შესახვევი ქ.N1-მდე მონაკვეთი, ბაგრატიონის მე-3 ჩიხი ქ. N9-ის მიმდებარედ, ივერთუბნის ქ. ქ. N39-ის მიმდებრე ჩიხის და ივერთუბნის I გასასვლელი, ჩუბინაშვილის ქ.N2-ის და ჩეჩელაშვილის ქ.N136-ის მიმდებარედ, გაბაშვილის ქ, არაგვისპირელის ქ.N32-ის და სააკაძის ქ.N19-ის მიმდებარე ტროტუარი, სააკაძის N16ა-ს მიმდებარე ჩიხი, კავკასიის უნივერსიტეტის შესასვლელის მიმდებარედ, უ.ჩხეიძის ქ.N17-27 მონაკვეთი, მზია ჯინჭარაძის ქ, ბარაკონის ქ, ცოტნე დადაიანის ქ.N2-ის მიმდებარე ტროტუარი, დავითაშვილის ქ-ის N2-28 მონაკვეთი, ბოდავის ქ, მ.შერვაშიძის I შესახვევი, პაატა სააკაძის ქ.N12-ის მიმდებარედ, პაატა სააკაძის ქ.N1ა-ს მისასვლელი, ლამის ქ.N7-ის მიმდებარედ, ტეტელაშვილის ქ, ართვინის ქ.N57-71 მონაკვეთი, ბაგრატიონის II ჩიხი N2-ის მიმდებარედ და დ.ჭიჭინაძის ქუჩის მონაკვეთი, საცხოვრებელი სახლის ეზოების ასფალტის საფარი - 3741 კვ.მ შემდეგ მისამართებზე: მამარდაშვილის ქ.N3, ჩუბინაშვილის ქ.N24, გ.დოლიძის ქ.N26, ფიროსმანის ქ.N9, ლ.პასტერის ქ.N1ა, ფიროსმანის ქ.N10, უზნაძის ქ.N47-51, ჯავახიშვილის ქ.N93, ჩიტაიას ქ.N12, ფიროსმანის ქ.N11, ზაზიაშვილის ქ.N5, დ.აღმაშენებლის გამზ. N95 და N97, უ.ჩხეიძის ქ.N25, ქვაფენილი - 2036 კვ.მ შემდეგ მისამართებზე: ეკ.ჭავჭავაძის ქ.N26-28 მონაკვეთი, გედევანიშვილისა და ეკ.ჭავჭავაძის ქუჩების დამაკავშირებელი გზა, დოდო ჭიჭინაძის ქ, ჩეჩელაშვილის ქ.N3-ისა და საქარას ქ.N4-ის მიმდებარედ, დ.აღმაშენებლის გამზ. N97, ლარეხის ქ.N2-6 მონაკვეთი, წინამძღვრიშვილის ქ.N120, მამარდაშვილის მე-2 შესახვევი. ამასთან, გაწეულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მოწესრიგდა 36 905 კვ.მ ქუჩა და შიდაკვარტალური გზები, 6172 კვ.მ საცხოვრებელი სახლების ეზოები, მოიხრეშა 1 893 კვ.მ ქუჩა და დაიგო 2 445 კვ.მ ქვაფენილი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მოწესრიგდება 33326 კვ.მ ქუჩები, შიდაკვარტალური გზები, 3452,2 კვ.მ ეზოების ასფალტის საფარი და დაიგება 1 244.3 კვ.მ. ქვაფენილი.

*მიღწეული მაჩვენებელი* - მოწესრიგდა 32771 კვ.მ ქუჩა და შიდაკვარტალური გზები, 3741 კვ.მ საცხოვრებელი სახლების ეზოები, დაიგო 2036 კვ.მ ქვაფენილი.

**01 01 12 გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ვაკის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 5,930.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 5,913.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მოწესრიგებული ქუჩები, შიდაკვარტალური გზები და ეზოები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში შეკეთდა 73200 კვ.მ გზის საფარი. მათ შორის: შიდაკვარტალური ქუჩების, ეზოებისა და გზების ასფალტის საფარი მოწყობა - 48400 კვ.მ შემდეგ მისამართებზე: ჭავჭავაძის N72 და N74 შორის მოსაშვილზე ჩასასვლელი, სიკო დოლიძის ქუჩა, ნუცუბიძის 1 მიკრო N5-N6, ჯიქიას N6, ვაჟა-ფშაველას მე-2 კვ. კორპ. N27, ზ.ფალიაშვილის N41 კორპ. ეზო, პოლიტკოვსკაიას ქუჩა N9, N39, N41, N59, ჭავჭავაძის N17, უნივერსიტეტის ქუჩა წმინდა ნინოს ტაძრამდე მისასვლელი გზა, ჭავჭავაძის N 75, ნუცუბიძის 3 მიკრო 1 კვ 8 კორპ, თვალჭრელიძის N16 და N18, ვაჟა-ფშაველას 4კვ 13 კორპ, ნუცუბიძის პლატო 5 მკრ. კორპ. 6, გ. დანელიას 1 გასასვლელი, ვ.გორგასლის 1 შესახვევი, წყნეთი თამარ მეფის ქ N 30, ტაბიძის ქუჩა. ვაჟა-ფშაველას 4 კვ 3ა და 3ბ, ჭავჭავაძის 80, კაკლები ნუშის ბაღების ქუჩა, წყნეთი გურამიშვილის N7, თხინვალა კეჭაყმაძის 38, თხინვალა იპოდრომის მიმდებარედ, წყნეთი საირმის ქუჩა N.30-დან N66-მდე, წყნეთი მძლეთის ქუჩა, კაკლები მშვიდობის ქუჩა, ჭავჭავაძის ქ. 75/3-75/4, კავსაძის ქუჩა 7, ტ. ტაბიძის 1 შესახვევი, ახალდაბა მელიქიშვილის ქუჩა, ბეთანია წერეთლის ქუჩა, ბეთანია ჭავჭავაძის ქუჩა, ბეთანია რობაქიძის ქუჩა, ბეთანია თამარ მეფის ქუჩა, ბეთანია ნოდარ დუმბაძის ქუჩა, ბეთანია ჭავჭავაძის 2 ჩიხი, ნუცუბიძის პლატო 4 მრ 22-23-24 კორპ., ტაბლიაშვილის ქუჩა, თხინვალას 1 და 2 გასასვლელი, ავალიანის და ორბელიანის ქუჩები, ახალდაბა ბეთანიის ქუჩა, ჯ. ნადირაძის ქუჩა, კაკლები ძმები მანაგაძეების ქუჩა, შუა მინდვრის ქუჩა (მრავალწლიანი). კაპიტალური შეკეთება - 4800 კვ.მ შემდეგ მისამართებზე:

თ.გაზდელიანის და თ. გაზდელიანის 1 შესახვევი, ჭილაიას, ასათიანის და კაპანელის ასასვლელი ქუჩები; გზის ორმული შეკეთება - 20000 კვ.მ შემდეგ მისამართებზე: საჯაიას ქუჩა, ერისთავის და ფალიაშვილის N16-ის კვეთა, ფალიაშვილის N72, ფალიაშვილის N50, ფალიაშვილის N39ა, ფალიაშვილის N43, ატენის N3, უჩანეიშვილის N11, უჩანეიშვილის N25, მცხეთის N44, ატენის N11, არაყიშვილის N18, შატბერაშვილის N62-64, უჩანეიშვილის N33, ფალიაშვილის N84, ფალიაშვილის N88. თაქთაქიშვილის ქუჩა, ყიფშიძის და მიქელაძის ქუჩა, თავაძის ქუჩა, ალ. ყაზბეგის ქ.43, ალ. ყაზბეგის ქ.47, ყაზბეგის 36 ნანტის სკვერი, ვაჟა ფშაველას 7კვ. 1 კორპ., ვაჟა ფშაველას 5კვ. 1 კორპ., ვაჟა ფშაველას 4კვ. 24 კორპ., ვაჟა ფშაველას 4კვ. 25 კორპ., ვაჟა ფშაველას 3კვ. 3-8 კორპ., ვაჟა ფშაველას 2კვ. 28 კორპ., ვაჟა ფშაველას 2კვ. 22 კორპ., ვაჟა ფშაველას 1კვ. 8-12 კორპ., ვაჟა ფშაველას 1კვ. 20 კორპ., შავშიშვილის და ქავთარაძის 39-ის კუთხე, ნადირაძის N6, ქავთარაძის N44, ქავთარაძის N48, ბიწაძის N4, მარიჯანის ქ. ვაჟა ფშაველას 3 კვ. 3,4,5, შავშიშვილის და ვაჟა ფშაველას 4 კვ. 5 კორპ, ქავთარაძის 3 შესახ., ვაჟა ფშაველას 6 კვ. 1ბ-2 კორპ., ნადირაძის ქ.3, ვაჟა ფშაველას 4 კვ. 13-17 კორპ., ყაზბეგის ქ. 34ა, ქუთათელაძის 17, შავშიშვილის ქ. ვაშა-ფშაველას 6 კვ. 1ა კორპ., ვაჟა-ფშაველას 3 კვ. 20,21,25 კორპ., ვაჟა-ფშაველას 2 კვ. 26 კორპ., ნუცუბიძის 3 მკრ ჩხიკვაძის N21, ვაჟა ფშაველას 4 კვ კორპ. 1, ო ჩხეიძის ქ. 10, ჭავჭავაძის 75, ჭავჭავაძის 75/5 ბაგებში კარფურის მოპირდაპირედ შუქნიშანთან, უჩანეიშვილის 22, უჩანეიშვილის 28, უჩანეიშვილის 34, აბულაძის 3 - ყიფშიძის N7 ბ, მუხაძის 4, ვაჟა-ფშაველას 2 კვ. 26 კორპ., ლორთქიფანიძის ქუჩა, სხირტლაძის ქუჩა, ნუც. 2მკ ჟღენტის ქუჩა N35, ნუცუბიძის ქუჩა 179, ვაჟა-ფშაველა 2 კვ. 30 კორპ., ნუც. 2 მ/რ 3 კვ. 7ა კორპ., უჩანეიშვილის ქუჩა ეკლესიის მიმდებარედ, უჩანეიშვილის ქუჩა N.36. კეკელიძის და ჯანაშვილის კვეთა, მირცხულავას ქ., ჭავჭავაძის N17 დ, მოსაშვილის N12, თაქთაქიშვილის ქუჩა, ყაზბეგის 47-49, ქუთათელაძის N1, ე. მაღალაშვილის N9, ვაჟა-ფშაველას გამზ. 1 კვ. 4-7-8 კორპ., ვაჟა-ფშაველას 2 კვ. 1 კორპ., ვაჟა-ფშაველას 2 კვ 5-6 კორპ., ვაჟა-ფშაველას 2 კვ. 22-36 კორპ., ვაჟა-ფშაველას 3 კვ. 21 კორპ., ვაჟა-ფშაველას გამზ. 4 კვ 1-2 კორპ, ვაჟა-ფშაველას 6 კვ. 5ა კორპ, ნუცუბიძის 4მ 49ბ, გ. სვანიძის ქ.N19, პ. დათუაშვილის ქ.25 ,ვაჟა-ფშაველას 3 კვ. 25 კორპ., ვაჟა-

ფშაველას 3 კვ. 27 კორპ., ვაჟა-ფშაველას 2 კვ. 9ა კორპ., თავხელიძის ქ.N1, შროშის ქ. N1, ნ. ჟვანიას ქ. 55, ვაკის პარკის მიმდებარედ, ჟღენტის ქუჩა 84, ჟღენტი-ვარაზის ქუჩები, ჟღენტის ქუჩა 37, ჟღენტის ქუჩა 22ა, ჟღენტი-ნუცუბიძის კვეთა, ნუცუბიძის პლატო აჟარის ქუჩა, წყნეთი, ჩოლოყაშვილის N7. ქავთარაძის 33, ნუცუბიძის პლატო ჩხიკვაძის ქუჩა, ვაჟა ფშაველას 4-5 კორპ ეზო, ჟღენტის ქუჩა, მუხაძის N.26, მუხაძის N30, ახალდაბა, მელიქიშვილის ქუჩა, ვაჟა-ფშაველას 2 კვ. 19 კორპ., ვაჟა-ფშაველა 4 კვ. 4 კორპ, გეგეშიძის ბაღის მიმდებარედ, ჭავჭავაძის 1/6 სტადიონთან პარკინგი, ყიფშიძის N6, ჭავჭავაძის 42-44 მიმდებარედ, ცხვედაძის N1, თხინვალა 1-2 გას, ავალიანის და ჯამბაკურ ორბელიანის ქ., ნუცუბიძის 4 მრ N31 ეზო, ჟღენტი ქN102, ბაგები იმედაძის ქუჩა, ნუცუბიძის 1 მკრ 16 კორპ, ნუცუბიძის პლატო 1 მკრ 16 კორპ, ნუცუბიძის ქ. N221, წყნეთის გზატკეცილი N52, კავსაძე-აბულაძის N9, მიქელაძის ქN3. ამასთან, გაწეულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მოწესრიგდა შიდაკვარტალური ქუჩები, ეზოები, და გზები 70000 კვ.მ. მათ შორის: გზების კაპიტალური შეკეთება 17100 კვ.მ, მიმდინარე შეკეთება 46300 კვ.მ, ხოლო პერიოდული ორმოული შეკეთებითი სამუშაოები განხორციელდა 6600 კვ.მ.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მოწესრიგდება შიდაკვარტალური გზები, ქუჩები და ეზოები 64532 კვ.მ (ფრაგმენტული შეკეთება), კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდება 4742 კვ.მ გზას.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მოწესრიგდა შიდაკვარტალური ქუჩები, ეზოები, და გზები 73200კვ.მ. მათ შორის: გზების კაპიტალური შეკეთება 4800კვ.მ, მიმდინარე შეკეთება 48400 კვ.მ, ხოლო პერიოდული ორმოული შეკეთებითი სამუშაოები განხორციელდა 20000 კვ.მ.

**01 01 13 გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია**: საბურთალოს რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 8,368.4 ათასი ლარი**,** დაფინანსდა - 8,327.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.5%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მოწესრიგებული ქუჩები, შიდაკვარტალური გზები და ეზოები, შშმ პირებისათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის ადაპტირებული გზები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შიდაკვარტალური გზების მიმდინარე და ორმული შეკეთება - 13061.12 კვ.მ შემდეგ მისამართებზე: ვაჟა ფშაველას გამზ. N30ა, გამრეკელის ქ.N16, ცინცაძის ქ. N29, 30, 46, 48, 56, კამანის ქ.N12, ქუთათელის ქ.N3-4, ჩიქოვანის ქ. N2/7-დან 26-მდე და N20, 22, 27, ტეხურის ქუჩა, ო. ჭილაძის ქ.N166 კორპუსი 6-ს მიმდებარედ, გ.ფერაძის ქ.N33, მირიან მეფის ქუჩა N2,68ა, პ.იბერის ქ.N16ბ, ქ. შარაშიძის ქ.N11-17, ვაშლიჯვარი კ.N14 გ, დ.დ. დემეტრე თავდადებულის ქუჩისა და ასი ათასი ქუჩის დამაკავშირებელი მონაკვეთი, ყაზბეგის გამზ. N35,37, პეკინის გამზ. N2,31ბ,43, გოძიაშვილის მე-2 შესახვ. კორპუსი N15-ს მიმდებარედ, ვაჟა ფშაველას გამზ. N8, ნუცუბიძის ქ.N28, ზაქარიაძის ქ.N5-ს და N7, ზაქარიაძის ქ. კორპუსი N7-ის ეზო, შევარდენიძის ქ. კორპუსი N11-ის მიმდებარედ, ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. კორპუსი N1-6-ს შორის და N11, 12ა, 19, 20, ბურძგლას ქ.N22, 36, 44, 48, ბოჭორიშვილის ქ. N4, კვანტალიანის ქ.N26, 32, 38, 40, 44, 48, 52, 56, 66, 72, 76, 80, 84, 88, 92, 96, მგალობლიშვილის ქ.N6, ისაკაძის ქ.N47, ტაშკენტის ქ.N22, მირიან მეფის ქ.N75, დ.დ. მე-3 მ.რ. კორპ N19, ჩიქოვანის ქ.27-ს მიმდ, საირმის ქ.N17, 30, 76, ცაგარელის ქ.N63, ბახტრიონის ქ.N7, 16, 35, დ.დ. გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა, დ.დ. ექვთიმე ხელაძის ქ.N29, 33, დ.დ. გიორგი ბრწყინვალეს ქ.N36, თინათინის ქ.N6, გამრეკელის ქ.N1, დ, ნასიძის ქ.N56, ხვიჩიას ქ.N2, ფარნავაზ მეფის გამზ. N19ა, პეტრიწის ქ.N15, გოძიაშვილის მე-2 შესახვ. კორპუსი N15-ის მიმდებარედ, დ, შევარდენიძის ქ.N1-ს, გრ. ფერაძის 1 ჩიხი, მიროტაძის ქ.N2, სარაჯიშვილის ქ.N1, ტატიშვილის ქუჩის და ყაზბეგის გამზირის კვეთა, მეგრელიძის ქ.N19-21, ვეფხისტყაოსნის ქ.N38, დიდგორის ქ.N28, მირიან მეფის ქუჩა, კვერნაძის ქ.N13-15, გაზაფხულის ქ.N41, დოლიძის ქ.N28, კოსტავას ქ.N68, დ.დ. როსტევანის ქუჩა. კორპუსის ეზოებში (ბმა-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე) ასფალტობეტონის მოწყობა - 7937.59 კვ.მ შემდეგ მისამართებზე: დოლიძის ქ. N25,

შერმადინის ქ.N20,24, დ.დ.აჩილ მეფის ქ.N11, იყალთოს გორა კორპუსი N1, იოსებიძის ქუჩა კორპუსი 51, გ.ფანჯიკიძის ქ.N10, ყაზბეგის გამზ. 29, დოლიძის ქ. N28. გზებზე და ქუჩებზე ასფალტობეტონის მოწყობა - 48309 კვ.მ შემდეგ მისამართებზე: დ.დ. ვეფხისტყაოსნის ქუჩა, დ.დ. ასმათის ქუჩა, დ.დ. როსტევანის ქუჩა (ჭაშნაგირის ქუჩიდან მირიან მეფის ქუჩამდე), დ.დ. მე-3 მ.რ. კორპუსი N21, დ.დ. თეიმურაზ პირველის ქუჩა, სოფ. დიღომი ვაჟა ფშაველას ქუჩა, დ.დ. დავარის ქუჩს, სოფ. დიღომი მაჭავარიანის ქუჩა, სოფ. დიღომი ბიძინა ბარათაშვილის ქუჩა, სარგის კაკაბაძის ქუჩა, გზების მოხრეშვის სამუშაოები 4649კვ.მ (სოფ.დიღომში რუსთაველის და ვახტანგ ცინცაძუს ქუჩები). ამასთან, გაწეულია 47 ცალი მოძრაობის შემზღუდავი ბარიერების (ბოწკინტები) შეძენა-მონტაჟისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წლის განმავლობაში ჩატარდა 15 262,60 კვ.მ-ზე გზების მიმდინარე ფრაგმენტული შეკეთების სამუშაოები, 9 372 კვ.მ-ზე მოხრეშვის სამუშაოები, 13 512,5 კვ.მ-ზე ეზოებში ასფალტობეტონის დაგების სამუშაოები, 89 391,50 კვ.მ-ზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - ჩატარდება 16414 კვ.მ-ზე გზების მიმდინარე ფრაგმენტული შეკეთების სამუშაოები, 5128 კვ.მ-ზე მოხრეშვის სამუშაოები, 8076 კვ.მ-ზე ეზოებში ასფალტობეტონის დაგების სამუშაოები, 50798 კვ.მ-ზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - ჩატარდა 13061.12 კვ.მ-ზე გზების მიმდინარე ფრაგმენტული შეკეთების სამუშაოები, 4649 კვ.მ-ზე მოხრეშვის სამუშაოები, 7937.59 კვ.მ-ზე ეზოებში ასფალტობეტონის დაგების სამუშაოები, 48309 კვ.მ-ზე გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს ადაპტირებულია მელიტონ და ანდრია ბალანჩივაძეების ქუჩა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - ადაპტირებული იქნება როსტევანის ქუჩა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**01 01 14 გზების მოვლა შეკეთება ისნის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ისნის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 3,560.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მოწესრიგებული ქუჩები, შიდაკვარტალური გზები და ეზოები, შშმ პირებისათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის ადაპტირებული გზები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში შეკეთდა 71118.55 კვმ გზის საფარი შემდეგ მისამართებზე: მელაანის 1-ლი შესახვევი და კახეთის ქუჩის კვეთა, ერევნის ქუჩა, ნიაბის ქN51ა, კიკეთის ქ N2, ვ/უბნის მე-3 მ/რ მე-2 კვ კორპუსი N5, ვ/უბნის მე-3 მ/რ მე-2 კვ კორპუსი N3, ქობულაძის ქ, საჯარო სკოლა N103-ის მიმდებარედ, უშაკოვის და მთისძირის ქუჩების კვეთა, ნავთლუღის მე-8 შესახვევი, მესხეთის ქუჩა, ბეთლემის ქუჩა N12 - სკოლა N86-ის მიმდებარედ, ყვარლის ქუჩა N92. შ. ნადირაშვილის ქუჩის დასაწყისი, ციხისძირის ქუჩა, ციხისძირის 1-ლი შესახვევი, პეტრე-პავლეს სასაფლაოს ტერიტორია, აწყურის ქუჩა, რატილის ქუჩა - ტვიშის ქუჩიდან ყვარლის ქუჩამდე, მარტყოფის 1-ლი შესახვევი N11ა, საინგილოს ქუჩა N50, საინგილოს ქუჩა N55, წურწუმიას ქუჩიდან მე-2 შორაპნის ქუჩამდე, მარტყოფის შესახვევი, გალავნის ქუჩა, სევანის ქუჩა, მეტროსადგურ „ავლაბრის“ მიმდებარედ, ბზიფის ჩიხი, ნავთლუღის ქუჩა N24, ს. ყაუხჩიშვილს ქუჩა, ვ/უბნის მე-2 მ/რ კორპუსი N5, 8, 23--ს მიმდებარედ, ყვარლის ქუჩა N136-დან მთისძირის ქუჩა N58-მდე, მელაანის მე-2 შესახვევი, ჯორჯ ბუშის ქუჩა N2, შირაქის ქN11-13, შირქის ქ N16, ნადარეიშვიოლისა და სამგორის ქუჩების კვეთა, სამგორის ქუჩა, სამგორის ჩიხი, ლეჟავას ქუჩა, დმანისის ქუჩა, ვ/უბნის მე-4 მ/რ მე-3 კვ კორპუსი N10-12, ვ/უბნის მე-4 მ/რ მე-2 კვ კორპუსი N13-15, მარტყოფის ქუჩა (სკოლის მიმდებარედ), კვეზერელი-კოპაძის ქ N16, პატარიძის ქუჩა, ვ/უბნის მე-4 მ/რ მე-2 კვ კორპუსი N1, 3. 9. 10, 11, 12, 15-ის მიმდებარედ, ბზიფის შესახვევი N3, ზ. ბეგიაშვილის ქუჩა, ს. ჯიქიას ქუჩა, სომხეთის პირველი გასასვლელი, შანდორ პეტეფის ქუჩა N10, 12, 40, 63, გაბრიელ სალოსის გამზირი N49, ვ/უბნის მე-3 მ/რ მე-2 კვ კორპუსი N14, აბუსერიძე-ტბელის ქუჩა, ზურაბ ჩაჩუას მე-2 გასასვლელი, იუნკერთა ქუჩა, მანავის ქუჩა, ვ/უბნის მე-3 მ/რ 1-ლი კვ სკოლა N163 მიმდებარედ,

ვ/უბნის დასახლება კორპუსი N13-ეზო, ვ/უბნის მე-3 მ/რ მე-2 კვ კორპუსი N1, 14-ეზო, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი კორპუსი N139, ბერი გაბრიელ სალოსის მე-4 შესახვევი კორპუსი N4, შანდორ პეტეფის ქუჩა N6-8, ბერი გაბრიელ სალოსის N144 მისასვლელი გზა, მინდელშტამის 1-ლი შესახვევი კორპუსი N4, საინგილოს ქუჩა ბ/ბაღი N188, ვ/უბნის მე-3 მ/რ მე-2 კვ პილსუდსკის ქუჩიდან ეშბას ქუჩამდე, ვ/უბნის მე-3 მ/რ მე-2 კვ კორპუსი N14, მრევლიშვილის მე-2 და მე-3 შესახვევი, ვაზის ქუჩა, მამუკას შესახვევი, ბერი გაბრიელ სალოსის შესახვევი N133, ჯანელიძის მე-4 ჩიხი, შალვა დოლიძის ქუჩა, მოსკოვის გამზირი N9-დან ნადარეიშვილის ქუჩამდე. ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების შედგენის მომსახურების და საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი -** 2021 წელს განხორციელდა 86793 კვ.მ ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები, შშმ პირებისათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის ადაპტირებულია - 67 ობიექტი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი -** მიმდინარე შეკეთების სამუშაოები ჩაუტარდება 67158 კვ.მ გზას და კაპიტალური შეკეთების სამუშაოები 11553 კვ.მ გზას, შშმ პირებისათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის განსაზღვრულია 19 ადაპტირებული ობიექტის მოწყობა

***მიღწეული მაჩვენებელი*** - განხორციელდა 71118.55 კვ.მ ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები, შშმ პირებისათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის ადაპტირებულია - 19 ობიექტი.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე -** კაპიტალური სამუშაოების შემცირება ხელშეკრულების გამრავალწლიანებამ გამოიწვია.

**01 01 15 გზების მოვლა შეკეთება სამგორის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** სამგორის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა -** 7,405.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 7,323.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.9%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მოწესრიგებული ქუჩები, შიდაკვარტალური გზები და ეზოები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაიგო 112184.69 კვ.მ ასფალტის საფარი გზებსა და ეზოებში, 624 კვ.მ ტროტუარი (მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდა 49276.79 კვ.მ გზას, კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა 62907.9 კვ.მ გზას). დასრულდა ამილახვარის 1-დან 13-მდე, ქინძმარაულის 1 ჩიხი, ესენინისა და ბანეთიშვილის ქუჩა გუდამაყარისა და თავკვერის ქუჩების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები (მრავალწლიანი ხელშეკრულებით გათვალისწინებული); მიმდინარეობს ოდიშელიძის, მაჩაბელის, რობაქიძის, ტაბიძის, ქართველიშვილის აკაკი ჩხენკელისა და მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩების მოწყობა; გახოკიძის 1 და 2 შესახვევი, ვარკეთილის მეურნეობაში რუსთაველის ქუჩა 1-დან 215-ე საჯარო სკოლამდე; გუმათჰესის ქუჩა 2-ვ კორპუსიდან მე-10 კორპუსამდე, გუმათჰესის 11 კორპუსიდან ჭიჭინაძის ქუჩამდე; ქვემო ალექსეევკაში ქებურიას დასახლება მე-3 ქუჩიდან ხვედელიანის ქუჩების კვეთამდე; ლუკა და ლევან რაზიკაშვილის ქუჩებზე ჩატარდა მოხრეშვის, ორმოული და ფრაგმენტული შეკეთების სამუშაოები; გრძელდება ვარკეთილი 3-ში მე-2 მ/რ კორპ. N24-26-27-ის მიმდებარედ გზის კაპიტალური შეკეთება; დაიგო ასფალტის საფარი 3 მასივი 8 კვარტალი კორპ. N3,4,5-ის, ჭიჭინაძის ქ. კორპუსი N10-ის, 3 მასივი 8 კვარტალი ელდარის ქუჩა N15-ის; ნაკადულის ქუჩა, კორპუსი N3-ის, ლორთქიფანიძის ქუჩა კორპუსი N22-ის შუამთის ქუჩა კორპ. N39-41-ის ეზოებში. ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების შედგენის მომსახურების და საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს განხორციელდა 139544 კვ.მ (მათ შორის 1235 კვ.მ ტროტუარი) ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები, მათ შორის გათვალისწინებულია ადაპტირება სხვადასხვა საჭიროებისათვის.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება 20783კვ.მ გზას. კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდება 112810 კვ.მ გზას.

*მიღწეული მაჩვენებელი* - განხორციელდა 112184.69 კვ.მ (მათ შორის 624 კვ.მ ტროტუარი) ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები.

**01 01 16 გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კრწანისის რაიონი გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 1,609.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,542.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.9%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მოწესრიგებული ქუჩები, მოედნები, შიდაკვარტალური გზები და ეზოები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაიგო 27994 კვ.მ გზის საფარი (ორმული შეკეთება) შემდეგ მისამართებზე: მეფისაშვილის ქუჩა, ორთაჭალის ქუჩა, ახუნდოვის ქუჩა, ფონიჭალა 3 კორპ. N14,28,14,23,25,5,209-ის მიდებარედ, ღოღობერიძის ქუჩა N69, N9, ლომინაძისქ.N26, რუსთაველის III ჩიხი, ბაგრატის 1 შესახვევი, გზისკარის ქ. N31-43, იეთიმ გურჯის პირველი ჩიხი, მირზა ფათალის ქუჩა N17, ზემო ფონიჭალა N28-29, ვაგზლის 57ა, გორგასლის ქ. N115, N2, N111ა, N91,N70,N71-73, კარლო ჩხეიძის ქ.N13, გულიას პირველი ჩიხიN 5 ის მიმდებარედ, გრიშაშვილის ქ.N26, აფხაზეთის მე-3 ჩიხი, კრწანისი ქ.N8, N16, გამსახურდიას ქ.N11-26, სოლომონ მეორის ქუჩა, .ჟორდანიას ქუჩა, მარნეულის გზატკეცილი ფერდი N1, რუსთაველის გზატკეცილი N8-10, სადგურის ქ.N6 და სხვადასხვა მცირე ორმოული სამუშაოები. ქვაფენილი დაიგო - 1654.7 კვ.მ შემდეგ მისამართებზე: გორგასლის ქუჩა N3, II შესახვევი N2, ბააზოვის ქუჩა N5, კოტე აფხაზის ქუჩა N33, 55, 27, 24, 13, 19, 31, აბანოს მეორე შესახვევი N8, სამღებროს ქუჩა N5, ისპაჰანალის ქ.N11, გულიას ქ.N6, ფირდოუსის ქ.N8, შავთელის ქ.N17, საბანაძის ქ.N4, გრიშაშვილის ქ.N23, ფაბრიკის ქ.N10 და სხვა. ამასთან, გაწეულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები და დაფარულია 2021 წლის შესრულებული სამუშაოებიდან ხარისხის გარანტის მიზნით დაკავებული 2.5% - 12.4 ათასი ლარი.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს შეკეთდა 55413 კვ.მ ასფალტის საფარი (მიმდინარე, კაპიტალური) და დაიგო 2147,9 კვ.მ ქვაფენილი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - შეკეთდება 35456 კვ.მ ასფალტის საფარი (მიმდინარე, კაპიტალური) და 1500 კვ.მ. ქვაფენილი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - შეკეთდა 27994 კვ.მ ასფალტის საფარი (მიმდინარე, კაპიტალური) და დაიგო 1654,7 კვ.მ ქვაფენილი.

**01 01 17 გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** მთაწმინდის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 5,275.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მოწესრიგებული ქუჩები, მოედნები, შიდაკვარტალური გზები და ეზოები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 688.1 კვ.მ დაზიანებული ქვაფენილის საფარის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები: ალ. ჭავჭავაძის, თერგის, ალ. შენგელიას, ლეონიძის, ტაბიძის ქუჩებისა და ოქროყანაში, ი.ჭავჭავაძის ქუჩის პერიმეტზე, 9 აპრილის ქუჩის და ინგოროყვას ქუჩის კვეთაზე, 9 აპრილის ქუჩის პერიმეტრზე (პარლამენტის მიმდებარედ), მთაწმინდის, ყიფიანის, ზალდასტანიშვილის, ძმები კაკაბაძეების, ზანდუკელის, გ. ტაბიძის, ჯაფარიძის ქუჩებზე. ასევე, კეკელიძის ქ.N8-ს მიმდებარედ, ალ.ჭავჭავაძის ქ.N4,8,12,15-ს მიმდებარედ, ვ. ბარნოვის ქ.N9-ს მიმდებარედ, გუნიას I გასასვლელი N4-ს მიმდებარედ, კაკაბაძის ქუჩაზე, ტვერელის ეკლესიის მიმდებარედ, ს.ჯანაშიას ქუჩა N13, 23-ის მიმდებარედ და ოქროყანაში, ი.ჭავჭავაძის ქ. N12,17,19,21-ს მიმდებარედ. 11689.7 კვ.მ დაზიანებული ასფალტის საფარის ორმოული შეკეთების სამუშაოები: გ. ახვლედიანის, ი. გოგებაშვილის, ნ. ნიკოლაძის, პ. ინგოროყვას, შ. ღამბაშიძის, თარხნიშვილის, ლესია უკრაინკას, ა. ქუთათელაძის, ნ. სულხანიშვილის, ე. ახვლედიანის (N1-დან N16-ს ჩათვლით), არსენას, კ. მახარაძის, ა. მაჭავარიანის, რ. ჩხეიძის, ზ. ქიქოძის, ე ტატიშვილის, ასევე, ტაბახმელაში: ფარნავაზ მეფის, გუმბათების წყაროს, შინდისში: მირიან მეფის, წინანაურის, ე. ჭავჭავაძის, ნ. ლორთქიფანიძის, ნ. ბარათაშვილის, ტ.

ტაბიძის, კოჯორში: ნ. კეცხოველის, აზეულას, ვაჟა-ფშაველას, ოქროყანაში: ი. გოგებაშვილის, წავკისში: ალ. ჭავჭავაძის, ბაღდავაძის, ჯოხაძის და მის მიმდებარედ არსებული (უსახელო) ქუჩების პერიმეტრზე. ასფალტის საფარი შეკეთდა აგრეთვე, შემდეგ ეზოებში: აკ. ხორავას ქ.N2/თარხნიშვილის ქ.N14, დიმ. ყიფიანის ქ.N29, ვ. აბაშიძის ქ.N7, ამაღლების ქ.N7, ალ. ჭავჭავაძის ქ.N5, იაშვილის ქ. N11, ტაბიძის ქ.N18, გ. ქიქოძის ქ.N11, იაშვილის ქ.N 18 და ტაბახმელაში, N9 და N16 კორპუსების ეზოში. ზ. ქიქოძის, გ. ქიქოძის, მ. ლაღიძის, ვაჩნაძის და შენგელიას ქუჩებისა და ე. ტატიშვილის ჩიხის პერიმეტრებზე, ქიაჩელის ქ.N6 და N28-ს, გუნიას ქუჩა N21-ს, თარხნიშვილის ქუჩა N4ა-ს, თერგის ქუჩა N38-ს, გოგებაშვილის I გას N10ა-ს, ა.შენგელიას I შეს N12-ს და ლ.ბოცვაძის ქუჩა N14-ს მიმდებარედ, შინდისში, ტ. ტაბიძის ქუჩაზე, ოქროყანაში, ი. გოგებაშვილის და ა. წერეთლის ქუჩების პერიმეტრზე, კიკეთში, ცხრა ძმა ხერხეულიძისა და დიდების ქუჩებზე, შინდისში, ჯავახიშვილის ქუჩაზე. 29580.6 კვ.მ ასფალტის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოები: ტაბახმელაში - თამარ მეფის, ორბელიანის, ტაბახმელას ველის ქუჩებზე და მარო მაყაშვილის I შესახვევში, ოქროყანაში: სატყეოს ქუჩაზე და სატყეოს ქუჩის I შესახვევში, წავკისში: უძოს, კოჯორში: ზ. ბაქრაძის, შინდისში: ნ. დუმბაძის და თუმანიშვილის ქუჩებზე. ასევე, შეძენილია გზის შეკეთების სამუშაოების დეფექტური აქტებისა და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.

**მიღწეული შუალდეური შედეგების შეფასების ინდიკატორები**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება 8403.1 კვ.მ ასფალტის საფარს, კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდება 43069.3 კვ.მ ასფალტის საფარს, ახალი ქვაფენილი მოეწყობა 1356.87 კვ.მ-ზე. სულ შეკეთდება 52829.27 კვ.მ გზის საფარი, განსაზღვრულია 5 ადაპტირებული ობიექტის მოწყობა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება 13825 კვ.მ ასფალტის სარს; კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდება 41979 კვ.მ ასფალტის საფარს; შიდა ეზოებში შეკეთდება 4160 კვ.მ დაზიანებული ასფალტის საფარი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდა 8490.66 კვ.მ ასფალტის და 688.1 კვ.მ ქვაფენილის საფარს, კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა 29580.6 კვ.მ

ასფალტის საფარს, შიდა ეზოებში შეკეთდა 3199.04 კვ.მ დაზიანებული ასფალტის საფარი.

**01 02 ტრანსპორტის განვითარება** დაფინანსებულია 348,568.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 352,145.4 ათასი ლარის 99%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**01 02 01 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

**2022 წლის გეგმა** - 40,788.9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 37,211.7 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 16,072.4 ათასი ლარი), რაც გეგმის 91.2%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ტრანსპორტით და ფეხით მოსიარულეთა გაუმჯობესებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, სატრანსპორტო მოდელისა და ქუჩების თანამედროვე დიზაინით მოწყობისთვის კვლევა, პროგრამული უზრუნველყოფა და გზაჯვარედინების მოსაწყობად შემუშავებული პროექტი, სატრანსპორტო საშუალებები მოწესრიგებული მოძრაობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში განხორციელდა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების (საგზაო ნიშნები, შუქნიშნები, ბოწკინტები, ზღუდარები, ბარიერები, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის წინასწარი მაჩვენებლები და ა.შ.) შეძენა-მონტაჟი, მოვლა - შენახვა და საექსპლუატაციო სამუშაოები, კერძოდ: დამონტაჟდა სხვადასხვა ჯგუფის ახალი სტანდარტული 2084 საგზაო ნიშანი, 1966 ერთეული არსებულ დგარზე, 811 ერთეული საგზაო ნიშნის დგარი, ქუჩის სავალი ზოლის ზემოთ გაწიმულ ბაგირზე 147 ერთეული საგზაო ნიშანი, ბაგირის გასაჭიმად 26 ცალი 159 მმ დიამეტრის დგარი, ხილვადობის გაუმჯობესების მიზნით მსუბუქი ფორმით გადაიბელა 90 მწვანე ნარგავი, დემონტაჟი გაუკეთდა და დასაწყობდა 422 ცალ საგზაო ნიშანს (მათ შორის 101 ცალს დგართან ერთად), ადგილმდებარეობა შეეცვალა 138

ერთეულ საგზაო ნიშანს (მათ შორის 37 ერთეულს დგართან ერთად), დაზიანებული სარკეების გამოცვლის მიზნით დამონტაჟდა 25 ერთეული 1200 მმ და 21 ერთეულ 900 მმ დიამეტრის უსაფრთხოების სფერული სარკე (ანტივანდალური ტექნიკური თვისებების მქონე) არსებულ დგარზე, ხოლო ახალი სფერული სარკეებისთვის დამონტაჟდა 16 ცალი ახალი 76 მმ დიამეტრის დგარი, დემონტაჟი გაუკეთდა და დასაწყობდა მგზავრთა მოსაცდელ 16 ჯიხურს და 36 გრ.მ ლითონის ძელებიან ზღუდარს, დამონტაჟდა (750 მმ. სიმაღლის) ევათინის მოქნილი „EVA” ახალი ბოწკინტები (მათ შორის 556 ცალი ნარინჯისფერი, 567 ცალი ყვითელი, 6 ცალი შავი ფერის და 504 ცალი მწვანე ფერის), დამონტაჟდა მცირეფასიანი პოლიესტერის წახნაგოვანი მდგრადი 500 ცალი ბოძკინტი, 4 გზის გამყოფი ბუფერი, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სხვადასხვა ლოკაციაზე მოხდა პლასტმასის 38 ცალი თვალამრიდების, (წყლის შევსების ფუნქციით) ტრანსპორტირება და მონტაჟი, 32 ცალის დემონტაჟი და დასაწყობება. საერთო ჯამური ღირებულებით - 1,655.1 ათასი ლარი,

ავტობუსის გაჩერებებზე მოეწყო 148 მგზავრთა მოსაცდელი, შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 2,551.3 ათასი ლარი (მათ შორის 2021 წელს გაცემული ავანსის დამოწმება - 1,903.2 ათასი ლარი, ხარისხის უზრუნველყოფის გარანტიის მიზნით დაკავებული - 127.6 ათასი ლარი, ხოლო მიმდინარე პერიოდში დაფინანსებამ შეადგინა - 520,5 ათასი ლარი (მ.შ. გადახდილია ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დაკისრებული ჯარიმა - 5.4 ათასი ლარი)),

ქალაქ თბილისის ქუჩებზე და მაგისტრალებზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლების მიზნით კუპრაძის ქუჩაზე, ხიზანიშვილის, 414-ე ანაპის დივიზიის და ც. დადიანის ქუჩებზე ჩატარდა მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები, კერძოდ: განხორციელდა პანდუსების და ტროტუარების მოწყობა ხოლო შავიშვილის, უნივერსიტეტის ვარაზის, ი.აბაშიძის წყნეთის გზატკეცილისა და უჩანეიშვილის ქუჩის გადაკვეთაზე, მარჯვენა სანაპიროზე (იუსტიციის სახლის მიმდებარედ) და ვ. გოძიაშვილის, 1-ლი შესახვევის მიმდებარედ, ქუჩებზე ჩატარდა სარეაბილიტაციო სარეკონსტრუქციო სამუშაოები (სულ მოეწყო 500

გრძ.მ ბაზალტის ბორდიურები - მწვანე ნარგავების შემოსაზღვრული; 520 გრძ.მ ბეტონის ბორდიური-შავ-თეთრი ღებვით; მოწყობა 2700 კვ.მ ქვეითთა გადასასვლელის უსაფრთხოების კუნძულში ბაზალტის ფილით სისქით 4 სმ). შესრულებული სამუშაოები დაფინანსებულია - 1,814.9 ათასი ლარით,

განხორციელდა დედაქალაქის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნებისა და საგზაო მოძრაობის კონტროლისა და მართვის ავტომატიზირებული სისტემის მოვლა-შენახვა და ექსპლუატაციის სამუშაოები, კერძოდ: შეიცვალა შუქნიშნის 257 მოდული, სხვადასხვა ნაკლოვანებები აღმოფხვრილი იქნა შუქნიშნის 113 ობიექტზე, დამონტაჟდა შუქნიშნის 149 ობიექტი, 8 ქვეითთა შუქნიშანი, 35 ხმოვანი სიგნალი (უსინათლოებისთვის), დამონტაჟდა სხვადასხვა კვეთის 5536 გრძ.მ. ქსელური კაბელი, განხორციელდა 138 შუქნიშნის დგარის მონტაჟი და 51 შუქნიშნის დგარის დემონტაჟი-დასაწყობება, განხორციელდა შუქნიშნის 12 ობიექტის ელექტროსადენების, დგარების, კონსოლების, გამოსაძახებელი ღილაკების და ხმოვანი სიგნალების შემოწმება და BARCO OVL-815 (3X9) 12 ვიდეოკედლის საპროექციო ნაწილის (რომელიც შედგება 27 კუბისგან) პროფილაქტიკური და ტექნიკური მომსახურება, საერთო ჯამური ღირებულებით - 1,449.8 ათასი ლარი;

თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შუქნიშნის ძველი ობიექტების ახლით ჩანაცვლების ან ახალი ობიექტების მოსაწყობად განხორციელდა შუქნიშნების, დედექტორების, კამერების და კონტროლერების (თანმდევი მომსახურებით) დამონტაჟება და მათი მართვის ცენტრთან მიერთება და უსაფრთხოების კუნძულების მოწყობის სამუშაოები, ხელშეკრულების ფარგლებში დამონტაჟდა შუქნიშნის 33 ახალი ობიექტი, შესრულებული სამუშაოს საერთო ღირებულებამ შეადგინა - 4,304.4 ათასი ლარი;

დამონტაჟდა 3089 გრძ. მ. სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებითი შემცირებისათვის ხელოვნური უსწორმასწოროებები, (ბორცვები) დემონტაჟი გაუკეთდა 343 გრძ.მ. დაზიანებულ უსწორმასწოროებს, (ბორცვები), შესრულებული სამუშაოს საერთო ღირებულებამ შეადგინა - 107.6 ათასი ლარი;

განხორციელდა 150 ცალი ვიდეოთვალთვალის კამერის, ჰაუსინგის (ვიდეო კამერის გარე გამოყენების კორპუსი), მოწყობილობების ტექნიკური მომსახურება - საერთო ჯამური ღირებულებით - 94.5 ათასი ლარი, 2 ქსელის კომუტატორის (ჰაბი) და ვიდეო-აუდიო აპარატურის შეძენა - 59.7 ათასი ლარი;

დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე დატანილი იქნა 67578.75 კვ.მ. ჰორიზონტალური (მათ შორის 12112.31 კვ.მ აკრილის, 21114.64 კვ.მ თერმო პლასტით, 34351.8 კვ.მ ცივი პლასტით, ხოლო შპს თბილსერვის ჯგუფის მიერ 43073.55 კვ.მ) საგზაო მონიშვნები, წაიშალა 5371.82 კვ.მ საგზაო მონიშვნა (მ.შ. შპს თბილსერვის ჯგუფის მიერ - 4 603.8კვ.მ), მოირეცხა (გასუფთავდა) 9340.94 კვ.მ. ქუჩის სავალი ნაწილი (მათ შორის თბილსერვის ჯგუფის მიერ 2636.38კვ.მ), შესრულებული სამუშაოს საერთო ღირებულებამ შეადგინა - 6,698.8 ათასი ლარი (მათ შორის თბილსერვის ჯგუფი დაფინანსებულია 1,500.0 ათასი ლარით);

სპეციალური დაცული სადგომის მოსაწყობად მომზადდა საპროექტო დოკუმენტაცია - 14.9 ათასი ლარი, ხოლო დაცული სადგომის მოსაწყობად გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც დაფინანსდა წინასწარი ანგარისსწორებით - 1,065.9 ათასი ლარით; ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემაში სამართალდარღვევებისას ელექტრონული საჯარიმო ქვითრების აღსრულების მიზნების უზრუნველსაყოფად განხორციელდა ჰიბრიდული საფოსტო მომსახურების პროგრამული უზრუნველყოფა - 334.3 ათასი ლარი;

M2 კატეგორიის ავტობუსებში მგზავრთა აღმრიცხველი (მთვლელი მოწყობილობა) ტექნიკური მახასიათებლების, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მახასიათებლებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ჩატარდა ექსპერტიზა, ღირებულებით - 4.0 ათასი ლარი;

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევებში, გადაყვანას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ობობას ტიპის ევაკუატორით 6296 ერთეული ავტომანქანის გადაყვანის მომსახურების ხარჯი - 433.5 ათასი ლარი;

გაჩერებებზე მგზავრთა ჩასხდომისა და გადმოსხდომის მოვლენების აღრიცხვის მიზნით, განხორციელდა M2 კატეგორიის 1000 ავტობუსში მგზავრთა აღმრიცხველის (მთვლელი მოწყობილობა) შეძენა - 2,288.0 ათასი ლარი;

M2 და M3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლებისა და დერეფნების დასაგეგმად განხორციელდა საჭირო ტოპოგრაფიული გეგმის შედგენის მომსახურება 1 578 599.9 კვ.მ, შესრულებული სამუშაოს საერთო ღირებულებამ შეადგინა - 667.1 ათასი ლარი;

შეთანხმებული იქნა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე ჩასატარებელი სხვადასხვა სახის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების პერიოდში სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითთა მოსიარულეთა საგზაო მოძრაობის ორგანიზების 7540 დროებითი და 1788 მუდმივი სქემა. წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, რამდენჯერმე ჩატარდა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების შემოწმება - დათვალიერება. გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი წერილები დაეგზავნათ მიმწოდებელ კომპანიებს და შესაბამის სამსახურებს შესრულებულ სამუშაოებზე გაფორმებულია შესაბამისი მიღება ჩაბარების აქტები;

დედაქალაქის მასშტაბით მოეწყო 3830 ზონალურ-საათობრივი პარკირება (მ.შ. 98 შშმ პირთა ადგილი), პერიოდულად მიმდინარეობს ტაქსებისათვის, ახალი ადგილების გამოვლენა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება. კერძოდ, შერჩეული იქნა 9 ლოკაცია, სადაც მოეწყო დამატებით 20 ადგილი ტაქსების პარკირებისთვის;

განხორციელდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღრიცხვისა და მართვის სისტემაში Protocols ცვლილებების და მერიის ვიდეოჯარიმების რეგისტრაცია ფასდაკლების მართვა, ფოსტასთან ინტეგრაცია, გადახდა, აღსრულება, დროებით შეჩერება/გაუქმება/ ღირებულებით - 98.7 ათასი ლარი;

გარდა ამისა, მეტროპოლიტენის ინფრასტრუქტურის განახლებისა (რკინა-ბეტონის შპალისა და რელსის, ესკალატორის სათადარიგო ნაწილების შეძენა, „ელ.დეპო გლდანის“ სახურავის გადახურვის სამუშაოების ავანსი) და მგზავრთა

უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების მიზნით, შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია დაფინანსდა - 15,600.0 ათასი ლარით.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, 2021 წელს დამონტაჟდა სხვადასხვა ჯგუფის ახალი სტანდარტული 5397 საგზაო ნიშანი, სხვადასხვა დიამეტრის ზომებისა და ფერის 4362 ცალი ბოწკინტი, 60 გრძ.მ ლითონის ძელებიანი ზღუდარი და 7 ცალი გზის გამყოფი ბუფერი, 82 ერთეული უსაფრთხოების სფერული სარკე, შეიცვალა შუქნიშნის 142 მოდული, სხვადასხვა ნაკლოვანებები აღმოფხვრილი იქნა შუქნიშნის 74 ობიექტზე, დამონტაჟდა 118 ცალი შუქნიშანი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დამონტაჟდება 4000 ცალი საგზაო ნიშანი, სხვადასხვა დიამეტრის ზომებისა და ფერის 1000 ცალი ბოწკინტი, 125 ცალი (მათ შორის 40 ცალი მზის ენერგიაზე მომუშავე მოციმციმე და 35 ხმოვანი სიგნალი შუქნიშნები (უსინათლოებისათვის)) შუქნიშნის მონტაჟი, 2000 გრძ.მ. ლითონის ძელებიანი ზღუდარი, 25 ცალი ანტივანდალური სფერული სარკე, აღმოფხრილი იქნება შუქნიშნის ობიექტებზე წარმოქმნილი სხვადასხვა ნაკლოვანებები.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დამონტაჟდა სხვადასხვა ჯგუფის ახალი სტანდარტული 4050 საგზაო ნიშანი, სხვადასხვა დიამეტრის ზომებისა და ფერის 2133 ცალი ბოწკინტი (მათ შორის 500 ცალი პოლიესტირერის წახნაგოვანი), 36 გრძ.მ ლითონის ძელებიანი ზღუდარი და 4 ცალი გზის გამყოფი ბუფერი, 46 ერთეული უსაფრთხოების სფერული სარკე, შეიცვალა შუქნიშნის 257 მოდული, სხვადასხვა ნაკლოვანებები აღმოფხვრილი იქნა შუქნიშნის 113 ობიექტზე, დამონტაჟდა 149 ცალი შუქნიშნის ობიექტი, 8 ცალი ქვეითთა შუქნიშანი, 35 ცალი ხმოვანი სიგნალი (უსინათლოებისთვის).

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს დედაქალაქის ქუჩების და მაგისტრალების სავალ ნაწილზე დატანილია 87 063,12 კვ.მ ჰორიზონტალური (აკრილის, თერმო და ცივი პლასტი) საგზაო მონიშვნა, წაიშალა 4 231.95 კვ.მ საგზაო მონიშვნა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

*მიღწეული მაჩვენებელი* - დედაქალაქის ქუჩების და მაგისტრალების სავალ ნაწილზე დატანილია 67578.75 კვ.მ ჰორიზონტალური (აკრილის, თერმო და ცივი პლასტი) საგზაო მონიშვნა, წაიშალა 5371.82 კვ.მ საგზაო მონიშვნა, მოირეცხა (გასუფთავდა) 9340.94 კვ.მ ქუჩის სავალი ნაწილი.

**3.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლების მიზნით, განხორციელდა 4 კუნძულის, 20 პანდუსის, 1 944 გრძ.მ. ბორდიურის, 432 კვ.მ ტროტუარის და 158 კვ.მ ქვეითთა ბილიკის, 19 ცალი ამაღლებული ზებრა გადასასვლელის (1198 კვ.მ) მოწყობა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია 840 გრძ.მ ბორდიურის (ბეტონის, ბაზალტის) შავ-თეთრი ღებვით, 1500 კვ.მ ქვეითთა გადასასვლელის მოწყობა.

*მიღწეული მაჩვენებელი* - საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლების მიზნით, განხორციელდა 1020 გრძ.მ ბორდიურის (ბეტონის, ბაზალტის) შავ-თეთრი ღებვით და 2700 კვ.მ ქვეითთა ბილიკის მოწყობა.

**4.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წლის განმავლობაში მოეწყო შუქნიშნის 37 ახალი ობიექტი (სატრანსპორტო დეტექტორები, ვიდეოკამერები, საგზაო კონტროლერები და უსაფრთხოების კუნძულები), შეძენილ იქნა 150 ცალი ვიდეოთვალთვალის კამერა/მონტაჟი/ტექნიკური მომსახურება.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია შუქნიშნის 30 ახალი ობიექტის (სატრანსპორტო დეტექტორები, ვიდეოკამერები, საგზაო კონტროლერები და უსაფრთხოების კუნძულები) მოწყობა, 150 ცალი ვიდეოთვალთვალის კამერის შეძენა/მონტაჟი/ტექნიკური მომსახურება.

*მიღწეული მაჩვენებელი* - დამონტაჟდა შუქნიშნის 33 ახალი ობიექტი (სატრანსპორტო დეტექტორები, ვიდეოკამერები, საგზაო კონტროლერები და უსაფრთხოების კუნძულები), 150 ცალი ვიდეოთვალთვალის კამერის შეძენა/მონტაჟი/ტექნიკური მომსახურება.

**5.საბაზისო მაჩვენებელი** - გაჩერებებზე მგზავრთა ჩასხდომისა და გადმოსხდომის მოვლენების აღრიცხვის მიზნით, საჭიროა 1000 ცალი მგზავრთა აღმრიცხველის (მთვლელი) შეძენა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია 1000 ცალი მგზავრთა აღმრიცხველის (მთვლელი) შესყიდვა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**6.საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწლიურად მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე ხორციელდება ავტობუსის გაჩერებებზე ახალი მგზავრთა მოსაცდელების მოწყობა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია ავტობუსის გაჩერებებზე ახალი 100 ერთეული მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - ავტობუსის გაჩერებებზე მოეწყო 148 ერთეული მგზავრთა მოსაცდელი.

**7.საბაზისო მაჩვენებელი** - N/A.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ობობას ტიპის ევაკუატორით 2000 ერთეული ავტომანქანის გადაყვანა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ობობას ტიპის ევაკუატორით გადაყვანილი იქნა 6296 ერთეული ავტომანქანა

**8.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს ხელოვნური უსწორმასწორობის - ბარიერის (თანმდევი მომსახურებით) დემონტაჟი-მონტაჟი (მათ შორის შუა ნაწილი, დაბოლოება) - 2938.25 გრძ.მ.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - განხორციელდება ხელოვნური უსწორმასწორობის - ბარიერის (თანმდევი მომსახურებით) დემონტაჟი-მონტაჟი (მათ შორის შუა ნაწილი, დაბოლოება) - 10367 გრძ.მ.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - განხორციელდა ხელოვნური უსწორმასწორობის - ბარიერის (თანმდევი მომსახურებით) დემონტაჟი-მონტაჟი (მათ შორის შუა ნაწილი, დაბოლოება) - 6521 გრძ.მ.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - საქართველოში მოქმედი შესაბამისი ტექნიკური ელემენტების მიხედვით საგზაო მოძრაობის ხელოვნური უსწორმასწორობის - ბარიერის

(თანმდევი მომსახურებით) დემონტაჟი-მონტაჟი ხდება სკოლებსა და სკოლამდელი დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე. შესაბამისად, სკოლამდელი დაწესებულების ნაკლები მოთხოვნიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა სრულად დაგეგმილი სამუშაოების განხორციელება.

**9.საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწიურად ხორციელდება საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლა და ქუჩის დიზაინის სტანდარტის შემუშავება; პროგრამული უზრუნველყოფა; სატრანსპორტო კვლევა სატრანსპორტო მოდელისა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება; გზაჯვარედინების პროექტირება; ITC-სისტემის განვითარებისათვის საკონსულტაციო მომსახურება; ველობილიკისა და ავტობუსის განცალკავებული ზოლის პროექტირება, გაჩერებების დიზაინის შექმნა, კერძო ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმიზაცია და პროექტირება.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - განხორციელდება საკონსულტაციო - საპროექტო მომსახურება ტრანზიტული საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტობუსის განცალკავებული ზოლების, დერეფნების დაგეგმარება პროექტირება. სატრანსპორტო მოდელისა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების მონაცემების შესავსებად სატრანსპორტო კვლევა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - განხორციელდა თბილისის ტერიტორიაზე M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლებისა და დერეფნების დასაგეგმად საჭირო ტოპოგრაფიული გეგმის შედგენის მომსახურება 1 578 599.9 კვ.მ.

**10.საბაზისო მაჩვენებელი** - მეტროპოლიტენის და საავტობუსო ინფრასტრუქტურის განახლების, მგზავრთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების მიზნით, ყოველწლიურად ხორციელდება შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ინფრასტრუქტურის განახლება.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია მეტროპოლიტენის ინფრასტრუქტურის (რკინა-ბეტონის შპალისა და რელსის, ესკალატორის სათადარიგო ნაწილების შეძენა, „ელ.დეპო გლდანის“ სახურავის გადახურვის სამუშაოები) განახლება და

მგზავრთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების მიზნით, სხვადასხვა ღონისძიებების გატარება.

*მიღწეული მაჩვენებელი* - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**11.საბაზისო მაჩვენებელი** - საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის გაფორმებული სასესხო შეთანხმების (თბილისის ავტობუსების პროექტის (II ფაზა) ფარგლებში) საფუძველზე დაგეგმილია ავტობაზის მშენებლობა/რეკონსტრუქცია. სესხის ხელშეკრულების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები არ ითვალისწინებს დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდას.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - სესხის ფარგლებში ფაქტიურად გაწეული ხარჯებისა და შესრულებული სამუშაოების/მომსახურების მიხედვით გადასახდელი დღგ

*მიღწეული მაჩვენებელი* - დაგეგმილი მაჩვენებელი არ შესრულდა.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - თბილისის ავტობუსების გაგრძელების შესახებ სასესხო ხელშეკრულების, მეორე ტრანშით გათვალისწინებულ სამუშაოებზე (I ავტობაზის რეკონსტრუქცია/მშენებლობის სამუშაოებისა და II ავტობაზაში გაზით მომარაგების/დატუმბვის სიმძლავრეების გაზრდისთვის საჭირო საქონლის (მონტაჟით) შესყიდვა), 2022 წლის 11 იანვარს შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა და საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია GMCS შორის, ხელი მოეწერა პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის მხარდაჭერა და ზედამხედველობა პროგრამის (GrCF – Tbilisi Bus Extension/Georgia Bus Depot Rehabilitation: PIU Support and Supervision) შესახებ ხელშეკრულებას, რომლის ღირებულებაც შეადგენს 754 850 ევროს. აღნიშნული პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, აქციონერების სპეციალური ფონდიდან გამოყოფილია გრანტი 300 000 ევროს ოდენობით, ხოლო დარჩენილი 454 850 ევროს ანაზღაურება მოხდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ამავე პროექტის სასესხო რესურსებიდან. გარდა ამისა, 2022 წლის III კვარტალში მომზადებული იქნა სატენდერო დოკუმენტაცია II ავტობაზაში გაზით მომარაგების/დატუმბვის სიმძლავრეების გაზრდისთვის საჭირო საქონლის (მონტაჟით) შესყიდვის შესახებ

და 2022 წლის 25 აგვისტოს ტენდერი გამოცხადებული იქნა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შესყიდვების პორტალზე (EBRD Client E-Procurement Portal (ECEPP)). ტენდერი დაიხურა 2022 წლის 21 ნოემბერს. ტენდერში წინადადება შემოიტანა მხოლოდ ერთმა მონაწილემ, თუმცა შემოტანილი წინადადება საწყის ეტაპზევე ცნობილ იქნა როგორც შეუსაბამო და განხილვის შემდგომ ეტაპზე ვერ გადავიდა; 2022 წლის IV კვარტალში მომზადებულია ავტობუსების I ავტობაზის რეკონსტრუქცია /მშენებლობის სამუშაოებისთვის სატენდერო დოკუმენტაცია და 2022 წლის 13 ოქტომბერს ტენდერი გამოცხადებული იქნა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შესყიდვების პორტალზე (EBRD Client E-Procurement Portal (ECEPP)). ტენდერი დასრულდება 2023 წლის 28 თებერვალს. აღსანიშნავია, რომ პროექტთან დაკავშირებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან მიმდინარეობს შეთანხმებები პროცესის გაგრძელების, სატენდერო დოკუმენტაციის და შესყიდვის მეთოდის დაზუსტების შესახებ.

**01 02 02 საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

**2022 წლის გეგმა** - 39,714.1 ათასი ლარი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი), დაფინანსდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** განახლებული მიწისქვეშა და საავტობუსო ინფრასტრუქტურა, მგზავრთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია - 27,714.1 ათასი ლარით, „თბილისის ავტობუსების პროექტის“ ფარგლებში, 2021 წლის 11 ივნისს შპს „ჯი თი გრუპთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით დარჩენილი ვალდებულების დაფარვის მიზნით (დედაქალაქის მოსახლეობას დამატებით მოემსახურება 180 ერთეული 8 მეტრიანი ახალი M3 კატეგორიის დიზელის ძრავზე მომუშავე ავტობუსი);

მგზავრთა მეტროსადგურებში მოცდის დროის შემცირებისა და მათი გადაადგილების მომსახურების ეფექტურობისა და საიმედოობის გასაუმჯობესებლად, მეტროს მოძრავი შემადგენლობის მოძველებული ვაგონების განახლება-მოდერნიზების მიზნით, 2022 წლის 31 მარტს შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა და სს ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნის თბილისის ფილიალს შორის გაფორმდა 3,732.5 ათასი დოლარის ღირებულების ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში განხორციელდა 6 ერთეული 81-717M სერიის მეტროს სათაო და 6 ერთეული 81-714 M სერიის შუა ვაგონის კაპიტალური შეკეთება მოდერნიზაციის ელემენტებით, 5 ერთეული დკ-117 სერიის წევის ძრავის კაპიტალური შეკეთება, ვაგონებზე დამონტაჟებული ნაწილების (თვალწყვილების, საკისრების, ვაგონის ურიკის ჩარჩოს და სხვა) შეცვლა. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 26 აგვისტოს N22.1295.1423 და 17 ოქტომბრის N22.1606.1741 განკარგულებების საფუძველზე შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ კაპიტალური ტრანსფერის სახით მიიღო - 10,000.0 ათასი ლარის დაფინანსება.

გარდა ამისა, ვაგონების განახლება-მოდერნიზების მიზნით, 2022 წლის 6 ოქტომბერს, შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა და სს ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხნის თბილისის ფილიალს შორის დამატებით იქნა გაფორმებული 4,232.6 ათასი დოლარის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში განხორციელდა ერთი ერთეული 81-717M სერიის მეტროს სათაო ვაგონის (საქარხნო N10135) და ერთი ერთეული 81-714 M სერიის შუა ვაგონის (საქარხნო N0850) საშუალო შეკეთება მოდერნიზაციის ელემენტებით, 3 ერთეული დკ-117 სერიის წევის ძრავის (საქარხნო N943725, 000160, 9373) კაპიტალური შეკეთება. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნაწილობრივ უზრუნველსაყოფად შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 17 ოქტომბრის N22.1606.1741 განკარგულების საფუძველზე კაპიტალური ტრანსფერის სახით მიიღო - 2,000.0 ათასი ლარის დაფინანსება.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს საშუალო შეკეთება-მოდერნიზაცია ჩაუტარდა 13 ერთეულ ემა-81-717M სერიის მეტროს სათაო ვაგონს და 7 ერთეულ ემა-81-714M ტიპის შუალედურ ვაგონს, თანამედროვე ევროპული სტანდარტების ახალი 180 ერთეული 8 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსის შესაძენად გადახდილია ავანსი.
**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საშუალო და კაპიტალური შეკეთება მოდერნიზაციის ელემენტებით ჩაუტარდება 7 ერთეულ 81-717M სერიის მეტროს სათაო და 7 ერთეულ 81-714M ტიპის შუალედურ ვაგონს, უზრუნველყოფილი იქნება ხელშეკრულებით დარჩენილი ვალდებულების დაფარვა ახალი 180 ერთეული 8 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსის შესაძენად.
*მიღწეული მაჩვენებელი* - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**01 02 03 მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

**2022 წლის გეგმა** - 12,836.2 ათასი ლარი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი), დაფინანსდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მეტროს მოძველებული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, მგზავრთა მომსახურების ხარისხის ამაღლება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიაზე გადარიცხულია მეტროსადგურის „ვარკეთილი" რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის სამუშაოების განსახორციელებლად, 2022 წლის 5 მაისს შპს „სამშენებლო კომპანია მამისონთან" დადებული 0300/30/099 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაფარვის მიზნით ავანსის სახით (30%) - 3,828.0 ათასი ლარი (2022 წლის 3 ნოემბერს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის გამო, კომპანიასთან შეწყვეტილ იქნა ხელშეკრულება), ხოლო მეტროსადგურის "გოცირიძე" რეკონსტრუქციისა და კაპიტალური სამუშაოების დაუმთავრებელი ნაწილის დასრულებისა და დამატებით გამოვლენილი სამუშაოების შესრულების მიზნით, შპს „სამშენებლო

კომპანია მამისონთან“ 2021 წლის 11 ნოემბერს გაფორმებული 0300/10/195 ხელშეკრულების ფარგლებში - 822.0 ათასი ლარი;

2022 წლის 16 მარტს შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა და შპს არტსტუდიო-პროექტს შორის გაფორმებული იქნა №0300/10/044 ხელშეკრულება (159.9 ათასი ლარი) და შეძენილია მეტროს სადგურის „ავლაბარი“ ზედა ვესტიბიულის ინტერიერ-ექსტერიერის, სამანქანო დარბაზის და საინჟინრო სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელებისათვის აუცილებელი საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება, ხოლო 2022 წლის 19 ივლისს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს “Bada Group”-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება მეტროს სადგურის „ავლაბარი“ ზედა ვესტიბიულის რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის სამუშაოებზე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 26 ოქტომბრის N22.1643.1779 განკარგულების საფუძველზე, მეტროს სადგურის „ავლაბარი“ ზედა ვესტიბიულის სრული რეაბილიტაციის და მეტროსადგურის „ვარკეთილი“ რეკონსტრუქცია და კაპიტალური რემონტის სამუშაოების განხორციელებლად, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ კაპიტალური ტრანსფერის სახით მიიღო - 8,186. 2 ათასი ლარის დაფინანსება;

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 6 დეკემბრის №2227 განკარგულების თანახმად, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ მიეცა თანხმობა მეტროსადგურის „ვარკეთილი” სრული რეაბილიტაციისა და კაპიტალური რემონტის სამუშაოების გამარტივებულ შესყიდვაზე (აღნიშნულ სამუშაოებზე 2022 წლის 3 ნოემბერს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის გამო, კონტრაქტორ კომპანიასთან (შპს სამშენებლო კომპანია მამისონი) შეწყვეტილ იქნა ხელშეკრულება) და 2022 წლის 21 დეკემბერს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს “ბადა ქონსთრაქშენს“ შორის გაფორმდა 13,398.6 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება;

გარდა ამისა, დასრულდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის N20.1536.1897 განკარგულებით დაფინანსებული და წინა საანგარიშო პერიოდში დაწყებული მეტროსადგურების: „ვაგზლის მოედანი N1", „ვაგზლის მოედანი N2" და „სარაჯიშვილი" კაპიტალური შეკეთების სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისათვის აუცილებელი კვლევითი სამუშაოების და მეტროსადგურის „ვარკეთილი" არქიტექტურული და ინტერიერის დიზაინპროექტის სამუშაოები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - მიმდინარეობს მეტროსადგურ "ვარკეთილის" არქიტექტურული და ინტერიერის დიზაინის პროექტის მომზადება და მეტროსადგურ "გოცირიძის" რეკონსტრუქცია/კაპიტალური რემონტი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დასრულდება მეტროს სადგურის „ვარკეთილი“ პროექტირება და დაიწყება კაპიტალური რემონტი, დასრულდება მეტროს სადგურის „გოცირიძე“ კაპიტალური რემონტი, დაიწყება მეტროს სადგურის „ავლაბარი“ ზედა ვესტიბიულის რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის სამუშაოები.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დასრულდა მეტროს სადგურის „გოცირიძე“ კაპიტალური რემონტი (მიმდინარეობს ექსპერტიზის დასკვნის მომზადება, რის შემდგომაც მოხდება საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმება) და მეტროს სადგურის „ვარკეთილი“ პროექტირება, გრძელდება მეტროს სადგურის „ავლაბარი“ ზედა ვესტიბიულის რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის სამუშაოები.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - მეტროს სადგურის „ვარკეთილი“ რეკონსტრუქციის და კპიტალური რემონტის სამუშაოებზე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის გამო, კონტრაქტორ კომპანიასთან (შპს სამშენებლო კომპანია მამისონი) შეწყვეტილ იქნა ხელშეკრულება, ხოლო ახალი ხელშეკრულება გაფორმებული იქნა 2022 წლის 21 დეკემბერს.

**01 02 05 საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

**2022 წლის გეგმა** - 257,056.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მგზავრთა მომსახურების ხარისხის ამაღლება, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობა

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული (მეტრო, M2 და M3 კატეგორიის ავტობუსები, საბაგირო გზა (უნივერსიტეტი-ბაგები), საბაგირო გზა (ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა) და საბაგირო გზა (რიყე-ნარიყალა) მგზავრთა გადაყვანის მიზნით შესრულებული კილომეტრაჟისა და ნამუშევარი დროის ანაზღაურების მიზნით) მგზავრთა გადამყვანი კომპანიები სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 120,229.8 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის სახსრებით - 257,056.1 ათასი ლარით, მათ შორის:

სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მოძრაობის განრიგის მიხედვით „ახმეტელი-ვარკეთილის“ და „საბურთალოს ხაზზე“ გრაფიკით უნდა გასულიყო 391671 მატარებელი, გავიდა 390115 მატარებელი, სულ 47 მოძრავი შემადგენლობა), M3 კატეგორიის ავტობუსებით (860 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ 678 ავტობუსი), რეისები ხორციელდება 111 სამარშრუტო ხაზზე), საბაგირო გზა (უნივერსიტეტი-ბაგები), საბაგირო გზა (ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა) და საბაგირო გზა (რიყე-ნარიყალა) მგზავრთა გადაყვანის მიზნით შესრულებული კილომეტრაჟისა და ნამუშევარი დროის ანაზღაურების მიზნით) მგზავრთა გადამყვანი შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია დაფინანსებულია 180,342.0 ათასი ლარით ბიუჯეტის სახსრებით, ხოლო სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 50,236.8 ათასი ლარით;

M2 კატეგორიის ავტობუსებით (სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსებით) რეგულარული სამგზავრო

გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვის მფლობელი იურიდიული პირები დაფინანსებულია ბიუჯეტის სახსრებით - 76,714.1 ათასი ლარით, ხოლო სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 69,993.0 ათასი ლარით, მათ შორის: შპს კაპიტალ გრუპი - 25,410.5 ათასი ლარი (მათ შორის სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 11,637.2 ათასი ლარი), შპს თბილ ლაინი – 65,529.3 ათასი ლარი (მათ შორის სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 32,450.7 ათასი ლარი), შპს თბილ ქარი - 22,797.0 ათასი ლარი (მათ შორის სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 13,512.2 ათასი ლარი) და შპს ფაბლიქ ქარი – 32,970.3 ათასი ლარით (მათ შორის სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 12,392.9 ათასი ლარი). ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულია M2 კატეგორიის 1000 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ - 743 ერთეული), რეისები ხორციელდება 160 მარშრუტზე;

მიმდინარე პერიოდში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M3 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია - 131 501 613 მგზავრი, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) გადაყვანილია – 120 098 459 მგზავრი, M2 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია - 68 996 746 მგზავრი, საბაგირო გზით (უნივერსიტეტი ბაგები) გადაყვანილია - 87 743 მგზავრი, საბაგირო გზით (რიყე-ნარიყალა) და (ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა) გადაყვანილია - 1 481 131 მგზავრი.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ნაწილობრივ ჩართულია M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებით მგზავრთა გადამყვანი კომპანიები: M2 კატეგორიის 465 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ - 351 ერთეული) რეისები ხორციელდება 79 ხაზზე, M3 კატეგორიის 160 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ 132 ავტობუსი), რეისები ხორციელდება 16 ხაზზე).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში სრულად იქნება ჩართული M2 კატეგორიის (1000 ერთეული) და M3 კატეგორიის (860 ერთეული) ავტობუსები, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) და საბაგირო (უნივერსიტეტი ბაგები, რიყე-ნარიყალა და ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა).

*მიღწეული მაჩვენებელი* - რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულია M2 კატეგორიის ავტობუსებით (1000 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ 743 ავტობუსი), რეისები ხორციელდება 160 მარშრუტზე) და M3 კატეგორიის ავტობუსებით (860 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ - 678 ერთეული) რეისები ხორციელდება 111 მარშრუტზე), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით (უნივერსიტეტი ბაგები, რიყე-ნარიყალა და ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა) მგზავრთა გადამყვანი კომპანიები.

**01 02 08 საბაგირო ტრანსპორტის განვითარება**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

**2022 წლის გეგმა** - 1,750.0 ათასი ლარი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი), დაფინანსდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ახალი თანამედროვე ტურისტული და სატრანსპორტო ფუნქციების მქონე საბაგირო გზის მშენებლობა

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს „დაგს“ შორის 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების (სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საბაგირო გზის ძველი სადგურიდან - მთაწმინდის პარკის მიმართულებით საბაგირო გზის მშენებლობა) ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 26 აგვისტოს №22.1292.1430, 2022 წლის 16 დეკემბრის N22.1938.2102 და 2022 წლის 20 დეკემბრის N22.1963.2120 განკარგულებების თანახმად, შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ“ კაპიტალური ტრანსფერის სახით მიიღო 1,750.0 ათასი ლარის დაფინანსება;

აღსანიშნავია, რომ შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ანგარიშზე არსებული რესურსებიდან, 2022 წლის 22 იანვარს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს „DOPPELMAYR Seilbuhnen-ს“ შორის გაფორმდა 402 512 ევროს

ღირებულების ხელშეკრულება სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საბაგირო გზის ძველი სადგურიდან, მთაწმინდის პარკის მიმართულებით საბაგირო გზის მშენებლობისთვის აუცილებელი მომსახურების შესყიდვაზე, ხოლო შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და სს „leitner“-ს შორის 2021 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში განხორციელდა „რიყე-ნარიყალას“ საბაგირო გზის შეუფერხებელი და უსაფრთხო ფუნქციონირებისთვის საჭირო საქონლისა და სერვისული მომსახურების შესყიდვა (მათ შორის დამონტაჟდა “FATZER AG”-ს ახალი Performa ტიპის ბაგირი, შესრულდა ჰიდრავლიკური და სამუხრუჭე სისტემებზე მომსახურება, სადგურის სტრუქტურებში ხრახნების შემოწმება, წნევისა და აკუმულატორის შემოწმება, ანტიფრიზის შემოწმება, რეზერვუარების გაწმენდა, კაპიტალური რემონტი და ზოგადი შემოწმება 7-ვე მომჭერისათვის, მოხდა დატვირთვაზე და სამუხრუჭე სისტემის ტესტირება, E210PIN105-ის სტანდარტის შესაბამისად ელექტრო მომსახურება და სხვა); „ი. ჭავჭავაძის გამზ. - კუს ტბის“ საბაგირო გზაზე გაიწმინდა და შეიპოხა მზიდი და გამწევი ბაგირი, შესრულდა შესაბამისი სერვისული სამუშაოები. შემოწმება ჩაუტარდა და შეიპოხა ჭაღები და საკისრები, საბაგირო ხაზის უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით შემოწმდა მექანიკური ნაწილები, ელ. დანადგერები და დიზელ გენერატორები, ჩატარდა საბაგირო გზის ძრავიდან რედუქტორზე გადამცემი ქუროს ბალანსირება და სხვა; „უნივერსიტეტი - ბაგების“ საბაგირო გზაზე განხორციელდა გამწევი ბაგირის დამოკლება 200 მმ-ით, შესრულდა შესაბამისი სერვისული სამუშაოები: შეიზეთა მექანიკური ნაწილები, გაიპოხა მზიდი და გამწევი ბაგირები, გაიპოხა ჭაღების საკისრები, შემოწმდა დიზელ გენეტრატორი, საბაგირო ხაზის უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით შემოწმდა მექანიკური ნაწილები, ელ.დანადგერები და დიზელ გენერატორები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**


**საბაზისო მაჩვენებელი** - მრავალწლიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საბაგირო გზის ძველი სადგურიდან მთაწმინდის

პარკის მიმართულებით საბაგირო გზის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები.


**დაგეგმილი მაჩვენებელი** - „მთაწმინდის საბაგირო გზის" I ეტაპის მშენებლობის დასრულება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაიწყო მთაწმინდის საბაგირო გზის მშენებლობა (მათ შორის დასრულდა მე-3, მე-4 და მე-5 საყრდენი ანძების სამშენებლო ნაწილის მოწყობა, ზედა სადგურის კონსტრუქციების მოწყობა - 0,6 ნიშნულამდე, ქვედა სადგურზე და პირველ საყრდენ ანძაზე ფუნდამენტის და კონსტრუქციის მოწყობა -12,3 ნიშნულამდე).


- **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება**



ათასი ლარი




| | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია | კეთილმოწყობის ღონისძიებები | საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენ… | ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება | ქალაქის განვითარების ხელშეწყობა | საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური… | სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა | ღონისძიებების უზრუნველყოფა | ავარიული სახლების ჩანაცვლება | 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძ… |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2020 წლის ფაქტი | 22,302.0 | 71,417.3 | 32,684.9 | 12,803.3 | 71,945.6 | 5,250.1 | 3,466.1 | 5,710.8 | 0.0 | 0.0 |
| 2021 წლის ფაქტი | 29,761.9 | 59,188.6 | 43,760.6 | 9,901.5 | 51,844.5 | 6,064.1 | 3,485.0 | 5,898.3 | 0.0 | 433.0 |
| 2022 წლის ფაქტი | 34,323.1 | 69,821.2 | 49,036.6 | 15,893.3 | 35,337.1 | 6,893.2 | 3,696.5 | 15,561.1 | 676.0 | 0.0 |




**02 01 საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა -** 50,192.6 ათასი ლარი დაფინანსდა - 49,036.6 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 36,413.9 ათასი ლარი), რაც გეგმის 97.7%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, აღდგენა-რეკონსტრუქცია და გაუმჯობესება, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დასრულებულია შემდეგი სამუშაოები:

თბილისის მასშტაბით რკ/ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები: საბურთალოს რაიონში: 1). მუხრან მაჭავარიანის ქუჩისა და მარშალ გელოვანის გამზირის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობის არეალში, კერძოდ: დაზუსტებული პკ 0+00- პკ 0+35, პკ 4+50- პკ 5+55, პკ 8+00- პკ 8+20, პკ 13+65 - პკ 13+99 და პკ 13+99 - პკ 14+29-ებზე ფერდის დამცავი რკ/ბეტონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები, 2). მარშალ გელოვანის გამზირისა და ინდუსტრიული ტექნიკუმის მიმდებარედ (ს.კ.01.10.11.001.391 მიდ.) არსებული ფერდის რკ/ბეტონის საყრდენი კედლებით გამაგრების სამუშაოებზე, პროექტით გათვალისწინებული შემდეგი სამუშაოები: სექცია N1 და N2 ხიმინჯებისა და როსტვერკის მოწყობა, სექცია N3-ში 2 (ორი) ცალი ხიმინჯის, სექცია N7- ში 2 (ორი) ცალი ხიმინჯისა და სექცია N8-ში 8 (რვა) ცალი ხიმინჯის მოწყობა, 3). მუხრან მაჭავარიანის ქუჩისა და მარშალ გელოვანის გამზირის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობის არეალში პკ 14+20 პკ 15+40 მიმდებარედ ფერდის დამცავი რკ/ბეტონის საყრდენი კედლით გამაგრების სამუშაოები, 4). მუხრან მაჭავარიანის ქუჩისა და მარშალ გელოვანის გამზირის საავტომობილო გზის მშენებლობის მიმდებარედ, კერძოდ მარშალ გელოვანის გამზირის მხარეს (ლოკაცია 2) (ასევე მიწისქვეშა გადასასვლელის მოწყობა) რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები, 5). მუხრან მაჭავარიანის ქუჩისა და მარშალ გელოვანის გამზირის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობის მიმდებარედ (კერძოდ: პკ 10+00 დან პკ 11+50 - მდე) დამეწყრილი

უბნის რკ/ბეტონის საყრდენი კედლით გამაგრების სამუშაოები, 6). მარშალ გელოვანის გამზირისა და ინდუსტრიული ტექნიკუმის მიმდებარედ (ს.კ.01.10.11.001.391 მიდ.) არსებული ფერდის რკ/ბეტონის საყრდენი კედლებით გამაგრების სამუშაოებზე, პროექტით გათვალისწინებული შემდეგი სამუშაოები: სექცია N1 და სექცია N2-ში კედლის ტანის მოწყობა, სექცია N9, სექცია N10 და სექცია N11-ში ხიმინჯების, როსტვერკის და კედლის ტანის, სექცია 8-ში როსტვერკის და კედლის ტანის, სექცია N12-ში 2 (ორი) ცალი ხიმინჯის მოწყობა, 7). მუხრან მაჭავარიანის ქუჩისა და მარშალ გელოვანის გამზირის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობის არეალში პკ 14+20 პკ 15+40 მიმდებარედ ფერდის დამცავი რკ/ბეტონის საყრდენი კედლებით გამაგრების სამუშაოები (დარჩენილი სექციები), 8). მარშალ გელოვანის გამზირისა და ინდუსტრიული ტექნიკუმის მიმდებარედ (ს.კ.01.10.11.001.391 მიდ.) არსებული ფერდის რკ/ბეტონის საყრდენი კედლებით გამაგრება, კერძოდ პროექტით გათვალისწინებული დარჩენილი სამუშაოები: მე-3, 4, 5, 6, 7, 12 და მე-13 სექციებში დარჩენილი ხიმინჯების, როსტვერკის, კედლის ტანის მოწყობა და ასევე, პროექტში ნაჩვენები სხვა სამუშაოები, 9). მუხრან მაჭავარიანის ქუჩისა და მარშალ გელოვანის გამზირის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობის მიმდებარედ (კერძოდ: პკ 10+00 და პკ 11+50 მიმდ.უბანზე, პკ 14+00 პკ 15+00 მიმდ.უბანზე და ამ ორ პიკეტს შორის არსებულ ფერდზე) დამეწყრილი უბნის რკ/ბეტონის საყრდენი კედლებით გამაგრების სამუშაოები (კერძოდ: პროექტით გათვალისწინებული კედელი N1 და კედელი N3-ის მშენებლობა), 10). ბროწეულის ქუჩა N11-ის მიმდებარედ ჩამოშლილი ფერდის რკ/ბეტონის საყრდენი კედლით გამაგრება და სამუშაოები, 11). მარშალ გელოვანის გამზირისა და ინდუსტრიული ტექნიკუმის მიმდებარედ (ს.კ. 01.10.11.001.391 მიმდ.) მოწყობილი რკ/ბეტონის საყრდენი კედლის უკან არსებული ფერდის დატერასების სამუშაოები, 12). მუხრან მაჭავარიანის ქუჩისა და მარშალ გელოვანის გამზირის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობის მიმდებარედ (კერძოდ: პკ 10+00 და პკ 11+50მიმდ.უბანზე, პკ 14+00 პკ 15+00 მიმდ.უბანზე და ამ ორ პიკეტს შორის არსებულ ფერდზე) დამეწყრილი უბნის რკ/ბეტონის საყრდენი კედლებით გამაგრების სამუშაოები (კერძოდ: პროექტით გათვალისწინებული კედელი N4-ის მშენებლობა), 13). მარშალ გელოვანის გამზირისა და ინდუსტრიული ტექნიკუმის

მიმდებარედ (ს.კ.01.10.11.001.391 მიდ.) მოწყობილი რკ/ბეტონის საყრდენი კედლის რკ/ბეტონის ჩამკეტი კედლის მოწყობა, 14). მუხრან მაჭავარიანისა და მარშალ გელოვანის გამზ. დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობის მიმდებარედ (კერძოდ: პკ 10+ და პკ 11+50 მიმდ. უბანზე, პკ 14+00 პკ 15+00 მიმდ.უბანზე და ამ ორ პიკეტს შორის არსებულ ფერდზე) დამეწყრილი უბნის რკ/ბეტონის საყრდენი კედლით გამაგრების სამუშაოების ( N2-ის კედლის დარჩენილი 4 (ოთხი) სექციის მშენებლობა), 15). მუხრან მაჭავარიანისა და მარშალ გელოვანის გამზ. დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობის მიმდებარედ (კერძოდ: პკ 10+ და პკ 11+50 მიმდ. უბანზე, პკ 14+00 პკ 15+00 მიმდ.უბანზე და ამ ორ პიკეტს შორის არსებულ ფერდზე) დამეწყრილი უბნის რკ/ბეტონის საყრდენი კედლით გამაგრების სამუშაოების ( N2-ის კედლის 3 (სამი) სექციის მშენებლობა). - ვაკის რაიონში: სოფელ თხინვალაში (ნაკვეთი ს/კ N72.16.15.500 მიდ) ნაკვეთი ს/კ N72.16.23.231-ზე გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები, ისნის რაიონში: ოთაჭალჰესის ხიდზე რკ/ბეტონის კონსტრუქციის მოწყობისა და ა/ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები,

თბილისის ხიდების და გვირაბების მოწყობა-რეაბილიტაცია: საბურთალოს რაიონში: აღმაშენებლის ხეივანზე, დიდი დიღომის გადასახვევის მიმდებარედ არსებულ ხიდზე დაზიანებული სადეფორმაციო ნაკერების სარეაბილიტაციო სამუშაოები. კრწანისის რაიონში: მეტეხის ხიდის რეაბილიტაცია, ორთაჭალის ხიდის სადეფორმაციო ნაკერების სარეაბილიტაციო სამუშაოები, სამგორის რაიონში: ე.წ. „დამპალოს“ ხიდზე (ისთ ფოინთის მხარეს) არსებული დაზიანებული სადეფორმაციო ნაკერების რეაბილიტაციის სამუშაოები,

თბილისის, მასშტაბით სანიაღვრე/სადრენაჟე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის და აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები: ივერთუბნის დასახლების კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოები, კერძოდ: დამწნეხი მილის მოწყობა (2*D=280 მმ) საპ.კან.ჭა N459 ჩათვლით, ხერხეულიძეების ქუჩაზე საპ.საკ. ჭა N14-დან საპ.საკ.ჭა N22-ის ჩათვლით და მ.შერვაშიძის მე-6 შესახვ.საპ.საკ.ჭა N113-დან საპ.საკ.ჭა N108-ის ჩათვლით, ივერთუბნის დასახლებაში, ხუდადოვის ქუჩაზე საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები, ივერთუბნის დასახლებაში, მ.შერვაშიძის II და V შესახვევში სანიაღვრე ქსელის (ცენტრალური ხაზი) მოწყობის სამუშაოები, ივერთუბნის დასახლებაში, მ.შერვაშიძის II და V შესახვევში

კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოები, ჯავახიშვილის ქუჩაზე სანიაღვრე კოლექტორის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ივერთუბნის დასახლების კანალიზაციის ქსელის მიწისქვეშა სატუმბო სადგურის მოწყობის სამუშაოები, ივერთუბნის დასახლებაში ხერხეულიძეების ქუჩაზე, ნ.ხუდადოვის ქუჩაზე ზ.ჯორჯაძის ქუჩამდე, მ.შერვაშიძის ქუჩაზე, მ.შერვაშიძის III და IV შესახვევებში კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოები, ნ.ხუდადოვის ქუჩაზე დაერთების წერტილიდან ზ.ჯორჯაძის ქუჩამდე (გვერდმიმღებების გათვალისწინებით), მ.შერვაშიძის ქუჩის, ხერხეულიძეების ქუჩის შერვაშიძის მე-VI შესახვევამდე, მ.შერვაშიძის III, IV და VI შესახვევების სანიაღვრე ქსელის (ცენტრალური ხაზები) მოწყობის სამუშაოები, ივერთუბნის დასახლებაში მ.შერვაშიძის I შესახვევში კანალიზაციის ქსელის მოწყობა (დაერთებებით) და ხერხეულიძეების ქუჩაზე კანალიზაციის ქსელზე მოსახლეობის დაერთებების სამუშაოები, ივერთუბნის დასახლებაში, ხუდადოვის ქუჩაზე წყალარინების ქსელის მოწყობის (პკ 4+12- დან) სამუშაოები, საბურთალოს რაიონში: დიდი დიღომი, თეიმურაზ I-ის ქუჩაზე (ს.კ.01.10.06.001.184-ის მიმდებარედ) სანიაღვრე კოლექტორის დაზიანებული მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები, დიდი დიღომი, მირიან მეფის ქუჩისა და აღმაშენებლის ხეივნის მიმდებარედ სანიაღვრე კოლექტორის დაზიანებული მონაკვეთის რეაბილიტაცია, ერედვისა და ავთანდილის ქუჩების კვეთაზე რკ/ბეტონის სანიაღვრე კოლექტორის რეაბილიტაციის სამუშაოები, უნივერსიტეტის ქუჩის და ბაგების დამაკავშირებელი ხიდის ბურჟთან წყალარინების გადასატანი ქსელის მოწყობა, მთაწმინდის რაიონში: სოფელ ტაბახმელაში კოტე აფხაზის, მარო მაყაშვილისა და მიმდებარე ქუჩების წყალარინების ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოები (I ეტაპი), კრწანისის რაიონში: ანტონ კათალიკოსის ქუჩაზე მდებარე N30, N32 და N34 სახლების მიმდებარედ საკანალიზაციო ქსელის მოწყობა და სამუშაოები, სამგორის რაიონში: მე-2 ნავთლუღის დასახლებაში, მე-4 ქუჩა N29-ის მიმდებარედ ამორტიზირებული საკანალიზაციო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ი.ზედგენიძის ქუჩაზე ამორტიზირებული სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები, ლილოს დასახლებაში, მ.ღლონტის ქუჩაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები,

ასევე განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: ვაკის რაიონში - წყნეთი ბეთანიის საავტომობილო გზის მარცხენა ფერდობზე, ე.წ. ახალდაბის "დიდი"

მეწყრული სხეულის არეალში, განვითარებული გეოდინამიკური პირობების გართულებების სალიკვიდაციო სამუშაოები, დაბა წყნეთში, გ.ლეონიძის ქუჩა N13-ის მიმდებარედ (ს/კ 01,20,01,117/072) ფორმირებული მეწყერის სალიკვიდაციო გადაუდებელი ღონისძიებები, საბურთალოს რაიონში - თბილისის ზოოლოგიური პარკის მიმდებარედ მოაჯირების რეაბილიტაცია, თამარ მეფის გამზირზე მდებარე გზაგამტარზე (ცირკის მიმდებარედ) დაზიანებული მოაჯირის სარეაბილიტაციო სამუშაოები, კ.ჩალაძის ქუჩაზე არსებულ ხიდზე დაზიანებული მოაჯირების რეაბილიტაცია, მთაწმინდის რაიონში - კოსტავას ქუჩა N69-ის მიმდებარედ არსებულ გზაგამტარზე დაზიანებული მოაჯირის სარეაბილიტაციო სამუშაოები, კოჯორი, იუნკერთა ქუჩის დამეწყრილი უბნის გამაგრება. სამგორის რაიონში - კახეთის გზატკეცილზე, ე.წ. „დამპალოს“ ხიდზე დაზიანებული მოაჯირის რეაბილიტაცია და სამუშაოები, კახეთის გზატკეცილზე (ჯავახეთის ქუჩის მიმდებარედ) მდებარე ხიდზე დაზიანებული სადეფორმაციო ნაკერების რეაბილიტაცია, გლდანის რაიონში - დავით სარაჯიშვილის ქუჩისა და ქერჩის ქუჩის მიმდებარედ არსებულ ხიდზე მოაჯირების რეაბილიტაციის სამუშაოები,

მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში დასრულდება სამუშაოები შემდეგ ობიექტებზე: ვაკის რაიონში - უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდური გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები, ვლადიმერ გაბაშვილის ქუჩა N11-ის მიმდებარედ, მდ. ვერეს ნაპირსამაგრი რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები, კრწანისის რაიონში - გ.ნიკოლაძის ქუჩაზე გამავალი სანიაღვრე კოლექტორის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 1,811.7 ათასი ლარი ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, გ. ლეონიძის ქ.#13-ის მიმდებარედ (ს/კ 01.20.01.117/072) ფორმირებული მეწყერის სალიკვიდაციო გადაუდებელი ღონისძიების - სამუშაოების დასრულების მიზნით, ხოლო წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გაწეულია 588.4 ათასი ლარი.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1. საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2 ხიდს და 1 გზაგამტარს, განხორციელდა 11 საყრდენი კედლის მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - რეაბილიტაცია ჩაუტარდება 3 ხიდს, მოხდება 15-მდე საყრდენი კედლების მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 ხიდს, განხორციელდა 17 საყრდენი კედლის მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

**2. საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია და სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა-რეაბილიტაცია ჩაუტარდა 11 ობიექტს.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია და სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა-რეაბილიტაცია ჩაუტარდება 35-მდე ობიექტს.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია და სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა რეაბილიტაცია ჩაუტარდა 21 ობიექტს.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - სატენდერო პროცედურების გაჭიანურება, ბუნებრივი პირობები და მიმწოდებლების მიერ სამუშაოების დარღვევით და ვადაგადაცილებით შესრულება.

**02 02 ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 16,011.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 15,893.3 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 50.0 ათასი ლარი). რაც გეგმის 99.3%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ავარიული შენობების ჩამოშლის საშიშროების თავიდან აცილების შედეგად მობინადრეთა უსაფრთხოების ამაღლება და ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფა. თბილისის მოქალაქეთა გაუმჯობესებული საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში ავარიული საცხოვრებელი სახლების გამაგრება–გაძლიერების სამუშაოები ჩატარდა შემდეგ ობიექტებზე: ისნის რაიონში სტეფანე ჭრელაშვილის ქუჩა N4-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, შორაპნის ქუჩა N13-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები (სარდაფში არსებული მზიდი კედლების), მეტეხის ქუჩა N14-ში მდებარე შენობა-ნაგებობის დემონტაჟის სამუშაოები, ვაზისუბნის III მრ, II კვ, კორპ.N15-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის ლოკალური (შიდა ფასადის) გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები, ვაზისუბნის მე-4 მიკრო რაიონი, მე-2 კვ. კორპუსი N7-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N53-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის აივნების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, ლეხ კაჩინსკის ქუჩა N9-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის ანტისეისმური ნაკერების დემონტაჟის სამუშაოები, ვაზისუბნის დასახლება, IV მიკრო რაიონი, I კვ. კორპუსი N1-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის აივნების დემონტაჟის სამუშაოები, ყვარლის ქუჩა N-107ა-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, ვაზისუბნის მე-4 მიკრო რაიონი, II კვარტალი, კორპუსი N9-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, ვარკეთილი IV მ/ რ, III კვარტალი, კორპუსი N7-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები (II ეტაპი), დიდუბის რაიონში - დიღმის მასივი, I კვარტალი, კორპუსი N14ა-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, გლდანის რაიონში - ლიბანის ქუჩა N3-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, ლიბანის ქუჩა N5-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, ნაძალადევის რაიონში - დ.გურამიშვილის გამზირი, კორპუსი N25-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები (ეტაპი I, II), ქვიშხეთის

ქუჩა N4-ში მდებარე შენობა-ნაგებობის დაზიანებული ანტისეისმური ნაკერების დემონტაჟის სამუშაოები, დ.გურამიშვილის გამზირი, N39-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, კრწანისის რაიონში - კ.ჩხეიძის ქუჩა, კორპუსი N17-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, სამგორის რაიონში - ვარკეთილი ზემო პლატო, კორპუსი N40-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, ვარკეთილის მე-3 მასივი, კალოუბნის ქუჩა, კორპუსი N35-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, ვარკეთილი 3, მე–2 მ/რ, კორპუსი N38-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, ვარკეთილის მე-3 მასივი, 10 კვარტალი, კორპუსი N „ვ“-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, ვარკეთილი 3, მე–2 მ/რ, კორპუსი N5-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, ვარკეთილი III მასივი, ზემო პლატო, კორპუსი N43ა-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, ვარკეთილი, ზემო პლატო, მე-2 მ/რ, კორპუსი N27-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, ვაკის რაიონში - ნუცუბიძის IV მ-რ. მე-3 კვარტალი, კორპუსი N35-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები (ეტაპი I), ნუცუბიძის 3 მ/რ, კვარტალი N1, კორპუსი N5-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, საბურთალოს რაიონში - ა.გახოკიძის ქუჩა N2/5/4-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, პეკინის გამზირი N20-ში მდებარე შენობა-ნაგებობაზე ანტისეისმური ნაკერების დემონტაჟის სამუშაოები, მთაწმინდის რაიონში - შ.მესხიას ქუჩა N1“ა“-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, გ.ქიქოძის ქუჩა N15-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები,

მიმდინარე პერიოდში ხორციელდება და უახლოეს პერიოდში დასრულდება სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: კრწანისის რაიონში - კრწანისის ქუჩა N7ა-ში

მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, ნაძალადევის რაიონში - ცოტნე დადიანის ქუჩა N148-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, მთაწმინდის რაიონში - მერაბ კოსტავას I შესახვევი N11ა-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, ვაკის რაიონში - ნუცუბიძის IV მ-რ. მე-3 კვარტალი, კორპუსი N35-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები (ეტაპი II), შ.ნუცუბიძის ფერდობზე, მე-4 მიკრო რაიონი, კორპუსი N8-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, ატენის ქუჩა, კორპუსი N18ბ-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, ატენის ქუჩა, კორპუსი N18გ-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, ისნის რაიონში - ვაზისუბნის დასახლება N10-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, სამგორის რაიონში - ვარკეთილის ზემო პლატო, II მიკრო რაიონი, N11-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, ქინძმარაულის ქუჩა, კორპუსი N2-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები ჩაუტარდა 33 შენობა-ნაგებობას.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები ჩაუტარდება 40-მდე შენობა-ნაგებობას.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები ჩაუტარდა 31 შენობა-ნაგებობას.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები, ძირითადად, ჩაუტარდა მოცულობით კორპუსებს.

**02 03 საპროექტო-სამიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები** დაფინანსებულია 6,893.2 ათასი

ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 7,074.8 ათასი ლარის 97.4%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**02 03 01 საპროექტო-სამიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა -** 792.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 626.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 79%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მშენებლობის განხორციელება სრულყოფილი პროექტების საფუძველზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში საპროექტო და საექსპერტო დოკუმენტაციები მომზადდა შემდეგი ობიექტებისათვის: სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან გაფორმდა საექსპერტო მომსახურების ხელშეკრულება: გლდანის რაიონში - ავჭალა, ე.ანდრონიკაშვილის ქუჩისა და ალ.მანაგაძის ქუჩების კვეთაზე არსებული გზაგამტარის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ საექსპერტო მომსახურება, ვაკის რაიონში - წყნეთი-ახალდაბის საავტომობილო გზაზე ჩამოწოლილი მეწყერის გამომწვევი მეზეზების შესახებ საექსპერტო მომსახურება, მთაწმინდის რაიონში - დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩა ს/კ 81.01.04.856-ის მიმდებარედ ფერდის ჩამოშლის გამომწვევის მიზეზების შესახებ საექსპერტო მომსახურება, მთაწმინდის რაიონში - ნიკოლაძის ქუჩა N26/მელიქიშვილის ქუჩა N29-ში მდებარე ორ სართულიანი სახლის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ საექსპერტო მომსახურება, საბურთალოს რაიონში - დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-15 კმ-ზე, მაღალაძეების ქუჩის მიმდებარედ არსებულ გზა გამტარის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ საექსპერტო მომსახურება, ვაკის რაიონში - ატენის ქუჩა N18ბ-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ საექსპერტო მომსახურება, ვაკის რაიონში - ატენის ქუჩა N18გ-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ საექსპერტო

მომსახურება, „მშვიდობის ხიდის“ მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის საექსპერტო მომსახურება, „მშვიდობის ხიდის“ ტექნიკური მდგომარეობის შესახებ საექსპერტო მომსახურება, საექსპერტო მომსახურება - გმირთა მოედანზე (ს/კ 01.15.03.030.002) მდებარე „მემორიალურ სვეტზე“ და მის გარშემო არსებულ ელექტრო მოწყობილობების/ გაყვანილობის შესაბამისობა ელექტრო დანადგართა მოწყობის წესებთან, კრწანისის რაიონში - მდ. მტკვარზე, ორთაჭალის ხიდის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის საექსპერტო მომსახურება და ასევე, რეკომენდაციები შემდგომ ღონისძიებებთან დაკავშირებით,

ასევე განხორციელდა, ქ.თბილისში, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილის და ნ.ყიფშიძის (ნ.საჯაიას ქუჩის მიმდებარედ) ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო კვლევის და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კონცეპტუალური დიზაინ-პროექტისა და დეტალური საპროექტო-საინჟინრო მომსახურების (საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა) (ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება, III მასივი, კვარტალი VII, კორპუსი N12-ს (ს/კ: 01.19.20.024.030)-ზე (ეტაპი I, II), მდინარე მტკვარზე მდებარე „მშვიდობის ხიდის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისთვის საჭირო კვლევის და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, კრწანისის რაიონში - გ.ნიკოლაძის ქუჩაზე გამავალი სანიაღვრე კოლექტორის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, მთაწმინდის რაიონში - თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, რუსთაველის გამზირის და მ.კოსტავას ქუჩის (თ.ჭოველიძის ქუჩიდან მ/ს „რუსთაველი“-მდე) მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება (ეტაპი I, II), ვაკის რაიონში - ქ.ჩოლოყაშვილის გამზირის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, წყნეთის გზატკეცილი (ს/კ 01.14.09.004.157) საავტომობილო გზის გასწვრივ არსებული ფერდის პრევენციული დამცავი ღონისძიებების გატარების მიზნით დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური

კვლევის და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, წყნეთის გზატკეცილის დასაწყისიდან (ვაკის სასაფლაოს შესასვლელიდან) წყნეთის გზატკეცილი N6-მდე გზის გაფართოების და რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, გ.დანელიას ქუჩის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის (თბილისი-ნაფეტვრების დამაკავშირებელი გზის) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, ვ.გაბაშვილის ქუჩა N4 და N5-ის გასწვრივ არსებული ფერდის პრევენციული დამცავი ღონისძიებების გატარების მიზნით დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის და პროექტირების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, სამგორის რაიონში - ვარკეთილი ზ/პ II მ/რ, კორპუსი N11-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, გლდანის რაიონში - ე.ანდრონიკაშვილის ქუჩისა და ალ.მანაგაძის ქუჩის კვეთაზე არსებული გზაგამტარის კვლევის და რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, საბურთალოს რაიონში - ლ.გოთუას ქუჩის და ჰ.ალიევის სანაპიროს დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო გზის/პანდუსის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს შექმნილი საპროექტო-საექსპერტო დოკუმენტაციის რაოდენობა - 19 (მათ შორის: 5 საპროექტო და 14 საექსპერტო).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფა საჭირო საპროექტო-საექსპერტო დოკუმენტაციით.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მომზადებული იქნა 25 სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-საექსპერტო დოკუმენტაცია (მათ შორის: 14 საპროექტო და 11 საექსპერტო).

**02 03 02 სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია

**2022 წლის გეგმა** - 6,282.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 6,266.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** საინჟინრო ნაგებობების მშენებლობის სამუშაოებზე ზედამხედველობის განხორციელება სრულყოფილი პროექტების საფუძველზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით, ლაბორატორიული კვლევების დროულად მომზადება და შესრულების ხარისხობრივი მაჩვენებელი, სპეციალური ლაბორატორიული ახალი მანქანა–დანადგარების შეძენის შედეგად გაუმჯობესებული და თანამედროვედ აღჭურვილი ლაბორატორია.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით შეძენილ იქნა: სხვადასხვა სახის ინერტული მასალის გამოსაცდელი დანადგარი, საგამოცდო ლაბორატორიისთვის ულტრაბგერითი აბაზანა, წყლის სახდელის აპარატი, ა/ბეტონის ნიმუშების (კერნი) ამოსაჭრელი მისაბმელი დანადგარი და სპეციალიზირებული კლასის ავტომანქანა). მიმდინარე პერიოდში ლაბორატორიის მიერ ზედამხედველობა განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით:

საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ანგარიში: ზედამხედველობა განხორციელდა 2109 ობიექტზე. აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 1031, გამგეობის ობიექტი – 1076, ხოლო სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ობიექტი - 2,

ლაბორატორიამ განახორციელა: ასფალტ–ბეტონის ნარევის კვლევა – 509, საკონტროლო კერნის ამოჭრა ლაბორატორიული კვლევისათვის – 342 კერნი, სისქეების რაოდენობა - 5327 ცალი, ტკეპნის კოეფიციენტი - 5860 დარტყმა, ბეტონის ნიმუშები - 264, კვალის გაჩენა - 21,

წყალსადენ–კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მოწყობის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ დასრულებულია სამუშაოები 189

ობიექტზე, აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 68, ხოლო გამგეობის ობიექტი – 121,

ხელოვნური და სამოქალაქო ნაგებობების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ შესრულდა საზედამხედველო სამუშაოები 850 ობიექტზე, აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი (მათ შორის კეთილმოწყობის საქალაქო სამუშაოები) – 657, გამგეობის ობიექტი – 173, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ობიექტი - 18, ა(ა)იპ საქართველოს ბოტანიკური ბაღის ობიექტი – 1, სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ობიექტი - 1,

ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შემსწავლელი განყოფილების მიერ მომზადებულია 1012 დასკვნა ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ. აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი - 425 დასკვნა, ხოლო გამგეობის ობიექტი - 587 დასკვნა,

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები გამგეობების 1782 ობიექტზე, აქედან: სამშენებლო ობიექტების ტექზედამხედველობის შემოწმებული – 1331, ლიფტების ტექზედამხედველობის შემოწმებული – 416 და აღდგენა-გამაგრებით ობიექტები - 35,

საბავშვო ბ/ბაღის მართვის სააგენტოს და კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ობიექტების მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ ჩატარებულია ტექ.ზედამხედველობის სამუშაოები 66 ობიექტზე (მათ შორის მიმდინარე 39 ობიექტი), აქედან: ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ობიექტები – (მიმდინარე - 23, დასრულებული - 18), ქალაქ თბილისის მუნიციპალური მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ობიექტები - (მიმდინარე - 7, დასრულებული -2), გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის და ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის ობიექტები - (მიმდინარე - 1, დასრულებული - 2), გამგეობის ობიექტები (მიმდინარე - 1, დასრულებული - 3), „ცენტრ პოინტის“ ობიექტები –

მიმდინარე - 7, შპს თბილსერვის ჯგუფის ობიექტები - დასრულებული - 1, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი - (დასრულებული - 1).

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**1. საბაზისო მაჩვენებელი** - შესრულებული სამუშაოების ხარისხობრივი მაჩვენებელი -100%.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - შენარჩუნებული დაგეგმილი მაჩვენებელი.

**2. საბაზისო მაჩვენებელი** - ლაბორატორიული კვლევის პერიოდია 5 დღე.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**3. საბაზისო მაჩვენებელი** - ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე მანქანა–დანადგარებით, რომლებიც პერიოდულად საჭიროებს განახლებას,

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - 10%-ით განახლებული მანქანა-დანადგარები,

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**02 05 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 36,634.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 34,323.1 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 4,272.4 ათასი ლარი), რაც გეგმის 93.7%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** განათებული ქალაქი და ობიექტების მინათებით მხატვრული ეფექტის გაზრდა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** პროგრამის ფარგლებში შპს „თბილსერვის ჯგუფი“ მომსახურეობა-ექსპლოატაციას უწევს დედაქალაქის მასშტაბით არსებულ გარე განათების და მხატვრული მინათების სანათებს. საანგარიშო პერიოდში ექსპლოატაცია გაეწია 152 205 სანათს, მათ შორის: გარე განათება – 134 469 სანათი, მხატვრული მინათება – 17 736 სანათი. ასევე, ახორციელებდა საყრდენი ბოძებისა

და სანათების მონტაჟის სამუშაოებს და მიმდინარე პერიოდში დამონტაჟდა (მოეწყო) – 1 035 განათების ბოძი და 2 576 ახალი სანათი. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 295.3 ათასი ლარი, თბილისის სატელევიზიო ანძის მხატვრული მინათების დაზიანებული სანათი მოწყობილობების აღსადგენად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შპს „თბილსერვის ჯგუფისათვის“ (ს/ნ 206267494).

**მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს ექსპლოატაცია გაეწია 134 857 სანათს (მათ შორის: გარე განათება – 118 965 სანათი, მხატვრული მინათება – 15 892 სანათი), მოეწყო 4 362 ახალი სანათი და დამონტაჟდა 1 533 განათების ბოძი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - ექსპლუატაცია გაეწევა თბილისის მასშტაბით არსებულ გარე განათების ქსელს და ასევე, საჭიროებისამებრ მოწყობილი იქნება ახალი გარე განათების ქსელები და ახალი სანათები.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - ექსპლოატაცია გაეწია 152 205 სანათს (მათ შორის: გარე განათება – 134 469 სანათი, მხატვრული მინათება – 17 736 სანათი), მოეწყო 2 576 ახალი სანათი და დამონტაჟდა 1 035 განათების ბოძი.

**02 06 სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 3,850.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,696.5 ათასი ლარით. გეგმის 96%.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სანიაღვრე ქსელების გამართული ფუნქციონირება, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სათავე ნაგებობების წესრიგში მოყვანა. ქალაქის კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში შპს “თბილსერვის ჯგუფის” მიერ განხორციელდა შემდეგი სახის სანიაღვრე ქსელების საექსპლუატაციო და პროფილაქტიკური სამუშაოები: სანიაღვრე კოლექტორების, სათავე ნაგებობების შემოწმება (ზედაპირულად, შიგ გავლით, სპეც. ტექნიკის გამოყენებით - CCTV ვიდეო კამერით, ე.წ. ვიდეოთვალით) – 5684 მეტრი, სათავე

ნაგებობების, სანიაღვრე წვიმამიმღებების, სანიაღვრე ჭების, გვერდმიმღებების და საკონტროლო ჭების გაწმენდა – 30426 ცალი, კიუვეტების გაწმენდა (ხელით და მექანიზმის გამოყენებით) – 42320 გრძ.მ, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების გარეცხვა სპეცტექნიკის გამოყენებით – 119992 მეტრი, დაზიანებული ცხაურების, გვერდმიმღებების ხუფების (606 ცალი) და ყრუ ხუფების (694 ცალი) შეცვლა, რ/ბ ფილა (ორმაგი არმირებით, ოთხკუთხა თუჯის ჩარჩო-ხუფით ან ცხაურით) – 92 ცალი, ჭის ჩარჩო-ხუფი ან ცხაური - 175 ცალი, ახალი ჭის მოწყობა თუჯის ჩარჩო-ხუფით, ჩარჩო-ცხაურით, გვერდმიმღებით - 63 ცალი, სანიაღვრე ჭების მოყვანა ნიშნულზე - 227 ცალი, ანაკრები რ/ბ რგოლები დ=1000მმ/დ=1500მმ - 10 მეტრი, მილები - 421.9 მეტრი, დაზიანებული რ/ბ კოლექტორის შეკეთება - 26.5 კუბ.მ.

**მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი -** არსებული სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა..

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - არსებული სანიაღვრე ქსელის გამართულად ფუნქციონირება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**02 07 ღონისძიებების უზრუნველყოფა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** მერიის ადმინისტრაცია

**2022 წლის გეგმა -** 17,404.6 ათასი ლარი დაფინანსდა - 15,561.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 89.4%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მერიის მიერ დაგეგმილ და ორგანიზებულ მასშტაბურ ღონისძიებებში საზოგადოების ჩართულობა, სხვადასხვა ღონისძიებების ტექნიკური გამართულობა და ხარისხობრივი მაჩვენებლი, სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული ობიექტების მოვლა-პატრონობ (ძეგლები, მემორიალები, საფლავები), ქართველი ხელოვანების ჩართულობის ზრდა კულტურულ სივრცეში და მათი საქმიანობის ხელშეწყობა-პოპულარიზაცია.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: სხვადასხვა ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) სახელმწიფო დროშების, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დროშების და

დაბრენდილი დროშების შესყიდვა, P4 ტიპის გარე გამოყენების (Outdoor) ეკრანით და P2 ტიპის LED ეკრანით მომსახურება, საკონცერტო და სხვადასხვა ღონისძიებებისათვის სასცენო-საკონცერტო განათება-მინათების აპარატურით, გახმოვანების საკონცერტო აპარატურით, საჭირო ინვენტარით (მათ შორის გამათბობლები, გენერატორი), სპეცეფექტებითა და მხატვრული ფოიერვერკით, სხვადასხა სცენებით, სასცენო კონსტრუქციებით, ტრიბუნებით, პლატფორმებით, საგრიმიოროებით, კოშკებით, ბეგ-რაუნდის კონსტრუქციებით, სხვადასხვა ქალაქგაფორმებითი დეკორაციებით მომსახურება, სადღესასწაულო, სარიტუალო ყვავილებისა და თაიგულებით მომსახურება, სხვადასხვა ტიპის ნაბეჭდი ბანერების და სხვადასხვა ტიპის წებოვანი ფირების (სტიკერი) (გაკვრა-ჩამოხსნა) შეძენა, დედაქალაქის მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად კარვების მოწყობისა და რეცხვის მომსახურება, შემზღუდავი ჯებირების მოწყობა-ალაგება, ბიოტუალეტებით მომსახურება და სხვა. ასევე, მარშალ გელოვანის გამზირზე მდებარე დავით აღმაშენებლის ძეგლის კვარცხლბეკის აღდგენა-რესტავრაციის სამუშაოები, ალექსანდრე პუშკინის ბიუსტის და გენერალ პეტრე ბაგრატიონის ძეგლის კვარცხლბეკზე არსებული წარწერების აღდგენა-რესტავრაცია, კახეთის გზატკეცილის 45ა-თან მდებარე სკვერში ძეგლის „კოსმონავტი“ და თემქაზე სამშობიარო სახლი N5-ის მიმდებარე სკვერში ძეგლის „ქართველის ვედრება“ აღდგენა-რესტავრაციის სამუშაოები, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში არსებული გიორგი კვინიტაძის საფლავზე გენერლის ბრინჯაოს ბიუსტის განთავსება და საფლავის მოწყობა-მოპირკეთება, ჟიული შარტავას, გრიგოლ რობაქიძის, გურამ გაბესკირიას არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის/ბიუსტი/განთავსება. გარდა ამისა, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა ჯიხურებისა და საგამოფენო სივრცე „26“-ის კონსტრუქციის შესყიდვა, ხოლო 2022-2023 წლის შობა-ახალი წლის დღესასწაულის ფარგლებში განხორციელდა კონსტრუქციების, დეკორაციების და ინტალაციების, დეკორატიული სანთლების, „თოვლის ბაბუას (სანტას) სახლის შესყიდვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - მერიის მიერ დაგეგმილ და ორგანიზებულ თითოეულ ღონისძიებას საშუალოდ 5000 ადამიანი ესწრება.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - ღონისძიებაზე დამსწრეთა რაოდენობის ზრდა - 7000 ადამიანი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - ღონისძიებაზე დამსწრე - 20 000 ადამიანი.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - გამოწვეული იყო მასშტაბური საახალწლო ღონისძიებებით.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწლიურად სამსახურის მიერ ხდება არანაკლებ 100 სხვადასხვა ტიპის ღონისძიების და აქტივობის სრული ან ნაწილობრივი ტექნიკური აღჭურვა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - არსებული მომსახურების მაღალი დონის შენარჩუნება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - ყველა ჩატარებული ღონისძიება ტექნიკურად სრულად გამართული იყო და შენარჩუნდა მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებელი.

**3.საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწლიურად სამსახურის მიერ ხდება არანაკლებ 3 ახალი ძეგლის, 10 მემორიალური დაფის დამზადება-განთავსება, არანაკლებ 2 ძეგლის ან/და კვარცხლბეკის გაწმენდითი სამუშაოები, აღდგენა-რესტავრაცია.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - ახალი ობიექტების, აღდგენილი და რესტავრირებული ძეგლების, მემორიალების რაოდენობის ზრდა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - განთავსდა და დამონტაჟდა 6 მემორიალური დაფა, დამზადდა და განთავსდა 4 ბიუსტი, განხორციელდა 5 ძეგლის სარესტავრაციო სამუშაოები და 1 საფლავის მოწყობა-მოპირკეთება.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - ახალი ძეგლების და მონუმენტების დანზადება-განთავსება დამოკიდებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული ძეგლების საუკეთესო ესკიზების შესარჩევ კონკურსებზე, ხოლო მემორიალური დაფების დამზადება-განთავსება დამოკიდებულია შემოსული განაცხადებების რაოდენობაზე.

**4.საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწლიურად მერიის მიერ ორგანიზებულ მასშტაბურ ღონისძიებებში ხელოვნების სფეროს დაახლოებით 700-დე ცნობილი წარმომადგენელი იღებს მონაწილეობას, მინიმუმ 100 დამწყებ ხელოვანს და სპარტაპერს ეძლევა შესაძლებლობა ჩაერთონ მერიის მიერ განხორციელებულ და მხარდაჭერილ ღონისძიებებში და წარმოაჩინონ თავიანთი შემოქმედება, ხელნაკეთი ნივთები და სხვა პროდუქცია.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება და შესაძლებლობის შემთხვევაში რაოდენობის ზრდა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - ღონისძიებებში ჩართული - 1 000 ხელოვანი.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - გამოწვეული იყო მასშტაბური საახალწლო ღონისძიებებით.

**02 09 კეთილმოწყობის ღონისძიებები** დაფინანსებულია 69,821.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 70,875.6 ათასი ლარის 98.5%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**02 09 01 კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 10,591.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 10,448.1 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 1,630.9 ათასი ლარი), რაც გეგმის 98.7%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, მოსახლეობის დაცვა გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან, ქალაქის იერსახის გაუმჯობესება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა სახის მომსახურება და სამუშაოები: გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობის მომსახურება, ქუჩების დასახელებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრები (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი): აბრები - 6275 ცალი, დგარიანი მანიშნებელი - 53 ცალი, მანათობელი

აბრები - 10 ცალი, თბილისის მასშტაბით გრუნტის და ნატანის გასუფთავება-გატანის სამუშაოები, კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდისა და გამაგრების სამუშაოები, დაზიანებული კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-გამაგრების სამუშაოები (მათ შორის: ბორდიური - 1320.21 გრძ.მ, ქვაფენილი/ფილა - 14860.7 კვ.მ, ლითონის მოაჯირები - 915.06 მ, თუჯის ბოძკინტის მოწყობა - 2410.8 კგ, პოლიმერული მასალის ნაკეთობის დამზადება-მონტაჟი - 9558.41 კგ, ლითონის ფურცლების მონტაჟი - 65118.56 კგ, ლითონის მოაჯირების დამზადება და მონტაჟი სხვადასხვა ზომის მილკვადრატით - 10682.73 კგ, საკაბელო კომუნიკაციის მოწყობა - 33098 მ). ამასთან, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გაწეულია 27.0 ათასი ლარი.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს ქ.თბილისის მასშტაბით განხორციელდა: გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, გრუნტისა და ნატანის გასუფთავება-გატანა, კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდა და გამაგრება, ქუჩის დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟი (აბრები - 7812 ც, დგარიანი მანიშნებელი - 95 ც, მანათობელი აბრები - 10 ც, ბიოგრაფიული დაფა 6 ც), მოეწყო: 12587.42 მ2 - ფილა/ქვაფენილი, ლითონის მოაჯირი - 490.26 მ, ლითონის ფურცლები - 34307.40 კგ, ლითონის მოაჯირების დამზადება და მონტაჟი სხვადასხვა ზომის მილკვადრატით - 5859.42 კგ, პოლიმერული მასალის ნაკეთობის დამზადება-მონტაჟი - 8807 კგ, თუჯის ბოძკინტი - 4 929 კგ, ბორდიურები - 1 722.96 გრძ/მ.

**დაგეგმილი მაჩვენებელი:** გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, კეთილმოწყობისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-გამაგრების სამუშაოების ფარგლებში მოეწყობა 15000 კვ.მ-მდე ფილა/ქვაფენილი და 1400 გრძ.მ-მდე ლითონის მოაჯირი, ასევე, ქვათაცვენისა და მეწყერულ უბნებში კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდა-გამაგრება და ზედმეტი გრუნტისა და ნატანის გასუფთავება-გატანა და შედეგად ქვათაცვენისა და მეწყერული უბნების მდგომარეობის გაუმჯობესება-

გასუფთავება, ქუჩების დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - განხორციელდა გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, გრუნტის და ნატანის გასუფთავება-გატანა, კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდა და გამაგრება, ქუჩის დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟი (აბრები - 6275 ც. დგარიანი მანიშნებელი - 53 ც. მანათობელი აბრები - 10 ც.), მოეწყო: 14860.7 მ2 - ფილა/ქვაფენილი, ლითონის მოაჯირი - 915.06 მ, ლითონის ფურცლები - 65118.56 კგ, ლითონის მოაჯირების დამზადება და მონტაჟი სხვადასხვა ზომის მილკვადრატით - 10682.73 კგ, პოლიმერული მასალის ნაკეთობის დამზადება-მონტაჟი - 9558.41 კგ, თუჯის ბომკინტი - 2410.8 კგ, ბორდიურები - 1320.21 გრძ/მ, საკაბელო კომუნიკაცია - 33098 მ.

**02 09 09 უკანონო ნაგებობების დემონტაჟი**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** მუნიციპალური ინსპექცია

**2022 წლის გეგმა** - 430.6 ათასი ლარი დაფინანსდა - 312.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 72.7%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ლიკვიდირებული უკანონო მშენებლობები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: შენობა-ნაგებობების გადახურვის კონსტრუქციის დემონტაჟი - 571.6 კვ.მ, შენობა-ნაგებობების მონოლითური გადახურვის დემონტაჟი - 23.9 კვ.მ, მონოლითური ფილის დემონტაჟი - 647.27 კვ.მ, შენობა-ნაგებობების რკინა-ბეტონის კედლების დემონტაჟი - 157.1 კვ.მ, სამშენებლო ბლოკით მოწყობილი კედლის დემონტაჟი - 2617.53 კვ.მ, უსახური ჯიხურების, ნაგებობების, მარტივი ტიპის კონსტრუქციების დემონტაჟი 2009.45 კვ.მ, მსუბუქი და მარტივი ტიპის კონსტრუქციების ღობეების დემონტაჟი 2437 გრძ.მ, რკინა-ბეტონის საძირკვლის დემონტაჟი - 136.2 კუბ.მ, სამშენებლო ნარჩენების გატანა - 622.5 კუბ.მ. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 30.6 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა

№29/იაკობ ნიკოლაძის ქუჩა №26-ში მდებარე მწვავე ავარიული შენობა-ნაგებობის დემოტაჟის განხორციელების მიზნით.

**მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდა 3434,59 კვ.მ.

**დაგეგმილი მაჩვენებელი -** განხორციელდება 5300 კვ.მ სადემონტაჟო სამუშაოები

***მიღწეული მაჩვენებელი*** - სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდა 6163 კვ.მ.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - სადემონტაჟო სამუშაოებში დაგეგმილზე მეტი შენობა-ნაგებობების, რკინა-ბეტონის, სამშენებლო ბლოკით მოწყობილი კედლების და საძირკვლის დემონტაჟი განხორციელდა.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მსუბუქი და მარტივი ტიპის კონსტრუქციების (ღობეების) დაშლა 1600 გრძ.მ

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - განხორციელდება მსუბუქი და მარტივი ტიპის კონსტრუქციების (ღობეების) დაშლა 2100 გრძ.მ

***მიღწეული მაჩვენებელი*** - განხორციელდა მსუბუქი და მარტივი ტიპის კონსტრუქციების (ღობეების) დაშლა 2437 გრძ.მ.

**3.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს გატანილი და განთავსებული იქნა დემონტაჟის (სამუშაოების შესრულებისას) შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები 806.3 კუბ.მ

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - განხორციელდება დემონტაჟის (სამუშაოების შესრულებისას) შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების გატანა 980 კუბ.მ.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - გატანილი და განთავსებული იქნა დემონტაჟის (სამუშაოების შესრულებისას) შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები 622.5 კუბ.მ.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - დაგეგმილზე ნაკლები დემონტაჟის (სამუშაოების შესრულებისას) შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების გატანა განხორციელდა, რამდენადაც დემონტირებული ჯიხურები და რკინის კონსტრუქციები დასაწყობდა თბილისის მერიის საწყობში.

**02 09 10 კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** გლდანის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 6,325.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 6,297.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრის, სხვლა-ფორმირების და დამუშავება-გატანის მომსახურება (დამუშავდა 1810 ხე-მცენარე); გამწვანებულ და დასასვენებელ ტერიტორიებზე სარწყავი სისტემებისა და სასმელი სოკოების მომსახურება; სპორტული მოედნების მიმდინარე შეკეთების/მოწყობის სამუშაოები (შეკეთდა 15 სპორტული მოედანი, მოეწყო 3 ახალი მოედანი); სკვერის მოწყობის/მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (მიმდინარე შეკეთების სამუშაოები ჩაუტარდა 55 სკვერს. მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები შესრულდა 9 ლოკაციაზე); გამწვანებულ და დასასვენებელ ტერიტორიებზე დამონტაჟდა საპარკე სკამი (60 ცალი), დასასვენებელი პავილიონი (ფანჩატური 3 ცალი); მოეწყო მინი სკვერი, სადაც დამონტაჟდა საბავშვო ატრაქციონები (4 მისამართი); დამონტაჟდა ფიტნეს ტრენაჟორების კომპლექტი( 2 მისამართი); საყრდენი კედლებისა და ბეტონის კიბე-ბილიკების მოწყობის სამუშაოები (5 მისამართზე მიმდინარეობს); სივრცითი მოწყობის სამუშაოები; მეტრო/სადგურ „ახმეტელის თეატრის“ შესასვლელის მიმდებარედ მოეწყო საზოგადოებრივი სივრცე (მიმდებარე მოედანი, კიბეები, სანიაღვრე ცხაურები); საზოგადოებრივი სივრცის (კიბეების) მოწყობის სამუშაოები (1 მისამართზე მიმდინარეობს); კანალიზაციის სისტემების მიმდინარე და კაპიტალური სამუშაოები (3554 გრძ.მ); საცხოვრებელი სახლის სახურავის მწვავედ ავარიული ფილების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები (2 მისამართი); შშმ

პირთათვის საცხოვრებელ სახლის სადარბაზოებში გადასაადგილებელი ელექტრო პანდუსების მოწყობა (6 მისამართი); 10 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია ხარჯი საპროექტო დოკუმენტაციისა და წინა წლებში დაკავებული ხარისხის უზრუნველყოფის საგარანტიო თანხების ასანაზღაურებლად.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1. საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 41 სკვერს, 1 მისამართზე მოეწყო ახალი და 22 მისამართზე შეკეთდა სპორტული მოედანი, 12 მისამართზე დამონტაჟდა სპორტული ტრენაჟორების კომპლექტი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - რეაბილიტაცია ჩაუტარდება 9 სკვერს, მოეწყობა 6 მინი სკვერი საბავშვო ატრაქციონით და 4 ახალი სპორტული მოედანი, დამონტაჟდება სპორტული ტრენაჟორების 4 კომპლექტი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 68 სკვერს; 3 მისამართზე მოეწყო ახალი და 15 მისამართზე შეკეთდა სპორტული მოედანი; 2 მისამართზე დამონტაჟდა სპორტული ტრენაჟორების კომპლექტი.

**2. საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს 1 მისამართზე მოეწყო და 1 მისამართზე მიმდინარეობს (გარდამავალი ხელშეკრულება) კანალიზაციის ქსელი მოწყობის სამუშაოები.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მოეწყობა და შეკეთდება 5033 გრძ.მ საკანალიზაციო ქსელი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - 2 მისამართზე მოეწყო 3554 გრძ.მ საკანალიზაციო ქსელი.

**3. საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მოეწყო 332 კუბ.მ საყრდენი კედელი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მოეწყობა 888 კუბური მეტრი საყრდენი კედელი და ბეტონის კიბე-ბილიკი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - 5 მისამართზე მოეწყო 494.6 კუბ.მ საყრდენი კედელი.

**4.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მომართვიანობიდან გამომდინარე, დაფინანსდა 8 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - იგეგმება 20 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

*მიღწეული მაჩვენებელი* - მომართვიანობიდან გამომდინარე, დაფინანსდა 2 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები.

**5.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს განხორციელდა 200 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა (რგვები, სხვლა ფორმირება, თიბვა), 1952 ხის გადაბელვა და სხვლა ფორმირება.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია 200-მდე ძირი ხე-მცენარის დარგვა, 200 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, 3500 ხის სხვლა ფორმირება.

*მიღწეული მაჩვენებელი* - განხორციელდა 200000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, 1810 ხის გადაბელვა და სხვლა ფორმირება, დაირგო 384 ხე-მცენარე.

**02 09 11 კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ნაძალადევის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 5,885.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 5,746.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: ხეების სხვლა-ფორმირების (2823 ძირი), გადაბელვის (306 ძირი), მოჭრის (644ძირი), კუნძების ამოძირკვის (195 ძირი) და დაჭრა-დამუშავება-გატანის სამუშაოები (189 ძირი); გამწვანებული ტერიტორიების მოვლა პატრონობის (155900 კვ.მ ფართობი); სკვერებში არსებული შადრევნებისა და სასმელი წყლის დეკორატიული ნიჟარების მოვლა-პატრონობის მათ შორის კომუნალური ხარჯები (2 მისამართი); რაიონის იერსახის მოწესრიგების სამუშაოები (52 მისამართი); შესყიდულია პარკებისა და სკვერებისთვის ძელსკამი (256 ცალი), კიბეების მოწყობის სამუშაოები (7 მისამართი); გაზიფიცირების

სამუშაოები (7 ოჯახი); ატრაქციონებისთვისთვის გამაფთხილებელი სტიკერები (560 ცალი) და გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორები (6 კომპლექტი); საკანალიზაციო ქსელის, სადრენაჟე და სანიაღვრე ქსელების მშენებლობის სამუშაოები (19 მისამართი); გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლების აღდგენა/მშენებლობის სამუშაოები (19 მისამართი 734.24მ3); სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები (6 მისამართი); არსებული სკვერების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები (52 მისამართი); ახალი სკვერის მოწყობისა და გამწვანებული ტერიტორიების მოწყობის სამუშაოები (2 მისამართი); კაუჩუკის მოედნიანი ახალი საბავშვო ატრაქციონების (8 ერთეული) მოწყობის სამუშაოები; დასასვენებელი პავილიონი (ფანჩატური 4 ცალი); 13 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო - სახარჯთღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 64.7 ათასი ლარი ნაძალადევის რაიონში, 2022 წლის 4-5 თებერვალს, ძლიერი ქარის შედეგად, ქსნის ქუჩა №12ა-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის დაზიანებული ქანობიანი სახურავის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების განსახორციელებლად.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1. საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მოეწყო 7 ახალი სკვერი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 17 სპორტულ მოედანს.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მოეწყობა 2 ახალი სკვერი, რეაბილიტირებული იქნება 20 ერთეული სკვერი, 6 ობიექტზე მოეწყობა სპორტული მოედანი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მოეწყო 2 ახალი სკვერი, არსებულ 52 სკვერს ჩაუტარდა აღდგენა-შეკეთების სამუშაოები, მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშოები ჩაუტარდა 6 სპორტულ მოედანს, დამონტაჟებულია გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორები (6 კომპლექტი).

**2. საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს საკანალიზაციო ქსელის მშენებლობის სამუშაოები შესრულებულია 10 მისამართზე - 499.61 გრძ.მ.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მოეწყობა 1272 გრძ.მ. ახალი სანიაღვრე, წყალსადენის და კანალიზაციის ქსელი.

*მიღწეული მაჩვენებელი* - საკანალიზაციო, სადრენაჟე და სანიაღვრე ქსელების მშენებლობის სამუშაოები შესრულებულია 19 მისამართზე - 3553.3 გრძ.მ.

**3. საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს გრუნტის დამჭერი კედლების აღდგენა-მშენებლობის სამუშაოები ჩატარდა 14 მისამართზე 734.24 კუბ.მ.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია 17 ობიექტზე 1588.87 კუბ.მ. კედლების აღდგენა-მშენებლობის სამუშაოები.

*მიღწეული მაჩვენებელი* - გრუნტის დამჭერი კედლების აღდგენა-მშენებლობის სამუშაოები ჩატარდა 19 მისამართზე 1252 კუბ.მ.

**4. საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მოსახლეობის მომართვიანობიდან გამომდინარე, გაზიფიცირების სამუშაოები დაუფინანსდა 14 სოციალურად დაუცველ ოჯახს.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დამატებით იგეგმება 25 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

*მიღწეული მაჩვენებელი* - მოსახლეობის მომართვიანობიდან გამომდინარე, გაზიფიცირების სამუშაოები დაუფინანსდა 7 სოციალურად დაუცველ ოჯახს.

**5. საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს დაირგო 166 ერთეული სხვადასხვა სახეობის ბუჩქი და ფოთლოვანი ხის ნერგი, გამწვანების ღონისძიებები ჩატარდა 15.6 ჰექტარ ფართობზე, ჩატარდა ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა-გადაბელვის სამუშაოები (სხვლა-ფორმირება - 3273 ძირი, მოიჭრა - 653 ძირი).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია 200 ძირი ფოთლოვანი და წიწვოვანი ხის ნერგების შესყიდვა, 150000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიების მოვლა პატრონობა,1500 ძირი ხის სხვლა-ფორმირება.

*მიღწეული მაჩვენებელი* - დაირგო 130 ერთეული სხვადასხვა სახეობის ბუჩქი და ფოთლოვანი ხის ნერგი, გამწვანების ღონისძიებები ჩატარდა 15.6 ჰექტარ ფართობზე, ჩატარდა ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა-გადაბელვის სამუშაოები (სხვლა-ფორმირება - 2823 ძირი, გადაბელვა- 306 ძირი, მოჭრის - 644 ძირი, კუნძების ამოძირკვა- 195 ძირი, დაჭრა-დამუშავება-გატანა-189 ძირი).

**02 09 12 კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** დიდუბის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 3,792.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,605.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.1%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: არსებული სკვერების (134 მისამართი) აღდგენა-შეკეთების და ახალი სკვერის (3 მისამართი) მოწყობის სამუშაოები; რაიონის ტერიტორიაზე ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა, სხვლა-ფორმირების, კუნძების ამოძირკვისა და დამუშავება-გატანის მომსახურება; გამწვანებული ტერიტორიების მოვლა პატრონობა; წყლის სოკოების კომუნალური ხარჯები; ახალი სპორტული მოედნების (1 მისამართი) მოწყობის და არსებული სპორტული მოედნების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები (26 მისამართი); სანიაღვრე ქსელების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (2 მისამართი); სანიაღვრე ქსელების მოწყობის სამუშაოები (4 მისამართი); გაზიფიცირების სამუშაოები (3 მისამართი); ახალი მოაჯირების მოწყობის (26 მისამართი) და არსებული მოაჯირების აღდგენა შეკეთების სამუშაოები (13 მისამართი); დ. აღმაშენებლის სახელობის ხეივნის და ს.ახმეტელის ქუჩის კუთხეში არსებული ნაგებობისთვის ელექტროენერგიის და დროშის შესყიდვის ხარჯი; თამარ მეფის გამზ.N 22-ში მდებარე ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი შენობის სახურავის მიმდინარე შეკეთების ხარჯი; 8 ეკლესიის ფინანსური დახმარება; არამუნიციპალური საკუთრებაში არსებული დაზიანებული შენობა ნაგებობების, აივნების, პარაპეტების ნაწილობრივ დემონტაჟის და მონტაჟის, დროებითი გამაგრების, სამშენებლო ნაგვის და გრუნტის გატანის სამუშაოები. ასევე, გაწეულია საპროექტო-სახარჯთღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები და სხვა.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1. საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს რეაბილიტირებული იქნა არსებული 100 ერთეული სკვერი და 8 ერთეული სპორტული მოედანი, მოეწყო 8 ახალი სკვერი და 2 სპორტული ტრენაჟორი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული იქნება 8 სკვერი, 6 სპორტული მოედანი, მოეწყობა 13 ახალი სკვერი და 1 ახალი სპორტული მოედანი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - რეაბილიტირებულია არსებული 134 სკვერი და 26 სპორტული მოედანი, მოეწყო 3 ახალი სკვერი და ერთი ახალი მოედანი.

**2. საბაზისო მაჩვენებელი:** 2021 წელს მოეწყო და შეკეთდა 2 მისამართზე 706.54 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მოეწყობა 673 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მოეწყო და შეკეთდა 6 მისამართზე 1540.3 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი.

**3. საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს განხორციელდა 167 891 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, დაირგო 551 ძირი ხე-მცენარე და ბუჩქი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია 53 ჰა გათიბვა; 2000 ც. ხის ნერგის დარგვა; მწვანე საფარის მოვლა; 2190 ხის ჭრა- ფორმირება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - განხორციელდა 55 ჰა ტერიტორიის გათიბვა; 2411 ც. ხე მცენარისა და ბუჩქის დარგვა, მწვანე საფარის მოვლა; 6917 ხის სხვლა-ფორმირება.

**02 09 13 კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩოლურეთის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჩოლურეთის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 3,957.9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,903.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: შენობა-ნაგებობების ნანგრევებისგან გაწმენდის,

სამშენებლო ნაგვისა და ჩამოშლილი გრუნტის გატანის სამუშაოები (96 მისამართი), საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები (34 მისამართი), ახალი სკვერების, მინი სტადიონის მოწყობისა (2 მისამართი) და არსებული სკვერებისა (57 მისამართი) და სპორტული მოედნების (26 მისამართი) მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები, მოძრაობის შემზღუდავი ბარიერის (100 ცალი ბოძკინტი) მოწყობის სამუშაოები, მცირეფასიანი ქუჩის ავეჯის (5 ცალი სანაგვე ურნა და 35 ცალი საპარკე სკამი) და 7 ცალი საჩრდილობელის განთავსება თანამდევი მონტაჟით, ფიტნეს ტრენაჟორების შეძენა-მინტაჟი (3 მისამართი), გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის ხეების გასხვლა, ფორმირება, მოჭრა, დამუშავება-გატანა, 34 ძირი მერქნიანი მცენარეების შეძენა-დარგვა და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა), წყალსადენ-კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოები (1 მისამართი), დ. აღმაშენებლის გამზ. N65-ში სანიაღვრე ჭის მოწყობისა და ფიროსმანის ქ.N29-ში სანიაღვრე ქსელის მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები, რკინა ბეტონის კიბეებისა და ბეტონის ფილების მოწყობის სამუშაოები (8 მისამართი), მოაჯირეებისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მოწყობის სამუშაოები (24 მისამართი), შ.არაგვისპირელის ქუჩა N24-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ჩამოშლილი ნაწილის დემონტაჟი, გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება (4 ოჯახი), 4 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მოეწყო 3 ახალი სკვერი, 1 სპორტული მოედანი და 1 მისამართზე სპორტული ტრენაჟორების კომპლექტი, განხორციელდა 44 სკვერის, 23 სტადიონის რეაბილიტაცია (მათ შორის: ბმა-ს საკუთრებაში არსებული 1 სპორტული მოედანი).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მოეწყობა 2 ახალი სკვერი, 1 ახალი სპორტული მოედანი და 2 მისამართზე სპორტული ტრენაჟორი, განხორციელდება 55 სკვერის და 23 სტადიონის რეაბილიტაცია.

*მიღწეული მაჩვენებელი* - მოეწყო 2 ახალი სკვერი, 1 სპორტული მოედანი და 3 მისამართზე სპორტული ტრენაჟორების კომპლექტი, განხორციელდა 57 სკვერის, 26 სტადიონის რეაბილიტაცია.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მოეწყო 30 ახალი საყრდენი კედელი 2 069 კუბ.მ და 1 მისამართზე სანიაღვრე ქსელი (14 გრძ.მ), განხორციელდა 4 მისამართზე 257.5 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციის ქსელის აღდგენა-რეაბილიტაცია და მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მოეწყობა 3271.3 კუბ.მ ახალი საყრდენი კედელი და 80 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი, შეკეთდება 170.8 გრძ.მ. წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი.

*მიღწეული მაჩვენებელი* - მოეწყო 34 ახალი საყრდენი კედელი 3349 კუბ.მ და 1 მისამართზე მოწყო სანიაღვრე ჭა, 1 მისამართზე განხორციელდა სანიაღვრე ქსელის (12 გრძ.მ) და 1 მისამართზე 115 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციის ქსელის მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები.

**3.საბაზისო მაჩვენებელი** - 2017-2020 წლის განმავლობაში სხვადახვა უბნების მიხედვით გაზიფიცირდა 80 ოჯახი, მათ შორის 2020 წელს გაზიფიცირდა 2 ოჯახი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დამატებით იგეგმება 5 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

*მიღწეული მაჩვენებელი* - მომართვიანობიდან გამომდინარე, გაზიფიცირებულია სოციალურად დაუცველი 4 ოჯახი.

**4.საბაზისო მაჩვენებელი** - რაიონის გამგეობა მოვლა-პატრონობას (რგვები, სხვლა ფორმირება, თიბვა) უწევს 25000 კვ.მ. გამწვანებულ ტერიტორიას, 2021 წელს დარგულია 32 ძირი ხე და განხორციელდა 1122 ძირი ხის გასხვლა-ფორმირება.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია 100-მდე ძირის ხის დარგვა და 1120 ძირი ხის გასხვლა- ფორმირება.

*მიღწეული მაჩვენებელი* - დარგულია 32 ძირი ხე და განხორციელდა 1049 ძირი ხის გასხვლა-ფორმირება.

**02 09 14 კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ვაკის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 5,405.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 5,277.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის: ხეების გასხვლა-გადაბელვისა და მოჭრის სამუშაოები (3493 ძირი) და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა), საყრდენი კედლების (2 მისამართი -330კუბ.მ) მოწყობის სამუშაოები, მცირეფასიანი საპარკე სკამების შეძენა-მონტაჟი (319 საპარკე სკამი), ახალი სკვერების მოწყობის (8 მისამართი. მათ შორის: სოფელ თხინვალაში გიორგი ანწუხელიძის სახელობის სკვერი) და არსებული სკვერების აღდგენა-რეაბილიტაციის მიმდინარე (3 მისამართი) და ფრაგმენტული შეკეთებითი სამუშაოები (49 მისამართი), ახალი სპორტული მოედნის (3 მისამართი) და არსებული სპორტული მოედნების აღდგნა-რეაბილიტაციის, მიმდინარე (4 მისამართი) და ფრაგმენტული შეკეთებითი სამუშაოები (65 მისამართი), კიბეების მოწყობა (2 მისამართი), წყალსადენ-კანალიზაციის სადრენაჟე და სანიაღვრე ქსელების მოწყობა (2 მისამართი - 147გრძ.მ), ღობეების მოწყობა (542 გრძ.მ), ქობულეთის N17-ში, შშმ პირთათვის დამოუკიდებელი სარგებლობისათვის, სპეციალური ვერტიკალური გადაადგილებადი პლატფორმის (ლიფტი) შეძენა-მონტაჟი, გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება (9 ოჯახი), 17 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და მარუხის გმირების ქუჩა N11-ის მიმდებარედ ფერდის ჩამოშლის შედეგად საექსპერტო მომსახურების ხარჯები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მოეწყო 5 ახალი სკვერი და 3 ახალი სპორტული მოედანი, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 არსებულ სკვერს და 2 არსებულ სპორტულ მოედანს.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია 6 ახალი სკვერის და 3 ახალი სპორტული მოედნის მოწყობა, რეაბილიტაცია ჩუტარდება 4 არსებულ სპორტულ მოედანს და 5 არსებულ სკვერს.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მოეწყო 8 ახალი სკვერი და 3 ახალი სპორტული მოედანი, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 არსებულ სპორტულ მოედანს და 3 არსებულ სკვერს.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მოეწყო 673 გრძ.მ ახალი მოაჯირი, 5 მისამართზე მოეწყო 356 კუბ.მ საყრდენი კედელი, 2 მისამართზე მოეწყო 459 გრძ.მ ახალი სანიაღვრე ქსელი, 6 მისამართზე განხორციელდა ქუჩის დამაკავშირებელი კიბეების რეაბილიტაცია.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მოეწყობა 525 გრძ.მ ახალი მოაჯირი, 2 მისამართზე - 333კუბ.მ საყრდენი კედელი, 3 მისამართზე მოეწყობა 426 გრძ.მ ახალი სანიაღვრე ქსელი, 2 მისამართზე განხორციელდება ქუჩის დამაკავშირებელი კიბეების რეაბილიტაცია.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მოეწყო 524 გრძ.მ ახალი მოაჯირი, 2 მისამართზე მოეწყო 330 კუბ.მ საყრდენი კედელი, 2 მისამართზე მოეწყო 147 გრძ.მ ახალი სანიაღვრე ქსელი, 2 მისამართზე განხორციელდა ქუჩის დამაკავშირებელი კიბეების რეაბილიტაცია.

**3.საბაზისო მაჩვენებელი** - 2017- 2020 წლების განმავლობაში სხვადასხვა უბნების მიხედვით გაზიფიცრდა 59 ოჯახი, მათ შორის 2020 წელს მომართვიანობიდან გამომდინარე გაზიფიცირდა 3 ოჯახი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დამატებით 10 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მომართვიანობიდან გამომდინარე, გაზიფიცირებულია სოციალურად დაუცველი 9 ოჯახი.

**4.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა ჩატარდა დაახლოებით 218750 კვ.მ ფართობის ტერიტორიაზე, ხეების გასხვლა-გადაბელვისა და მოჭრის სამუშაოები ჩაუტარდა 2140 ძირ ხეს.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია 2208-მდე ძირის სხვლა ფორმირება და 437500 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა ჩატარდა დაახლოებით 437500 კვ.მ ფართობის ტერიტორიაზე, ხეების გასხვლა-გადაბელვისა და მოჭრის სამუშაოები ჩაუტარდა 3493 ძირ ხეს.

**02 09 15 კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** საბურთალოს რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 6,883.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 6,877.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის: ხეების გასხვლა-გადაბელვისა (3977 ძირი) და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა), სკვერებში წყლისა და ელექტროენერგიის ხარჯები, მძიმე ტექნიკით გზის გაწმენდის მომსახურების შესყიდვა, სკვერის მხატვრული გაფორმების მომსახურების შესყიდვა, მირიან მეფის ქუჩა N49-ის მიმდებარე წრიულზე არსებული დეკორატიული ღობისა და მიცკევიჩის ქუჩა N7-ში არსებული შენობის დემონტაჟი, არსებული სკვერების ელექტროენერგიის სისტემაზე (2 მისამართი) და წყალმომარაგების სისტემაზე (4 მისამართი) ახალ მომხმარებლებად მიერთება, ახალი სკვერის მოწყობისა (7 მისამართი), არსებული სკვერების აღდგენა-რეაბილიტაციისა (4 მისამართი) და ფრაგმენტული შეკეთებითი სამუშაოები (148 მისამართი), სპორტული მოედნების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები (13

მისამართი), უსაფრთხოების მოაჯირეებისა და დეკორატიული ღობეების შეძენა მონტაჟი (7 მისამართი), საყრდენი კედლების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები (2 მისამართი), კიბეების აღდგენა-მოწყობის სამუშაოები ბახტრიონის ქ.N24, N28-ის და ცინცაძის ქ.N85-ის მიმდებარედ, 7 ეკლესია-მონასტერის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მოეწყო 3 ახალი სკვერი, განხორციელდა 1 მისამართზე სკვერისა და 14 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია და 123 სკვერში დაზიანებული ინვენტარის აღდგენა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მოეწყობა 10 ახალი სკვერი, განხორციელდება 4 მისამართზე სკვერისა და 13 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია, 120 სკვერში მოხდება დაზიანებული ინვენტარის აღდგენა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მოეწყო 7 ახალი სკვერი, განხორციელდა 4 მისამართზე სკვერისა და 13 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია და 148 სკვერში დაზიანებული ინვენტარის აღდგენა.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს განხორციელდა 1 მისამართზე სანიაღვრე ქსელის, 10 მისამართზე 788 კუბ.მ საყრდენი კედლისა და 2 მისამართზე კიბეების აღდგენა-რეაბილიტაცია, მოეწყო 565 გრძ.მ უსაფრთხოების ღობე და მოაჯირი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - განხორციელდება 2 მისამართზე 118 კუბ.მ საყრდენი კედლისა და 3 მისამართზე კიბეების აღდგენა-რეაბილიტაცია 3152კვ.მ, მოეწყობა 1522 გრძ.მ უსაფრთხოების ღობე და მოაჯირი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - განხორციელდა 2 მისამართზე 582.3 კუბ.მ საყრდენი კედლისა და 2 მისამართზე კიბეების აღდგენა-რეაბილიტაცია 980 კვ.მ, მოეწყო 800 გრძ.მ უსაფრთხოების ღობე და მოაჯირი.

**3.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს განხორციელდა 4400 ძირის სხვლა ფორმირება და 320 ათასი კვმ.მ გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა (თიბვა, მორწვა, გაფოცხვა).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია 6124-მდე ძირის სხვლა ფორმირება და 200000 კვმ.მ გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა (თიბვა, მორწვა, გაფოცხვა).

***მიღწეული მაჩვენებელი*** - განხორციელდა 3977 ძირის სხვლა ფორმირება და 120000 კვმ.მ გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა (თიბვა, მორწვა, გაფოცხვა).

**02 09 16 კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ისნის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 6,596.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 6,565.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.5%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: ავარიული ხეების გადაბელვა-გასხვლა და მოჭრა (2807 ხე), გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა, გამწვანებულ ზოლებში გარე სანათების მიმდინარე შეკეთება, სპორტული მოედნების (14 მისამართი) და სკვერების (23 მისამართი) მოწყობა-რეაბილიტაცია; დაზიანებული კიბე-პანდუსის (6 მისამართი) და დაზიანებული საყრდენი კედლების მიმდინარე შეკეთება (6 მისამართი); დაზიანებული შენობა-ნაგებობის კონსტუქციების დემონტაჟის, დამზღვევი ღონისძიებების, არსებულ სკვერებში, სპორტულ და საბავშვო გასართობ მოედნებზე დაზიანებული ფრაგმენტების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები (156 მისამართი), სარკინიგზო მაგისტრალის ქვეშ გვირაბის რეაბილიტაცია; ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავის შეკეთება, სოციალურად დაუცველი 69 ოჯახის საცხოვრებლის გაზიფიცირება. ასევე, გაწეულია 12 ეკლესიის ფინანსური დახმარების, საინჟინრო-

საპროექტო, საექსპერტო მომსახურების, დეფექტური აქტების შედგენის და ზედამხედველობის ხარჯები და სხვა. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 32.3 ათასი ლარი, ვაზისუბნის IV მ/რ, II კვ, №5 კორპუსში სახურავის ფილის (ე.წ პეკაჟი) ჩამონგრევის შედეგად, სახურავის დაზიანებული ნაწილის და სხვა დაზიანებული კონსტრუქციათა აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების განსახორციელებლად.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მოეწყო და რეაბილიტირებულ იქნა 37 სკვერი, 8 სპორტული მოედანი და 4 ერთეული ფიტნეს-ტრენაჟორი ფანჩატურით.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება 17 სკვერს და 10 სპორტულ მოედანს, დამონტაჟდება 5 ერთეული ფანჩატური-ტრენაჟორებით.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მოეწყო და რეაბილიტირებულ იქნა 23 სკვერი, 14 სპორტული მოედანი.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - არსებული განსხვავება გამოიწვია საპროექტო დოკუმენტაციის დაზუსტებამ, სამუშაოთა მოცულობის ზრდამ.

**2.საბაზისო მაჩვენებელი –** 2021 წელს რეაბილიტირებული იქნა 6 ერთეული (295 კუბ.მ) საყრდენი კედელი, მოეწყო 11 ერთეული კიბე პანდუსი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული იქნება 4 ერთეული (230 კუბ.მ) საყრდენი კედელი, მოეწყობა 3 ერთეული კიბე-პანდუსი

***მიღწეული მაჩვენებელი*** - რეაბილიტირებულ იქნა 6 ერთეული (350 კუბ.მ) საყრდენი კედელი, მოეწყო 6 ერთეული კიბე პანდუსი.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - მეტი სამუშაოების განხორციელება გამოიწვია საპროექტო დოკუმენტაციის დაზუსტებამ და სამუშაოთა მოცულობის ზრდამ.

**3.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს გაზიფიცირრებულია სოციალურად დაუცველი 8 ოჯახი

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დამატებით იგეგმება სოციალურად დაუცველი 69 ოჯახის გაზიფიცირება.

*მიღწეული მაჩვენებელი* - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**4.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს განხორციელდა 2418-მდე ძირის სხვლა-ფორმირება და 50000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის სამუშაოები.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია 10764-მდე ძირის სხვლა-ფორმირება და 50000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

*მიღწეული მაჩვენებელი* - განხორციელდა 2807-მდე ძირის სხვლა-ფორმირება და 50000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის სამუშაოები.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - სხვლა-ფორმირების სამუშაოების განხორციელება გამოიწვია ნაკლებმა მომართვიანობამ.

**02 09 17 კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** სამგორის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 10,835.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: ავარიული ხეების ჭრა და ფორმირება, სკვერების მოვლა-პატრონობა და ბალახის თიბვა; სპორტული მოედნების (10 მისამართი) და სკვერების (14 მისამართი) მოწყობის სამუშაოები; სანიაღვრე ქსელების (8 მისამართი), საკანალიზაციო ქსელების (5 მისამართი) და სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოები (1 მისამართი); საყრდენი კედლების, კიბეებისა და მოაჯირების მოწყობის სამუშოები (19 მისამართი); 40 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირების ხარჯები; შშმ პირისათვის არსებული ლიფტის დემონტაჟსა და მონტაჟის სამუშაოები (1 მისამართი); 15 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია სკვერში სათვალთვალო კამერების მოხმარებული

ელექტროენერგიის ღირებულების, სკვერებში დახარჯული წყლის ღირებულების და საპროექტო სამუშოების ხარჯები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მოეწყო 15 სკვერი და 8 სპორტული მოედანი, გრძელდება 4 სკვერის და 2 სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, რომელიც დასრულდება 2022 წელს.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მოეწყობა და რეაბილიტირებული იქნება 7 ახალი სკვერი და 10 სპორტული მოედანი

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მოეწყო 14 სკვერი და 10 სპორტული მოედანი.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მოეწყო სანიაღვრე ქსელი 9 მისამართზე და საკანალიზაციო ქსელი 15 მისამართზე.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მოეწყობა 2 მისამართზე საკანალიზაციო ქსელი, 3 მისამართზე სანიაღვრე ქსელი და 1 მისამართზე წყალსადენი ქსელი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მოეწყო სანიაღვრე ქსელი 7 მისამართზე, საკანალიზაციო ქსელი 5 მისამართზე და სარწყავი სისტემა 1 მისამართზე.

**3.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს სხვადასხვა უბნების მიხედვით გაზიფიცირებულია სოციალურად დაუცველი 86 ოჯახი

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დამატებით 75 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მოსახლეობის მომართვიანობიდან გამომდინარე განხორციელდა 40 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - მოსახლეობის მხრიდან შემცირდა მომართვიანობა.

**02 09 18 კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კრწანისის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 5,406.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 5,207.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.3%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული

ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში განხორციელდა და დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: მიტოვებული სამშენებლო ნარჩენების სანქციონირებელ ნაგავსაყრელზე გადაყრა, რაიონის ტერიტორიაზე სხვადასხვა მცირე მიმდინარე სარემონტო სამუშაოები (123 მისამართი), გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების დამუშავება-გატანა და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა), ავარიული სახლების წინმსწრები დამზღვევი ღონისძიებების სამუშაოები (30 მისამართი), ორთაჭალის ქ.#4-ის მიმდებარედ საბავშვო კუთხის მოწყობის სამუშაოები, ახალი სკვერისა (2 მისამართი - მათ შორის 1 სკვერის მოწობა გრძელდება) და სპორტული მოედნის (1 მისამართი) მოწყობისა და არსებული სკვერის (1 მისამართი) და სპორტული მოედნის (3 მისამართი) რეაბილიტაციის სამუშაოები, ფიტნეს ტრენაჟორების (1 მისამართი) მოწყობის სამუშაოები, თაბორის მთის ტერიტორიაზე დასასვენებელი სივრცის და საფეხმავლო ბილიკის მოწყობის პირველი ეტაპის სამუშაოები, საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები (10 მისამართი), 300 არაგველის სახელობის სკვერში მარადიული ცეცხლის ბუნებრივი აირის ხარჯები, მორწყვისა და ნიჟარებიდან სასმელი წყლის ხარჯები, დროებითი ღობეების მოწყობა დემონტაჟის სამუშაოები (7 მისამართი), აბანოს ქ.#23-ში არსებული შენობის ფასადის (აივნების) რეაბილიტაციის სამუშაოები, ერთი ცალი ბიოტუალეტის ქირის ხარჯები. კიბეების რეკონსტრუქციის სამუშაოები (3 მისამართი), 220 ცალი მოძრაობის შემზღუდავი ბარიერის შეძენა, ელექტრობოლარდებისა და შადრევნების ელექტოენერგიის ხარჯები, ზემო ფონიჭალაში კორპუსი N2-3-7-9-11-ის მიმდებარედ არსებული პარკის დაცვის ხარჯი, რაიონის ტერიტორიაზე 1562 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების მიმდინარე შეკეთებითი სამუშოები, ფონიჭალაში სვანების დასახლებაში წყალანირების ქსელის მოწყობის სამუშაოები, 5 ეკლესია-მონასტერის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები და

2021 წლის შესრულებული სამუშაოებიდან ხარისხის გარანტიის მიზნით დაკავებული 2.5% - 52.4 ათასი ლარი და სხვა.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს განხორციელდა 7 მისამართზე ახალი სკვერისა და 1 მისამართზე 1 ახალი სპორტული მოედნის მოწყობა, დამონტაჟდა 2 სპორტული ტრენაჟორი, 3 მისამართზე სკვერისა და 2 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია 4 ახალი სკვერისა და 4 სპორტული მოედნის მოწყობა, 1 კომპლექტი სპორტული ტრენაჟორების შეძენა-მონტაჟი, 3 არსებული სკვერისა და 3 სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - განხორციელდა 2 მისამართზე ახალი სკვერისა (მათ შორის შორის 1 სკვერის მოწყობა გრძელდება) და 1 მისამართზე 1 ახალი სპორტული მოედნის მოწყობა, დამონტაჟდა 1 სპორტული ტრენაჟორი, 1 მისამართზე სკვერისა და 3 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - არსებული განსხვავება გამოიწვია საპროექტო დოკუმენტაციის დაზუსტებამ.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს განხორციელდა 815 გრძ.მ სანიაღვრე და კანალიზაციის ქსელის და 60 კუბ.მ საყრდენი კედლის მოწყობა-რეაბილიტაცია.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მოეწყობა 2000 გრძ/მ სანიაღვრე და 2000 გრძ.მ საკანალიზაციო ქსელი, საყრდენი კედელის მოწყობა - რეაბილიტაცია განხორციელდება 188 კუბ.მ.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - განხორციელდა 1562 გრძ.მ საკანალიზაციოს ქსელის მიმდინარე შეკეთება და 160 კუბ.მ საყრდენი კედლის მოწყობა-რეაბილიტაცია.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - არსებული განსხვავება გამოიწვია საპროექტო დოკუმენტაციის დაზუსტებამ და ხელშეკრულებების გამრავალწლიანებამ.

**3.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს განხორციელდა 1207-მდე ძირის სხვლა-ფორმირება, 154 ძირის მოჭრა-გატანა, ჩატარებულია 25000-დან - 40000-მდე კვმ გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა (დარგვა, სხვლა-ფორმირება).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია 1655-მდე ძირის სხვლა ფორმირება და 40000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

*მიღწეული მაჩვენებელი* - დაგეგმილი მაჩვენებლი შესრულდა.

**02 09 19 კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** მთაწმინდის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 4,765.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 4,745.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: დასრულდა, 2021 წელს დაწყებული სარეკრეაციო სივრცის მოწყობის სამუშაოები (1 მისამართი); დაზიანებული შენობა-ნაგებობების ნანგრევებისაგან ტერიტორიის გაწმენდის, ავარიული ელემენტების აღდგენის, სამშენებლო ნაგვისა და გრუნტის გატანის სამუშაოები; გრუნტის დამჭერი კედლის მოწყობის სამუშაოები (11 მისამართი); სკვერის მოწყობის სამუშაოები (5 მისამართი); სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები (6 მისამართი); გამწვანებული ტერიტორიების მოვლის, ხეების დარგვა, სხვლა-ფორმირების ხარჯები; ხანძრისაგან დაზიანებული საცხოვრებელი სახლების (4 მისამართი), შენობის (1 მისამართი) შეკეთების სამუშაოები; წყალსადენ-კანალიზაციის და სანიაღვრე ქსელების მოწყობის, აღდგენა-შეკეთება-რეაბილიტაციის და საკანალიზაციო მილების გაწმენდის სამუშაოები; შეძენილი და დამონტაჟებულია (100 ცალი) მოძრაობის შემზღუდავი ბარიერის ბოძი და საბაღე სკამი (50 ცალი); სტადიონის

შეკეთების/რეაბილიტაციის სამუშაოები (12 მისამართი); შადრევან-აუზების ექსპლუატაცია და მოვლა-პატრონობის ხარჯი; ტაბახმელაში სარეკრეაციო სივრცის მოწყობის სამუშაოები; 5 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო დოკუმენტაციისა და დეფექტური აქტების მომზადების ხარჯები და სხვა.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1. საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს რეაბილიტირებული იქნა 18 სკვერი და 4 სპორტული მოედანი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - რეაბილიტირებული იქნება 2 სკვერი და 2 სპორტული მოედანი, მოეწყობა 1 ახალი სკვერი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მოეწყო 5 ახალი სკვერი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 6 სკვერს და 2 სპორტულ მოედანს, შეკეთდა 10 სპორტული მოედანი.

**2. საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს შეკეთდა 861.5 გრძ.მ წყალკანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მოეწყობა 369 გრძ.მ ახალი სანიაღვრე და შეკეთდება 1000 გრძ.მ. წყალკანალიზაციის ქსელი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - შეკეთდა 1262.2 გრძ.მ წყალ-კანალიზაციის ქსელი.

**3. საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მოეწყო და შეკეთდა 427.64 კუბ.მ საყრდენი კედელი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მოეწყობა და შეკეთდება 648 კუბ.მ 11 ერთეული საყრდენი კედელი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მოეწყო და შეკეთდა 746.17 კუბ.მ 11 ერთეული საყრდენი კედელი.

**4. საბაზისო მაჩვენებელი** - რაიონის ტერიტორიულ საზღვრებში სისტემატიურად ტარდება გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (მათ შორის რგვები, სხვლა ფორმირება, თიბვა), 2021 წელს განხორციელდა 2500-მდე ძირი მცენარის და 150 000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია 2600-მდე ძირი ხე-მცენარის დარგვა და 150 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა

*მიღწეული მაჩვენებელი* - განხორციელდა 2500-მდე ძირი ხე-მცენარის დარგვა და 150 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა

**02 10 ქალაქის განვითარების ხელშეწყობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი

**2022 წლის გეგმა** - 50,799.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 35,337.1 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი და სხვა კაპიტალური გრანტები - 27,977.7 ათასი ლარი), რაც გეგმის 69.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** შენარჩუნებული თბილისის კულტურული მემკვიდრეობა რეაბილიტირებული საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურა, უძრავი ქონების ღირებულების ზრდა, პროექტირების მიმართულება, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“(ADB) ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების ფარგლებში გადახდილი დღგ.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 376.8 ათასი ლარი). გარდა ამისა, სამუშაოები მიმდინარეობდა შემდეგ მიმართულებებზე:

ფონდზე რიცხული ობიექტების დაცვით უზრუნველყოფის ხარჯები, ბინებიდან გამოყვანილი მოსახლეობის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის (ქირის) და მასთან დაკავშირებული თანმდევი ხარჯები (სულ გამოყვანილია სიით 395 ოჯახი, მათ შორის: ორბელიანის მოედანზე არსებული სახლებიდან - 26 ოჯახი, გუდიაშვილის მოედანზე არსებული სახლებიდან - 141 ოჯახი, წინამძღვრიშვილის N1-დან - 76 ოჯახი, ჯავახიშვილის N14-დან - 5 ოჯახი, ერეკლეს მოედანი N6-7 – 13 ოჯახი, რომის N4 – 31 ოჯახი, ანტონ კათალიკოსის - 12 ოჯახი, თაბუკაშვილის N46 – 22 ოჯახი, ლაღიძის N2 – 47 ოჯახი, სხვადასხვა ობიექტებიდან - 22 ოჯახი), ბინებიდან გამოყვანილი მოსახლეობის ნივთების გადაზიდვა დაცულ საწყობში (სულ განხორციელდა 699 რეისი) სამშენებლო სამუშაოების განმავლობაში თანმდევი ხარჯები.

**ცხრილში** წარმოდგენილია საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის (ქირის) მიზნით, ბინებიდან გამოყვანილი ოჯახების რაოდენობა

| N | მისამართი | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აბესაძის ქუჩა | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | **144** |
| 2 | აბო თბილელის ქუჩა | 45 | 45 | 45 | 45 | 45 | 45 | 45 | 45 | 45 | 45 | 45 | 45 | **540** |
| 3 | ანტონ კათალიკოსის ქუჩა | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 12 | 0 | 0 | **120** |
| 4 | ახოსპირელის ქუჩა | 23 | 17 | 17 | 17 | 17 | 17 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | 15 | **198** |
| 5 | ბოტანიკური | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | **48** |
| 6 | გოგირდის შესახვევი | 4 | 4 | 4 | 4 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | **40** |
| 7 | ერეკლე მეორეს მოედანი | 13 | 13 | 13 | 13 | 13 | 13 | 13 | 13 | 13 | 13 | 13 | 13 | **156** |
| 8 | დადიანის ქუჩა N16 | | | | 3 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 8 | 9 | 10 | **70** |
| 9 | კოტე მესხის შეს. N3 | | | | | | | | | 4 | 4 | 3 | 3 | **14** |
| 10 | ლერმონტოვის ქუჩა | 20 | 20 | 20 | 20 | 20 | 20 | 20 | 20 | 20 | 20 | 20 | 20 | **240** |
| 11 | ორბელიანის ქუჩა | 19 | 19 | 19 | 19 | 19 | 19 | 19 | 19 | 19 | 19 | 19 | 19 | **228** |
| 12 | რომის ქუჩა | 30 | 30 | 30 | 31 | 31 | 31 | 31 | 31 | 31 | 31 | 31 | 31 | **369** |
| 13 | საიათნოვას ქუჩა | 19 | 19 | 19 | 19 | 19 | 19 | 19 | 19 | 19 | 19 | 19 | 19 | **228** |
| 14 | სამღებროს ქუჩა | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | **48** |
| 15 | ფურცელაძის ქუჩა | 7 | 7 | 7 | 7 | 7 | 7 | 7 | 7 | 7 | 7 | 7 | 7 | **84** |
| 16 | წინამძღვრიშვილის ქუჩა | 76 | 76 | 75 | 74 | 74 | 74 | 73 | 73 | 73 | 73 | 73 | 73 | **887** |
| 17 | ჯავახიშვილის ქუჩა | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | **60** |
| 18 | ჯიბლაძის ქუჩა | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | 18 | **216** |
| 19 | თაბუკაშვილის ქუჩა N46 | 20 | 20 | 20 | 19 | 19 | 19 | 19 | 19 | 19 | 22 | 22 | 22 | **240** |
| 20 | ლაღიძის ქუჩა N2 | 45 | 46 | 45 | 46 | 46 | 46 | 46 | 46 | 46 | 46 | 46 | 47 | **551** |
| | ჯამი | **376** | **371** | **369** | **372** | **376** | **376** | **373** | **373** | **377** | **380** | **368** | **370** | **4481** |

კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის ფარგლებში ანაზღაურებულია 27.661.4 ათასი ლარის სამუშაოები, მათ შორის:

პროექტირების მიმართულებით საპროექტო სამუშაოები გრძელდება შემდეგ ობიექტებზე: გუდიაშვილი, კუპტინის N7, დადიანის N16, გუდიაშვილი, აბო თბილელის N8, N10, N12 და პურის მოედანი N6, მთაწმინდის შესახვევი N4, მიხეილ წინამძღვრიშვილის N1-ში ჩამდინარე წყლების კვლევა და პროექტირება, რომის N4-ში, შოთა ნიშნიანიძის N2-4, ნიკოლოზ ბარათაშვილის N7, 9/16, 17/26 და გუდიაშვილის მოედანზე გაზსადენი ქსელების პროექტირება.

მსხვილი არეალების რეაბილიტაციის მიმართულებით, პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში გრძელდება ლადო გუდიაშვილის მოედანზე არსებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო სარეაბილიტაციო

სამუშაოები დასრულდა აბო თბილელის ქუჩა N2, N6 და გუდიაშვილის მოედანი N9 - ში;

ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების რეაბილიტაციის ფარგლებში, მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები: წინამძღვრიშვილის N1-ზე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის, ორბელიანის N19-23, რომის N4-ზე, ფურცელაძის N30-32-34-ზე, თაბუკაშვილის N46, ერეკლე მეორის N6-7 და სხვა ობიექტებზე, ხოლო სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა ანტონ კათალიკოსის N30-32-ში;

ისტორიული სადარბაზოების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში დასრულდა დავით აღმაშენებლის N111 სადარბაზოს სარეაბილიტაციო და რომის N4 ინტერიერის ჭერის მხატვრობის რესტავრაციის სამუშაოები;

მუზეუმების რეაბილიტაციის ფარგლებში გრძელდება აბრეშუმის მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 1.0 ათასი ლარი ქალაქ თბილისში, ზ. ფალიაშვილის ქუჩა N48-ში მდებარე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ტექნიკური (აზომვითი ნახაზი) დოკუმენტაციის მოსამზადებლად საჭირო ხარჯების ანაზღაურების მიზნით;

გარდა ამისა, 2019 წლის 9 დეკემბერს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების №6034-GEO თანახმად, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ ფარგლებში გაწეულია 633.7 ათასი ლარი (მათ შორის სხვა კაპიტალური გრანტები - 316.2 ათასი ლარი) საკონსულტაციო მომსახურებისათვის გადახდილი დღგ - 218.4 ათასი ლარი, ხოლო 415.3 ათასი ლარი - პროექტის ფარგლებში ინდივიდუალურ კონსულტანტებზე გაწეული შრომის ანაზღაურების ხარჯები. აღსანიშნავია, რომ სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება თბილისში მდინარე მტკვარზე საზოგადოებრივი და ტურისტული სატრანსპორტო მომსახურების განვითარებისთვის, მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის შემუშავება, აუდიტის მომსახურება, ვერის პარკის

რეაბილიტაციის და თბილისის იერსახის გაუმჯობესების დეტალური დიზაინი, დიღმის პარკის მშენებლობის ზედამხედველობა.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - სარეაბილიტაციო 128 საცხოვრებელი სახლი (მათ შორის 105 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, თანმდევი ქუჩების, რეკრეაციული ზონების და საინჟინრო-საკომუნიკაციო სისტემების კეთილმოწყობით.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - რეაბილიტაცია ჩაუტარდება 21 საცხოვრებელ სახლს (მათ შორის 11 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს), 1 არასაცხოვრებელ ფართს, ერთ მუზეუმს, 1 სადარბაზოს, 1 რეკრეაციულ ზონას.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - გრძელდება რეაბილიტაციის სამუშაოები 26 საცხოვრებელ სახლზე (მათ შორის 15 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი), დასრულდა 12 საცხოვრებელი სახლის და 2 სადარბაზოს სარეაბილიტაციო/ რესტავრაციის სამუშაოები.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - დაგეგმილ სამუშაოებზე, კერძოდ, სახლებზე გაიზარდა შესრულების ვადები. ასევე, გაფორმდა ახალი ხელშეკრულებები გუდიაშვილის მოედანზე მიმდებარე სახლებზე და სხვა სარეაბილიტაციო სამუშაოებზე.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - სარეაბილიტაციო არეალში საცხოვრებელი სახლის 1 კვ.მ. ღირებულება შეადგენს 2000-2500 ლარს, ხოლო კომერციული და საოფისე ფართის 1 კვ.მ. ღირებულება 2500-3000 ლარს,

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - სარეაბილიტაციო არეალში რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ საცხოვრებელი სახლის 1 კვ.მ ფართის ღირებულება იქნება 4000-4500 ლარი, ხოლო კომერციული და საოფისე ფართის 1კვ.მ ღირებულება 4500-5000 ლარი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**3.საბაზისო მაჩვენებელი** - საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის (ADB) ხელშეკრულების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (2021 წელს დასრულდება 2 ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და დაიწყება დეტალური დიზაინის მომზადება) და ახალი სესხის (ADB) გაგრძელება)

ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (დიღმის ჭალების რეკონსტრუქცია, თავისუფლების მოედნის რეკონსტრუქცია, მარჯანიშვილის მოედნის რეკონსტრუქცია, მეტროსადგურის რეკონსტრუქცია) არ ითვალისწინებს დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდას, შესაბამისად ფაქტიურად გაწეული ხარჯებისა და შესრულებული სამუშაოების მიხედვით მოხდება დღგ-ს გადახდა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - სესხის ფარგლებში ფაქტიურად გაწეული ხარჯებისა და შესრულებული სამუშაოების მიხედვით გადახდილი დღგ.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა მხოლოდ საკონსულტაციო (აუდიტორული, საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავების, მუნიციპალური პარკების მშენებლობის საზედამხედველო, საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურება) მომსახურებისათვის გადასახდელი დღგ-ს ფარგლებში.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - 2019 წლის 9 დეკემბერს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების №6034-GEO თანახმად, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ ფარგლებში გაწეულია მხოლოდ საკონსულტაციო მომსახურებისათვის გადასახდელი დღგ-ს ფარგლებში, ხოლო მშენებლობის ნაწილში მიმდინარეობს სატენდერო დოკუმენტაციების დამუშავება და ტენდერები გამოცხადდება 2023 წელს.

4. **საბაზი მაჩვენებელი** - პროგრამა „ახალი ტფილისის“ფარგლებში დაგეგმილია 30 საცხოვრებელი სახლის (მათ შორის 20 მემკვიდრეობის ძეგლის), 5 სადარბაზოს, 2 მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტირება. 2021 წელს განხორციელდა ჩამდინარე წყლების კვლევა და პროექტირება 8 ობიექტზე, ხოლო გაზსადენი ქსელების პროექტირება - 7 ობიექტზე.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საცხოვრებელი სახლების (მათ შორის მემკვიდრეობის ძეგლების), სადარბაზოების, მუზეუმების რეაბილიტაციის მიზნით შემუშავებული პროექტები.

*მიღწეული მაჩვენებელი* - მიმდინარეობს 16 საცხოვრებელი სახლის პროექტირება (მათ შორის 11 მემკვიდრეობის ძეგლი).

**განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) -** აუთვისებლობა გამოწვეულია სხვადასხვა ობიექტური გარემოებების გამო, კერძოდ: ჩამოიშალა მომიჯნავე ავარიული შენობები, გაჭიანურდა მოსახლეობასთან მოლაპარაკებების პროცესი, ვერ მოხერხდა არქეოლოგიური გადაწყვეტილებების მიღება, რამაც გამოიწვია არქიტექტურული და კონსტრუქციული პროექტის ახალი საპროექტო მომსახურების შესყიდვა. ვერ მოხერხდა გაზის სამუშაოების დასრულება და სხვა

**02 12 ავარიული სახლების ჩანაცვლება**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი, სამგორის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 906.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 676.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 74.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ძველი შენობების ახლით ჩანაცვლება (რეაბილიტირებული საცხოვრებელი კორპუსები), ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში ბინის მფლობელების ბინის ქირით უზრუნველყოფა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაფორმდა ხელშეკრულება კალოუბნის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.20.017.008) მდებარე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ჩანაცვლების მიზნით, ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კონცეპტუალური დიზაინ - პროექტისა და დეტალური საინჟინრო-საპროექტო სამუშაოების განსახორციელებლად (შესრულებულია პირველი ეტაპის სამუშაოები), ხოლო სამგორის რაიონში, ვარკეთილის დასახლება, მასივი 3, კვარტალი 7, კორპუსი 12, მდებარე 1295 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.20.024.030) არსებული 4 სართულიანი ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის დემონტაჟისა და მის ნაცვლად ახალი 10 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო (მათ შორის, სარემონტო) სამუშაოებზე მიმდინარეობს სამუშაოები - გაცემულია ავანსი 550.0 ათასი ლარის ოდენობით (პროექტი ხორციელდება კერძო

სექტორის ჩართულობით და მხარდაჭერით, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 6,458.3 ათასი ლარი, მათ შორის ფონდის წილი შეადგენს 791.3 ათას ლარს 12,25%).

ასევე, გაწეულია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N10-48 დადგენილების დანართის, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, ავარიული სახლის ადგილას ახალი შენობა-ნაგებობის აშენების, ექსპლუატაციაში მიღების და შესაბამისი ფართის გადაცემამდე, სამგორის რაიონში, ვარკეთილი III მასივი VII კვარტალი კორპუსი N12-დან გამოყვანილი 17 ოჯახის ქირით უზრუნველყოფის ხარჯები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - ქალაქის მასშტაბით საჭიროა ძველი საცხოვრებელი კორპუსების ახლით ჩანაცვლება, თანმდევი ქუჩებით, რეკრეაციული ზონებით და საინჟინრო-საკომუნიკაციო სისტემების კეთილმოწყობით.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - რეაბილიტაცია ჩაუტარდება 2 საცხოვრებელ კორპუსს

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაიწყო სამგორის რაიონში ავარიული კორპუსის (4 სართულიანი) დემონტაჟი და მის ნაცვლად ახალი 10 სართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. ასევე, დაიწყო კალოუბნის ქ.N18-ში მდებარე 1 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის პროექტირება/ხარჯთაღრიცხვის მომზადება.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - სარეაბილიტაციო ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მცხოვრებთა მოლაპარაკების პროცესის გაჭიანურება (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N10/48 დადგენილება ითვალისწინებს მოსახლეობის 100%-იან თანხმობას ობიექტის რეაბილიტაციის დასაწყებად), რაც დამაბრკოლებელი გარემოება აღმოჩნდა საპროექტო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით.


**2.საბაზი მაჩვენებელი -** ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში ბინის მფლობელების ბინის ქირით უზრუნველყოფა N/A


**დაგეგმილი მაჩვენებელი** - სამგორის რაიონში III მასივი, VII კვარტალი, კორპუსი 12-დან გამოყვანილი ბინის მფლობელების (17 ოჯახი) უზრუნველყოფა ბინის ქირით.


***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

**განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში)** - აუთვისებლობა გამოწვეულია გამრეკელის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კონცეპტუალური დიზაინ პროექტისა და დეტალური საინჟინრო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის არშემდგარი ელექტრონული ტენდერის გამო.

- **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება**






**03 01 გამწვანების ღონისძიებები**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 98,792.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 78,738.1 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 36,032.4 ათასი ლარი), რაც გეგმის 79.7%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობის დასვენების პირობების გაუმჯობესება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში ქალაქში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე, ხმელი და ხმობადი ხეების სანიტარიული ჭრის ფარგლებში, მოსაჭრელად მოინიშნა 15 400 ხმელი და ხმობადი ხე და მოიჭრა 15142 ხე. ამოღებულ იქნა 415 კუნძი. ჭრები განხორციელდა თბილისის ცენტრალურ უბნებში, თბილისის ზღვის მიმდებარედ, კოჯრის სატყეოში, წყნეთის ტყეპარკსა და წყნეთის გზატკეცილზე, ვალიკო ჯუღელის გზატკეცილზე, იუნკერთა ქუჩაზე (კოჯორი) და სხვა,

თბილისის მასშტაბით გამწვანების თარგებში შეტანილია 19 481 მ3. ნოყიერი მიწა, მოჭრილი და გატანილ იქნა 9 158 მ3. სტრუქტურადარღვეული მიწის საფარი, ასფალტის საფარი და ინერტული მასა, მოიჭრა და ერთ ნიშნულზე მოსწორდა 7 350 კვ/მ. ფართობი. ჰიდროთესვის პრინციპით გამწვანების თარგებში დაითესა 204 050 კვ/მ. ბალახი, სხვადასხვა მისამართებზე დაიგო 18 059 კვ/მ. რულონური გაზონი. პარკებში, სკვერებში და ქალაქის მოედნებზე დაირგო 226 500 სეზონური ყვავილი,

განხორციელდა წინა წლებში დარგული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, კუს ტბის მიმდებარე 5.6 ჰა ფართობზე (7 600 ნერგი), ჟინვალის ქუჩის მიმდებარე 5.4 ჰა ფართობზე (9 460 ნერგი) და ზ.წერეთლის მონუმენტის - „საქართველოს მატიანე“-ს მომიჯნავედ არსებულ 6.45 ჰა ფართობზე (10 765 ნერგი). სულ მოვლა-პატრონობა (მორწყვა, ჯამების მოწყობა) ჩაუტარდა სულ 27825 ნერგს,

ტყის აღდგენა-გაშენების პროექტის ფარგლებში 13 579 სხვადასხვა სახეობის ნერგი დაირგო თბილისის ზღვის მიმდებარედ, ზარაშვილის და გ.ქუთათელაძის ქუჩების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.12.04.002.039 და მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.12.04.003.121) მომიჯნავედ არსებულ ფართობზე (საერთო ფართობით 18.3 ჰექტარი),

არსებული ხელშეკრულებების ფარგლებში სამსახურის მიერ შესყიდული იქნა (განთავსდა სანერგეში) 85 793 მცენარე (.მათ შორის 4133 - მაღალტანოვანი ხე, 2360 - დაბალტანოვანი ხე, 52300 - ბუჩქი, 27000 - ბალახოვანი მცენარე),

511 ერთეული დეკორატიული ურნა განთავსდა შემდეგ მისამართებზე: ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, პარკი მზიურის მიმდებარე ტერიტორიაზე (პოლიციასთან), ვარკეთილის I მ/რაიონი, კორპუსი 8-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილზე მდებარე, 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნის მემორიალთან, ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებულ შუა გამყოფ ზოლში. ლ. ქიაჩელის ქუჩა N7-სა და მ. ჯავახიშვილის ქუჩა N8-ის მიმდებარედ არსებულ სამაიას სახელობის სკვერში, ლიბანის ქუჩა #25-ის მიმდებარედ, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩისა და ჯავახეთის ქუჩის კვეთაზე არსებული რიგის სკვერის მიმდებარე ბულვარში, კრწანისის ქუჩა #7-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში, ვარძიის სკვერის მიმდებარე ბულვარში, ლიბანის სკვერში, სარაჯიშვილის #6-ის მიმდებარედ, დ.სარაჯიშვილის გამზირის შუა გამყოფ ზოლში, მ.თამარაშვილის შუა გამყოფ ზოლში, ქეთევან წამებულის მოედანზე, მიმინოს სკვერში, ქეთევან წამებულის მოედანზე არსებულ ერევნის სახელობის სკვერში, ოთარ რამიშვილის ქუჩაზე, ივერთუბანში, ხერხეულიძეების ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, კოსტავას ქუჩა #77-ის მიმდებარედ, მელიქიშვილის ქ.#14-ის მიმდებარედ არსებული დ.აბაშიძის სახელობის სკვერი, მ.კოსტავას N71-ის მიმდებარედ ტექსელის სკვერში, მ.გახოკიძის ქუჩა #26-ის მიმდებარედ არსებულ პარკში, ჯანსუღ კახიძის სახელობის ბაღში,

50 ერთეული ,,თბილისის” წარწერის მქონე თუჯის საპარკე სკამი განთავსდა შემდეგ მისამართებზე: ქ.თბილისში, ორბელიანის მოედანზე, ორბელიანის სახელობის სკვერში. ანტონ კათალიკოსისი ქუჩა #3-ში, ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარე ტერიტორიაზე პარკში (პოლიციასთან), დ.რონდელის ქუჩაზე, ლიბანის ქუჩა #25-ის მიმდებარედ, ოთარ რამიშვილის ქუჩაზე, ჯანსუღ კახიძის ბაღში, ვარკეთილი-3, I მიკრო რაიონი, ალექსიძის ქუჩაზე არსებულ პოლიციის ეზოში,

128 ერთეული ლითონის საპარკე სკამი განთავსდა შემდეგ მისამართებზე: ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილზე მდებარე, 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნის მემორიალთან, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩისა და ჯავახეთის ქუჩის კვეთაზე არსებული რიგის სკვერის მიმდებარე ბულვარში, ვარძიის სკვერი, დ.სარაჯიშვილის გამზირის შუა გამყოფ ზოლში, მ.გახოკიძის ქუჩა #26-ის მიმდებარედ არსებულ პარკში, დ.სარაჯიშვილის გამზირის შუა გამყოფ ზოლში, ქეთევან წამებულის მოედანზე, მიმინოს სკვერში, მელიქიშვილის ქ.#14-ის მიმდებარედ არსებული დ.აბაშიძის სახელობის სკვერი, მ.კოსტავას N71-ის მიმდებარედ,

300 ერთეული ხის დასაჯდომით ლითონის საპარკე სკამი განთავსდა შემდეგ მისამართებზე: საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩისა და ჯავახეთის ქუჩის კვეთაზე არსებული რიგის სკვერის მიმდებარე ბულვარში, ვარძიის სკვერის მიმდებარე ბულვარში, ლიბანის სკვერში, ვარძიის სკვერში, სარაჯიშვილის #6-ის მიმდებარედ, დ.სარაჯიშვილის გამზირის შუა გამყოფ ზოლში, ივერთუბანში, ხერხეულიძეების ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქეთევან წამებულის მოედანზე, მიმინოს სკვერში, მელიქიშვილის ქ.#14-ის მიმდებარედ არსებული დ. აბაშიძის სახელობის სკვერი, მ.კოსტავას N71-ის მიმდებარედ, ალ.პუშკინის სახელობის სკვერში,

120 ერთეული რკალისებრი სახელურით საპარკე სკამი განთავსდა ლ.კაჩინსკის ქუჩა #13-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში, ქეთევან წამებულის მოედანზე, ერევნის სახელობის სკვერში, მ.გახოკიძის ქუჩა #26-ის მიმდებარედ არსებულ პარკში,

94 ერთეული საბავშვო ატრაქციონი დამონტაჟდა შემდეგ მისამართებზე: ლიბანის სკვერში, სარაჯიშვილის #6-ის მიმდებარედ, ვარძიის სკვერში, გლდანის მე-6 მიკრო რაიონი, კორპუსი 7-ის მიმდებარედ არსებულ პარკში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩისა და ჯავახეთის ქუჩის კვეთაზე არსებული რიგის სკვერის მიმდებარე ბულვარში, კ.გამსახურდიას სახელობის სკვერში (ე. წ. გეგეშიძის ბაღი), დ.სარაჯიშვილის გამზირის შუა გამყოფ ზოლში, ქეთევან წამებულის მოედანზე, არსებულ ერევნის სახელობის სკვერში, მ.გახოკიძის ქუჩა

#26-ის მიმდებარედ არსებულ პარკში, ორხევის დასახლება, ახვლედიანის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში, 9 აპრილის სახელობის პარკში, ვარკეთილი 3,IIIა მიკრო რაიონი, კორპუსი 325-ის მიმდებარედ არსებული პარკში, რიყის პარკი, ალ.წურწუმიას ქ.N4-ში მდებარე სკვერში, ივერთუბანში, ხერხეულიძეების ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე,

სარწყავი სისტემა მოეწყო 48 ობიექტზე: თაყაიშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული თარგები და ამავე ქუჩის შუა გამყოფი ზოლი, ვარკეთილის ზემო პლატო მე-2 მიკრო (ვარკეთილის ხევი), ვარკეთილის დასახლება მე-3 კვ. III მ/რაიონი, ვარკეთილის დასახლება მე-3 კვ. II მ/რაიონი კორპუსი N-10 ის მიმდებარედ, ვარკეთილის ხევში II მიკრო რაიონი 01.19.20.007.096 საკადასტრო კოდის მიმდებარედ, ვარკეთილის დასახლება, დ.ალექსიძის ქუჩის შუა გამყოფ ზოლში და ამ ქუჩაზე არსებული პარკის წინა თარგებში, თბილისის ზღვის მიმდებარედ (01.12.04.003.121), წერეთლის მონუმენტის მიმდებარედ (დართება), თბილისის ზღვის წერეთლის მონუმენტის მიმდებარედ (დაერთება), თბილის ზღვის მიმდებარედ სანერგეში, წყლის 10000ლ. ავზის მოწყობა-მონტაჟი, წყნეთის გზატკეცილი, ბაგების შუა გამყოფი ზოლის არსებული თარგები (მათ შორის ჰორიზონტ. ბურღვა), ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, ქ.დედოფლის გამზირი #12-ის მიმდებარედ, მზიურის პარკში მედიათიკის შენობის ირგვლივ არსებული თარგი, მზიურის პარკი, ტბის მიმდებარედ, კახეთის გზატკეცილის განაპირა ზოლში არსებულ თარგში, კახეთის გზატკეცილი (01.19.22.001.006), ვახუშტის ხიდის მიმდებარედ, ცირკის ასასვლელი არსებული ტერიტორია, ქ.თბილისი, ვაშლიჯვრის გზაზე ახალ გზაგამყოფ კუნძულებზე, 9 აპრილის ბაღში, ქორწინების სახლის მიმდებარედ, ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება, ნოდარ დუმბაძის გამზირზე, ვაკის პარკის შესასვლელი, ვაკის პარკი (შადრევნის მიმდებარედ), ავლაბრის მოედნის მიმდებარედ მიმონოს სკვერი, რიგის ბულვარის გაგრძელება, აღმაშენებლის გამზ. და თამარ მეფის კვეთა, უნივერსიტეტის ქუჩა (საბურთალოს სასაფლაოს მიმდებარედ), ალექსიძის ქუჩისა და რიგის ბულვარის კვეთა, პ.მელიქიშვილისა გამზირისა და მ.კოსტავას ქუჩის კვეთა (შეჭრა), თბილისის საკონცერტო დარბაზის (ფილარმონია)

მიმდებარედ (შეჭრა), ქ.წამებულის მიმდებარედ, ერევნის სკვერი, ქ.წამებულის და თელავის კუთხე, საბურთალოს სასაფლაოს მიმდებარე თარგები, ავლაბრის მოადენზე არსებული შუაგამყოფი ზოლი, პ.მელიქიშვილისა ქუჩაზე - №16 სუპერმარკეტ სპარის წინ (32 შეჭრა), №8ა-ში საქართველოს ბანკის წინ (50 შეჭრა), №14 (სასტუმრო საქართველოს) მიმდებარედ (50 შეჭრა), პ.მელიქიშვილისა ქუჩაზე ,,თიბისი'' ბანკის წინ 01.15.03.014.004 საკადასტრო კოდის მიმდებარედ (40 შეჭრა), პ.მელიქიშვილის ქუჩის №1-ში 01.15.02.002.040 საკადასტრო კოდის მიმდებარედ (50 შეჭრა), მერაბ კოსტავას ქუჩაზე (ს/კ 01.15.02.009.015 (50 შეჭრა), ქეთევან წამებულის გამზირისა და თელავის ქუჩაზე არსებულ შუა გამყოფ ზოლში (ს/კ 01.17.01.125.054), პუშკინის სკვერი, გმირთა მოედანზე არსებული თარგები, ე.წ „დამპალოს დასახლებაში არსებული სკვერი,

გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის სამუშაოების ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა შემდეგ ობიექტებს: ქ.წამებულის გამზირზე ე.წ. „მიმინოს“ სკვერი, ქ.წამებულის გამზირზე ე.წ. „ფარნავაზის“ სკვერი, ავლაბრის მოედანისა და დუშეთის ქუჩის კუთხეში არსებული ერევნის სკვერი, ქ.წამებულის გამზირზე სასტუმრო შერატონ მეტეხის მიმდებარედ არსებული ფერდობი, რიგის სკვერის მიმდებარედ არსებული ბულვარი, თავისუფლების მოედანზე არსებული პუშკინის სახელობის სკვერი, ამირეჯიბის გზატკეცილზე არსებული 13 ივნისს დაღუპულთა მემორიალი და მიმდებარედ არსებული ფერდობი, ლიბანის სკვერი, სარაჯიშვილის გამზირზე N 6 არსებული სკვერი, ვარძიის სკვერი და მიმდებარე ბულვარი, კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სკვერი, მ.კოსტავასა და ტყვარჩელის ქუჩების კვეთაზე არსებული სკვერი და პ.მელიქიშვილის გამზირზე არსებული დოდო აბაშიძის სახელობის სკვერი, მოეწყო სარაჯიშვილის გამზირზე არსებული შუა გამყოფი ზოლი და ივერთუბნის სკვერი. დასრულდა ვარკეთილის II მ/რ-ში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩისა და რ.ხომლელის ქუჩის მიმდებარედ (ს/კ 01.19.20.007.055, 01.19.20.002.088) არსებული პარკის რეაბილიტაცია. ასევე, მიმდინარეობს რ.ხომლელის და ა.აბაშვილის ქუჩების კვეთაზე არსებული პარკის რეაბილიტაციის სამუშაოები, ვაკის პარკის

ტერიტორიაზე არსებული შადრევნებისა და კასკადის რეაბილიტაცია, ზღვის უბნის პარკის მოწყობის სამუშაოები,

საანგარიშო პერიოდში პროექტირების ფარგლებში მოხდა ქ.თბილისში, აბაშვილის ქუჩა N3 სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე (ს.კ: 01.19.19.005.209, 01.19.19.005.207, 01.19.19.005.210, 01.19.19.005.176, 01.19.19.005.178, 01.19.19.005.205, 01.19.19.005.174, 01.19.19.005.202, 01.19.19.005.020) პარკის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება,

ასევე, დაფინანსდა შპს ეკოსერვის ჯგუფი - 25,548.0 ათასი ლარის ოდენობით და განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

კომპანიის მოვლა-პატრონობაში არსებულ რეკრეაციულ ზონებში - თბილისის პარკებში (ვაკის პარკი, პრკი მზიური, ზღვისუბნის პარკი, ვასო გოძიაშვილის სახელობის ბაღი, პარკი მზიური, აკაკი წერეთლის სახელობის ბაღი, ვერის ბაღი, 9 აპრილის სახელობის ბაღი, დედაენის ბაღი, 9 მარტის ბაღი, პირველი რესპუბლიკის ბაღი, ჯოვანი სკუდიერის სახელობის სკვერი, რიყის პარკი, თბილისის დენდროლოგიური პარკი, ვარკეთილის სკვერი (ვარკეთილი-3 I მიკრორაიონი/პოლიციასთან), ვარკეთილის სკვერი (ვარკეთილი-3 IIIა მიკრორაიონი, N325 კორპუსის მიმდებარედ), რიგის ბაღი, ვარკეთილის ხევის პარკი (ვარკეთილის მე-2 მიკრორაიონი, N16 კორპუსის მიმდებარედ), ვეტერანთა კულტურის და დასვენების პარკი, გლდანის პარკი (მე-5 მიკრო რაიონში), გლდანის პარკი (მე-6 მიკრო რაიონში), გლდანის პარკი (მე-7 მიკრო რაიონში), გლდანის პარკი (მე-8 მიკრო რაიონში), დიღმის ტყე-პარკი, დიდი დიღომის სკვერი (მე-3 მიკრორაიონი, N3 კორპუსის მიმდებარედ), ევროპის მოედანი (მიმდებარე თარგებით), ევროპის მოედანზე - ღვინისა და მეტეხის აღმარებზე არსებული სკვერები და "ყვავილების საათი", გამწვანებული თარგი ცაბაძის ქუჩაზე და ურბანულ ზონებში არსებული გამწვანებული ტერიტორიების აგრო-ტექნიკური ღონისძიებები: ნიადაგის მომზადება (ორმოების ამოღება) მცენარეთა დარგვისთვის, მცენარეების და ნერგების დარგვა, ხე-მცენარეების გამაგრება (ჭიგოებით), მცენარეების ჯამების მოწყობა/გაფხვიერება, ბალახის სკარიფიკაცია, ბალახის შეთესვა/გათიბვა, დაფოცხვა დასუფთავება, გაზონისა და ახალგაზრდა

ხე-მცენარეების/ბუჩქების მორწყვა, დაზიანებული სარწყავი სისტემის აღდგენა, მინერალური სასუქის შეტანა, გამწვანებულ თარგებში სარწყავი სისტემის გამართვა (მფრქვევანების დამატება), ტერიტორიის ამონაყარისგან გაწმენდა, ტერიტორიის და სარეველა ბალახის გამარგვლა, ხე-მცენარების და ბუჩქების დეკორატიული სხვლა-ფორმირება, ზეხმელი და დაზიანებული მცენარეების ამოღება, თარგების მომზადება მულჩირებისთვის და მულჩის შეტანა, ნარჩენების გატანა, მცენარეების შეწამვლა, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე არსებული 12 ერთეული რეტერატის (უფასო საზოგადოებრივი ტუალეტი) მოვლა-პატრონობა და სხვა. ასევე, თბილისის ზღვის (სანატორუმ „ქართლის“) მიმდებარედ და სამღერეთის ქუჩა N3-ში მდებარე სანერგე მეურნეობების მოვლა-პატრონობა, თბილისის ტერიტორიაზე კომპანიის მოვლა-პატრონობაში არსებული მწვანე ნარგავების წამლობა სხვადასხვა მისამართებზე/ლოკაციებზე,

ქალაქის მასშტაბით სხვადასხვა მისამართებზე განხორციელდა 1675 ერთეული ხის მოჭრა, 6906 ერთეული ხის სხვლა-ფორმირება, 983 ერთეული ავარიული ხის დამუშავება, 119 ერთეული ხის კუნძების ამოღება,

განხორციელდა კომპანიის მოვლა-პატრონობაში არსებული შადრევნების მორეცხვა - დასუფთავების სამუშაოები, სხვადასხვა ლოკაციაზე მოხსნილ და დასაწყობებულ ტუმბო-ძრავებს ჩაუტარდა ელექტრო დათვალიერება და შეპოხვითი სამუშაოები, სპეციალური საპოხი მასალით. აპრილის თვიდან ჩაირთო შადრევნები ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, ხოლო ნოემბერში მოხდა შადრევნების გამორთვა და ზამთრის სეზონისათვის მომზადება. შეიცვალა 11 დაზიანებული ტუმბო, შეკეთდა შადრევნის წყლის მიწოდების და წყალანირების 12 ერთეული კვანძი, შეიღება 3 ერთეული შადრევნის წყლის შემკრები ავზი,

სასმელი წყლის სოკოს ფორმის წყაროზე 215 ერთეული დაზიანებული ეკონომიური მოხმარების ონკანები ჩანაცვლდა ახლით და 31 სხვადასხვა მისამართზე მოხდა დაზიანებული მილების აღდგენა, სრულად შეიცვალა 9 ერთეული დაზიანებული სასმელი წყლის წყარო ახალი, ექსპლოატაციაში არ მყოფი წყაროებით,

თბილისის პარკებსა და ურბანულ ზონებში არსებულ გამწვანებულ თარგებში სხვადასხვა მისამართზე, სარწყავ სისტემებზე გაიმართა (შეკეთდა) 4964 ერთეული დაზიანებული კვანძი და 4759.5 გრძივი მეტრი სხვადასხვა დიამეტრის მილი ჩანაცვლდა ახლით,

მწვანე ნარჩენების მართვის სამსახურის მიერ ანასხლავი ტოტების გადამუშავების შედეგად წარმოებულ იქნა სულ 1223.17 კუბ.მ მზა და წითელი მულჩი, საიდანაც 2,6 კუბ.მ მზა მულჩი, რომელიც მწვანე ნარჩენების მართვის სამსახურის მიერ შეტანილი იქნა ქ.თბილისში ჯანსუღ კახიძის სახელობის სკვერში, ხოლო 1220.57 კუბ.მ წითელი მულჩიდან, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 31 მარტის N22.451.493 განკარგულების საფუძველზე, 100 კუბ.მ გადაეცა ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტს, ხოლო დანარჩენი 1104.66 კუბ.მ შეტანილი იქნა თბილისის სხვადასხვა ლოკაციაზე. ასევე, თბილისის ზღვის სანატორიუმ „ქართლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მიღებული იქნა მზა კომპოსტი (მზა პროდუქცია) 42.00 კუბ.მ., კომპოსტი (ნახევარფაბრიკატი) 60.15კუბ.მ,

ინსპექტირების მონიტორინგისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ განხორციელდა (კუს ტბის მიმდებარედ, ჟინვალის ქუჩის მიმდებარედ და თბილისის ზღვის მიმდებარედ) ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში დარგული ხე-მცენარეების აგროტექნიკური სამუშაოების ინსპექტირება და დარგული და გახარებული ნერგების აღწერა (ინვენტარიზაცია). ასევე განხორციელდა ქალაქის მაშტაბით ყვავილების დარგვის ინსპექტირება,

ამასთან, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გაწეულია 180.2 ათასი ლარი.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს დაირგო 6 708 ძირი მაღალტანოვანი ხე, 41 607 ძირი დეკორატიული ბუჩქი (მ/შ: 15 000 ბალახოვანი ბუჩქი).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - შეძენილი და დარგული იქნება: 103 066 მცენარე (მათ შორის: 4 058 მაღალტანოვანი ხე, 56 069 ბუჩქოვანი მცენარე და 2 700 ბალახოვანი მცენარე, 15 939 მცირე ზომის ხე).

***მიღწეული მაჩვენებელი*** - შეძენილი და დარგულია 85 793 მცენარე (მათ შორის 4 133 - მაღალტანოვანი ხე, 52 300 - ბუჩქი, 27 000 – ბალახოვანი მცენარე, 2 360 - დაბალტანოვანი ხე).

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მწვანე სივრცეებში განთავსდა მწვანე სივრცეებში განთავსდა 524 ერთეული სკამი და 262 ერთეული ურნა, 31 ერთეული სათამაშო ატრაქციონი და 21 ერთეული გარე გამოყენების ფიტნეს აღჭურვილობა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მწვანე სივრცეებში განთავსდება 524 ერთეული სკამი და 511 ერთეული ურნა, 94 ერთეული საბავშვო სათამაშო ატრაქციონი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მწვანე სივრცეებში განთავსდება 598 ერთეული სკამი და 511 ერთეული ურნა, 94 ერთეული საბავშვო სათამაშო ატრაქციონი.

**3.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს ფერდობებზე ტყის ფართობის მწვანე ნარგავების აღდგენა-გაშენების პროექტი ფარგლებში 6.4 ჰა ფართობზე დაირგო 10765 ნერგი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - განახლდება 18 ჰა ფართობის ტერიტორია და დაირგვება 13579 ნერგი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**4.საბაზისო მაჩვენებელი** - ეკოსერვის ჯგუფი მოვლა პატრონობას უწევს გამწვანებულ ტერიტორიებს: შადრევნები 57, სოკოს ფორმის სასმელი წყარო 86, საქალაქო პარკი 19, სკვერი 83.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - ეკოსერვის ჯგუფის მოვლა პატრონობაშია არსებული გამწვანებული ტერიტორიები: საქალაქო პარკი - 21, სკვერი - 90, შადრევნები - 65, სოკოს ფორმის სასმელი წყარო - 121, შუა გამყოფი ზოლი - 35, ხელოვნური მდინარე -1.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - ეკოსერვის ჯგუფის მოვლა პატრონობაშია არსებული გამწვანებული ტერიტორიები: საქალაქო პარკი - 21, სკვერი - 90, შადრევნები - 65,

სოკოს ფორმის სასმელი წყარო - 121, შუა გამყოფი ზოლი - 35, ხელოვნური მდინარე -1.

**5.საბაზისო მაჩვენებელი** - მოწყობილი/აღდგენილი სარეკრეაციო სივრცეების ფარგლებში 2021 წელს რეაბილიტირებული პარკების რაოდენობას შეემატა 2 პარკი და 1 სკვერი, განხორციელდა 1 ახალი პარკის მოწყობის სამუშაოების ნაწილი, 1 საქალაქო პარკის რეაბილიტაცია, 1 შადრევნების კასკადის რეაბილიტაციის ნაწილი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - 2022 წელს რეაბილიტირებული პარკების რაოდენობას შეემატება 1 პარკი და 10 სკვერი, განხორციელდება 1 ახალი პარკის მოწყობის სამუშაოები, 1 გამწვანებული ბულვარი, 1 შუა გამყოფი ზოლის რეაბილიტაცია, 1 ვერტიკალური გამწვანებული ბაღი, გაგრძელდება 1 საქალაქო პარკის რეაბილიტაცია, 1 შადრევნების კასკადის რეაბილიტაცია, 2 ფერდის რეაბილიტაცია.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - რეაბილიტირებული პარკების რაოდენობას შეემატა 1 პარკი და 11 სკვერი, განხორციელდა 1 გამწვანებული ბულვარის, 1 შუა გამყოფი ზოლის და 2 ფერდის რეაბილიტაცია. გრძელდება: 2 საქალაქო პარკის რეაბილიტაცია და 1 შადრევნების კასკადის რეაბილიტაცია.

**განმარტება დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში)** - აუთვისებლობა გამოწვეულია სხვადასხვა გარემობებით, მათ შორის: უამინდობის გამო ვერ მოხერხდა გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის სამუშაოები, ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის გამო შეჩერდა არსებული შადრევნებისა და კასკადის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ზღვის უბნის პარკის მოწყობის სამუშაოების პროცესში ფაქტიური მდგომარეობის გათვალისწინებით გამოიკვეთა პროექტის კორექტირების და კორექტირებული პროექტის შესაამისად ზოგიერთი სამუშაო მუცულობების გაზრდის და ახალი პოზიციების დამატების აუცილებლობა (პროექტის ცვლილებას ეთანხმება ავტორი), კერძოდ ცვლილება შევიდა პროექტის ნაწილში: ბილიკები, მედიათეკა, სარწყავი სისტემა, ფანჩატურები, სანიაღვრე სისტემა. აგრეთვე, ლოკალურ ხარჯთაღრიცხვა N15.2-1-სა და N15.2-1-ში „სატუმბი სადგური N1 პოზიცია N10-ში „მონოლითური

B25W8რ/ბ-ის კედლები“ - კონსტრუქციულ პროექტში არმატურის ჯამურ რაოდენობაში გასწორდა მექნიკური შეცდომა, რამაც დასაკორექტირებელი გახადა ერთეულის ღირებულების გაანგარიშება.

**03 02 დასუფთავების ღონისძიებები**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 132,156.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 130,251.4 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 20,206.1 ათასი ლარი), რაც გეგმის 98.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** დედაქალაქში სანიტარული წესრიგის შენარჩუნება, ეპიდემიური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება, ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისაგან გაწმენდა, საყოფაცხოვრებო პოლიგონის პრობლემური საკითხების მოწესრიგება, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის (EBRD) სესხის და გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადი.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: მყარი და დიდი ზომის ნარჩენების გაუვნებელყოფისა და უტილიზაციის სამუშაოები, ქუჩების დაგვა-დასუფთავების სამუშაოები, დაგვა - დასუფთავებისას შეგროვებული ნარჩენების ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირების ღონისძიებები, ნაგავსაყრელ პოლიგონზე ნარჩენების განთავსების სამუშაოები, თოვლცვენის დროს მარილის დაყრის სამუშაოები და სხვა. საანგარიშო პერიოდში დედაქალაქის მასშტაბით ყოველთვიურად სუფთავდებოდა 23 464 994 კვ.მ ტერიტორიის ფართობი (მათ შორის: ქუჩების და მოედნების ყოველთვიური დაგვა დასუფთავების სამუშაოები - 12 340 951 კვ.მ, შიდა კვარტალური ქუჩებისა და ეზოების დასუფთავების სამუშაოები - 5 508 017 კვ.მ, სკვერების ტერიტორიის დასუფთავება - 3 601 896 კვ.მ, ხევებისა და ფერდობების დასუფთავება - 2 001 200 კვ.მ, მიწისქვეშა გადასასვლელების დასუფთავების სამუშაოები - 12 930 კვ.მ, უხვთოვლობისას ქალაქის ქუჩებზე დაიყარა 4912.81 ტონა ტექნიკური მარილი და 1258.5 კუბ.მ. ქვიშა. საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე შეტანილი იქნა

418024.3 ტონა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი. გარდა ამისა, შპს თბილსერვის ჯგუფი დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებების განსახორციელებლად, მათ შორის: ხუთი ერთეული სპეცტექნიკის შესაძენად და საჭიროებიდან გამომდინარე, არსებული ავტოპარკის განახლების მიზნით, 5 ერთეული SKODA SEPERB 2.0 TSI ავტომობილის შესაძენად გადარიცხულია - 2,158.6 ათასი ლარი, 5 ერთეული ბორბლიანი ექსკავატორ-დამტვირთველის შესაძენად - 1,369.8 ათასი ლარი, ხოლო 2 ერთეული მიწისქვეშა კონტეინერების მომსახურეობისათვის საჭირო ამწე-მანიპულატორიანი ნაგავმზიდის შესაძენად გადახდილია - 817.8 ათასი ლარი, რაც შეადგენს აღნიშნული ტექნიკის სრული ღირებულების 75,6 %,

დაბა კოჯორში, იუნკერების ქუჩა N26-ში და (ს/კ N81.01.08.375) საკადასტრო კოდზე მარილის შესანახი ორი საწყობის აშენებისთვის - 800.0 ათასი ლარით, ზოოპარკთან დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაციისთვის - 300,0 ათასი ლარით, ხოლო დიდ დიღომში მულტიფუნქციური ცენტრის სანიაღვრე ქსელის პროექტირებისა და მოწყობისთვის - 500,0 ათასი ლარით,

თბილისის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის სისტემის ჩამოყალიბებისა და გაუმჯობესების მიზნით, ქეთევან წამებულისა და მელიქიშვილის გამზირებზე მიწისქვეშა კონტეინერების სისტემის (სულ დამონტაჟდა 100 ცალი მიწისქვეშა კონტეინერი (მათ შორის ქეთევან წამებულის გამზირზე - 66 ცალი, მელიქიშვილის გამზირზე - 34 ცალი)) მოსაწყობად - 5,147.4 ათასი ლარით, ხოლო თბილისში საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მე-3 უჯრედის გაფართოებისათვის - 2,200.0 ათასი ლარით,

სხვადასხვა მოცულობის (2000 ცალი 1100 ლიტრიანი ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერი, 650 ცალი 1100 ლიტრიანი პლასტმასის ნაგვის კონტეინერი, 700 ცალი 240 ლ ნაგვის კონტეინერი, 500 ცალი 120 ლ ნაგვის კონტეინერი, 300 ცალი 50 ლ ნაგვის კონტეინერი, 6 ცალი ბრეზენტის საფარიანი 38,6 მ3 მეტალის ნაგვის კონტეინერი) კონტეირების შესაძენად მიმართულ იქნა 5,500.0 ათასი ლარი,

ასევე, გადახდილია EBRD-ის სესხის ფარგლებში „თბილისის მყარი ნარჩენების მართვის“ პროექტთან დაკავშირებით, ნარჩენების შემგროვებელი

ავტოპარკის განახლების მიზნით, შპს „თბილსერვის ჯგუფსა და შპს "თეგეტა მოტორს" შორის და შპს „თბილსერვის ჯგუფსა და შპს „ჯი-თი გრუპს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში (ნარჩენების შემგროვებელი ავტოპარკის განახლდა 74 ერთეულით) გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი - 3,971.1 ათასი ლარი, ხოლო თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის (EBRD) საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების (თბილისის მყარი მუნიციპალური ნარჩენების სტრატეგიის შემუშავების საკონსულტაციო მომსახურება) ფაქტიურად გაწეული ხარჯების შესაბამისად გადახდილია დღგ - 61. 7 ათასი ლარი.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველთვიურად სუფთავდება 23 464 994 კვ.მ ტერიტორიის ფართობი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის (EBRD) სესხის და გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები არ ითვალისწინებს დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდას

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - სესხის და გრანტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელბისას გადახდილი დღგ.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა გრანტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებისას, ხოლო სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხოლოდ სპეც-ტექნიკის შესყიდვის კომპონენტზე გადასახდელი დღგ-ს ფარგლებში.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის ფარგლებში არსებული კომპონენტებიდან სესხის ათვისება მოხდა მხოლოდ სპეც-ტექნიკის შესყიდვის კომპონენტზე, ხოლო გადამტვირთი სადგურის და ნაჟური წყლის სისტემის მოწყობის კომპონენტებთან დაკავშირებით სატენდერო დოკუმენტაციები

დამუშავების პროცესშია და ტენდერის გამოცხადება იგეგმება 2023 წლის მეორე კვარტალში.

**03 03 თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა** დაფინანსებულია 9,460.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 10,486.0 ათასი ლარის 90.2%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**03 03 01 თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკი

**2022 წლის გეგმა** - 5,500.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 5,158.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 93.8%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ეროვნული და გლობალური საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების გამრავლება და აღდგენა, როგორც ტყვეობის პირობებში, ისე ბუნებაში, მსოფლიოს და ადგილობრივი ფაუნის ცოცხალი კოლექციის შენახვა, როგორც საექსპოზიციო, ასევე საგანმანათლებლო მიზნით, საერთაშორისო დონის ზოოპარკის ეტაპობრივი მშენებლობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკის ფუნქციონირების (მათ შორის ცხოველების კვება, სამედიცინო მომსახურება, შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტი) ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 1,017.9 ათასი ლარი). გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

ადგილობრივი ფაუნის წარმომადგენლების ზოოპარკში გამრავლება, წითელი ნუსხის ცხოველების - ნიამორების, კეთილშობილი ირმებისა და ჯიხვების რიცხოვნობის ზრდის ფარგლებში - ყოველდღიურად ხორციელდებოდა ცხოველების მოვლა და მათზე დაკვირვება, კვების რაციონის შერჩევა-დაზუსტება, ვეტექიმების მიერ ცხოველებზე დაკვირვება და, საჭიროების შემთხვევაში, მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით უზრუნველყოფა. აღნიშნულ პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, ჯიხვების ნამატმა

შეადგინა - 4 სული, კეთილშობილი ირმების ნამატმა შეადგინა 4 სული, ნიამორების ნამატმა 5 სული;

ადგილობრივი ფაუნის წარმომადგენლების ზოოპარკის ფარგლებს გარეთ გამრავლების ტენდენციებზე დაკვირვება, ბიოტური და აბიოტური ფაქტორების გათვალისწინებით, ჩამორთმეული ცხოველების და ფრინველების ზოოპარკის პირობებში რეაბილიტაცია, მათი ბუნებაში დაბრუნების მიზნით - სამეცნიერო კუთხით მოეწყო მივლინება შავი გარიელის გადარჩენისა და გამრავლების შესწავლის პროგრამის ფარგლებში, ნიამორების რეინტროდუქციის პროექტის მომზადების ფარგლებში ასპინძა-ახალციხეში მოეწყო ექსპედიცია სარეინტროდუქციო ჰაბიტატის შესწავლისა და დამატებითი დეტალების დაზუსტების მიზნით, მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია ხვამლის მთის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილობრივ ძუძუმწოვრებზე დაკვირვებისა და ზოგადი მდგომარეობის შეფასების მიზნით; გარემოს დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული შესაბამისი სამსახურების მიერ, ზოოპარკში შემოყვანილ იქნა ჩამორთმეული და ბუნებაში ნაპოვნი ცხოველები და ფრინველები, მათ შორის: შველი, კვერნა, იგუანა და ა.შ.; განხორციელდა ჩამორთმეული ცხოველების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაციის მიზნით შესაბამისი ვეტერინარული მომსახურება.

მსოფლიოსა და ადგილობრივი ფაუნის ცოცხალი კოლექციის შენახვა, როგორც საექსპოზიციო, ასევე საგანმანათლებლო მიზნით - არსებული ზოოპარკის ტერიტორიაზე განხორციელდა მაიმუნების ვოლიერთან არსებული არხის, სასაწყობე მეურნეობის რეაბილიტაცია (კონდენცირება) და საინჟინრო-საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად წყალმომარაგების სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია, საზოგადოებრივი ტუალეტის მოწყობა; არსებული ვოლიერების რეაბილიტაციისათვის შეძენილი იქნა: ხის ბოძები, ლითონის ღობე, საბურღი მოწყობილობებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები, ბეტონი, ქვიშა და ა.შ.; სხვადასხვა ვოლიერში განხორციელდა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები; კონსერვაციული სამუშაოებისათვის შეძენილ იქნა ინკუბატორები, ვეტერინალური აპარატურა, კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე ავეჯი და ა. შ.;

კოლექციის გამდიდრების მიზნით, მოხდა სოფელ ჩარგალთან ხელოვნურად გაშვებული ხალებიანი ირმის დაჭერა-ტრანსპორტირება; ზოოპარკი აქტიურად თანამშრომლობს ევროპის აკვარიუმებისა და ზოოპარკების ასოციაციასთან (EAZA), რის შედაგადაც ზოოპარკის არსებული ტერიტორია არის ამ ასოციაციის წევრობის კანდიდატი. ასევე, ზოოპარკი აქტიურად თანამშრომლობს ზოოლოგიური ინფორმაციის მენეჯმენტის სისტემასთან (ZIMS) და არის ამ სისტემის წევრი.

სამეცნიერო კვლევების ჩატარება, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეკოლოგიური განათლების დონის ამაღლების მიზნით - სასწავლო ცენტრის ეგიდით, ზოოპარკის ტერიტორიაზე, სკოლის მოსწავლეთათვისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის მოეწყო შემეცნებითი ტურები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 1083-მა ბავშვმა (56 ტური), რეგულარულად ხორციელდებოდა ცხოველთა ყოფის გამდიდრების ღონისძიებები (ენრიჩმენტი).

ახალი საერთაშორისო დონის ზოოპარკის ეტაპობრივი მშენებლობის ფარგლებში: ახალი ზოოპარკის ტერიტორიაზე დასრულდა ვოლიერის „აფრიკული სავანის“ მშენებლობის მეორე ეტაპი, თბილისის ზღვაზე ბეჰემოთის ვოლიერში განხორციელდა არსებული ორი აუზის და საკანალიზაციო წყლების გაწმენდის ცირკულაციის სისტემის მოწყობა და მონტაჟი, მოეწყო ჭაბურღილი; განხორციელდა ჯიხვების, ნიამორებისა და კეთილშობილი ირმების ვოლიერების რეაბილიტაცია, გარე ელექტომომარაგების მოწყობის სამუშაოები; მაიმუნების ვოლიერის მშენებლობისათვის მიწის სამუშაოები და შეძენილ იქნა სამშენებლო მასალები; ახალი ზოოპარკის (თბილისის ზღვის მიმდებარედ) მშენებლობის დაგეგმვასთან დაკავშირებით მოწვეული იყვნენ ამერიკელი კონსულტანტები; ახალმა ზოოპარკმა მიიღო ევროპის აკვარიუმებისა და ზოოპარკების ასოციაციაციის (EAZA) დროებითი წევრის სტატუსი. მიმდინარე პერიოდში ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 243556, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წელი - 217640) შედარებით 25916-ით მეტი.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - ზოოპარკის ახალ ტერიტორიაზე (დაახლოებით 7 ჰა) ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ვოლიერები და ნაწილობრივ მოწყობილია ინფრასტრუქტურა, ხოლო ძველ ტერიტორიაზე (9 ჰა) სრულყოფილად ფუნქციონირებს ზოოპარკი, შენარჩუნებულია არსებული ინფრასტრუქტურა, ჩამოყვანილ იქნა: 9 სული ახალი ცხოველი და 12 ფრთა ახალი ფრინველი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - არსებული ობიექტებისა და მცენარეული საფარის მოვლა და შენარჩუნება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა (მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები), ცხოველთა კოლექციის გამდიდრებისა და გამრავალფეროვნების მიზნით ახალი ვოლიერების აშენება/არსებული ვოლიერების რეაბილიტაცია.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - ზოოპარკის პირობებში სამეცნიერო კვლევების განხორციელების მიზნით მოხდა ვოლიერების რეაბილიტაცია; სარეაბილიტაციო ვოლიერებში სამეცნიერო მეთოდიკის გამოყენებით მიმდინარეობს ცხოველებზე დაკვირვებები.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - ზოოპარკსა და ბუნებაში ცხოველებზე დაკვირვება, ცხოველების გავრცელებისა და მათი რაოდენობის აღრიცხვის მიზნით ექსპედიციების მოწყობა, სამეცნიერო კვლევების განხორციელება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**3.საბაზისო მაჩვენებელი** - ზოოპარკის ფუნქციონირებისთვის არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ხოლო ზოოპარკის ტერიტორიაზე სრულყოფილად ფუნქციონირებს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი ბავშვთა საგანმანათლებლო ცენტრი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - ზოოპარკის ფუნქციონირების ხელშეწყობა (მათ შორის ინფრასტრუქტურის მოწყობა), სასწავლო ცენტრში საგანმანათლებლო წრეებისა და ჯგუფების ფუნქციონირება, შემეცნებითი ტურების მოწყობა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - შენარჩუნებული იქნა ზოოპარკის შეუფერხებელი ფუნქციონირება, სკოლის მოსწავლეთათვისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის მოეწყო შემეცნებითი ტურები (56 ტური), რომლებშიც მონაწილეობდა 1083 ბავშვი.

**4.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა - 217640 ვიზიტორი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია ვიზიტორთა რაოდენობა 250 - 300 ათასი ვიზიტორი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - ვიზიტორთა რაოდენობა - 243556 ვიზიტორი.

**03 03 02 ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

**2022 წლის გეგმა** - 4,986.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 4,301.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 86.3%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მოვლილი და შენარჩუნებული მცენარეთა კოლექცია და დეკორატიული უბნები, დოკუმენტირებული მერქნიან მცენარეთა კოლექციები, მცენარეთა გაზრდილი და მოვლილი კოლექცია, შეუფერხებელი და წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ვიზიტორებისა და ადგილობრივი დამთვალიერებლებისათვის ხელმისაწვდომი ბოტანიკური ბაღი, დამთვალიერებელთა და საკუთარი შემოსავლების გაზრდილი ოდენობა, მოწესრიგებული ტურისტული და განახლებული ინფრასტრუქტურა

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 982.5 ათასი ლარი). ასევე, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

შენარჩუნებული, მოვლილი, განახლებული მცენარეთა კოლექციები და დეკორატიული უბნების ღონისძიების ფარგლებში: სისტემატურად ხორციელდება ძირითადი ტურისტული მარშრუტების, გზების, ბილიკების მოვლა-დასუფთავება (დაახლოებით 6,5-7 კმ. პერიმეტრის მოვლა), ყოველდღიურად ხორციელდება მცენარეთა საკოლექციო ნაკვეთებზე მოვლა-დასუფთვების სამუშაოები (50 ჰა ფართობის მოვლა), როგორც არსებული კოლექციების შესანარჩუნებლად, ასევე მის გასაფართოვებლად. ასევე, განხორციელდა დამატებით 6 ჰა ფართობის გასუფთავება და მომზადება შემდგომი დარგვებისათვის (ბაღის კოლექციების

შევსების მიზნით), სისტემატურად ტარდებოდა აგროტექნიკური სამუშაოები - მერქნიან მცენარეთა სხვლა-ფორმირება, ნიადაგის განოყიერება და სხვა. ბაღის იშვიათი, საკოლექციო ეგზემპლარებიდან თესლის, სანერგე მასალის შეგროვება შემდგომი გამრავლების მიზნით, მცენარეთა ყოველწლიური განახლების მიზნით (წლის განმავლობაში 42 ათასამდე ერთწლოვანი მცენარის დარგვა) ფარგლებში ბაღის ორანჟერეებში მოხდა საჩითილე მასალის გამოყვანა და შემდგომი დარგვა ღია გრუნტში 45 000 ერთეული ერთწლოვანი მცენარე, ეტიკეტირებული და დოკუმენტირებული კოლექციის რაოდენობისა და განახლებული მცენარეთა კოლექციის (წლის განმავლობაში 400 ერთეული მცენარის ეტიკეტირება და დოკუმენტირება, 30 ახალი სახეობის დამატება) უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა 420 ერთეული მერქნიანი მცენარის ეტიკეტირება და დოკუმენტირება, კოლექციების გამდიდრების და შევსების მიზნით მომზადდა მერქნიან და დეკორატიულ მცენარეთა სია, ბაღის ტერიტორიაზე დაირგო 2021 წელს შეძენილი 85 ერთეული საკოლექციო ეგზემპლარი (მათ შორის 35 ახალი სახეობა).

შეუფერხებელი და წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი და საკონსერვაციო საქმიანობის ფარგლებში: გამოიცა ერთი სამეცნიერო მონოგრაფია საქართველოში ქრიზანთემების კულტურის შესახებ. ასევე, მიმდინარეობდა განხილვა ახალი სამეცნიერო პუბლიკაციების შინაარსობრივ ნაწილზე და მათი მომზადება ბეჭდვისთვის, საანგარიშო პერიოდში, უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში გამოიცა 3 პუბლიკაცია და ადგილობრივში (მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ მოამბეში) – 4. წითელი ნუსხის სახეობების შეფასება და გამრავლების პროტოკოლების შემუშავების ფარგლებში განხორციელდა 4 სახეობის პროტოკოლის შემუშავება / 8 სახეობის შეფასება (შედეგების ნაწილი ატვირთულია საერთაშორისო წითელი ნუსხის (IUCN) ვებგვერდზე. სამუშაო შესრულდა დიდი ბრიტანეთის დარვინის ფონდის დაფინანსებით. კიუს ბოტანიკური ბაღის „ათასწლეულის“ თესლის ბანკის პარტნიორობის ფარგლებში), ხოლო საკონსერვაციო აქტივობებისა და პროგრამების რაოდენობა და კონსერვაციული ღირებულება (3 სამეცნიერო პროექტი) ფარგლებში ხორციელდებოდა მუშაობა 3

პროექტზე, წარმოდგენილი იქნა 3 დასრულებული კვლევითი პროექტის ანგარიში, მომზადდა და საბჭოს მიერ დამტკიცდა 2 ახალი პროექტი, განხილულია მიმდინარე პროექტების ანგარიშები, მიმდინარეობდა მუშაობა სამიზნე საკონსერვაციო სახეობების პროტოკოლებზე. ასევე, სარეინტროდუქციო ნაკვეთების მონიტორინგი. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობდა საველე სამუშაოები, ტარდებოდა ექსპედიციები. მიმდინარე პერიოდში განხორციელდა 64 ექსპედიცია (35 - საერთაშორისო საგრანტო პროექტით დაფინანსებული და 29 - ბიუჯეტით) - გრძელვადიანი სამეცნიერო პროექტების ფარგლებში და in situ საკონსერვაციო ნაკვეთების მონიტორინგი.

მოწესრიგებული და გამართული ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის ფარგლებში: სხვადასხვა სარეაბილიტაციო /ინფრასტრუტურული პროექტების განსახორციელებლად შეძენილია ორი ინფრასტრუქტურული პროექტის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება და ტოპოგრაფიული გეგმა, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით შეძენილია 2 ერთეული კომპიუტერი, მცირეფასიანი საოფისე ავეჯი, საბაღე ინვენტარი, სარწყავი სისტემის შესაკეტებლად სამეურნეო საქონელი და სხვა. ასევე, წლის დასაწყისში მომხდარი კლდის ჩამოშლის შედეგების ლიკვიდაციის და სამომავლო რისკების თავიდან აცილების მიზნით საპროექტო მოსახურეობის შეძენა და და შემდგომ 5 ლოკაციაზე განხორციელდა 6 836 მ2 კლდოვანი მასის ჩამოწმენდა და დამცავი ბადეების მოწყობა; ვიზიტორთა და თანამშრომელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ბაღის ტერიტორიის სამ ლოკაციაზე რეაბილიტირდა და მოეწყო 365 მ დეკორატიული დამცავი მოაჯირები; დაწყებულია ყოფილი მშენებარე ადმინისტრაციულ - ლაბორატორიული შენობის მიმდებარე ფერდის გამაგრების პროექტის განხორციელება; გამოცხადდა კონკურსი და გამოვლენილია გამარჯვებული მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებაზე. მიმდინარე პერიოდში ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა - 303453, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წელი - 171036) შედარებით 132417-ით მეტი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - ძირითადი ტურისტული მარშრუტების (გზების, ბილიკების) 6,5-7 კმ. პერიმეტრის მოვლა, მოვლილი და შენარჩუნებული საკოლექციო ნაკვეთები (50 ჰა ფართობი).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - ეტიკეტირებული და დოკუმენტირებული კოლექცია - 400 მერქნიანი ხე, განახლებული მცენარეთა კოლექცია - 40 ახალი სახეობა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია ეტიკეტირებული და დოკუმენტირებული კოლექცია - 400 მერქნიანი ხე, განახლებული მცენარეთა კოლექცია - 30 ახალი სახეობა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - ეტიკეტირებული და დოკუმენტირებულია - 400 მერქნიანი ხე, მცენარეთა კოლექცია განხლებულია - 35 ახალი სახეობით.

**3.საბაზისო მაჩვენებელი** - მცენარეთა ყოველწლიური განახლების მიზნით დარგულია 40450 ერთწლოვანი მცენარე.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია 42000-მდე ერთწლოვანი მცენარის დარგვა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაირგო 45000 ერთწლოვანი მცენარე.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:** ბაღის დამატებითი ტერიტორიების გაწმენდის შედეგად მოხდა ახალი ნარგაობების გაშენება, რომლებიც საჭიროებენ მოვლას; ბაღს დაემატა დეკორატიული უბანი.

**4.საბაზისო მაჩვენებელი** - წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციები, გამოცემები - 20 ცალი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციები, გამოცემები - 3 ცალი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციები, გამოცემები - 8 ცალი.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - დასრულებული სამეცნიერო პროექტების შედეგებიდან გამომდინარე, დამატებითი პუბლიკაციების გამოქვეყნება შესაძლებელი გახდა.

**5.საბაზისო მაჩვენებელი** - წითელი ნუსხის სახეობების შეფასება და გამრავლების პროტოკოლების შემუშავება 5 სახეობის პროტოკოლი/შეფასდა 11 სახეობა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია წითელი ნუსხის 8 სახეობის შეფასება და გამრავლების პროტოკოლების შემუშავება - 5 სახეობა.

*მიღწეული მაჩვენებელი* - მომზადდა 4 სახეობის პროტოკოლი/შეფასდა 8 სახეობა.

**6.საბაზისო მაჩვენებელი** - საკონსერვაციო აქტივობებისა და პროგრამების რაოდენობა და კონსერვაციული ღირებულება (განხორციელებული 6 სამეცნიერო პროექტი, საიდანაც 2021 წელს დასრულდა 2 პროექტი).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია 3 სამეცნიერო პროექტის განხორციელება.

*მიღწეული მაჩვენებელი* - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - 4 პროექტის განხორციელება შეუფერხებლად მიმდინარეობს.

**7.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა - 171036 ვიზიტორი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია ვიზიტორთა რაოდენობა - 260000 ვიზიტორი.

*მიღწეული მაჩვენებელი* - ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა - 303453 ვიზიტორი.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - მატება ძირითადად გამოწვეულია ქვეყანაში უცხოელი ტურისტებისა და (შესაბამისად) ვიზიტორების გაზრდილი რაოდენობით.


**8.საბაზისო მაჩვენებელი** - მოწესრიგებული, გამართული ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის და არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით ერთი განხორციელებული სარეაბილიტაციო პროექტი (ბავშვთა მოედნის სრული რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მოწესრიგებული, გამართული ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის და არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით, დაიწყება 3 სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროექტი (მათ შორის 1 პროექტი დასრულდება 2023 წელს) და 4 ახალი ინფრასტრუქტურული პროექტი (მათ შორის 1 პროექტის დასრულდება 2023 წელს).


***მიღწეული მაჩვენებელი*** - მოწესრიგებული და გამართულია ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურა (მათ შორის სრულად განხორციელდა 2 ინფრასტრუქტურული პროექტი, მიმდინარეობს 2 პროექტი, რომელიც დასრულდება 2023 წელს).

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - ვიზიტორთა და თანამშრომელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული და განხორციელებული კლდოვანი და ავარიული ფერდების გამაგრების პროექტები.


- **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა**



ათასი ლარი




| | ქალაქთმმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება | ბიზნესის სტიმულირება | თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა | მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა | თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში | თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები | ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2020 წლის ფაქტი | 364.7 | 888.6 | 140.2 | 35.2 | 31.1 | 6.7 | 6.3 |
| 2021 წლის ფაქტი | 678.5 | 4,962.6 | 579.7 | 25.8 | 14.6 | 12.1 | 148.6 |
| 2022 წლის ფაქტი | 55.0 | 1,264.7 | 14,718.9 | 25.8 | 11.8 | 43.4 | 0.0 |




**04 01 ბიზნესის სტიმულირება**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 1,369.3 ათასი ლარი დაფინანდა - 1,264.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 92.4%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება, ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, თბილისის ეკონომიკური პოტენციალის წარმოჩენა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის და მათი პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, გამოფენა-გაყიდვა „თბილისური ბაზარის“ ფარგლებში მოეწყო: საახალწლო გამოფენა-გაყიდვა „თბილისური საშობაო ბაზარი“, „გაუსინჯე თბილისს გემო“, „სოციალურ საწარმოთა ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა“, „სოციალური საწარმოების B2B გამოფენა“ (ღონისძიების ფარგლებში შედგა: 177 B2B შეხვედრა სოციალურ საწარმოებსა და ბიზნეს კომპანიებს შორის, ჩაერთო 71 ბიზნეს კომპანია, 35 საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, 14 სახელმწიფო და დიპლომატიური ინსტიტუტი, 8 საგანმანათლებლო დაწესებულება), “KNIFE SHOW“ - დანების გამოფენა-გაყიდვა თბილისი 2022“ (მონაწილეობდნენ ქართველი ოსტატები, რომლების ლითონის მასალისგან ამზადებენ სხვადასხვა პროდუქციას);

თბილისის მერიის ორგანიზებით ჩატარდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ფორუმი. ასევე, მონაწილეობა იქნა მიღებული საერთაშორისო სიმპოზიუმის “The Next Generation Of Cultural Spaces” დასკვნითი ნაწილის ორგანიზებაში და ფინეთ-საქართველოს ბიზნეს ფორუმის (მონაწილეობას იღებდნენ ფინელი და ქართველი დიპლომატები, ქართულ-ფინური ბიზნეს ასოციაციის, საბანკო და კერძო სექტორის წარმომადგენლები) ორგანიზებაში. ასევე, გადახდილ იქნა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურება და ა(ა)იპ „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ მიერ გაწეული მომსახურების ხარჯი;

ევროკავშირის გრანტის თანადაფინანსების ფარგლებში ჩატარდა: გამოფენა-გაყიდვა „გაუსინჯე თბილისს გემო“; ექსპორტის მხარდაჭერისა და პრე აქსელერაციის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები; ჩატარდა ტრენინგები ბიზნესის წარმომადგენლებისთვის (Facebook live - ტექნოლოგიების

სწავლების და მისი გავლენის შესახებ ბიზნესზე, Facebook live - ვორკშოპი ფინტექით დაინტერესებული მეწარმეებისთვის, Facebook Live - დაფინანსების მოპოვებით დაინტერესებული ბენეფიციარებისთვის); ონლაინ ტრენინგ კურსი - კონტენტ მარკეტინგის შესახებ: Facebook Live - როგორ დავწერო საგრანტო განაცხადი, მარკეტინგული მიდგომები და ტრენდები თანამედროვე მარკეტინგში; ღონისძიება - „ანგელოზი ინვესტორების ვიზიტი თბილისში - III საერთაშორისო სამიტი“ (სამიტის ფარგლებში თბილისს ესტუმრა 16 დელეგატი იტალიის, ესტონეთის, საბერძნეთის, პოლონეთის ანგელოზ ინვესტორთა გაერთიანებიდან და ევროპის ანგელოზ ინვესტორთა გაერთიანებიდან), ანგელოზ ინვესტორთა ქსელ "აქსელის" ორგანიზებით ინვესტორებისა და სტარტაპების შეხვედრა, ციფრული სამიტი "Touch 2022“, ევროკავშირის საგრანტო პროექტის დახურვის ღონისძიება;

ევროკავშირის გრანტის - „ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის და მათი პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით მოეწყო გამოფენა-გაყიდვა „თბილისური ბაზარი“, გადახდილ იქნა: საკონსულტაციო, სარეკლამო მომსახურების, ოფისის დასუფთავების და პოლიგრაფიული მომსახურების ხარჯები, ექსპორტის მხარდაჭერისა და პრე აქსელერაციის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე ღონისძიების მონაწილეთა კვებით გამასპინძლების ხარჯები, შეძენილ იქნა ბრენდირებული საქონელი, ბანერი ამოსაქაჩი სტენდით და სხვა ღონისძიებები. მიმდინარე წლის განმავლობაში ბიზნეს აქსელერატორ სპარკის ორგანიზებით ჩატარდა სხვადასხვა ღონისზიებები და სერვისებით ისარგებლა 800-ზე მეტმა ადამიანმა, ჩატარდა 100-ზე მეტი კონსულტაცია დაინტერესებული ბენეფიციარებისთვის სხვადასხვა თემებზე (მათ შორის: როგორ დავიწყო ბიზნესი, როგორ დავარეგისტრირო ბიზნესი, მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება, ბიზნეს მოდელის დახვეწა, საგრანტო განაცხადების მომზადება, დაფინანსების შესაძლებლობები); სხვადასხვა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით ჩატარდა 4 საერთაშორისო ღონისძიება; ბიზნეს აქსელერატორ სპარკის ექსპერტების მხარდაჭერით

შემუშავდა 10 ბიზნეს გეგმა და გაკეთდა საგრანტო განაცხადები; ჩატარდა 17-ზე მეტი ღონისძიება - ტრენინგების ვორკშოპების და საინვესტიციო შეხვედრების ჩათვლით.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - ევროკავშირის გრანტის ფარგლებში, მცირე და საშუალო ზომის კომპანიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი ბიზნეს აქსელერატორის მიერ, 2019 წლიდან მუდმივად ხდება კონსულტაციების გაწევა დამწყებ და მოქმედ მეწარმეთათვის მათთვის საინტერესო თემებზე (მათ შორის 2021 წლის განმავლობაში ტარდებოდა ტრენინგების ციკლი და ვორქშოპები, სადაც მეწარმეთა გადამზადების რიცხვმა 160-ს გადააჭარბა).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - გადამზადებული იქნება დაახლოებით 100 მეწარმე.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - წლის განმავლობაში ტარდებოდა ტრენინგების ციკლი და ვორქშოპები. გადამზადდა 118 სტარტაპისა და ბიზნესის სექტორის წარმომადგენელი, კონსულტაცია გაეწია 100-ზე მეტ ბენეფიციარს.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - 2018 წლიდან ადგილობრივი ბიზნესმენების ხელშეწყობისა და მათი პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, პერმანენტულად ტარდება გამოფენა-გაყიდვები, რომელშიც მონაწილე ქალი ბიზნესმენების წილი მუდმივად იზრდება (მათ შორის 2021 წლის განმავლობაში გამოფენა-გაყიდვები ჩატარდა მასშტაბურად და სრულად).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - წლის განმავლობაში დაახლოებით 7-ჯერ ჩატარებული გამოფენა-გაყიდვა, ქალების ჩართულობის ზრდა ეკონომიკური განვითარების პროცესში.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - წლის განმავლობაში გამოფენა-გაყიდვები ჩატარდა 9-ჯერ, სადაც მონაწილეთა ნახევარს ქალი მეწარმეები წარმოადგენენ.

**3.საბაზისო მაჩვენებელი** - 2007 წლიდან თბილისის მერია ორგანიზებას უწევს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების საერთაშორისო ფორუმის ჩატარებას, სადაც მონაწილეობას იღებენ და გამოცდილებას გვიზიარებენ საერთაშორისო დონის უცხოელი ექსპერტები/მომხსენებლები, ღონისძიება იმართება წელიწადში

ერთხელ და ეთმობა ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტუალურ თემას.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - ფორუმის წარმატებით ჩატარება, საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე თბილისის ეკონომიკური პოტენციალის შესახებ ცნობადობის და მნიშვნელობის ამაღლება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**4.საბაზისო მაჩვენებელი** - საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და საქართველოს ახალი გლობალური პერსპექტივების განხილვის მიზნით, საჭიროა საერთაშორისო სიმპოზიუმის - "The Next Generation Of Cultural Spaces" და ფინეთ-საქართველოს ბიზნეს ფორუმის ჩატარება.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია საერთაშორისო სიმპოზიუმის "The Next Generation Of Cultural Spaces"-ის დასკვნითი ნაწილის ორგანიზებაში მონაწილეობა და ფინეთ-საქართველოს ბიზნეს ფორუმის ჩატარება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**5.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს ჩატარდა ანგელოზ ინვესტორთა საერთაშორისო სამიტი, სადაც მერიამ მიიღო აქტიური მონაწილეობა, ხოლო დღემდე აქსელერაციის პროგრამა და ციფრული სამიტი არ ჩატარებულა

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - უცხოელი ინვესტორებისათვის, ქალაქის საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ჩატარდება ღონისძიება - „ანგელოზი ინვესტორების ვიზიტი თბილისში".

***მიღწეული მაჩვენებელი*** - ექსპორტის მხარდაჭერისა და პრე აქსელერაციის პროგრამა ჩატარდა 2-ჯერ, ჩატარდა ციფრული სამიტი "Touch 2022 და ანგელოზ ინვესტორთა III საერთაშორისო სამიტი.

**04 03 თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 43.4 ათასი ლარი, დაფინანდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** დაინტერესებული პირების ინფორმირებულობა (მოსახლეობა, პოტენციური ინვესტორი და ტურისტი)

თბილისის ეკონომიკის, ტურისტული და საინვესტიციო პოტენციალის შესახებ, შემუშავებული სამოქმედო გეგმა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო უძრავი ქონების პირველი საერთაშორისო კვირეულის ღონისძიებების ორგანიზებაში, ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად ჩატარდა „საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის“ კვლევა, დაიბეჭდა თბილისის შესახებ საპრომოციო მასალები (გზამკვლევი - „თბილისის გიდი“).

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - სამსახურის მიერ მუდმივად ხორციელდება საინვესტიციო კატალოგების და ტურისტული ბროშურების მომზადება და მათი მიწოდება დაინტერესებულ პირთათვის. 2021 წელს დაიბეჭდა 2500 ცალი ტურისტული რუკა, რომელიც მიეწოდა დაინტერესებულ პირებს.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - არსებული ბაზის შენარჩუნება და განახლება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაიბეჭდა ტურისტული მასალები მოთხოვნის შესაბამისად 1000 ცალი გზამკვლევი და მიეწოდა დაინტერესებულ პირებს.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - სამსახურის მიერ მუდმივად ხორციელდება შეხვედრები ეკონომიკური სფეროს წარმომადგენლებთან და ეკონომიკური განვითარების მიმართულებებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად ჩასატარებელია საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის კვლევა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - ინფორმაციის გაცვლა ეკონომიკის განვითარების მიმართულებებისა და შესაძლებლობების შესახებ, საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის კვლევის ჩატარება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

**04 04 თბილისი – საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 11.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** თბილისის წევრობა სხვადასხვა საერთაშორისო ასოციაციებში, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გადახდილ იქნა Delice Network-ში გაწევრიანების საწევრო გადასახადი.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წლისათვის თბილისი არის ECM, EBD, WTCF, Delice Network საერთაშორისო ასოციაციების წევრი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საგრანტო და თანადაფინანსებული პროექტების ხელმისაწვდომობა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - ერთობლივი საგრანტო და თანადაფინანსებული პროექტები ვერ განხორციელდა რეგიონში არსებული დაძაბული ვითარების გამო, საერთაშორისო ღონისძიებები ჩატარდა შეზღუდული რაოდენობით მხოლოდ ონლიან ფორმატში, სადაც მოხდა ინფორმაციის გაცვლა ტურიზმში არსებული სიტუაციისა და სამომავლო თანამშრომლობის შესახებ

**04 07 მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა** დაფინანსებულია 25.8 ათასი ლარით (გეგმის 36.0 ათასი ლარის 71.7%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**04 07 03 სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სახელმწიფო შესყიდვებისათვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მაქსიმალური სიზუსტე და ობიექტურობა.

**2022 წლის გეგმა** - განსაზღვრულია 10.0 ათასი ლარით.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში ხარჯები არ გაწეულა, რადგან შესყიდვის ობიექტების სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით, ბაზრის კვლევას აწარმოებდა შესაბამისი განყოფილება.

**04 07 05 საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** საფინანსო საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 26.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 25.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.2%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სისტემის გამართული ფუნქციონირება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გადახდილია ა(ა)იპ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის საწევრო გადასახადი და გაწეულია საბიუჯეტო ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის 2022 წლის განმავლობაში გაგრძელების ხარჯები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწლიურად ხორციელდება ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის (ESBA) გაგრძელება.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - პროგრამის გამართული ფუნქციონირება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**04 08 თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 14,728.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 14,718.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის თემატური სემინარების, ვორქშოფების და ტრეინინგების ჩატარება, ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება/თანაორგანიზება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში თბილისის მერიის ორგანიზებით ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისთვის ჩატარდა სემინარები: "გიდები თბილისისთვის", თბილისის ტურისტული პოტენციალის ხელშეწყობის, ბაზარზე არსებული გამოწვევების გამკლავებისა და ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციაში კერძო სექტორის როლის ზრდასთან დაკავშირებით - "გიდის პროფესიული უნარები", „ღვინო და გასტრონომიული ტურიზმი", "ოქროჭედურობის მემკვიდრეობა და ტრადიციები ძველ და თანამედროვე თბილისში", „გასტრონომიული ტურიზმის განვითარების თავისებურებები, ღვინისა და სურსათის შეხამების ძირითადი პრინციპები, ღვინით მასპინძლობის ეტიკეტი და მომსახურების ტიპები სხვადასხვა დაწესებულებებში";

ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით, მონაწილეობა იქნა მიღებული ქ.მადრიდში გამართულ ტურისტულ გამოფენაში - „FITUR 2022" (თბილისის მერიასთან ერთად მონაწილეობდა აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი და 12 ქართული კერძო კომპანია), ქ.თელავივში გამართულ ტურისტულ გამოფენაში - „IMTM 2022" (თბილისის მერიასთან ერთად მონაწილეობდა აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი და 10 ქართული კერძო კომპანია), ქ.კატოვიცეში ჩატარებულ მე-11 მსოფლიო ურბანულ ფორუმზე, ქ.ზაარბრუკენში ჩატარებულ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) კავკასიის ქალაქთა ქსელის კონფერენციაზე (შემოთავაზებული იქნა თანამშრომლობა ოთხი მიმართულებით: კონსულტაცია/ინფორმაციის მიწოდება, ქალაქების ფორმირება/PR, საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება და მხარდაჭრა და Workshop-ების ორგანიზება), ქალაქ ქუთაისში გამართულ რეგიონალურ ღონისძიებაში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის", სანმარინოს რესპუბლიკაში ჩატარებულ „ევროპის ეკონომიკური კომისიის ურბანული განვითარების 83-ე სესიაში" (განიხილეს სხვადასხვა ქვეყნებისა და პარტნიორების მიერ ევროპის ეკონომიკური კომისიის სამოქმედო გეგმის Place and Life in the ECE განხორციელებისათვის გატარებული აქტივობები), ქალაქ ლონდონში გამართულ ტურისტულ გამოფენაში - "WTM London 2022"

(ღონისძიების ფარგლებში თბილისის მერიამ კომუნიკაცია დაამყარა პოტენციურ პარტნიორებთან, შეხვედრები შედგა სამოგზაურო მედიის წარმომადგენლებთან, ინფლუენსერებთან და სხვა პროფესიონალებთან), ქალაქ ბერლინში გამართულ სასწავლო ტურში - „მდგრადი ქალაქები: ალტერნატიულ ენერგეტიკულ რესურსებზე გადასვლის პრაქტიკა ურბანულ სივრცეებში“ (შეიქმნა შესაძლებლობა მომხდარიყო გამოცდილებების გაზიარება საქართველოს, უკრაინის, მოლდოვის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის და გერმანიის ექსპერტებს შორის როგორც რეგიონთაშორისი საქმიანობის ნაწილი, გაიმართა დიალოგის პლატფორმა თემაზე - ქალაქის მდგრადი განვითარება ურბანული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის სფეროში. გამოვლინდა ის თემები, რომლებიც აქტუალურია დიალოგის პლატფორმაში მონაწილე ქალაქებისთვის), ქალაქ ბრიუსელში გამართულ „ვენჩურული ფილანტროპიის ევროპული ასოციაციის European Venture Philantropy Association (EVPA) ყოველწლიურ კონფერენციასა და სამიტზე (C-Summit) და ქალაქ ბორჯომში საქართველის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ დაფინანსებულ პროექტის ფარგლებში გამართულ შეხვედრაში „მონაცემთა შეგროვების პროცესის გაუმჯობესებისა და ოფიციალური სტატისტიკის მიმართ ნდობის ამაღლება“. ასევე, გადახდილ იქნა „ევროპის ქალაქების მარკეტინგი“ საწევრო გადასახადი და „Nordic ourism ollective” - სკანდინავიის ქვეყნების ტურისტულ გაერთიანებაში გაწევრიანების საწევრო გადასახადი. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 14,596.0 ათასი ლარი, უკრაინიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერის ფარგლებში, უკრაინელი მოქალაქეების საცხოვრებელით და კვებით უზრუნველყოფის მიზნით, სასტუმროების მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს ტურიზმის სფეროს წარმომადგენლების კვალიფიკაციის ასამაღლებელი და ბიზნესის განვითარებისათვის განხორციელდა 10 პროფესიული ტრენინგი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - ჩატარდება არანაკლებ 5 თემატური ტრენინგი

*მიღწეული მაჩვენებელი* - ჩატარდა 8 პროფესიული ტრენინგი/სემინარი

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - მხარი დაეჭირა 5 თემატური ღონისძიების ორგანიზებას/თანაორგანიზებას.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - იგეგმება თბილისის მერიის მიერ არანაკლებ 5 ღონისძიების ორგანიზება/თანაორგანიზება.

*მიღწეული მაჩვენებელი* - მონაწილეობა იქნა მიღებული 8 ღონისძიებაში (მათ შორის 7 საერთაშორისო და 1 ადგილობრივი).

**04 12 ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

**2022 წლის გეგმა** - 55.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ტერიტორიების კვლევითი, განვითარებისა და მართვის დოკუმენტების არსებობა, კვლევითი, ანალიტიკური და საპროექტო დოკუმენტის არსებობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2021 წლის 24 სექტემბერს გაფორმებული N01.02.01.02-26 ხელშეკრულების ფარგლებში, ლისის ტბის მიმდებარე არეალის გარემოსდაცვითი და ქალაქმშენებლობითი კვლევების და მართვის მექანიზმების შემუშავების მიზნით მომსახურების დავალიანება.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**


**1.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს გაფორმდა ხელშეკრულება ლისის ტბის მიმდებარე არეალის გარემოსდაცვითი და ქალაქმშენებლობითი კვლევების და მართვის მექანიზმების შემუშავებაზე.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - ლისის ტბის მიმდებარე არეალის გარემოსდაცვითი და ქალაქმშენებლობითი კვლევების და მართვის მექანიზმების შემუშავებაზე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში დავალიანების დაფარვა.


*მიღწეული მაჩვენებელი* - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

❖ **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება**


ათასი ლარი




ათასი ლარი




**05 01 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა** დაფინანსებულია 40,395.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 40,829.0 ათასი ლარის 99%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:




**05 01 08 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში**


**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** გლდანის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 3,992.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,988.6 ათსი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის სახურავის (40682.6 კვ.მ) შეკეთების სამუშაოები (74 მისამართი); წყალსაწრეტი მილების (3667 გრძ.მ) შეკეთება; შიდა წყალკანალიზაციის ქსელების შეკეთება (28 მისამართი 5266.25 გრძ.მ); ლიფტის მოწყობის სამუშაოები (25 მისამართი); სადარბაზოს კიბეების შეკეთება (4572 საფეხური, 19 მისამართი); სადარბაზოს ლითონის კარის მოწყობის სამუშაოები (16 მისამართი 151.68 კვ.მ); სადარბაზოს შესასვლელის გადახურვის სამუშაოები (5 მისამართი 153.43 კვ.მ.) და ჩატარდა სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია (19249 გრძ. მ. 11 მისამართი). ასევე, გაწეულია ხარჯი დეფექტური აქტების

მომზადებისა და წინა წლებში დაკავებული ხარისხის უზრუნველყოფის საგარანტიო თანხების ასანაზღაურებლად.




**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს შემოსული განცხადებებიდან დაკმაყოფილდა 223 განაცხადი, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - შემოსული განცხადებიდან დაკმაყოფილდა 229 განცხადება.

**05 01 09 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში**


**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ნაძალადევის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 3,498.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,487.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის სამუშაოები (33 ობიექტი 4872.1 გრძ.მ); შენობის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები (1

მისამართი); ლიფტების მიმდინარე (28 სადარბაზო), კაპიტალური (8 სადარბაზო) შეკეთების სამუშაოები; შენობის ბრტყელი/ქანობიანი (65 სადარბაზო 19026 კვ.მ) სახურავების შეკეთება; წყალსაწრეტი მილების შეკეთება (71 სადარბაზო 2511 გრძ.მ); სადარბაზოს სენსორული განათების სამუშაოები (32 სადარბაზო); საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების/შემინვის სამუშაოები (1 ობიექტი); სადარბაზოს შესასვლელის გადახურვა (12 სადარბაზო); ლითონის კარის (30 სადარბაზო); ლითონის ჭიშკრის (1 სადარბაზო); სადარბაზოს კიბეების (11 სადარბაზო) მიმდინარე შეკეთების სამუშაოები; ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების მომზადების ხარჯები და სხვა. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 264.2 ლარი, 2019 წლის 19 ოქტომბერს, ნაძალადევის რაიონში, დ. გურამიშვილის გამზ. №30-ში მდებარე №2 კორპუსში, ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად მომხდარი აფეთქების გამო, დაზარალებული მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ ბინა №28-ში დაზიანებული მოძრავი (საყოფაცხოვრებო) ნივთების ღირებულების დადგენის მიზნით, საექსპერტო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად და 2022 წლის მარტის თვეში, ძლიერი ქარისა და უხვი ნალექის (თოვლის) შედეგად, ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების (მათ შორის წყალსაწრეტი მილები) აღსადგენად და მწვავე ავარიული და სტიქიით დაზარალებული კერძო მესაკუთრეებისათვის სამშენებლო მასალების შესაძენად.



**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს შემოსული 300 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 230 განაცხადი ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა

***მიღწეული მაჩვენებელი*** - შემოსული 626 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 219 განცხადება.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - არ განხორციელდა განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანი.

**05 01 10 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში**


**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** დიდუბის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 4,314.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,284.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.3%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შიდა წყალ-კანალიზაციის ქსელების (19 მისამართი) და წყალსაწრეტი მილების (18 მისამართი) შეცვლა-შეკეთება; შენობის ბრტყელი (17 სადარბაზო) და ქანობიანი (14 სადარბაზო) სახურავების შეკეთება; ლიფტების მიმდინარე შეკეთება (58 სადარბაზო); ლიფტების კაპიტალური შეკეთება (6 სადარბაზო); მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში კიბეების (8 მისამართი); სადარბაზოს კარის (19 მისამართი) და სადარბაზოს რემონტის (5 მისამართი) მიმდინარე შეკეთების

სამუშაოები; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში კაპიტალური გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები (2 მისამართი). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები.




**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს შემოსული განცხადებებიდან დაკმაყოფილდა 159 განაცხადი, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - შემოსული განცხადებიდან დაკმაყოფილდა 309 განცხადება.

**05 01 11 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩოღურეთის რაიონში**


**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჩოღურეთის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 3,798.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,625.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.5%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ქანობიანი სახურავის შეკეთებითი სამუშაოები

(10706 კვ.მ - 22 მისამართი) და წყალსაწრეტი მილების შეკეთება (3 მისამართი), ლიფტების შეკეთება (12 მისამართი), შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (12 მისამართი), საერთო სარგებლობის სადარბაზოსა (6 მისამართი) და ჭიშკრის (კარის) მიმდინარე შეკეთება (7 მისამართი), საერთო საგებლობის კიბეების (10 მისამართი) და აივნების (8 მისამართი) მიმდინარე შეკეთება, საცხოვრებელი კორპუსის კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები (16 მისამართი). ასევე, გაწეულია კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული ექსპერტიზის მომსახურების და აღდგენა-შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო დეფექტური აქტებისა და შესაბამისი ესკიზური ნახაზების შედგენის ხარჯები. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 161.1 ათასი ლარი, 2022 წლის მარტი-მაისის თვეში, დიდთოვლობის, ძლიერი წვიმისა და ქარის შედეგად, ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავებისა (6 მისამართი 5706 კვ.მ) და წყალსაწრეტი მილების აღსადგენად (4 მისამართი).




**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს შემოსული 651 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 148 განცხადება ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

*მიღწეული მაჩვენებელი* - შემოსული 569 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 106 განცხადება.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანის არ განხორციელება. ასევე, დაკმაყოფილდა იმ ამხანაგობების განცხადებები, რომელთა საერთო სარგებლობის ქონება უფრო მძიმე, სავალალო და ავარიულ მდგომარეობაში იყო.


**05 01 12 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ვაკის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 4,827.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,816.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ბრტყელი/ქანობიანი სახურავისა (24800 კვ.მ - 49 მისამართი) და წყალსაწრეტი მილების (3860 გრძ.მ - 25 მისამართი) შეკეთება, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (30 მისამართი), ლიფტების შეკეთება (63 მისამართი), სადარბაზოს შიდა რემონტი (28 მისამართი), პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია (3 მისამართი), საერთო სარგებლობის ქვის კიბეების შეკეთება (9 მისამართი). ასევე, გაწეულია კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული ექსპერტიზის მომსახურებისა და სხვადასხვა მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოების დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები.




**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს შემოსული 896 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 169 განცხადება, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - შემოსული 1015 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა 212 განცხადება.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - შემოსული განცხადებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება განპირობებულია განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანის განუხორციელებლობით.

**05 01 13 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში**


**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** საბურთალოს რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 3,970.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,962.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა

ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ბრტყელი/ქანობიანი სახურავისა (23471კვ.მ - 42 მისამართი) და წყალსაწრეტი მილების (17 მისამართი) შეკეთება, ლიფტების შეკეთების (36 მისამართი) სამუშაოები, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (29 მისამართი), პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია (3 მისამართი), საერთო სარგებლობის ჭიშკრის (14 მისამართი) შეკეთება, სადარბაზოს რემონტი (8 მისამართი) და საერთო სარგებლობის კიბეების შეკეთება (1 მისამართი). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 346.5 ათასი ლარი, 2022 წლის მარტის თვეში, დიდთოვლობისა და ძლიერი ქარის შედეგად, რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავებისა და წყალსაწრეტი მილების აღსადგენად აღსადგენად (16 მისამართზე - 13808 კვ.მ).




**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს შემოსული 765 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 147 განაცხადი, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - შემოსული 539 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა 166 განცხადება.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - შემოსული განცხადებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება განპირობებულია განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანის განუხორციელებლობით. ასევე, წყალკანალიზაციის მიმართულებით სამუშაოები ხორციელდებოდა მხოლოდ დატბორილ სარდაფებში, ხოლო ლიფტების მიმართულებით - მხოლოდ გაჩერებული და უმოქმედო ლიფტების აღდგენა/შეკეთება ხორციელდებოდა.


**05 01 14 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ისნის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 4,736.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,719.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ქანობიანი და ბრტყელი სახურავის და წყალსაწრეტი მილების შეკეთება (52 მისამართი), შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის სამუშაოები (26 მისამართი), ლიფტის შეკეთების სამუშაოები (29 მისამართი), საერთო სარგებლობის ჭიშკრის ან/და სადარბაზოს კარების დამზადება-მონტაჟი (22 მისამართი), სადარბაზოს შიდა და თაღების მიმდინარე შეკეთება (11 მისამართი), საერთო სარგებლობის ხის, ქვის და ლითონის კიბეების აღდგენის სამუშაოები (16 მისამართი), სართულშუა ნაპრალების მიმდინარე შეკეთება (1 მისამართი), სენსორული განათების მონტაჟი (8 მისამართი), შენობის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები (9 მისამართი). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები.




**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს შემოსული 246 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 225 განცხადება

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - შესაძლებლობის ფარგლებში შემოსული განცხადებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება

***მიღწეული მაჩვენებელი*** - შემოსული 310 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 290 განცხადება.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - შემოსული განცხადებებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებდა პირობებს.

**05 01 15 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში**


**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** სამგორის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 5,776.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,751.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა

ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ქანობიანი და ბრტყელი სახურავების შეკეთება (73 მისამართი); შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (35 მისამართი); წყალსაწრეტი მილების (31 კორპუსი) და სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია (13 მისამართი); სადარბაზოს შიდა რემონტი (16 სადარბაზო); სენსორული სანათების მონტაჟი (5 მისამართი); სადარბაზოს კარებების მონტაჟი (6 მისამართი); ავარიული სახლების გამაგრების სამუშაოები (4 კორპუსი); ლიფტების შეკეთება-აღდგენა (45 მისამართი); სადარბაზოს კიბეების შეკეთება (15 მისამართი). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვების მომზადების ხარჯები. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 155.4 ათასი ლარი სამგორის რაიონში, ემილ ბურჯანაძის №49 კორპუსში და ვარკეთილის მე-3 მასივი, ზემო პლატო, №2 კორპუსის პირველ სადარბაზოში ახალი სამგზავრო ლიფტების მოწყობის სამუშაოების დაფინანსების მიზნით.




**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს შემოსული 808 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 309 განცხადება ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - შესაძლებლობის ფარგლებში შემოსული განცხადებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება.

**მიღწეული მაჩვენებელი** - შემოსული 755 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 222 განცხადება.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - შემოსული განცხადებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება განპირობებულია განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილების შენატანის განუხორციელებლობით.


**05 01 16 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კრწანისის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 3,457.9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,348.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.8%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: საცხოვრებელი სახლების ქანობიანი/ბრტელი სახურავის (20236 კვ.მ - 35 მისამართი) და წყალსაწრეტი მილების შეკეთება (9 მისამართი), შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (23 მისამართი), ლიფტების შეკეთების (27 მისამართი) სამუშაოები, საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები (6 მისამართი), საერთო სარგებლობის ჭიშკრის (25 მისამართი) მოწყობა, საერთო სარგებლობის კიბეების (21 მისამართი) და აივნების (7 მისამართი) შეკეთება, სენსორული სანათების მონტაჟი (5 მისამართი), თაღების რემონტი (8 მისამართი). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები.




**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს შემოსული 123 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 108 განაცხადი ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - შემოსული 130 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა 120 განცხადება.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - შემოსული განცხადებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება განპირობებულია განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანის განუხორციელებლობით.

**05 01 17 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში**


**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** მთაწმინდის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 2,458.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,410.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 98%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა

ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ბრტყელი/ქანობიანი (34 სადარბაზო) სახურავების შეკეთება; წყალსაწრეტი მილების შეკეთების სამუშაოები (23 მისამართი); წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შეკეთების სამუშაოები (34 მისამართი); საცხოვრებელი სახლების კაპიტალური გამაგრების სამუშაოები (5 მისამართი); სენსორული განათების სამუშაოები (3 მისამართი, 21 წერტილი); სადარბაზოების, თაღების, შეკეთების სამუშაოები (12 მისამართი); ლითონის და ხის კიბეების, ჭიშკრის აღდგენის, სადარბაზოს კარების დამზადება-მონტაჟისა და შეკეთება-რესტავრაციის სამუშაოები (22 მისამართი); სამგზავრო და სატვირთო ლიფტების აღდგენა/შეკეთება/მოდერნიზაციის სამუშაოები (10 მისამართი). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები.




**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**


**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს შემოსული 250 განცხადებიდან დაკმაყოფილდა სრულად, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.


***მიღწეული მაჩვენებელი*** - შემოსული 160 განცხადებიდან დაკმაყოფილდა სრულად

## ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა


ათასი ლარი




ათასი ლარი




| | საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მეტროთი რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება | სხვა დანარჩენი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | სამედიცინო, სხვა სოციალური საჭიროებების და სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები | კომუნალური სუბსიდირება | უფასო სასადილოებით მომსახურება |
|---|---|---|---|---|---|
| 2020 წლის ფაქტი | 37,492.5 | 47,402.3 | 37,273.5 | 6,591.2 | 17,798.8 |
| 2021 წლის ფაქტი | 33,283.2 | 54,368.6 | 42,668.6 | 6,244.5 | 19,423.9 |
| 2022 წლის ფაქტი | 8,746.4 | 73,244.2 | 39,820.1 | 9,510.7 | 25,934.7 |




**06 01 ჯანმრთელობის დაცვა** დაფინანსებულია 27,352.3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 27,840.9 ათასი ლარის 98.2%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**06 01 02 დაავადებათა სკრინინგი**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ეროვნული სკრინიგ ცენტრი

**2022 წლის გეგმა** - 3,100.0 ათასი ლარი, 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** დაავადებათა ადრეული გამოვლენის საშუალებით ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატის, კოლორექტული და ფარისებრი ჯირკვლის კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში ჩატარდა დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით, თბილისში რეგისტრირებული პირების (მ.შ. ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის კომპონენტის ფარგლებში იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთაც სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბაზაში რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი) შემდეგი სახის სკრინინგული გამოკვლევები: ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, პროსტატის კიბოს მართვა 50-70 წლის ჩათვლით ასაკის მამაკაცებში, კოლორექტალური კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ჩათვლით ორივე სქესისათვის, ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა 25-70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში. გარდა ამისა, სამედიცინო აპარატურის

განსაახლებლად ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ ცენტრის მიერ გაწეულია 1,000.0 ათასი ლარი

**ცხრილი N1.** ანაზღაურებულ შემთხვევათა რაოდენობა კომპონენტების მიხედვით:

| თვე | ძუძუს კიბოს სკრინინგი | საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი | პროსტატის კიბოს მართვა | კოლორექტული კიბოს სკრინინგი | ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მარვა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2021 წლის დეკემბერი | 3681 | 3522 | 436 | 681 | 2113 | 10433 |
| იანვარი | 2383 | 2493 | 247 | 436 | 1576 | 7135 |
| თებერვალი | 2781 | 3306 | 343 | 571 | 2206 | 9207 |
| მარტი | 3968 | 4589 | 430 | 817 | 2383 | 12187 |
| აპრილი | 3768 | 4268 | 307 | 730 | 2165 | 11238 |
| მაისი | 3475 | 4179 | 407 | 693 | 2565 | 11319 |
| ივნისი | 3516 | 4049 | 548 | 813 | 2919 | 11845 |
| ივლისი | 3451 | 4165 | 645 | 849 | 2709 | 11819 |
| აგვისტო | 3739 | 4161 | 212 | 557 | 1925 | 10594 |
| სექტემბერი | 3310 | 4039 | 201 | 620 | 2347 | 10517 |
| ოქტომბერი | 3710 | 4887 | 266 | 612 | 2493 | 11968 |
| ნოემბერი | 4352 | 4167 | 539 | 870 | 2667 | 12595 |
| ჯამი | 42134 | 47825 | 4581 | 8249 | 28068 | 130857 |

**დანართი N2:** მომსახურების ანაზღაურება კომპონენტების მიხედვით:

| თვე | ძუძუს კიბოს სკრინინგი (ლარი) | საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი (ლარი) | პროსტატის კიბოს მართვა (ლარი) | კოლორექტული კიბოს სკრინინგი (ლარი) | ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მარვა (ლარი) | სულ (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2021 წლის დეკემბერი | 72357 | 36772 | 3924 | 9045 | 46924 | 169022 |
| იანვარი | 46201 | 25984 | 2223 | 8992 | 33758 | 117158 |
| თებერვალი | 54958 | 34450 | 3087 | 9518 | 48565 | 150578 |
| მარტი | 79598 | 47691 | 3870 | 11340 | 51315 | 193814 |
| აპრილი | 76210 | 44029 | 2763 | 11657 | 47175 | 181834 |
| მაისი | 69118 | 43523 | 3663 | 10946 | 56957 | 184207 |
| ივნისი | 68333 | 42393 | 4932 | 13143 | 63741 | 192542 |
| ივლისი | 66767 | 43318 | 5805 | 11428 | 59418 | 186736 |
| აგვისტო | 73615 | 43124 | 1908 | 7475 | 41368 | 167490 |
| სექტემბერი | 63843 | 41893 | 1809 | 8411 | 50400 | 166356 |
| ოქტომბერი | 73528 | 50708 | 2394 | 7791 | 54780 | 189201 |
| ნოემბერი | 87267 | 43611 | 4851 | 9485 | 55848 | 201062 |
| ჯამი | 831795 | 497496 | 41229 | 119231 | 610249 | 2100000 |

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წლის განმავლობაში ჩატარდა 114894 კვლევა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - იგეგმება 107441 კვლევის ჩატარება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - ჩატარდა 130857 კვლევა.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - დაფიქსირდა მაღალი მომართვიანობა.

**06 01 03 გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ „ქ.თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრი“

**2022 წლის გეგმა** - 586.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 583.5 ათასი ლარით (მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი - 505.0 ათასი ლარი), რაც გეგმის 99.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ავადობის პრევენცია, მართვადი ინფექციების გავრცელების შეზღუდვა/პრევენცია, ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მხარდაჭერა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის ფუნქციონირების ხარჯები. ასევე, ეპიდემიოლოგიურ კონტროლთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიებები: გადამდებ დაავადებათა (მ.შ. ინფექციური და პარაზიტული) აქტიური და პასიური ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, ხოლო აღმოცენების შემთხვევაში მათი დროული გამოვლენა, იდენტიფიკაცია, ეპიდემიოლოგიური შესწავლა, ინფექციების გავრცელების შეზღუდვების ღონისძიებების განხორციელება, დაავადებულთან კონტაქტში მყოფი რისკის ჯგუფის კონტიგენტის გამოვლენა და მათი პრევენციულ მკურნალობაში, შესაბამისი ლაბორატორიული ტესტირება, საჭიროების შემთხვევაში დეზინფექცია - დეზინსექცია, იმუნიზაციის განხორციელების ხელშეწყობა, სამედიცინო საგანმანათლებლო საქმიანობა,

გადამდებ დაავადებათა შესახებ საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზის შექმნა, დაავადებათა მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზირება და შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოებისათვის, რეკომენდაციების მიცემა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის დედაქალაქის მაშტაბით.

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის მიერ 2022 წლის იანვარ-დეკემბრის აქტიური/პასიური ეპიდზედამხედველობის ფარგლებში აღირიცხა ცხრილი N1-ში მითითებული ნოზოლოგიები:

**ცხრილი N1:**

| ნოზოლოგიის დასახელება | შემთხვევათა რაოდენობა | ნოზოლოგიის დასახელება | შემთხვევათა რაოდენობა |
|---|---|---|---|
| მწვავედუნედამბლამწვავეპოლიომიელიტი /გიენ-ბარეს სინდრომი | 1 | მალარია | 5 |
| წითელა | 1 | ლეიშმანიოზი | 7 |
| წითურა | 0 | ექინოკოკოზი | 45 |
| ყივანახველა | 18 | ფასციოლოზი | 6 |
| ყბაყურა | | ამებიაზი | 2 |
| ტუბერკულოზი | 410 | ტრიქინელოზი | 0 |
| ბაქტ.მენინგიტი | 27 | სიფილისი | 528 |
| ტუბ.მენინგიტი | 8 | სიფილისი ორსულებში | 28 |
| მენინგიტი გამოწვეული hemophilusinfluenzaB | 0 | გონორეა | 112 |
| ვირ.მენინგიტი | 0 | ქლამიდიოზი | 187 |
| მენინგოკოკცემია | 0 | საშარდე გზების ნოზოკომიური ინფექცია | 240 |
| N. meningitides-ით გამოწვეული მენინგიტი | 1 | ნოზოკომიური პნევმონია | 861 |
| streptococcuspneumonae –თ გამოწვეული მენინგიტი | 0 | ნოზოკომიური ბაქტერიემია, სეფსისი | 273 |
| streptococcuspneumonae –თ გამოწვეული ინფექცია | 0 | ქირურგიული ჩარევის მიდამოს ინფექცია | 132 |
| ენტეროჰემორაგიულიეშერიხიოზი | 26 | 15-49 წ.ქალთასიკვდ. | 9 |
| სალმონელოზი | 63 | 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილი | 15 |
| შიგელოზი | 7 | სხვა ვირუსული ჰეპატიტები | 0 |
| ბოტულიზმი | 2 | მწვავე ვირუსული ჰეპატიტი A | 1 |
| სავ.ინფ.წარ.დიარეა | 1219 | მწვავე ვირუსული ჰეპატიტი B | 17 |
| სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა | 721 | ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი B | 197 |
| სოკოთი მოშხამვა | 31 | ჰეპატიტი C | 294 |
| ჯილეხი | 1 | მწვავე ჰეპატიტი E | |
| ბრუცელოზი | 23 | სავარაუდო ვირუსული | 0 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | ჰემორაგიული ცხელებები | |
| აივ –შიდსზე ტესტირებული | 69081 | ყირიმ–კონგოს ჰემორაგიული ცხელება | 0 |
| მ. შ. აივ– შიდსზე ტესტირებული ორსულები | 6161 | ჰანტავირუსით გამოწვეული ინფექცია | 5 |
| ლაიმის დაავადება | 182 | დენგეს ცხელება | 0 |
| ტულარემია | 6 | Q ცხელება | 7 |
| ჩუტყვავილა | 619 | ლეპტოსპიროზი | 27 |
| ქუნთრუშა | 60 | აცრისშემდგომი უჩვეულო რეაქციები და გართულებები | 41 |
| ცოფისრისკის მქონე ექსპოზიცია | 18197 | შხამიანი ქვეწარმავლის ნაკბენი | 5 |

2022 წელს (იანვარი-დეკემბერი) თბილისის სამედიცინო დაწესებულებებში დარეგისტრირდა გრიპისა და გრიპისმსაგავსი დაავადებების 96945 ამბულატორიული და 6 727 ჰოსპიტალური შემთხვევა. გრძელდება გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია გრიპის სეზონისთვის განსაზღვრულ რისკჯგუფებში. მიმდინრე პერიოდში აცრილია 63 040 მოქალაქე. ასევე, მინისტრის ბრძანების (№ MOH 8 22 00000220) მიხედვით, 3 დეკემბრიდან განახლდა ანტივირუსული პრეპარატი - ტამიფლუს მიწოდება სამედიცინო დაწესებულებებსა და მოქალაქეებისათვის.

2022 წლის განმავლობაში მუნიციპალური ცენტრის მიერ განხორციელდა: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობ, კერებში - ეპიდკვლევა, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები, გადამდებ დაავადებათა ანგარიშგება დზეი-ისა და ელექტრონული მოდულის მიხედვით და ასევე ვაქცინების მიღება (დკსჯეც-იდან), შენახვა და გაცემა იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში მომაწილე დაწესებულებებში. ასევე, ჩატარდა ცხოველთა მიერ დაზარალებული მოსახლეობის ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის ღონისძიებები, მათთვის საჭირო ანტირაბიული სამედიცინო დახმარებისათვის გამოყოფილი ვაქცინებისა და იმუნოგლობულინის განაწილება ანტირაბიულ კაბინეტებში. განხორციელდა ე.წ. მგბ + ავადმყოფებთან ეპიდანამნეზის შემდეგ დადგენილი კონტაქტში მყოფი სავარაუდოდო ინფიცირებული პირების დადგენა და მათი მიმართვა შესაბამის ფტიზიატრიულ სამსახურში, ტუბერკულოზით დაავადებულ ყოიფილ პატიმრებზე ეპიდმოკვლევა, მკურნალობაზე ცუდი დამყოლობისა და

რეზისტენტული შტამით დაავადებულთა ეპიდზედამხედველობა. ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების კიდევ უფრო მეტი დროულობისათვის გრძელდება ცენტრის მუშაობა ე.წ ინდექს-პაციენტებისა და მასთან კონტაქტში მყოფ პირთა ეპიდზედამხედველობა ელექტრონული აღრიცხვის ონლაინ პლატფორმის საშუალებით. ასევე მოხუცთა კერძო პანსიონატში ჩატარდა პროფილაქტიკურ-ლაბორატორიული კვლევა ჰელმინთებზე სულ 16 ბენეფირი,

განხორციელდა კორონავირუსული აცრების (ქვეყანაში შემოსული ყველა დასახელების ვაქცინით) საწინააღმდეგო ვაქცინაციაში მონაწილე დაწესებულებების რეგისტრაცია და მათთვის საჭირო ვაქცინებით უზრუნველყოფა. ყოველთვიურ რეჟიმში მიმდინარეობდა კოვიდაცრებში ჩართული დაწესებულებებიდან ინფორმაციის მოწოდება, ჩატარებული სწრაფი ტესტირების ყოველდღიური ანგარიშგება აღნიშნულ პროგრამაში მყოფი დაწესებულებებიდან, ყოველთვიურად წარმოებდა საანაგარიშგებო ფორმების შედგენა და წარდგენა NCDC-ში,

კორონავირუსის ინფექციის გავრცელების საწინააღმდეგოდ მიმდინარეობდა ყველა გადმოცემული შესაძლო შემთხვევის ეპიდზედამხედველობა, ცენტრში გადმოცემულ კოვიდდადებით პაციენტებთან კონტაქტში მყოფ პირებზე მიმდინარეობდა კოვიდდადებითთან კონტაქტში მყოფთა ,,მიდევნება“. შესაბამისი ბრძანების და პროტოკოლის მიხედვით, ცენტრის გადამზადებული ეპიდემიოლოგები ახორციელებდნენ რისკის კონტინგენტში ცხვირ-ხახის ნაცხის აღებას და სათანადოდ ტრანსპორტირებას შესაბამის ლაბორატორიამდე.

გვიანი შემოდგომისა და ზამთრის სეზონის დადგომისთანავე დაიწყო ჩუტყვავილას შემთხვევების მატება, განსაკუთრებით ორგანიზებულ დაწესებულებებში. ყველა შემოსულ ჯგუფურ თუ ერთეულ შემთხვევაზე მიმდინარეობდა ეპიდზედამხედველობა, ეპიდღონისძიებების დასახვა და გატარება სკოლის ადმინისტრაციასა და სამედიცინო პერსონალთან, შესაბამისი დარიგების მიცემით, მშობლების ჩართულობასთან დაკავშირებით. ასევე, მიმდინარეობდა აქტიური ეპიდზედამხედველობა და ორმხრივი

კოორდინირებული სამუშაოები თბილისის კერძო და საჯარო სკოლებში კოვიდინფექციის აღმოცენებისა და გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებებზე. საჯარო სკოლების ნაწილი გადავიდა კორონავირუსულ ინფექციაზე თვითტესტირების რეჟიმზე. ყოველთვიურად მიმდინარეობს ეპიდზედამხედველობა დაწესებულებებში კორონავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო აცრებზე და ასევე, აცრის შემდგომ განვითარებულ არასასურველ მოვლენებზე, რომლის შემთხვევაშიც სასწრაფო შეტყობინების უნიფიცირებული ფორმით ხდებოდა ინფორმაციის მიღება, შესწავლა და გადაგზავნა NCDC-ში, ხოლო გართულების შემთხვევაში მიმდინარეობდა ღრმა ეპიდკვლევა, რომელიც აცრის შემდგომ განვითარებულ მოვლენასა და აცრას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად იგზავნება ექსპერტთა ეროვნული კომიტეტის სხდომაზე განსახილველად.

2022 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ეპიდზედამხედველობაში მყოფი პირებისათვის დანართი N2 მიხედვით (ბიულეტენის ტოლფასი ცნობის გაცემის საფუძველი) შევსება და გადაგზავნა ჯანდაცვის სამინისტროში შესაბამისი ბრძანებისა და პროტოკოლის მოთხოვნით. მიმდინარეობდა გრიპის სეზონთან დაკავშირებული მოკვლევა, ანგარიშგება და გრიპის საწინააღმდეგო პროფილაკტიკური აცრების ხელშეწყობა. ჩატარებული აცრების შესახებ ყოველდღიური ინფორმაციის მიღება დაწესებულებიდან და ჯამური ანგარიშგება NCDC ში. ასევე, პროგრამის ფარგლებში, ყველა სამედიცინო დაწესებულებაში სწრაფი კორონაანტიგენტესტირებისთვის მოხდა სახარჯი მასალის განაწილება, რომლის ხარჯი გაზრდილია. მიმდინარეობს სწრაფი ტესტირების ყოველდღიური ანგარიშგება პროგრამაში მონაწილე დაწესებულებებიდან დანართი N5 მიხედვით ხოლო ყოველთვიურად წარმოებს დანართი N3 შედგენა და წარდგენა NCDC -ში.

COVID19-თან ბრძოლის პარალელურად გრძელდებოდა C ჰეპატიტის და ორსულთა კომბინირებული სკრინინგ კვლევებისათვის, ასევე ინტეგრირებული ტესტირებისთვის საჭირო ტესტების, შიდსის ტესტების მიღება-განაწილება სამედიცინო დაწესებულებებში. აპრილის თვეში მიმდინარეობდა გრიპის სეზონთან დაკავშირებული ანგარიშგება. პროტოკოლის მიხედვით აპრილის

თვეში შემოწმდა 14 სილამაზის სალონი, მაისში - 18, ივნისში -21, ივლისში - 9, აგვისტოში - 1, სექტემბერში - 20, ოქტომბერში - 23, ნოემბერში - 21, დეკემბერში - 18. ასევე, პროგრამის ფარგლებში მონაწილე ყველა სამედიცინო დაწესებულებაში, განაწილდა სახარჯი მასალა სწრაფი კორონაანტიგენტესტირებისთვის. ასევე, ცენტრის მიერ წარმოებდა მოხუცთა და ბავშვთა თავშესაფრების ბენეფიციართა და მომსახურე პერსონალის, ასევე სკოლისა და ბაღის თანამშრომელთა გეგმიური ტესტირება. მიმდინარეობდა ჩატარებული სწრაფი ტესტირების ყოველდღიური ანგარიშგება აღნიშნულ პროგრამაში მონაწილე 232 დაწესებულებიდან.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს სამკურნალოდ რეფერირებულთა ხვედრითი წილი იყო 78%.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

***მიღწეული მაჩვენებელი*** - სამკურნალოდ რეფერირებულთა ხვედრითი წილმა შეადგინა 78%-მდე.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021წელს ჩატარდა 93068 ეპიდ. კვლევა, გრიპისა და გრიპის მსგავსი დაავადებები 40126 შემთხვევა, პროფილაქტიკური აცრები - 249385 ჩხვლეტა/ჩაწვეთება, ანტირაბიული ვაქცინაცია-ჩხვლეტა - 12269, გრიპის ვაქცინით აცრილია 60441 ადამიანი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელის შენარჩუნება

***მიღწეული მაჩვენებელი*** - ჩატარდა 100013 ეპიდ. კვლევა, გრიპისა და გრიპის მსგავსი დაავადებები 103672 შემთხვევა, პროფილაქტიკური აცრები - 255870 ჩხვლეტა/ჩაწვეთება, ანტირაბიული ვაქცინაცია-ჩხვლეტა - 18030, გრიპის ვაქცინით აცრილია 63040 ადამიანი.

**3.საბაზისო მაჩვენებელი** - ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით, 2021 წელს მონიტორინგი ჩატარდა 230 დაწესებულებაში.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მონიტორინგი ჩატარდება 1200 დაწესებულებაში.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით, მონიტორინგი ჩატარდა 1407 დაწესებულებაში.

**06 01 05 გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 1,636.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,597.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** გაფანტული სკლეროზის მქონე პაციენტებისათვის მედიკამენტოზური მკურნალობის ხელმისაწვდომობა

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სამკურნალო მედიკამენტები „ოკრელიზუმაბი“ და „ფინგოლიმოდი“, თავის ტვინის ან/და ხერხემლის და ზურგის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფიის (ქიმიური აგენტის დახმარებით) კვლევები. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან გაფანტული სკლეროზის (G35) დიაგნოზის მქონე 15-დან 60 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები: ა) რომელთაც დიაგნოზი დასმული აქვთ მაკდონალდის კრიტერიუმების შესაბამისად და კურცკეს უნარშეზღუდულობის სკალის მიხედვით 0-დან 6 ქულის ჩათვლით მიენიჭათ, ბ) რომელთაც ბოლო 3 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის დროისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში აქვთ რეგისტრაცია, მათ შორის, ის პირები, რომლებსაც აღნიშნული 3 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია (თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად, პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში), გ) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი მქონე მოქალაქეები, რომლებსაც რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი.

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტი უფინანსდებათ სრულად, თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს მედიკამენტი უფინანსდება წესით დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 80%-ის მოცულობით

(თანაგადახდა შეადგენს 20%-ს). „თავის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფიის ქიმიური აგენტის დახმარებით)“ უფინანსდებათ 350 ლარით, ხოლო „ხერხემლის და ზურგის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია (ქიმიური აგენტის დახმარებით)“ უფინანსდებათ არაუმეტეს 425 ლარით.

**ცხრილი N1:** დაფინანსების მოცულობა და რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით:

| მედიკამენტის დასახელება | საანგარიშგებო თვე | დაფინანსებული ფლაკონების /აბების რაოდენობა | გადარიცხული თანხა |
|---|---|---|---|
| ოკრელიზუმაბი | დეკემბერი 2021 | 10 | 52 800 |
| | იანვარი | 14 | 74 400 |
| | თებერვალი | 4 | 21 600 |
| | მარტი | 16 | 79 200 |
| | აპრილი | 12 | 60 000 |
| | მაისი | 14 | 69 600 |
| | ივნისი | 10 | 50 400 |
| | ივლისი | 14 | 72 000 |
| | აგვისტო | 8 | 43 200 |
| | სექტემბერი | 20 | 79 200 |
| | ოქტომბერი | 16 | 81 600 |
| | ნოემბერი | 14 | 69 600 |
| | **ჯამში** | **152** | **753 600** |
| ფინგოლიმოდი | დეკემბერი 2020 | 42 | 65 348.4 |
| | იანვარი | 30 | 45 411.6 |
| | თებერვალი | 12 | 54 272.4 |
| | მარტი | 51 | 79 747.2 |
| | აპრილი | 30 | 45 411.6 |
| | მაისი | 54 | 81 962.4 |
| | ივნისი | 42 | 59 810.4 |
| | ივლისი | 63 | 58 333.6 |
| | აგვისტო | 51 | 71 255.6 |
| | სექტემბერი | 87 | 135 127.2 |
| | ოქტომბერი | 57 | 87 500.4 |
| | ნოემბერი | 30 | 45 886.2 |
| | **ჯამში** | **549** | **830 067** |
| **სულ ჯამი** | | | **1 583 667** |

**ცხრილი N2:** დაფინანსების მოცულობა და რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით:

| კვლევის დასახელება | საანგარიშგებო თვე | დაფინანსებული კვლევის რაოდენობა | გადარიცხული თანხა |
|---|---|---|---|
| თავის ტვინის მრტ კვლევა | მარტი | 1 | 350 |
| | აპრილი | 1 | 350 |
| | მაისი | 3 | 1050 |
| | ივნისი | 1 | 350 |
| | ივლისი | 1 | 350 |
| | აგვისტო | 1 | 350 |
| | სექტემბერი | 3 | 1050 |
| | ოქტომბერი | 1 | 350 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ნოემბერი | 1 | 350 |
| | **ჯამში** | **13** | **4550** |
| **თავისა და ზურგის ტვინის მრტ კვლევა** | მარტი | 1 | 775 |
| | აპრილი | 3 | 2325 |
| | მაისი | 2 | 1550 |
| | ივნისი | 4 | 3100 |
| | ივლისი | 2 | 1550 |
| | **ჯამში** | **12** | **9300** |
| **ჯამი** | | **25** | **13850** |

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი -** 2021 წელს პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობაა - 83.

**დაგეგმილი მაჩვენებელი -** დაგეგმილია 82 ბენეფიციარის დაფინანსება

***მიღწეული მაჩვენებელი -*** დაფინანსდა 111 ბენეფიციარი.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე -** აღნიშნული გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ბენეფიციართა გარკვეულ ნაწილს საბიუჯეტო წლის განმავლობაში გადაესხა არა სრული კურსი (ოკრელიზუმაბი - 4 და ფინგოლიმოდი - 13) არამედ უფრო ნაკლები (ოკრელიზუმაბი-3 და ფინგოლიმოდი - 9) საშუალოდ ერთ ბენეფიციარზე ასევე, კვლევა ჩაიტარა 25 ბენეფიციარმა

**06 01 06 აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 6,968.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 6,896.8 ათსი ლარით, რაც გეგმის 99%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** (ასა) მქონე ბავშვთა განვითარების სტიმულირება, ადაპტაციური ფუნქციონირების გაუმჯობესება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი ოჯახის მხარდაჭერა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა მულტიდისციპლინური გუნდის, ერთი ან საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, ქცევითი თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მიერ მოსარგებლისათვის კომპლექსური თერაპიის თვეში არაუმეტეს 20

ინდივიდუალური სეანსი, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად (მ.შ. გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა), ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების მინიმალური ოდენობა, თვეში 20 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში შეადგენს: 2-7 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – არანაკლებ 14 სეანსს, 8-11 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – არანაკლებ 12 სეანსს, 12-17 წლის ასაკის ჩათვლით-მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, ხოლო 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში, გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპიის სეანსების რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით განსხვავებულია (2-7 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის - სეანსების რაოდენობის არანაკლებ 7/10, 8-11 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის - სეანსების რაოდენობის არანაკლებ 6/10, 12-17 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე), სეანსების ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს და თვეში ფინანსდება არაუმეტეს 1550 ბენეფიციარი. ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების ერთეულს წარმოადგენს კომპლექსური თერაპიის არანაკლებ ერთსაათიანი ინდივიდუალური ან ჯგუფური სეანსი, რომლის ღირებულება შეადგენს 20 ლარს და ანაზღაურდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით

**ცხრილი N1.** პროგრამის ფარგლებში ჩატარებული და ანაზღაურებული კვლევების ჯამური რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდისათვის

| მომსახურების დასახელება | წარმოდგენილი სეანსების რაოდენობა | ანაზღაურებული სეანსების რაოდენობა | ანაზღაურებული თანხა |
|---|---|---|---|
| გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია-01 | 262502 | 262502 | 5250040 |
| მეტყველების თერაპია-02 | 23559 | 23559 | 471180 |
| ოკუპაციური თერაპია-03 | 500 | 500 | 10000 |
| სენსორული თერაპია-04 | 6989 | 6989 | 139780 |
| აკადემიური უნარების განვითარება -05 | 23754 | 23754 | 475080 |
| ფიზიკური თერაპია - 06 | 18409 | 18409 | 368180 |
| ხელოვნებითი თერაპია - 07 | 9127 | 9127 | 182540 |
| სულ | **344840** | **344840** | **6896800** |

**ცხრილი N2.** პროგრამაში მონაწილე დაწესებულებების რაოდენობა, ანაზღაურებული სეანსების რაოდენობების მიხედვით

| მიმწოდებელი დაწესებულება | სეანსების რაოდენობა | ბენეფიციართა რაოდენობა | ანაზღაურებული თანხა |
|---|---|---|---|
| შპს „ნეიროგანვითარების ცენტრი“ | 132061 | 601 | 2641220 |
| სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის “ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა“ | 20132 | 90 | 402640 |
| რეგისტრირებული კავშირი „საქართველოს ბავშვები“ | 39321 | 175 | 786420 |
| შპს „მენტალური ჯანმრთელობის ცენტრი“ | 14780 | 69 | 295600 |
| ა(ა)იპ პირველი ნაბიჯი საქართველო | 34712 | 159 | 694240 |
| შპს ,,ფაზლი“ | 67999 | 277 | 1359980 |
| ვალეო 2011 | 30216 | 140 | 604320 |
| ,,ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“ | 5619 | 39 | 112380 |
| სულ | **344840** | **1550** | **6896800** |

***შენიშვნა:** ცხრილში შესულია 2021 წლის დეკემბრის მონაცემებიც, ვინაიდან აღნიშნულ პერიოდში კომპონენტის ფარგლებში ჩატარებული მომსახურებები ანაზღაურდა 2022 წლის ბიუჯეტიდან

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მომსახურება გაეწია თვეში საშუალოდ 1375 ბავშვს.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია თვეში საშუალოდ 1550 ბავშვისათვის მომსახურების გაწევა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**06 01 07 ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 6,340.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 6,265.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.8%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** HER2-დადებითი ძუძუს კიბოს ადრეულ და მეტასტაზურ სტადიაზე, პაციენტების მედიკამენტოზურ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი

სამკურნალო მედიკამენტები: HER-2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ძუძუს კიბოს დიაგნოზის ან რადიკალური ოპერაციის შემდგომ განვითარებული რეციდივის შემთხვევაში – ტრასტუზუმაბი, სიმსივნური კვანძის >2სმ-ზე ან/და ჰორმონუარყოფითი (ER/PR-negative) ან/და დადებითი ნოდალური სტატუსის (N+) შემთხვევაში პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი ან ფესგო, ბ) კონსილიუმის დასკვნის (რომელიც მოიცავს შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ, სამი ლიცენზირებული ექიმის დასკვნას) საფუძველზე, პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე, დანიშნულების შესაბამისად, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში – ტრასტუზუმაბი, პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი ან ფესგო, გ) კონსილიუმის დასკვნის (რომელიც მოიცავს შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ, 3 ლიცენზირებული ექიმის დასკვნას) საფუძველზე, პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე, დანიშნულების შესაბამისად, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში ლაპატინიბი.

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტი უფინანსდებათ სრულად, პროგრამით გათვალისწინებული ტარიფის შესაბამისად, თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს – 80%-ით, გარდა „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტრასტუზუმაბის დაფინანსების შემთხვევისა, როდესაც მედიკამენტი-ტრასტუზუმაბი ფინანსდება ღირებულების – 50%-ის მოცულობით (ასეთ შემთხვევაში, პაციენტის თანაგადახდა შეადგენს ქვეპროგრამით დადგენილი მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 50%-ს).

**ცხრილი N1:** დაფინანსების მოცულობა და რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით:

| ერთეულის პროგრამული კოდი | ბენეფიციარების რაოდენობა | დაფინანსებული ამპულების/აბების რაოდენობა | გადარიცხული თანხა |
|---|---|---|---|
| ტრასტუზუმაბი | 133 | 400 | 1818292 |
| ტრასტუზუმაბი + პერტუზუმაბი | 36 | 150 | 1782702 |
| ლაპატინიბი | 15 | 149 | 136895 |
| ფესგო | 54 | 207 | 2509461 |
| **ჯამი** | **238** | | **6247350** |

**შენიშვნა:** დამატებით, სახელფასო ფონდმა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში შეადგინა 17.8 ათასი ლარი.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წლის განმავლობაში დაფინანსდა 179 შემთხვევა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაფინანსდება 261 ბენეფიციარი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაფინანსდა 238 ბენეფიციარი.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - დაფიქსირდა მომართვიანობის შემცირება.

**06 01 08 ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 710.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 701.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.8%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთათვის სპეციალურ სათემო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები: მულტისისტემური ინტერვენცია 5-17 წლის ასაკის ბავშვებსა და მოზარდებში და აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა 18 წლის ასაკის ზემოთ მოზრდილებში.

**ცხრილი N1.** დაფინანსების მოცულობა და რაოდენობა საანგარიშეგებო პერიოდის მიხედვით:

| კომპონენტის დასახელება | დაწესებულების დასახელება | საანგარიშგებო თვე | მოსარგებლეთა რაოდენობა საანგარიშგებო თვის მიხედვით | ინტერვენციების რაოდენობა | ანაზღაურებული თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა | ა(ა)იპ მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის ცენტრი | 2021 წლის დეკემბერი | 99 | | 24088.71 |
| | | იანვარი | 98 | | 26139.35 |
| | | თებერვალი | 100 | | 26030 |
| | | მარტი | 100 | | 26753.55 |
| | | აპრილი | 101 | | 27912.09 |
| | | მაისი | 102 | | 27783.23 |
| | | ივნისი | 100 | | 28180.65 |
| | | ივლისი | 104 | | 28198.73 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | აგვისტო | 103 | | 27828.39 |
| | | სექტემბერი | 103 | | 27636 |
| | | ოქტომბერი | 107 | | 28280 |
| | | ნოემბერი | 106 | | 28410.67 |
| | | **ჯამი** | **1223** | | **327241.37** |
| ფსიქიატრიული კრიზისული ხანმოკლე ინტერვენცია ბავშვებსა და მოზარდებში | შ.პ.ს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“ | 2021 წლის დეკემბერი | 45 | 408 | 10200 |
| | | იანვარი | 45 | 404 | 10100 |
| | | თებერვალი | 45 | 492 | 12300 |
| | | მარტი | 45 | 469 | 11725 |
| | | აპრილი | 45 | 504 | 12600 |
| | | მაისი | 45 | 472 | 11800 |
| | | ივნისი | 45 | 487 | 12175 |
| | | ივლისი | 45 | 517 | 12925 |
| | | აგვისტო | 0 | 0 | 0 |
| | | სექტემბერი | 45 | 505 | 12625 |
| | | ოქტომბერი | 45 | 485 | 12125 |
| | | ნოემბერი | 45 | 451 | 11275 |
| | | **ჯამი** | **495** | **5194** | **129850** |
| | შპს თბილისის ფსიქიკური ჯანდაცვის კრიზისული ინტერვენციის სამსახური | 2021 წლის დეკემბერი | 45 | 540 | 13500 |
| | | იანვარი | 45 | 540 | 13500 |
| | | თებერვალი | 45 | 540 | 13500 |
| | | მარტი | 45 | 540 | 13500 |
| | | აპრილი | 45 | 540 | 13500 |
| | | მაისი | 45 | 540 | 13500 |
| | | ივნისი | 45 | 540 | 13500 |
| | | ივლისი | 45 | 540 | 13500 |
| | | აგვისტო | 45 | 540 | 13500 |
| | | სექტემბერი | 45 | 540 | 13500 |
| | | ოქტომბერი | 45 | 540 | 13500 |
| | | ნოემბერი | 45 | 540 | 13500 |
| | | **ჯამი** | **540** | **6480** | **162000** |
| | ფსიქოსოციალური დახმარების ასოციაცია ნდობა | 2021 წლის დეკემბერი | 15 | 180 | 4500 |
| | | იანვარი | 15 | 180 | 4500 |
| | | თებერვალი | 15 | 180 | 4500 |
| | | მარტი | 15 | 180 | 4500 |
| | | აპრილი | 15 | 180 | 4500 |
| | | მაისი | 15 | 180 | 4500 |
| | | ივნისი | 15 | 180 | 4500 |
| | | ივლისი | 12 | 140 | 3500 |
| | | აგვისტო | 0 | 0 | 0 |
| | | სექტემბე | 14 | 168 | 4200 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | რი | | | |
| | | ოქტომბერი | 15 | 180 | 4500 |
| | | ნოემბერი | 15 | 180 | 4500 |
| | | **ჯამი** | **161** | **1928** | **48200** |
| | შპს სანნი კიდს | მარტი | 13 | 130 | 3250 |
| | | აპრილი | 14 | 158 | 3950 |
| | | მაისი | 15 | 160 | 4000 |
| | | ივნისი | 15 | 168 | 4200 |
| | | ივლისი | 14 | 141 | 3525 |
| | | აგვისტო | 13 | 108 | 2700 |
| | | სექტემბერი | 14 | 155 | 3875 |
| | | ოქტომბერი | 15 | 172 | 4300 |
| | | ნოემბერი | 15 | 169 | 4225 |
| | | **ჯამი** | **128** | **1361** | **34025** |
| **ჯამი კრიზისული ხანმოკლე ინტერვენცია ბავშვებსა და მოზარდებში** | | | **374 075** | | |
| **სულ ჯამში** | | | **701 316.37** | | |

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს დახმარება გაეწია თვეში საშუალოდ 199 ბენეფიციარს.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილი იყო მომსახურების გაწევა თვეში საშუალოდ 204 ბენეფიციარისათვის.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მომსახურება გაეწია თვეში საშუალოდ 212 ბენეფიციარს.

**06 01 13 ტრანსპლანტაცია**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 8,500.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 8,208.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ოპერაციული მკურნალობის ხელმისაწვდომობა, ონკოჰემატოლოგიური და ღვიძლის დაავადებების მქონე პაციენტებისთვის, რომლებიც საჭიროებენ ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაციას.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა, განცხადებით

მიმართვამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის, თბილისში რეგისტრირებული (მათ შორის, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი თბილისი) ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის და ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე საქართველოს მოქალაქეებისათვის შემდეგი ღონისძიებები: ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) ტრანსპლანტაციის წინა კვლევები, მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია, ტრანსპლანტაცია (აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია, ალოგენური ტრანსპლანტაცია, ჰაპლოიდენტური ტრანსპლანტაცია), მათ შორის, პაციენტის კონდიცირება – ორგანიზმის მომზადება ტრანსპლანტაციისათვის და პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვა, ღვიძლის ტრანსპლანტაცია. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 157 შემთხვევა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის კომპონენტის ფარგლებში, ხოლო ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტში 6 შემთხვევა.

**ცხრილი N1.** დაფინანსებული შემთხვევები

| მომსახურების დასახელება | რაოდენობა | თანხა |
|---|---|---|
| წინასატრანსპლანტაციო კვლევა | 55 | 540 713.32 |
| მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია | 54 | 1 071 857.00 |
| აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია | 48 | 6 175 534.20 |
| ღვიძლის ტრანსპლანტაცია | 6 | 420 000 |
| **სულ** | **163** | **8 208 104.52** |

### მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს დაფინანსდა177 ბენეფიციარი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილი იყო 157 ბენეფიციარის დაფინანსება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაფინანსდა 163 ბენეფიციარი.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - დაფიქსირდა მოთხოვნის ზრდა

**06 02 სოციალური დაცვა** დაფინანსებულია 129,903.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 131,316.9 ათასი ლარის 98.9%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**06 02 01 კომუნალური სუბსიდირება**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 9,600.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 9,510.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.1%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ელ-ენერგიის, დასუფთავების, წყლის კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში თბილისში რეგისტრირებულ 200 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისათვის/აბონენტებისათვის განხორციელდა ელექტროენერგიის, წყლისა და დასუფთავების მოსაკრებელზე სუბსიდიის დარიცხვა. სუბსიდიის გაცემა განხორციელდა წლის მანძილზე 5-ჯერადად.

**ცხრილი №1.** საანგარიშო პერიოდში მოსარგებლე აბონენტთა რაოდენობა, მომსახურე კომპანიების მიხედვით

| კომპანია | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|
| შპს თბილისის ელექტრო მიმწოდებელი კომპანია | 50 457 | 50 338 | 50 463 | 52 321 | 52 762 |
| თელასი | 51 028 | 51 299 | 51 013 | 51 653 | 53 697 |
| ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი | 47 731 | 26 106 | 26 028 | 25 584 | 2 313 |
| ეპ ჯორჯია მიწოდება | 2 193 | 2 194 | 2 190 | 2 210 | 2 291 |
| ენერგო-პრო ჯორჯია | 2 199 | 2 237 | 2 197 | 2 220 | 27 361 |

**ცხრილი #2.** საანგარიშო პერიოდში მომსახურე კომპანიებში გადარიცხული თანხები

| კომპანია | იანვარი (ლარი) | თებერვალი (ლარი) | მარტი (ლარი) | აპრილი (ლარი) | დეკემბერი (ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| შპს თბილისის ელექტრო მიმწოდებელი კომპანია | 1 532 451.10 | 1 560 890.84 | 1 433 874.02 | 1 548 162.74 | 1 271 625.41 |
| თელასი | 246 948 | 247 983.5 | 246 522 | 249 199.5 | 258 133 |
| ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი | 185 673.59 | 101 552.34 | 101 248.92 | 99 521.76 | 11 280 |
| ეპ ჯორჯია მიწოდება | 50 054.10 | 56 334.08 | 51 483.63 | 55 953.86 | 52 839.03 |
| ენერგო-პრო ჯორჯია | 10 565.50 | 10 650 | 10 607 | 10 745.50 | 106 434.29 |

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს განხორციელდა თვეში საშუალოდ 30959 ოჯახის სუბსიდირება (5 თვის განმავლობაში).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია 51500-მდე ოჯახის სუბსიდირება საშუალოდ თვეში (5 თვის განმავლობაში)

***მიღწეული მაჩვენებელი*** - განხორციელდა 53484 ოჯახის სუბსიდირება საშუალოდ თვეში (5 თვის განმავლობაში).

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულთა ცვლილება.


**06 02 02 სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 11,938.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში ყოველთვიური მატერიალური დახმარება 50 ლარის ოდენობით გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (ოჯახის სარეიტინგო ქულა 70 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ მრავალშვილიან ოჯახებს 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე. ფინანსური დახმარება გაეწია თვეში საშუალოდ 5721 ოჯახს - 19732 ბავშვზე.




| | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოჯახი | 5,599 | 5,668 | 5,634 | 5,709 | 5,697 | 5,582 | 5,765 | 5,786 | 5,791 | 5,811 | 5,798 | 5,809 |
| ბავშვი | 19,303 | 19,534 | 19,413 | 19,654 | 19,606 | 19,708 | 19,842 | 19,906 | 19,929 | 19,981 | 19,934 | 19,974 |

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს დახმარება გაეწია თვეში საშუალოდ 18693 ბავშვს, მათ შორის საშუალოდ 50% გოგონა, 50% ბიჭი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - იგეგმება თვეში საშუალოდ 19900 ბავშვის დაფინანსება, მათ შორის საშუალოდ 50% გოგონა, 50% ბიჭი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დახმარება გაეწია თვეში საშუალოდ 19732 ბავშვს, მათ შორის საშუალოდ 50% გოგონა, 50% ბიჭი.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულთა ცვლილება.

**06 02 03 მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 6.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 50%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული სრულწლოვანი პირებისათვის ახალგაზრდული საცხოვრისების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასულ 3 ბენეფიციარს, რომელთა მომსახურების გაწევისთვის დაფინანსდა ა(ა)იპ ასოციაცია საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი -** N/A

**დაგეგმილი მაჩვენებელი -** თვეში საშუალოდ 6 ბენეფიციარის დაფინანსება

***მიღწეული მაჩვენებელი*** - საშუალოდ თვეში მომსახურება გაეწია 3 ბენეფიციარს

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე -** ნაკლები მომართვიანობა.

**06 02 04 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკუროორტო მომსახურება**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 1,640.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,639.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** შშმ პირთა ჯანმრთელობის, ემოციური ფონის და საზოგადოებაში ინტეგრაციის მხარდაჭერა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის შრომის ანაზღაურება და ანაზღაურებული იქნა 2039 ვაუჩერი, რომლითაც ისარგებლა ერთმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა და მინიმუმ ერთმა გამყოლმა.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი -** 2021 წელს გაიცა 1641 ვაუჩერი, მათ შორის 37.1% გოგონა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაიგეგმა 2030 ვაუჩერის გაცემა, მათ შორის 37.6% გოგონა, 62.4% ბიჭი.

*მიღწეული მაჩვენებელი* - დაფინანსდა 2039 ვაუჩერი, მათ შორის 36.1% გოგონა.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - პროგრამაში დამატებით ჩართული იქნა მომლოდინე ბენეფიციარები.

**06 02 05 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება**

**2022 წლის გეგმა** - 47.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ხანდაზმულ მოქალაქეთა მატერიალური მხარდაჭერა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში ერთჯერადი მატერიალური დახმარება (1000 ლარი) გაეწია 100 წელს მიღწეულ 47 მოქალაქეს.


**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:


**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს დაფინანსდა 46 ბენეფიციარი

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაიგეგმა 47 ბენეფიციარის დაფინანსება

*მიღწეული მაჩვენებელი* - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**06 02 06 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სერვისების მიწოდება** დაფინანსებულია 2,416.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (2,488.0 ათასი ლარი) 97.1%-ია. ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვთა უფასო სწავლება ყოველთვიურად ფინანსდება ხელოვნების სკოლებში (32 სკოლა), მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში (9 ფილიალი) და სასახლეში, სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებში (22 სკოლა/ცენტრი/აუზი/ფედერაცია).




| | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხელოვნების სკოლები | 2577 | 2575 | 2585 | 2570 | 2567 | 2563 | 0 | 0 | 2520 | 2552 | 2529 | 2545 |
| მოსწავლე ახალგაზრდობის სახლები და სასახლე | 1950 | 1973 | 1980 | 1980 | 1988 | 1986 | 0 | 0 | 1561 | 1854 | 1888 | 1870 |
| სპორტული სკოლები და საცურაო აუზები | 1619 | 1501 | 1622 | 1599 | 1588 | 1598 | 1371 | 0 | 1126 | 1543 | 1571 | 1526 |

**შენიშვნა:** ხელოვნების სკოლებში, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში ივლისში სწავლება არ მიმდინარეობდა

**06 02 06 01 უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 601.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 578.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.2%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში არსებულ წრეებზე სწავლების ხელმისაწვდომობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახების 18 წლამდე ასაკის ბავშვთა უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (ბავშვთა რაოდენობა: საშუალოდ 1903 თვეში). ერთ ბენეფიციარზე სწავლების დაფინანსება თვეში ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლისათვის (9 ფილიალი) შეადგენს არაუმეტეს 30 ლარს, ხოლო ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლისათვის თვეში ერთ ბენეფიციარზე სწავლების დაფინანსება განისაზღვრება შემდეგი ოდენობებთ: ა) მხატვრული კითხვა-არაუმეტეს - 25 ლარი, ბ) საგნობრივი წრეები, მუსიკალური მიმართულება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება-არაუმეტეს - 30 ლარი, გ) გიტარის შემსწავლელი წრე, სპორტული მიმართულება-არაუმეტეს - 40 ლარი, დ) ქორეოგრაფიული სტუდია-არაუმეტეს - 50 ლარი. (ბავშვთა რაოდენობა: საშუალოდ 1 903 თვეში).

**ცხრილით** წარმოდგენილია გადარიცხული თანხები და ბენეფიციართა რაოდენობა.

| *თვე* | *მიმწოდებელი* | *ბენეფიციართა რაოდენობა* | *თანხა* |
|---|---|---|---|
| *იანვარი* | მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე | 220 | 7690 |
| | მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები | 1730 | 51900 |
| *თებერვალი* | მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე | 237 | 8190 |
| | მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები | 1736 | 52080 |
| *მარტი* | მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე | 244 | 8460 |
| | მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები | 1736 | 52080 |
| *აპრილი* | მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე | 244 | 8460 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები | 1736 | 52080 |
| *მაისი* | მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე | 249 | 8590 |
| | მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები | 1739 | 52170 |
| *ივნისი* | მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე | 249 | 8600 |
| | მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები | 1737 | 52110 |
| *სექტემბერი* | მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე | 0 | 0 |
| | მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები | 1561 | 46830 |
| *ოქტომბერი* | მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე | 140 | 4590 |
| | მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები | 1714 | 51420 |
| *ნოემბერი* | მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე | 171 | 5550 |
| | მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები | 1717 | 51510 |
| *დეკემბერი* | მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე | 156 | 5075 |
| | მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები | 1714 | 51420 |

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელის დაფინანსებით ისარგებლა თვეში საშუალოდ 1756 ბავშვმა, (მათ შორის საშუალოდ 52.6% გოგონა)

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია 1900 ბავშვის სწავლების დაფინანსება საშუალოდ თვეში, მათ შორის საშუალოდ 54% გოგონა.

*მიღწეული მაჩვენებელი* - დაფინანსდა თვეში საშუალოდ 1903 ბავშვის უფასო სწავლება, მათ შორის საშუალოდ 53.3% გოგონა.

**06 02 06 02 უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 1,006.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,002.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის ხელოვნების სკოლებში არსებულ წრეებზე სწავლების ხელმისაწვდომობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახების 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ხელოვნების კონკრეტულ დარგებში განათლების დონის ამაღლების, მოზარდების ინტელექტუალური შესაძლებლობების გაღრმავების მიზნით, ხელოვნების სკოლებში უფასო სწავლება თითოეულ მოსწავლეზე თვეში არაუმეტეს 40 ლარის ოდენობით (ბავშვთა რაოდენობა: საშუალოდ 2558 თვეში).

**ცხრილით** წარმოდგენილია ხელოვნების სკოლებში ბენეფიციართა რაოდენობა თვეების მიხედვით

| საანგარიშგებო თვე | დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა |
|---|---|
| იანვარი | 2577 |
| თებერვალი | 2575 |
| მარტი | 2585 |
| აპრილი | 2570 |
| მაისი | 2567 |
| ივნისი | 2563 |
| ივლისი | 0 |
| აგვისტო | 0 |
| სექტემბერი | 2520 |
| ოქტომბერი | 2552 |
| ნოემბერი | 2529 |
| დეკემბერი | 2545 |

**ცხრილით** წარმოდგენილია გადარიცხული თანხები დაწესებულებების მიხედვით

| № | დაწესებულების დასახელება | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ.თბილისის მერიის ა. მიზანდარის სახელობის №1 ხელოვნების სკოლა | 1 760 | 1 760 | 1 760 | 1 720 | 1 720 | 1 760 | 1 760 | 1 760 | 1 760 | 1 760 |
| 2 | ქ. თბილისის მერიის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის №2 ხელოვნების სკოლა | 1 200 | 1 200 | 1 200 | 1 200 | 1 200 | 1 160 | 1 000 | 960 | 1 000 | 1 000 |
| 3 | ქ. თბილისის მერიის ა. ჩიმაკაძის სახელობის №3 ხელოვნების სკოლა | 3 320 | 3 360 | 3 360 | 3 360 | 3 360 | 3 360 | 3 320 | 3 360 | 3 280 | 3 280 |
| 4 | ქ. თბილისის მერიის რ. ლაღიძის სახელობის №4 ხელოვნების სკოლა | 4 720 | 4 720 | 4 720 | 4 720 | 4 720 | 4 720 | 4 600 | 4 680 | 4 680 | 4 720 |
| 5 | ქ. თბილისის მერიის ზ. ანჯაფარიძის სახელობის №5 | 8 240 | 8 120 | 8 240 | 8 240 | 8 200 | 8 160 | 7 960 | 8 160 | 8 040 | 8 240 |

| № | დაწესებულების დასახელება | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ზაჰესის ხელოვნების სკოლა | | | | | | | | | | |
| 6 | ქ. თბილისის მერიის მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის №6 ხელოვნების სკოლა | 3 240 | 3 240 | 3 240 | 3 200 | 3 240 | 3 240 | 3 160 | 3 240 | 3 240 | 3 240 |
| 7 | ქ. თბილისის მერიის კ. ფოცხვერაშვილის სახ. №7 ხელოვნების სკოლა | 1 160 | 1 160 | 1 120 | 1 120 | 1 120 | 1 120 | 1 160 | 1 160 | 1 160 | 1 160 |
| 8 | ქ. თბილისის მერიის მ. კოსტავას სახელობის №8 ხელოვნების სკოლა | 1 560 | 1 560 | 1 560 | 1 560 | 1 560 | 1 560 | 1 560 | 1 560 | 1 560 | 1 560 |
| 9 | ქ. თბილისის მერიის ა. ხაჩატურიანის სახელობის №10 ხელოვნების სკოლა | 2 160 | 2 150 | 2 130 | 2 130 | 2 100 | 2 130 | 1 980 | 2 440 | 2 400 | 2 480 |
| 10 | ქ. თბილისის მერიის ს. ინაშვილის სახელობის №12 ხელოვნების სკოლა | 2 000 | 2 000 | 2 000 | 1 920 | 1 880 | 1 800 | 2 040 | 2 040 | 1 880 | 1 960 |
| 11 | ქ. თბილისის მერიის დ. ანდღულაძის სახელობის №14 ხელოვნების სკოლა | 3 960 | 3 960 | 3 960 | 3 960 | 3 960 | 3 960 | 3 960 | 3 880 | 3 800 | 3 880 |
| 12 | ქ. თბილისის მერიის ვ. დოლიძის სახელობის №15 ხელოვნების სკოლა | 9 215 | 9 260 | 9 265 | 9 190 | 9 275 | 9 280 | 9 425 | 9 425 | 9 345 | 9 425 |
| 13 | ქ. თბილისის მერიის ს. ცინცაძის სახელობის №16 ხელოვნების გიმნაზია | 320 | 400 | 400 | 360 | 330 | 330 | 290 | 440 | 490 | 600 |
| 14 | ქ. თბილისის მერიის მერი ნაკაშიძის სახელობის №17 ხელოვნების სკოლა | 800 | 800 | 800 | 800 | 800 | 800 | 800 | 800 | 760 | 800 |
| 15 | ქ. თბილისის მერიის პ.ამირანაშვილის სახელობის №18 ხელოვნების სკოლა | 1 680 | 1 610 | 1 680 | 1 680 | 1 680 | 1 680 | 1 680 | 1 680 | 1 680 | 1 610 |
| 16 | ქ. თბილისის მერიის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის №19 ხელოვნების სკოლა | 6 360 | 6 320 | 6 360 | 6 200 | 6 320 | 6 200 | 6 360 | 6 360 | 6 240 | 6 360 |
| 17 | ქ. თბილისის მერიის №21 | 2 080 | 2 080 | 2 080 | 2 080 | 2 080 | 2 080 | 2 040 | 2 040 | 2 040 | 2 040 |

| № | დაწესებულების დასახელება | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხელოვნების სკოლა | | | | | | | | | | |
| 18 | ქ. თბილისის მერიის დ. თორაძის სახელობის №22 ხელოვნების სკოლა | 2 200 | 2 200 | 2 200 | 2 200 | 2 200 | 2 200 | 2 160 | 2 200 | 2 200 | 2 200 |
| 19 | ქ. თბილისის მერიის №23 ხელოვნების სკოლა | 1 155 | 1 085 | 1 050 | 1 085 | 1 085 | 1 050 | 1 240 | 1 240 | 1 240 | 1 200 |
| 20 | ქ. თბილისის მერიის №24 ხელოვნების სკოლა | 1 470 | 1 435 | 1 435 | 1 435 | 1 400 | 1 400 | 1 435 | 1 470 | 1 435 | 1 400 |
| 21 | ქ. თბილისის მერიის გ. ცაბაძის სახელობის №25 ხელოვნების სკოლა | 2 190 | 2 230 | 2 240 | 2 240 | 2 240 | 2 240 | 2 240 | 2 280 | 2 280 | 2 280 |
| 22 | ქ. თბილისის მერიის ალ. მაჭავარიანის სახელობის №26 ხელოვნების სკოლა | 6 480 | 6 480 | 6 480 | 6 480 | 6 480 | 6 480 | 6 440 | 6 480 | 6 400 | 6 280 |
| 23 | ქ. თბილისის მერიის ა. ნიჟარაძის სახელობის №27 ხელოვნების სკოლა | 5 285 | 5 285 | 5 285 | 5 285 | 5 285 | 5 285 | 5 285 | 5 215 | 5 215 | 5 180 |
| 24 | ქ. თბილისის მერიის ზ. ანჯაფარიძის სახელობის №28 ხელოვნების სკოლა | 320 | 320 | 320 | 320 | 320 | 320 | 320 | 320 | 320 | 320 |
| 25 | ქ. თბილისის მერიის ვ. გონაშვილის სახელობის №29 ხელოვნების სკოლა | 1 440 | 1 440 | 1 440 | 1 440 | 1 440 | 1 440 | 1 400 | 1 440 | 1 440 | 1 440 |
| 26 | ქ. თბილისის მერიის №30 ხელოვნების სკოლა | 3 120 | 3 120 | 3 080 | 3 120 | 3 120 | 3 120 | 3 080 | 3 120 | 3 120 | 3 080 |
| 27 | ქ. თბილისის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის №1 სამხატვრო ხელოვნების სკოლა | 6 080 | 5 880 | 6 080 | 5 920 | 6 040 | 6 000 | 5 760 | 5 680 | 5 680 | 5 920 |
| 28 | ხელოვნების სამხატვრო სკოლა "აფხაზეთი №1" | 280 | 280 | 280 | 280 | 280 | 280 | 320 | 320 | 280 | 280 |
| 29 | ქ. თბილისის მერიის ი. სუხიშვილის სახელობის ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია | 6 800 | 6 840 | 6 840 | 6 800 | 6 640 | 6 720 | 6 000 | 6 200 | 6 040 | 6 080 |
| 30 | ქ. თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზია | 720 | 840 | 920 | 880 | 840 | 840 | 800 | 1 000 | 1 080 | 1 080 |

| № | დაწესებულების დასახელება | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 31 | ხელოვნების სკოლა "აფხაზეთი № 1" | 6 040 | 6 040 | 6 040 | 6 040 | 6 000 | 6 000 | 5 800 | 6 040 | 6 000 | 6 000 |
| 32 | ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი №2“ | 3 480 | 3 480 | 3 480 | 3 480 | 3 440 | 3 480 | 3 480 | 3 480 | 3 480 | 3 480 |
| | **სულ** | **100 835** | **100 655** | **101 045** | **100 445** | **100 355** | **100 195** | **98 855** | **100 470** | **99 565** | **100 335** |

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს დაფინანსებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 2552 ბავშვმა, მათ შორის საშუალოდ 59.8% გოგონა, 40.2% ბიჭი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაიგეგმა საშუალოდ თვეში 2 605 ბავშვის დაფინანსება, (მათ შორის საშუალოდ 59% გოგონა)

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაფინანსებით ისარგებლა 2558 ბავშვმა, საშუალოდ თვეში, მათ შორის საშუალოდ 60.2% გოგონა, 39.8% ბიჭი.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ბენეფიციარების რაოდენობის ცვლილება.

**06 02 06 03 უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 630.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 623.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.9%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის სპორტულ წრეებზე სწავლების ხელმისაწვდომობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახების 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის მიზნით, სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებში უფასო სწავლება სპორტის სხვადასხვა წრეებში (ბავშვთა რაოდენობა: საშუალოდ 1515 თვეში).

**ცხრილით** წარმოდგენილია სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებში ბენეფიციართა რაოდენობა თვეების მიხედვით

| საანგარიშგებო თვე | დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა |
|---|---|
| იანვარი | 1619 |
| თებერვალი | 1501 |
| მარტი | 1622 |
| აპრილი | 1599 |
| მაისი | 1588 |
| ივნისი | 1598 |
| ივლისი | 1371 |
| აგვისტო | 0 |
| სექტემბერი | 1126 |
| ოქტომბერი | 1543 |
| ნოემბერი | 1571 |
| დეკემბერი | 1526 |

**ცხრილით** წარმოდგენილია გადარიცხული თანხები დაწესებულებების მიხედვით

| N | დაწესებულების დასახელება | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საქ. ძიუდოს ეროვნული ფედერაცია -ძიუდოს აკადემია | 4170 | 4110 | 4080 | 4170 | 4080 | 4140 | 4020 | 4200 | 4170 | 4170 | 4110 |
| 2 | ა.ი.პ ,,35 საფეხბურთო კლუბი" | 1150 | 1250 | 1150 | 1150 | 1200 | 1200 | 1250 | 1400 | 1800 | 2000 | 1950 |
| 3 | შ.პ.ს„ავაზა1970" | 2430 | 2400 | 2490 | 2520 | 2460 | 2520 | 2430 | 2130 | 2310 | 2520 | 2610 |
| 4 | თბილისის კარატეს ფედერაცია | 960 | 930 | 960 | 960 | 930 | 960 | 960 | 960 | 960 | 960 | 930 |
| 5 | კლუბი "მებრძოლი-2015" | 180 | 180 | 180 | 180 | 180 | 180 | 180 | 150 | 180 | 180 | 180 |
| 6 | შ.პ.ს. ,,ოვერტაიმი" | 150 | 150 | 150 | 150 | 150 | 150 | 150 | 150 | 150 | 150 | 150 |
| 7 | ი/მ ,,სოსო ბზარაშვილი" ლერი ხაბელოვის სახელობის სპორტული კლუბი"იმედი" | 930 | 870 | 930 | 930 | 900 | 870 | 840 | 900 | 960 | 990 | 960 |
| 8 | ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრი | 3870 | 3900 | 3900 | 3900 | 3870 | 3900 | 3900 | 3360 | 3810 | 3900 | 3870 |
| 9 | მაგიდის ჩოგბურთის კლუბი ,,ტოპ-სპინი" | 300 | 300 | 300 | 300 | 300 | 300 | 300 | 300 | 300 | 480 | 480 |
| 10 | გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი | | 1020 | 1230 | 1230 | 1410 | 1380 | 1320 | 1350 | 1350 | 1350 | 1320 |
| 11 | ა.ა.ი.პ ძიუდოს კლუბი ,,ჯორჯია" | 3960 | 4050 | 4020 | 4560 | 4560 | 4 560 | 4 560 | 4920 | 4890 | 5010 | 5040 |
| 12 | ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი | 8070 | 8650 | 9630 | 10355 | 10175 | 9 480 | 5 820 | 2220 | 5225 | 7565 | 8360 |
| 13 | ა(ა)იპ ქ.თბილისის ფარიკაობის № 1 ფედერაცია | 240 | 240 | 240 | 270 | 270 | 240 | 180 | 210 | 210 | 210 | 210 |

| N | დაწესებულების დასახელება | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14 | მარინა ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრი | 540 | 570 | 630 | 570 | 570 | 255 | | | | 300 | 390 |
| 15 | შპს დიღომი 2008 | | 6011 | 10051 | 6326 | 4472 | 2641 | 5894 | 5562 | 7398 | 5025 | 5457 |
| 16 | შპს გიომირი+სპორტ-ტაიმი | 5999 | 9590 | 8407 | 1802 | | | 1603 | | | 4512 | 3300 |
| 17 | ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი_გლდანის ფილიალი | 3247 | 2093 | 5404 | 4839 | 5620 | 6780 | 4862 | | 5556 | 6874 | 6203 |
| 18 | ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი_ნაძალადევის ფილიალი | 1149 | 1539 | 4396 | 4215 | 5743 | 6739 | 4256 | | 3346 | 3236 | 4652 |
| 19 | ინდ.მეწარმე გულადი ოყროშიძე /აფრიკის საცურაო აუზი | 5871 | 6693 | 6407 | 15415 | 13765 | 15659 | 8314 | 7911 | 4174 | 3889 | 3387 |
| 20 | შპს წყალთა სახეობის ცენტრი-ტონუსი | | 1481 | 1784 | 1067 | 1574 | 1527 | 1073 | 1259 | 1836 | 974 | 746 |
| 21 | შპს ლაგუნა | | | | | | 396 | 816 | 1323 | 1090 | 169 | 175 |
| 22 | ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრი | | | | | | | | 6168 | 5929 | 4524 | 834 |
| | ჯამი | 43216 | 56027 | 66339 | 64907 | 62228 | 63879 | 52728 | 44474 | 55646 | 58988 | 55314 |

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს დაფინანსებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 1090 ბავშვმა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია საშუალოდ თვეში 1411 ბავშვის სწავლის დაფინანსება

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაფინანსებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 1515 ბავშვმა.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ბენეფიციარების რაოდენობის ცვლილება და მომართვიანობის ზრდა.

**06 02 06 04 სერვის ცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია)**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა -** 250.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 210.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 84.4%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სოციალურად დაუცველთა და სხვა კატეგორიის პირთა მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების, სერვისცენტრის კომუნალური ხარჯების და ბარათების საბეჭდი მოწყობილობის სახარჯი მასალების ანაზღაურება. მიმდინარე პერიოდში გაცემულ იქნა 54667 სამგზავრო ბარათი და უფასო სასადილოს მომსახურების ბარათი.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი -** 2021 წელს გაიცა 28464 პლასტიკური ბარათი

**დაგეგმილი მაჩვენებელი -** დაიგეგმა 81734 პლასტიკური ბარათის გაცემა

*მიღწეული მაჩვენებელი* - გაიცა 54667 პლასტიკური ბარათი

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე -** ბენეფიციართა ნაკლები მომართვიანობა

**06 02 07 სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ა(ა)იპ სოციალური მზრუნველობის სააგენტო

**2022 წლის გეგმა -** 3,440.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,265.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.9%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებები, ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სოციალური მუშაობის ჩატარება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ფუნქციონირების ხარჯები. ასევე,

განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: სააგენტოს 112 სოციალური მუშაკი (მათ შორის 24 უფროსი სოციალური მუშაკი), გადანაწილებულნი არიან მუნიციპალიტეტის 30 სამოქმედო უბანზე და ასრულებენ მათზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს, 60 საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღში ჩატარდა მშობლებთან ინტენსიური შეხვედრები ბავშვთან და ოჯახთან დაკავშირებული პროგრამების/სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან გადამომისამართდა 38 შემთხვევა, რომლებზეც სოციალური მუშაკების მიერ საქმის შესწავლისა და შეფასების შემდგომ, დახმარების აღმოჩენისა და შესაბამის სერვისებში ჩართვის მიზნით, მიმართვა მოხდა რაიონულ გამგეობებსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში. 4 ოჯახში სოციალური მუშაკი მუშაობს მშობლის უნარ-ჩვევების განვითარების კუთხით, ხოლო 2 საქმეში ჩაერთო ფსიქოლოგი, რომელიც კონსულტაციას უწევს მშობლებს სხვადასხვა საკითხებზე, სოციალური მუშაკების მიერ მოხდა 193 376 ოჯახში ვიზიტი და სააგენტოს ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა, საიდანაც 14 931 ოჯახში საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით განხორციელდა 26 410 ბავშვის სკრინინგი. განხორციელებული ვიზიტებიდან, არასრულწლოვანი არ იმყოფება 69149 ოჯახში, თბილისში რეგისტრაცია არ აქვთ 9765 ოჯახს, არ ცხოვრობენ 25466 ბინაში, სოციალურ მუშაკებს არ დახვდათ სახლში 40499 ოჯახი და 15482 ოჯახთან ვერ მოხდა კომუნიკაციის სრულყოფილი დამყარება, სააგენტოში თბილისის საქალაქო სასამართლოდან შემოსულია 9 სამოქალაქო საქმე, რაზეც სოციალური მუშაკების მიერ მოხდა შესაბამისი დასკვნის მომზადება და სასამართლოში წარდგენა. აღსანიშნავია, რომ კორონა ვირუსით (Covid – 19) გამოწვეული ეპიდემიური ვითარების გამო, 2020 წლის 12 ოქტომბრიდან (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 30 ნოემბრის N20.1409.1737 განკარგულების საფუძველზე) 2022 წლის თებერვლის შუა რიცხვებამდე, სააგენტოს თანამშრომელთა 90% ახორციელებდა ვირუსით ინფიცირებული პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და

მათთან კონტაქტირებული პირების დადგენასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებას.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1. საბაზისო მაჩვენებელი -** სოციალური მუშაკთა ქსელი (112 სოციალური მუშაკი (მათ შორის 24 უფროსი სოციალური მუშაკი) განისაზღვრულ სამოქმედო უბნებზე (გადანაწილებულნი არიან მუნიციპალიტეტის 30 სამოქმედო უბანზე) ასრულებენ მათზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს.

**დაგეგმილი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** *- დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.*

**2. საბაზისო მაჩვენებელი -** სააგენტოს მიერ, ოჯახების გაძლიერება, მშობლებისა და ბავშვის აღმზრდელი სხვა პირების მატერიალური და არამატერიალური დახმარების გზით, ყოველწლიურად ხორციელდება თვეში საშუალოდ 200-მდე ბავშვიანი ოჯახის შეფასება.

**დაგეგმილი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა 60%-ით.

**06 02 08 სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 8,844.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 8,842.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირთათვის მედიკამენტოზურ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 21034 ბენეფიციარის მედიკამენტების ღირებულება 50865 შემთხვევის ასანაზღაურებლად, მათ შორის ბენეფიციართა 78% იყო ქალი ხოლო 22% მამაკაცი.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი -** N/A

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - 20583 ბენეფიციარისათვის მედიკამენტების ღირებულების ანაზღურება.

*მიღწეული მაჩვენებელი* - დაფინანსდა 21034 ბენეფიციარი, მათ შორის 78% ქალი.

**06 02 09 სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 16,512.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 15,958.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** თბილისში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო, ამბულატორიული და სხვა სერვისების მომსახურების დაფინანსება და ხელმისაწვდომობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობი კომისიის“ თანახმად ძირითადი მოთხოვნა დაფიქსირდა მედიკამენტების, ოპერაციული მკურნალობის და სხვა სამედიცინო მომსახურებების დაფინანსებაზე. სულ გადარიცხულია 13,536.0 ათასი ლარი, მათ შორის: 3064 ბენეფიციარის მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 2,422.7 ათასი ლარი, 5426 ბენეფიციარის ოპერაციული მკურნალობა - 5,976.4 ათასი ლარით, ხოლო 5464 ბენეფიციარის სხვა სამედიცინო მომსახურებები - 5,137.0 ათასი ლარი. გარდა ამისა, სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 2,505.0 ათასი ლარიდან, გადარიცხულია 2,397.4 ათასი ლარი, ხოლო წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გაწეულია 25.5 ათასი ლარი.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს დაფინანსდა 14111 განცხადება

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია 16500-მდე განცხადების დაფინანსება

*მიღწეული მაჩვენებელი* - დაფინანსდა 13954 განცხადება

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - ცდომილება განპირობებულია გეგმიური სამედიცინო მომსახურების შემცირების გამო.

**06 02 10 ომის ვეტერანების დახმარება**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებისა საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 107.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და ამ ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების (ქვრივები, შრომისუუნარო წევრები) მატერიალური მხარდაჭერა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ამ ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისადმი (ქვრივები, შრომისუუნარო წევრები) 9 მაისის დღესასწაულის აღსანიშნავად ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ქ.თბილისში რეგისტრირებული, შესაბამისი სტატუსის მქონე პირების თაობაზე. მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად გადარიცხულ იქნა შემდეგი თანხები: 1. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 84 ბენეფიციარს - თითოეულს 1000 ლარი, 2. ამ ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების (ქვრივები, შრომისუუნარო წევრები) სტატუსის მქონე 46 ბენეფიციარს - თითოეულს 500 ლარი.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს დაფინანსდა 167 ბენეფიციარი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაიგეგმა 130 ბენეფიციარის დაფინანსება.

*მიღწეული მაჩვენებელი* - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

**06 02 11 საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას,**

***მიღწეული მაჩვენებელი:*** დახმარება გაეწია 12688 ბენეფიციარს (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 31 მოქალაქე).

**06 02 18 10 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 1,726.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,694.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.2%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 12629 ბენეფიციარს. აქედან: სამედიცინო მომსახურეობაზე და გამოკვლევაზე დახმარება გაეწია 1074 ბენეფიციარს, მედიკამენტების შეძენაზე - 2609 ბენეფიციარს, ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე - 2182 ბენეფიციარს, სარიტუალო მომსახურება გაეწია სოციალურად დაუცველი 176 გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახს, 270 ბენეფიციარს გადაეცა საწვავი ხის მასალა (შეშა), სამშენებლო მასალებით დახმარება - 118 ბენეფიციარს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 3100 ბენეფიციარისთვის (მათ შორის უფასო სასადილოების კვებით მოსარგებლე 2887 ბენეფიციარი) და ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით 3100 ბენეფიციარისთვის (მათ შორის უფასო სასადილოების კვებით მოსარგებლე 2865 ბენეფიციარი) შეძენილ იქნა სასაჩუქრე ნობათი. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 25.5 ათასი ლარი, 2022 წლის 29 აგვისტოს, ჩუღურეთის რაიონში, მ. მამარდაშვილის ქ.N50-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ძლიერი ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით და 2022 წლის 30 სექტემბერს, ჩუღურეთის რაიონში, სპარტაკის ქ.N3, N11-ში და სპარტაკის გასასვლელის N11, N13-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ძლიერი ხანძრისა და წყლის ჭავლის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით, დაზარალებული მოქალაქეებისათვის კომპენსაციის გასაცემად.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს შემოსული 13374 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა 9888 განცხადება და დახმარება გაეწია 15469 ბენეფიციარს.

**დაგეგმილი მაჩვნებელი** - შემოსული განცხადებების დაფინანსება.

*მიღწეული მაჩვენებელი* - შემოსული 9831 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა 6883 განცხადება და დახმარება გაეწია 12635 ბენეფიციარს (მათ შორის დღესასწაულებთან დაკავშირებით - 5752 ბენეფიციარი, სარეზერვო ფონდიდან 6 მოქალაქეს).

**06 02 18 11 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ვაკის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 2,114.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,069.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.9%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 12777 ბენეფიციარს. მათ შორის: სამედიცინო მომსახურებაზე (ოპერაციები, მკურნალობა) დახმარება გაეწია 1206 ბენეფიციარს, მედიკამენტების შეძენაზე - 4253 ბენეფიციარს, ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე - 3195 ბენეფიციარს, სამშენებლო მასალების შეძენაზე - 83 ბენეფიციარს, სარიტუალო მომსახურება გაეწია სოციალურად დაუცველი 103 გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 1837 ბენეფიციარისთვის (მათ შორის უფასო სასადილოების კვებით მოსარგებლე 1760 ბენეფიციარი) და ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით 1844 ბენეფიციარისთვის (მათ შორის უფასო სასადილოების კვებით მოსარგებლე 1760 ბენეფიციარი) შეძენილ იქნა სასაჩუქრე ნობათი (მათ შორის უფასო სასადილოების კვებით მოსარგებლე 1760 ბენეფიციარი). ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 162.6 ათასი ლარი, ვაკის რაიონში, 2021 წლის 8 დეკემბერს, ვაჟა-ფშაველას 3 კვარტალი, კორპუსი №5, ბინა №37-ში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქისა და 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, ვაკის რაიონში მცხოვრები მეორე კატეგორიის დაზარალებული მოქალაქისათვის ფინანსური დახმარება, 2022 წლის 16 მარტს, მარუხის გმირების ქუჩა N11-ის მიმდებარედ ფერდის ჩამოშლის

გამო, უსაფრთხოების მიზნით, კორპუსში (ს/ნN01.14.11.058.057) მცხოვრები მოქალაქეებისათვის დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, სასტუმროს მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, ვაკის რაიონში, ატენის ქუჩა №18გ-ში და ფალიაშვილის ქუჩა №11-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი შენობების ჩამონგრევის საშიშროებიდან გამომდინარე, დაზარალებული ოჯახებისათვის, დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, სასტუმროების მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, 2022 წლის 7 ნოემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ფერდობი II მ/რ, 1 კვარტალი, კორპუსი N3-ში მდებარე საცხოვრებელ ბინა N26-ში გაჩენილი ძლიერი ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით, 2022 წლის მარტის თვეში, უხვი ნალექის მოსვლის შედეგად, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში მდებარე საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების აღსადგენად (მათ შორის სამშენებლო მასალების შეძენა) და სოფელ ახალდაბაში, ბეთანიის ქ.N4-ში მდებარე დაზიანებული საცხოვრებელი სახლის აღსადგენად, დაზარალებული მოქალაქეებისათვის ფინანსური დახმარება.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს შემოსული 12567 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 9792 განცხადება და დახმარება გაეწია 13454 ბენეფიციარს (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 41 მოქალაქე).

**დაგეგმილი მაჩვნებელი** - შემოსული განცხადებების დაფინანსება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - შემოსული 15289 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 9181 განცხადება და დახმარება გაეწია 12862 ბენეფიციარს (მათ შორის დღესასწაულთან დაკავშირებით 3520 ბენეფიციარი, სარეზერვო ფონდიდან 85 მოქალაქე).

**06 02 18 12 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** საბურთალოს რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 2,388.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,382.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 14248 ბენეფიციარს. მათ შორის: სამედიცინო მომსახურებაზე (ოპერაციები, მკურნალობა) დახმარება გაეწია 1980 ბენეფიციარს, მედიკამენტების შეძენაზე - 4756 ბენეფიციარს, ერთჯერად მატერიალურ დახმარებაზე - 4463 მოქალაქეს, სარიტუალო მომსახურება გაეწია სოციალურად დაუცველი 101 გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 1490 ბენეფიციარისთვის (მათ შორის უფასო სასადილოების კვებით მოსარგებლე 1430 ბენეფიციარი) და ახალი წლის დღესაწაულთან დაკავშირებით 1458 ბენეფიციარისთვის (მათ შორის უფასო სასადილოების კვებით მოსარგებლე 1364 ბენეფიციარი) შეძენილ იქნა სასაჩუქრე ნობათი. ასევე, გაწეულია დიდ დიღომში დიდგორის ქუჩაზე მომხდარი ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახის სასტუმროს მომსახურების ხარჯები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს შემოსული 18741 განცხადებიდან დაფინანსდა 13153 განცხადება და დახმარება გაეწია 15979 ბენეფიციარს (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 12 მოქალაქე).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - შემოსული განცხადებების დაფინანსება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - შემოსული 14727 განცხადებიდან დაფინანსდა 11148 განცხადება და დახმარება გაეწია 14249 ბენეფიციარს (მათ შორის დღესასწაულებთან დაკავშირებით - 2794 ბენეფიციარი).

**06 02 18 13 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ისნის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 2,414.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 16286 ბენეფიციარს. მათ შორის: სამედიცინო მომსახურებით დახმარება გაეწია 1546 ბენეფიციარს, მედიკამენტების შეძენაზე - 2528 ბენეფიციარს, სამშენებლო მასალებით დახმარება - 35 ბენეფიციარს, ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცა 2652 ბენეფიციარზე, სარიტუალო მომსახურება გაეწია სოციალურად დაუცველი 267 გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახს, 358 ბენეფიციარს მიეწოდა შეშა, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 4450 ბენეფიციარისთვის (მათ შორის უფასო სასადილოების კვებით მოსარგებლე 4186 ბენეფიციარი) და ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით 4450 ბენეფიციარისთვის (მათ შორის უფასო სასადილოების კვებით მოსარგებლე 4186 ბენეფიციარი) შეძენილ იქნა სასაჩუქრე ნობათი. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 138.3 ათასი ლარი, ისნის რაიონში, მეტეხის ქუჩა №14-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ჩამონგრევის შედეგად და წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №28-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ნგრევის საშიშროებიდან გამომდინარე, უსაფრთხოების მიზნით დაზარალებული ოჯახებისათვის, 2022 წლის 21 მარტს ბესიკ გეთიას ქუჩა №68-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ჩამონგრევისა და 2 აპრილს წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N60-ში მდებარე საცხოვრებელი სახლში ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №32-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ჩამონგრევის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის, 30 მაისს, ბოდბის ქუჩა №3-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის ჩამონგრევის და 1 მაისს ძლიერი წვიმისა და სეტყვის შედეგად, ვაზისუბნის დასახლებაში, მე-2 მ/რ, კორპუსი №19, ბინა №63-ში მცხოვრები დაზარალებული ოჯახებისათვის, 29 ივლისს, ავლაბრის ქუჩა N6 მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის ჩამონგრევის საშიშროებიდან გამომდინარე და 2022 წლის 7 სექტემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №74-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის ჩამონგრევის საშიშროებიდან გამომდინარე, დაზარალებული

ოჯახებისათვის, დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, სასტუმროს მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, 2017 წლის 22 ნოემბერს ისნის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი მე-6 შესახვევი, კორპუსი N9-ში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმის მიერ განხორციელებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციის შედეგად დაზარალებული მოქალაქეებისათვის, დაზიანებული და განადგურებული საყოფაცხოვრებო და პირადი მოხმარების ნივთებისათვის კომპენსაციის მიღების მიზნით (სულ 60 მოქალაქე).

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - სტატისტიკიდან გამომდინარე ყოველწლიურად ფინანსდება დაახლოებით 15000 განცხადება, 2021 წელს დახმარება გაეწია 18646 ბენეფიციარს (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 36 მოქალაქე).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - შემოსული განცხადებების დაფინანსება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - სულ შემოსული განცხადებებიდან დაკმაყოფილდა 12100 განცხადება და დახმარება გაეწია 16346 ბენეფიციარს (მათ შორის დღესასწაულებთან დაკავშირებით - 8372 ბენეფიციარი, სარეზერვო ფონდიდან 60 მოქალაქე).

**06 02 18 14 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** სამგორის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 3,718.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,707.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია 23303 ბენეფიციარს. მათ შორის: სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურებაზე დახმარება გაეწია 2316 ბენეფიციარს, მედიკამენტების შეძენაზე 2300 ბენეფიციარს, სარიტუალო მომსახურება გაეწია სოციალურად დაუცველი 243 გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახს, სამშენებლო მასალით დახმარება გაეწია 28

ბენეფიციარს, ფინანსური დახმარება - 4386 ბენეფიციარს, კომუნალური გადასახადების დაფარვა – 45 ბენეფიციარს, სოციალურად დაუცველ 525 ოჯახს მიეწოდა შეშა, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 6260 ბენეფიციარისთვის და ახალი წლის დღესაწაულთან დაკავშირებით 6200 ბენეფიციარისთვის შეძენილ იქნა სასაჩუქრე ნობათი. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 137.9 ათასი ლარი, სამგორის რაიონში აეროდრომის დასახლება, ლ. ნაკაშიძე-ბოლქვაძის ქუჩა, I გასასვლელი, N10–ში ხანძრის შედეგად, სოფელი დიდი ლილო, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩა N2-ში სტიქიის შედეგად (ძლიერი ქარი), 2022 წლის 28 იანვარს, ვარკეთილის ზ/პლატო,მე-II მ/რაიონი, კორპუსი N7–ში და 2022 წლის 4 მარტს, ვარკეთილის ზ/პლატო, მე-III მასივი, კორპუსი N13-ში ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი ბინების აღსადგენად, დაზარალებული მოქალაქეებისათვის ფინანსური დახმარება, 2022 წლის მარტი-აპრილის თვეში, ძლიერი ქარის შედეგად, სამგორის რაიონში, სოფელი დიდი ლილო, გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №14-ში, მე-2 ნავთლუღის დასახლება 360 კილომეტრი №11-ში და აკაკი ჩხენკელის ქუჩა №7-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების აღსადგენად, დაზარალებული მოქალაქეებისათვის ფინანსური დახმარება, აფრიკის დასახლებაში უკანონოდ აშენებული საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის შედეგად დაზარალებული ერთი ოჯახისათვის და 2022 წლის 26 თებერვალს, რქაწითელის ქუჩა №6-ში მდებარე კორპუსში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის, ასევე, სამგორის რაიონში, ზ/პლატო, მე-2 მ/რაიონი, კორპუსი N11-ში და მე-3 მასივი, მე-8 კვარტალი, N12 კორპუსში კონსოლური ფილების დაზიანების გამო, უსაფრთხოების მიზნით, კორპუსში მცხოვრები ოჯახებისათვის დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, სასტუმროს მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, 2022 წლის 4 ოქტომბერს, აეროპორტის დასახლება, რკინიგზის ჩიხი №1, კორპუსი №1, ბინა №3-ში და 2022 წლის 19 ოქტომბერს, კალაუბნის ქუჩა №14-ში მდებარე კორპუსის ბინა №41-ში გაჩენილი ხანძრის შედეგად, დაზარალებული მოქალაქეების საკუთრებაში არსებული დაზიანებული

საცხოვრებელი ბინის აღსადგენად, 2022 წლის 13 ნოემბერს, ძლიერი ქარის შედეგად დიდი ლილო, ერეკლე II ქუჩა №73-ში მდებარე დაზიანებული საცხოვრებელი სახლის აღსადგენად, დაზარალებულ მოქალაქისათვის ფინანსური დახმარების მიზნით (სულ 64 მოქალაქე).

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - სტატისტიკიდან გამომდინარე ყოველწლიურად ფინანსდება დაახლოებით 20000 განცხადება, 2021 წელს დახმარება გაეწია 24687 მოქალაქეს (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 21 მოქალაქე).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - შემოსული განცხადებების დაფინანსება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დახმარება გაეწია 23367 მოქალაქეს (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან - 64 მოქალაქე).

**06 02 18 15 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კრწანისის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 1,535.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,531.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 13081 ბენეფიციარს. მათ შორის: სამედიცინო მომსახურეობაზე დახმარება გაეწია 1004 ბენეფიციარს, მედიკამენტების შეძენაზე - 4216 ბენეფიციარს, ერთჯერადი ფინანსური დახმარებაზე - 2117 ბენეფიციარს, სარიტუალო მომსახურება გაეწია სოციალურად დაუცველი 126 გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახს, საწვავი ხის მასალით (შეშა) დახმარება გაეწია 218 ოჯახს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 2700 უფასო სასადილოების კვებით მოსარგებლე ბენეფიციარისთვის და ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით 2700 უფასო სასადილოების კვებით მოსარგებლე ბენეფიციარისთვის შეძენილ იქნა სასაჩუქრე ნობათი. ამასთან, ბიუჯეტის

სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 0.8 ათასი ლარი 2022 წლის 21 ოქტომბერს, რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სკვერში თვითნებურად გაშლილ კარავში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეების (1 ოჯახის 6 მოქალაქე) შესაძლო საფრთხის (სიცოცხლე და ჯანმრთელობა) თავიდან ასაცილებლად, დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, სასტუმროს მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს შემოსული 16200 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 9128 განცხადება და დახმარება გაეწია 14528 ბენეფიციარს.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - შემოსული განცხადებების დაფინანსება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - შემოსული 9345 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 7681 განცხადება და დახმარება გაეწია 13087 ბენეფიციარს (მათ შორის დღესასწაულებთან დაკავშირებით 5400 ბენეციარი, სარეზერვო ფონდიდან - 1 ოჯახის 6 მოქალაქეს).

**06 02 18 16 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** მთაწმინდის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 1,661.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,620.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება გაეწია 10320 ბენეფიციარს. მათ შორის: სამედიცინო მომსახურებაზე დახმარება გაეწია 878 ბენეფიციარს, მედიკამენტებით დახმარება - 4068 ბენეფიციარს, სარიტუალო მომსახურება გაეწია სოციალურად დაუცველი 92 გარდაცვლილი ბენეფიციარის ოჯახს, ერთჯერადი ფინანსური დახმარება - 1285 ბენეფიციარს, მასალების შეძენა 9 ბენეფიციარს, ხანძრის შედეგების კომპენსაცია გაიცა 13 ბენეფიციარზე, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით

1775 ბენეფიციარისთვის და ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით 2000 ბენეფიციარისთვის შეძენილ იქნა სასაჩუქრე ნობათი. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 59.7 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში, 2021 წლის 30 დეკემბერს, გალის ქუჩა №10, თერგის ქუჩა №4, პეტრიაშვილის ქუჩა №33-ში და 2022 წლის 30 აპრილს, ქიაჩელის ქ.№12/9-ში მდებარე საცხოვრებელ სახლებში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის, 2022 წლის 21 მარტს, კოჯორში, დიდთოვლობის შედეგად, ტაბიძის ქუჩა №6-ში მდებარე დაზიანებულ საცხოვრებელ სახლში მცხოვრები დაზარალებული ოჯახებისათვის, 2022 წლის 12 ივლისს, ღამბაშიძის ქ. №7-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის სახურავიდან ფრაგმენტების ცვენის გამო დაზარალებული ოჯახისათვის და 2022 წლის 3 დეკემბერს, ბაქრაძის ქ. №13-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ჭერის ჩამონგრევის გამო, უსაფრთხოების მიზნით, დაზარალებული მოქალაქეებისთვის დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, სასტუმროს მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, 2022 წლის 29 იანვარს, გლდანის რაიონში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად, მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული გარდაცვლილი ბენეფიციარების, გადასვენების მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, 2022 წლის მარტის თვეში, დიდთოვლობის შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის შემოერთებულ ტერიტორიებზე მდებარე დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღსადგენად (სამშენებლო მასალების შეძენა) დაზარალებული მოქალაქეებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევად (სულ 35 მოქალაქე).

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს დახმარება გაეწია 10181 ბენეფიციარს (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან - 9).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - შემოსული განცხადებების დაფინანსება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დახმარება გაეწია 10355 ბენეფიციარს (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან - 35)

**06 02 21 თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი“

**2022 წლის გეგმა** - 1,509.9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,410.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 93.4%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მიუსაფარი პირების და ალკოჰოლური თრობის ან სხვა პრობლემების მქონე პირების თავშესაფრით უზრუნველყოფა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია მემორანდუმით (პალიატიური ზრუნვა, ალკოჰოლური თრობის ან სხვა პრობლემების მქონე პირების თავშესაფარი) გათვალისწინებული ხარჯების ასანაზღაურებლად ა(ა)იპ წმინდა მამა გაბრიელის სახელობის მიუსაფარ მოხუცთა პალიატიური ჰოსპისისათვის – 132.3 ათასი ლარი. ასევე, გაწეულია ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფარის ფუნქციონირების ხელშეწყობის ხარჯები 1,278.1 ათასი ლარი. ბენეფიციართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესში თავშესაფარსა და საცხოვრისებში განხორციელდა შემდეგი ჯგუფური შეხვედრები: კინოკლუბი, გასართობი და ინტელექტუალური თამაშები: ,,რა? სად? როდის?“, ,,მელომანი“, შრომითი თერაპია შერეულ ჯგუფთან, მშობელთა კლუბი, ,,ქალები 60-დან“, არტთერაპია, ფსიქოკორექცია, ,,კრეატიული ქალების ჯგუფი. ჯგუფური მუშაობისას იქმნებოდა როგორც საერთო ნამუშევრები, რომლის დროსაც ჯგუფის სხვადასხვა წევრები ერთი ნამუშევრის სხვადასხვა დეტალებს ქმნიდნენ, ასევე ინდივიდუალური ნამუშევრები.

მიმდინარე პერიოდში მუნიციპალურ თავშესაფარში იმყოფებოდა თვეში საშუალოდ 115 ბენეფიციარი, ხოლო პალიატიურ ჰოსპისში თვეში საშუალოდ - 13 ბენეფიციარი. აღსანიშნავია, რომ სექტემბრიდან ფუნქციონირება დაიწყო ალკოჰოლური თრობის ან სხვა პრობლემების მქონე პირების თავშესაფარმა, სადაც იმყოფებოდა თვეში საშუალოდ 10 ბენეფიციარი.

**ცხრილით** წარმოდგენილია ლილოს თავშესაფარში ბენეფიციარები სქესის მიხედვით

| თვე | სულ | მათ შორის | |
|---|---|---|---|
| | | კაცი | ქალი |
| იანვარი | 117 | 58 | 59 |
| თებერვალი | 121 | 60 | 61 |
| მარტი | 118 | 60 | 58 |
| აპრილი | 111 | 58 | 53 |
| მაისი | 108 | 58 | 50 |
| ივნისი | 109 | 56 | 53 |
| ივლისი | 108 | 57 | 51 |
| აგვისტო | 110 | 61 | 49 |
| სექტემბერი | 109 | 62 | 47 |
| ოქტომბერი | 119 | 69 | 50 |
| ნოემბერი | 126 | 70 | 56 |
| დეკემბერი | 122 | 69 | 53 |

**ცხრილით** წარმოდგენილია პალიატიური ჰოსპისის და ალკოჰოლური თრობის ან სხვა პრობლემების მქონე ბენეფიციარები

| თვე | ბენეფიციართა რაოდენობა | |
|---|---|---|
| | ალკოჰოლური თრობის ან სხვა პრობლემების მქონე ბენეფიციარები | პალიატიური ჰოსპისის ბენეფიციარები |
| იანვარი | 0 | 18 |
| თებერვალი | 0 | 19 |
| მარტი | 0 | 18 |
| აპრილი | 0 | 10 |
| მაისი | 0 | 10 |
| ივნისი | 0 | 12 |
| ივლისი | 0 | 11 |
| აგვისტო | 0 | 12 |
| სექტემბერი | 10 | 11 |
| ოქტომბერი | 10 | 13 |
| ნოემბერი | 10 | 15 |
| დეკემბერი | 10 | 11 |

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მომსახურებით (თავშესაფარი, ჰოსპისი) ისარგებლა საშუალოდ თვეში 114 ბენეფიციარმა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია საშუალოდ 168 ბენეფიციარის მომსახურება (თავშესაფარი, ჰოსპისი, ალკოჰოლური თრობის ან სხვა პრობლემების მქონე პირები).

*მიღწეული მაჩვენებელი* - მომსახურებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 137 ბენეფიციარმა (თავშესაფარი, ჰოსპისი, ალკოჰოლური თრობის ან სხვა პრობლემების მქონე პირები).

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - ცდომილება გამოწვეულია მიუსაფართა თავშესაფარში და ჰოსპისში (პალიატიური ზრუნვა) ნაკლები მომართვიანობით.

**06 02 22 სოციალურად დაუცველი 18 წლამდე მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 1,104.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,098.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.5%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მატერიალური მხარდაჭერა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოდან“ მოწოდებული, ქ.თბილისში „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის“ მიხედვით, 150 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებში რეგისტრირებულ, 18 წლამდე ასაკის შშმ პირებისათვის, დადგენილი წესით გაიცა 1345 ბენეფიციარისათვის 2022 წლის მაისის და 1352 ბენეფიციარისთვის დეკემბერის კუთვნილი 400 ლარი. ასევე, გადახდილია 2021 წლის კუთვნილი ფულადი დახმარება 400 ლარის ოდენობით 49 ბენეფიციარისათვის.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს დაფინანსდა საშუალოდ თვეში 1191 ბენეფიციარი (წელიწადში ორჯერ).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაიგეგმა საშუალოდ თვეში 1380 ბენეფიციარის დაფინანსება (წელიწადში ორჯერ).

*მიღწეული მაჩვენებელი* - დაფინანსდა საშუალოდ თვეში 1349 ბენეფიციარი (წელიწადში ორჯერ).

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებულ ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილება.

**06 02 23 ,,ვორლდ ვიჟენ საქართველოს“ სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 84.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვების დღის ცენტრის მომსახურებით უზრუნველყოფა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში ,,ვოლდ ვიჟენ საქართველოს“ აუნაზღაურდა შესრულებული სამუშაოს ღირებულება (ყოველთვე - 7260 ლარი) 10.01.2022 წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში №107-ე ბაღის ტერიტორიაზე არსებულ დღის ცენტრში ჩარიცხულ სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ზრუნვისათვის(არაუმეტეს 25 ბავშვისა თვეში).

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მომსახურებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 23 ბავშვმა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილი იყო 24 ბავშვისათვის მომსახურების მიწოდება, საშუალოდ თვეში.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მომსახურებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 25 ბავშვმა

**06 02 24 სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 547.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 538.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.4%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების მატერიალური მხარდაჭერა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში ქ.თბილისში „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზის“ მიხედვით, 150 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებში რეგისტრირებულ, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირებისათვის, დადგენილი წესით გაიცა 2021 წლის კუთვნილი ფულადი დახმარება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 9 ბენეფიციარს (მათ შორის: ერთ პირზე გაიცა სამი თვის კუთვნილი თანხა თვეში 300 ლარი, 4 პირზე ორი თვის კუთვნილი - თვეში 300 ლარი და 4 პირზე ერთი თვის კუთვნილი - თვეში 300 ლარი). ასევე, 599 ბენეფიციარისათვის გაიცა 2022 წლის მაისის კუთვნილი 300 ლარი, 594 ბენეფიციარისთვის აგვისტოს კუთვნილი 300 ლარი და დეკემბრიას კუთვნილი 300 ლარი 587 ბენეფიციარისთვის.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს საშუალოდ 596 ბენეფიციარს, წლის განმავლობაში სამჯერ დაერიცხა კუთვნილი დახმარება.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაიგეგმა წლის განმავლობაში სამჯერ, საშუალოდ 608 ბენეფიციარის დაფინანსება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაფინანსდა სამჯერ წლის განმავლობაში, საშუალოდ 593 ბენეფიციარი.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულთა რაოდენობის ცვლილება.

**06 02 25 სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 625.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 617.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა ახალშობილის შეძენისას.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (ოჯახის სარეიტინგო ქულა 100 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ 832 ოჯახს, რომელთაც შეეძინათ ახალშობილი, (მათ შორის: 406 ოჯახს - პირველი ან მეორე შვილის შეძენისთვის, 237 ოჯახს - მე-3 შვილის შეძენისთვის, 118 ოჯახს - მე-4 შვილის, ხოლო 71 ოჯახს მე-5 და მეტი შვილის შეძენისათვის).

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი -** 2021 წელს დახმარება გაეწია 776 ბავშვის ოჯახს.

**დაგეგმილი მაჩვენებელი -** დაგეგმილია 848 ბავშვის ოჯახის დაფინანსება

*მიღწეული მაჩვენებელი* - დახმარება გაეწია 832 ბავშვის ოჯახს

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე -** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულთა რაოდენობის ცვლილება.

**06 02 26 შინმოვლის თანადაფინანსება**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 385.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 368.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.7%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** უძლურთათვის შინმოვლის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ხორციელდებოდა ,,სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 200 000 და ქვემოთ სარეიტინგო ქულით

რეგისტრირებული თბილისში მცხოვრები ოჯახებისათვის მარტოხელა, საწოლსმიჯაჭვული პირების (ბართელის უძლურების შეფასების ინდექსი ≤95) დახმარება - შინმოვლა. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ანგარიშის საფუძველზე ანაზღაურებული იქნა შესრულებული სამუშაოს ღირებულება: ,,დიაკვნის ევანგელურ ლუთერული საზოგადოებისათვის“ – 38.9 ათასი ლარი, ,,საქართველოს კარიტასისათვის“ – 128.8 ათასი ლარი, „ერთად მოყვასისათვის“ – 96.6 ათასი ლარი, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის - 91.0 ათასი ლარი და ბენეფიციართა შემფასებელი პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისათვის - 13.1 ათასი ლარი.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მომსახურება გაეწია საშუალოდ თვეში 763 ბენეფიციარს (მათ შორის საშუალოდ 559 ქალი, 204 კაცი).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - იგეგმება საშუალოდ თვეში 900 ბენეფიციარის მომსახურება (მათ შორის საშუალოდ 630 ქალი, 270კაცი)

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მომსახურება გაეწია საშუალოდ თვეში 761 ბენეფიციარს (მათ შორის საშუალოდ 578 ქალი, 183 კაცი).

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - ბენეფიციართა ნაკლები მომართვიანობა.

**06 02 28 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 987.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 954.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** შშმ პირების კულტურულ-შემოქმედებითი, საგანმანათლებლო და სხვა ინიციატივების მხარდაჭერა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურების ხარჯები - 55.9

ათასი ლარი, 18 წლის ასაკის ზემოთ ქალაქ თბილისში მცხოვრები შშმ პირებისათვის, რომლებიც სარგებლობენ დღის ცენტრების მომსახურებით, მომსახურების 20% თანადაფინანსება: ა(ა)იპ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი - 5.6 ათასი ლარი, ა(ა)იპ კავშირი ია - 8.1 ათასი ლარი, ა(ა)იპ ასოციაცია ანიკა - 5.6 ათასი ლარი, ა(ა)იპ ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება - 10.2 ათასი ლარი, ა(ა)იპ სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვების დახმარების ასოციაცია - 0.5 ათასი ლარი, ა(ა)იპ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობისა ასოციაცია - 9.5 ათასი ლარი, ა(ა)იპ სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრი აისი - 10.7 ათასი ლარი, ა(ა)იპ ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელების) ფილიალი საქართველოში - 6.6 ათასი ლარი, ა(ა)იპ მშობლების თანადგომა - 3.5 ათასი ლარი, ა(ა)იპ კავშირი ადამიანებისათვის განსაკუთრებულ ზრუნვას, რომ საჭიროებენ - 20.5 ათასი ლარი, ა(ა)იპ მშობელთა ხიდი - 7.2 ათასი ლარი, სულ ჯამში 11 დღის ცენტრი დაფინანსდა 87.9 ათასი ლარით. გარდა ამისა, დაფინანსდა საგარანტიო შესრულებები სხვადასხვა საჭიროებებისათვის - 715.3 ათასი ლარით (84 განცხადება), ა(ა)ი.პ საქართველოს უსინათლოთა კავშირი - გამცილებლის მომსახურება - 18.0 ათასი ლარით, ა(ა)იპ სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია - 15.4 ათასი ლარით, ა(ა)იპ მენტალქეარ - 39.6 ათასი ლარით, ა(ა)იპ მზის შვილები - 6.0 ათასი ლარით, ა(ა)იპ რეფორმებისა და კვლევის ჯგუფი - 12.6 ათასი ლარით, ა(ა)იპ ია - 3.5 ათასი ლარით.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს დაფინანსდა 95 განცხადება/პროექტი


**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია 116 განცხადება/პროექტის დაფინანსება

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაფინანსდა 101 განცხადება/პროექტი


**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - ნაკლები მომართვიანობა.

## ❖ განათლება


ათასი ლარი




ათასი ლარი




| | სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება | ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკები ს განვითარების ხელშეწყობა | ზოგადი განათლების სისტემისა და საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობა | მოსწავლე ახალგაზრდობი ს ეროვნული სასახლე | უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება | პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2020 წლის ფაქტი | 134,317.5 | 3,341.4 | 13,072.1 | 2,035.4 | 1,186.8 | 659.6 |
| 2021 წლის ფაქტი | 145,190.2 | 3,147.6 | 20,014.5 | 2,159.5 | 3,347.9 | 279.8 |
| 2022 წლის ფაქტი | 170,002.2 | 4,018.4 | 21,111.2 | 2,764.0 | 3,971.6 | 266.0 |




**07 01 სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება** დაფინანსებულია 170,002.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 187,406.1 ათასი ლარის 90.7%-ი). მათ შორის:

**07 01 02 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო.

**2022 წლის გეგმა -** 187,406.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 170,002.2 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 10,691.2 ათასი ლარი), რაც გეგმის 90.7%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და ახალი ბაღების მშენებლობის დასრულება, ავარიული საბავშო ბაგა-ბაღების გამაგრება ან დემონტაჟი და მშენებლობა, ბაგა-ბაღებში რეგისტრირებულ აღსაზრდელთა ჭარბი რაოდენობის განტვირთვა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში ვაუჩერული დაფინანსების სახით, გაწეულია 157,469.8 ათასი ლარი. მათ შორის: ბაგა–ბაღების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, ბავშვთა კვების ხარჯები, კომუნალური

ხარჯები და სხვა აუცილებელი ხარჯები. საბავშვო ბაგა-ბაღები აღიჭურვა ინვენტარით, სათამაშოებით, საკანცელარიო ნივთებით, სამზარეულოს ტექნიკითა და ჭურჭელით, შეკეთდა გათბობა ვენტილაციის სისტემები, ჩატარდა გადაუდებელი რემონტები და სხვა აუცილებელი ხარჯები. ჰასპის სტანდარტის დანერგვის პირველ ეტაპზე გადამზადდა სამზარეულოში მომუშავე პერსონალი, საპილოტეთ გადამზადნენ მუსიკის მასწავლებლები (დაახლოებით 50 მუსიკის პედაგოგი), გადამზადდა 260 აღმზრდელი, ასევე ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის კუთხით 40 მდე აღმზრდელმა იმუშავა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. მომსახურება გაეწია სააგენტოს მიერ დაფუძნებული 187 საბავშვო ბაგა-ბაღში (მიმდინარე წელს ექსპერტიზის შედეგად დადგინდა N64 საბავშვო ბაგა-ბაღი მწვავე ავარიულად და დაიხურა) 58000-მდე აღსაზრდელს (მიმდინარე პერიოდში ხდებოდა აღსაზრდელთა შემცირება/მატება). ასევე, დაფინანსებულია ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან 231,5 ათასი ლარი) და განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები, მათ შორის:

2021 წელს გამოცხადებული ახალი ტენდერით გრძელდება ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის სამუშაოები, რისთვისაც მიმდინარე პერიოდში ანაზღაურებულია - 5,630.1 ათასი ლარი. მათ შორის: საინგილოს ქუჩაზე ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის სამუშაოები - 755.8 ათასი ლარი, ლილოს დასახლებაში ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის სამუშაოები - 1,674.8 ათასი ლარი, ჭიჭინაძის ქუჩაზე ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის სამუშაოები - 1,649.4 ათასი ლარი, N19 ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის ადგილას ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის სამუშაოები - 771.6 ათასი ლარი, აშოტ კურაპალატის ქუჩაზე ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის სამუშაოები - 778.5 ათასი ლარი,

2021 წელს დაიწყო და გრძელდება N89 ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოები და ანაზღაურებულია 1,528.7 ათასი ლარი. ასევე, მიმდინარეობს N2 ავარიული საბავშო ბაგა-ბაღის შენობის აღდგენა გამაგრებითი სამუშაოები და მიმდინარე პერიოდში ანაზღაურებულია -

260.6 ათასი ლარი, ხოლო N71 ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის აღდგენა გამაგრებითი სამუშაოებისათვის ანაზღაურებულია 837.9 ათასი ლარი,

2022 წელს გამოცხადებული ახალი ტენდერით გრძელდება ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობა და ანაზღაურებულია - 2,000.3 ათასი ლარი, მათ შორის: ორთაჭალის N90-ის მიმდებარედ ახალი საბავშვო-ბაგა ბაღის მშენებლობის სამუშოები - 920.5 ათასი ლარი, ვარკეთილის მეურნეობის, რუსთაველის N18-ში ავარიული საბავშო ბაგა-ბაღის შენობის ადგილას ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის სამუშაოები - 669.5 ათასი ლარი, ქინქლაძის N24 ში მდებარე N125 ბაგა-ბაღის მიწის ნაკვეთზე ავარიული საბავშო ბაგა-ბაღის შენობის ადგილას ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის სამუშაოები - 410.3 ათასი ლარი. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის გარანტიის (2,5%) მიზნით გადახდილია - 128.0 ათასი ლარი, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაწეულმა საექსპერტო მომსახურების ხარჯმა შეადგინა - 116.9 ათასი ლარი.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**1. საბაზისო მაჩვენებელი** - დასრულდა 1 ახალი საბავშო ბაგა-ბაღის მშენებლობა, გრძელდება 13 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა/გამაგრება/რეაბილიტაციის სამუშაოები.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია 9 ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის დასრულება, გამაგრება/რეაბილიტაცია ჩაუტარდება 3 ავარიულ საბავშვო ბაგა-ბაღის შენობას, გაგრძელდება 1 ბაღის მშენებლობა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დასრულდა 1 ახალი საბავშო ბაგა-ბაღის მშენებლობა, გრძელდება 12 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა/გამაგრება/რეაბილიტაციის სამუშაოები, 2 ახალი ბაღის მშენებლობაზე გამოცხადებულია ტენდერი.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - ზოგიერთმა კომპანიამ ვერ მოახერხა ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სამუშაოების დასრულება და დაწყებულია კანონით დადგენილი პროცედურები.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წლის ბოლოსთვის 187 ფუნქციონირებად საბავშვო ბაგა-ბაღში რეგისტრირებულია 61600-მდე აღსაზრდელი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - იგეგმება 62000-მდე აღსაზრდელის მიღება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - 187 საბავშვო ბაგა-ბაღი მოემსახურა 58000-მდე აღსაზრდელს.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - ნაკლები მოთხოვნა შეიქმნა ბაღებში არსებულ ადგილებზე და არ მოხდა 58000-ზე მეტი აღსაზრდელის დარეგისტრირება.

**07 02 ზოგადი განათლების სისტემისა და საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობა** დაფინანსებულია 21,111.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 24,766.2 ათასი ლარის 85.2%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**07 02 01 ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური.

**2022 წლის გეგმა** - 73.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 70.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.1%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მოსწავლეებისთვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მომართვიანობის შემთხვევაში, მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო - შემეცნებითი პროექტების განხორციელება, თბილისელი მოსწავლეების მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო თემატურ ოლიმპიადებში და კონკურსებში.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის პროექტი - „ქართული ენის ფესტივალი“, რომლის მიზანია სკოლის მოსწავლეებში სახელმწიფო ენის მნიშვნელობის განმტკიცება და 14 აპრილს სახელმწიფო ენის დღის აღნიშვნა, ა(ა)იპ სასკოლო თეატრალური ფესტივალის „არტსკოლა“ პროექტი - “არტსკოლა”, რომლის მიზანია სასკოლო თეატრალური ფესტივალის ორგანიზება, მოსწავლე ახალგაზრდების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის ხელშეწყობა, ა(ა)იპ

ბავშვი და გარემოს პროექტი - „არაფორმალური საგანამანათლებლო-კულტურული და საინტეგრაციო ღონისძიებები ა/ო "ბავშვი და გარემოს" სამი სამსახურის მოსარგებლე ბავშვებისთვის", რომლის მიზანია მოსარგებლე ბავშვებისთვის არაფორმალური საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება და მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა, ა(ა)იპ „ჰეი" - გარდამტეხი სხივი თბილისში მცხოვრები ყრუ, სმენადაქვეითებული, იმპლანტირებული 20 მოსწავლის ჩართვა არაფორმალურ განათლების პროგრამაში, პროფორიენტაციის ხელშეწყობა, მათი პროფესიული უნარების განვითარება, სოციალიზაციის ხელშეწყობა.

**მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს დაფინანსდა და განხორციელდა საგანმანათლებლო და შემეცნებითი 4 პროექტი, მათ შორის ინკლუზიური საგანმანათლებლო პროექტები.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაფინანსდა და განხორციელდა საგანმანათლებლო და შემეცნებითი 4 პროექტი (მათ შორის ინკლუზიური საგანმანათლებლო პროექტები, სასკოლო ფესტივალები და კონკურსები), პროექტებში მონაწილე 50-ზე მეტი სკოლის 1000-მდე მოსწავლე.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - მოსწავლეებისთვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, 2020 წელს 13 მოსწავლისთვის დამატებითი სასწავლო წლის დაფინანსება ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი არ შესრულდა.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - მოსწავლეთა ზოგადი განათლების საფეხურის დაძლევის მიზნით, დაფინანსება დამოკიდებულია მომართვიანობაზე. შესაბამისად, 2022 წელს ამ მიზნობრიობით მოსწავლეებს არ მოუმართიათ.

**07 02 03 საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო

**2022 წლის გეგმა** - 19,651.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 18,185.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 92.5%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ინფორმირებული თბილისის მოქალაქეები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოებისათვის და თბილისის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებისათვის მიწოდებული ელექტრონული სერვისები, მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა უწყვეტი სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გამართული ძირითადი და სარეზერვო სერვერული ინფრასტრუქტურა, საქართველოს მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სისტემების დანერგვა/დახვეწა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების (მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მოვლა და ტექნიკური მომსახურება, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის კუთვნილ სასერვერო სივრცეში ორი ერთეული სასერვერო კარადის (რეკი) სივრცის გამოყოფის მომსახურება, სასერვეროს ტემპერატურის კონტროლერის შეძენა, Red Hat Linux Server Premium (Physical or Virtual Nodes) 4 ლიცენზიის, ასევე, Parter WatchDog Support for ZoneDirector 1205-ის, Barracuda Email Security Gateway Virtual License 400-ის, Manage Engine Servisce Desk-ის და Basic Support VMware ლიცენზიების განახლება, SSL სერთიფიკატის ორწლიანი ლიცენზიის შესყიდვა, უსაფრთხოების სისტემის DNSSEC ის ლიცენზიების და უსაფრთხოების, ინცინდენტებისა და მოვლენების მართვის სისტემის პროგრამული კომპლექსის შეძენა, Jira-ს ლიცენზიის განახლება, Cisco-ს პროგრამის შეძენა, Dynatrace ლიცენზიის განახლება, კრიტიკულ სერვისებზე Dos/DDos შეტევების გამოვლენისა და მათი შესუსტების აპარატურულ-პროგრამული კომპლექსის შეძენა, Parter WatchDog Support for ZoneDirector 1205-ის, Barracuda Email Security Gateway Virtual License 400-ის

ლიცენზიების განახლება, *.tbilisi.gov.ge, *.municipal.gov.ge, *.msda.ge დომეინებისთვის 2 წლიანი ლიცენზიის ვადის განახლების მიზნით 3 (სამი) ერთეული SSL კრიპტოგრაფიული პროტოკოლის ციფრული სერტიფიკატის შეძენა, Red Hat Linux Server Premium (Physical or Virtual Nodes)ის 4 ლიცენზიის განახლება, ორ პროცესორიანი ფიზიკური სერვერისთვის ერთი ლიცენზიის, ვირტუალური მანქანისთვის 5 (ხუთი) ლიცენზიისა და მხარდაჭერის შეძენა, ADManager Plus manage (engine admanager plus professional edition - 1 დომეინი 20 მომხმარებლით) და Exchange Reporter Plus (manage engine exchange Reporter plus professional edition - 2500 საფოსტო მომხმარებლისთვის) ლიცენზიების შეძენა და სხვა) ხარჯები. გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

სისტემური ანალიზის დეპარტამენტის მიერ ინტერაქტიული რუკის სისტემაში დასრულდა თბილისის 3D და ობლიქ რუკის დიზაინი, MS Maps კონცეფციისა და დიზაინის შემუშავება, 2020 წლის 3D მეტა მონაცემების გადაწერა და დარეზერვება, ობლიქ სურათების კონვერტაცია, ინფრასტრუქტურული პროექტების ობიექტების განთავსების მოდულის შემუშავება maps.municipal.gov.ge-თვის, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში განხორციელდა გარკვეული ფუნქციონალების დამატების/ცვლილების ინიცირება, რომელიც მუდმივად ხორციელდება, პარკირების სისტემაში შეიქმნა მობილურ აპლიკაციებში (iOS, Android) და ვებზე (tp.ge) sms-ის გამოწერის/გაუქმების ფუნქციონალი, ჯარიმების გადახდის და ჯარიმების ჩანართზე ავტომობილის დამატების ფუნქციონალი და სხვა, ტაქსი-თბილისი სისტემაში შემუშავდა სისტემასა და შსს-ს მომსახურების სააგენტოს შორის პერიოდული ტექნიკური დათვალიერებისა და ტაქსის მომსახურების ნებართვის ურთიერთკავშირის ვებსერვისი, სამგზავრო ბარათების სისტემაში შეიქმნა სამგზავრო გადაყვანისას შეღავათიანი მგზავრობით მოსარგებლეთა ახალი კატეგორიები (ჰერმესი), „მეტრო სერვის+“-ის მიერ დაბლოკილი სამგზავრო ბარათების შესაბამის ბაზებში გადამოწმების მიზნით განხორციელდა შეღავათიანი მგზავრობით მოსარგებლეთა სამგზავრო ბარათების გამცემი სერვის ცენტრისათვის სივრცის შექმნა, შეიქმნა

სააგენტოს ვებ-გვერდის პროექტის ვერსია და მუნიციპალური კალენდარის სისტემა, მომხმარებლის უფლებების მართვის სისტემაში შემუშავდა უცხო ქვეყნის მოქალაქის პერსონალური მონაცემების გადამოწმების სერვისი, საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით და სხვა, ცხელი ხაზის სისტემაში შემუშავდა დარეგისტრირებული ბარათების ვადების კონტროლის ახალი ფუნქციონალი, დაიწერა შემსრულებლის სახელმძღვანელო და მიმდინარეობს გარკვეული ფუნქციონალების დამატება/გაუმჯობესება, მაღალმთიანი რეგიონებისა და სოციალური პროგრამების სისტემაში აიწყო მუნიციპალიტეტის კონფიგურაციები, დაემატა დანართების ფუნქციონალი და დამატებითი დოკუმენტის ტიპი, პარკირების სისტემაში დაემატა უფასო პარკირების აპლიკაციაში ქონებების ასახვისთვის ფეიჯინგის სერვისი, მეილის ვერიფიკაციის სკრიპი, ინსპექტორების პადებში ევაკუირებული ავტომობილების ძებნის ფუნქციონალი, oppa.ge-ზე და მის გადახდის აპარატებზე ზონალური პარკირების საშვების შეძენის და ჯარიმის გადახდის ფუნქციონალი, მომზადდა აუზების სისტემით სარგებლობის პირველადი ტექნიკური დოკუმენტი, შეიქმნა მუნიციპალური სერვისების მოქალაქეთა პორტალი, გაიმართა ახალ სატესტო გარემოში და მიმდინარეობს მომხმარებლის უფლებების მართვის ახალ სისტემასთან ინტეგრაცია, დასრულდა გარკვეული სისტემების მომხმარებელთა მართვის ახალ სისტემასთან ინტეგრაცია და განხორციელდა ფუნქციონალების დამატება-განახლება, რაც მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს და სხვა,

პროგრამული უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ანალიტიკოსების მიერ შექმნილი პროექტებისა და სერვისების პროგრამული უზრუნველყოფა და მოდერნიზაცია. ასევე, მუდმივად მიმდინარეობს არსებული ელექტრონული სერვისების/პროექტების გარკვეული ცვლილებები (ფუნქციონალების ცვლილება/დამატება/გაუქმება), სამუშაო პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრის და ახალი მოთხოვნების წარმოშობის შედეგად, არსებული სისტემების გაუმჯობესების მიზნით, სხვადასხვა სერვისებზე და პროექტებზე მოხდა როგორც კოდის გაუმჯობესება ასევე, ახალი ფუნქციონალის დამატება, დოკუმენტბრუნვის მოდული, ტაქსების ლიცენზიების

მართვის მოდული (რეფორმის შემდეგი ეტაპი), პარკირების მართვის მოდული, მომხმარებელთა მართვის მოდული/სერვისი, მაღალმთიანი სოციალური პროგრამების მართვის მოდული/სერვისი, რუკების მოდული, ფაილ სერვერის მოდული, API კარიბჭის მოდული, მოქალაქეთა განცხადებების მიღების მოდული, იდეა ქალაქის მერს მოდული, კვალიფიციური ციფრული ხელმოწერების მოდული (ახალი ვერსია), მომხმარებელთა ერთიანი ავტორიზაცია/აუთენტიფიკაციის მოდული, სოციალური სერვისების მოდული, სერვისები გარე უწყებებთან, გადაწყვეტილებების გამოქვეყნების მოდული, მასშტაბირებადი Socket API Gateway ის სერვისი, ნოტიფიკაციების მართვის მოდული, მეილ სერვისი, სმს სერვისი, ძველი ფაილ სერვერიდან ახალზე მიგრაციის სერვისი, დასრულდა ერთიან დომეინზე გადასვლასთან დაკავშირებული სამუშაოები შიდა პროექტებზე, Local Storage-თან ინტერაქციისათვის საჭირო ახალი საერთო კომპონენტის ინტეგრაცია, შეიცვალა Client_Id-ის (მუნიციპალიტეტის ID) მნიშვნელობის იდენტიფიცირების, მიღებისა და გადაცემის მექანიზმები, განახლდა სოციალური ერთიანი ბაზების ექსპორტის ფუნქციონალი, გაკეთდა SSO ავტორიზაცია და single sign on-ის პრინციპი, დასრულდა Local Storage-თან ინტერაქციისათვის საჭირო ახალი საერთო კომპონენტის ინტეგრაცია, დასრულდა 2022 წლის 15 ოქტომბრიდან ასამოქმედებელი ჯარიმებისა და საურავების ახალ განაკვეთთან დაკავშირებით პროგრამული ცვლილებები, მობილურ და ვებ აპლიკაციებში ოტოდან წამოღებული ჯარიმების ინტეგრაცია, პარკირების გამონაკლისი შემთხვევები გავიდა ცალკე აპლიკაციად, შეიცვალა გორის პარკირების საშვის ვადები, გაიმართა ოტო-ს ჯარიმების სერვისი, დასრულდა რუკის live სერვისის გადატანა ლოკალურ ბაზაზე, ერთიან დომეინზე გადასვლასთან დაკავშირებული სამუშაოები შიდა პროექტებზე Local Storage-თან ინტერაქციისათვის საჭირო ახალი საერთო კომპონენტის ინტეგრაცია (MS Parking, Parking გამონაკლისები), შეიცვალა Client_Id-ს (მუნიციპალიტეტის ID) მნიშვნელობის იდენტიფიცირების, მიღებისა და გადაცემის მექანიზმები (MS Parking, Parking გამონაკლისები), გვერდითი სანავიგაციო პანელი-ს (Side Navigation Menu) მუშაობის ლოგიკა (MS Parking, Parking გამონაკლისები), განახლდა Angular-

ის ვერსია Angular 14-მდე (Parking გამონაკლისები), დაემატა კლიენტის ასარჩევი ახალი pop-up კომპონენტი (MS Parking, Parking გამონაკლისები) გვერდის თავსართში ჩაემატა კლიენტის ასარჩევი ველი,

სისტემური ადმინისტრირების დეპარტამენტის მიერ განახლდა სასერვერო ინფრასტრუქტურ, ძველი სასერვეროდან გადატანილ იქნა 400-მდე ვირტუალური მანქანა და ფაილი, გადაეწყო სერვისები, განახლდა ცხელი ხაზის პროგრამა და გაზრდილი იქნა ზარების მიღების რაოდენობა და ჩაწერის სისტემა, დაემატა სხვადასხვა პროვაიდერის სათადარიგო ოპტიკურბოჭკოვანი კავშირი, განხორციელდა ქსელური კავშირის მთლიანი გადაწყობა როგორც ახალ აპარატურაზე ასევე, ახალი უფრო საიმედო ტოპოლიგიით, გადაეწყო დაცული ქსელური კავშირები (VPN), მიღწეული იქნა მუნიციპალიტეტის სისტემების უწყვეტ რეჟიმში მუშაობა, განხორციელდა ახალი უსაფრთხოების სისტემების დაყენება, დანერგილი იქნა კრიტიკულ სერვისებზე DoS/DDoS შეტევების გამოვლენისა და მათი შესუსტების აპარატურულ-პროგრამული კომპლექსი, დამონტაჟდა ელექტრონული ID ხელმოწერის ბარათების ცენტრალური სისტემა, სადაც ხდება მერიის დაქვემდებარებაში ორგანიზაციების ბარათების მიერთება, რაც იძლევა ბარათების უსაფრთხო რეჟიმში მუშაობისა და 24/7 ზე ხელმისაწვდომობის საშუალებას, დანერგვის პროცესშია DNS Security Extensions დაცვის მექანიზმი რაც უსაფრთხოს ქმნის, რომ მომხმარებლის კომპიუტერიდან ავტორიტატულ DNS სერვერამდე კომუნიკაცია იყოს მთლიანი და ხელშეუხებელი, ახლდება SSL სერთიფიკატები. ასევე, დეპარტამენტის მიერ ყოველდღიურად მიმდინარეობდა და უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს პროგრამული განახლებების მონიტორინგი, მომხმარებლების კომპიუტერული სისტემების და სერვერების პროგრამული განახლება (განახლდა active directory-ის პაპკა (3000 მომხმარებლამდე), სხვადასხვა ქსელური წერტილების გააქტიურება, ახალი თანამშრომლებისთვის მომხმარებლების და მეილების შექმნა, თანამშრომლების დატრენინგება ახალ პროდუქტებთან მუშაობაზე, დასრულდა სისტემისა და მისი კომპონენტების (ტაქსი, ტაქსი-ადმინი, ტაქსი-მანათობლები) რეგრეს-ტესტირება, დასრულდა ერთიან დომეინზე გადასვლასთან დაკავშირებული სამუშაოები შიდა

პროექტებზე, Local Storage-თან ინტერაქციისათვის საჭირო ახალი საერთო კომპონენტის ინტეგრაცია, განახლდა Angular-ის ვერსია Angular 14-მდე, დასრულდა თბილისის 2023 წლის ორთოფოტო გადაღებისთვის მოსამზადებელი სამუშაოები და სხვა,

ტექნიკური მხარდაჭერის დეპარტამენტის მიერ მოხდა მომსახურების გაწევა კომპიუტერულ ქსელების 6834 ტექნიკურ და 38387 ელექტრონულ სერვისების საკითხზე,

მომსახურების ცენტრების დეპარტამენტის სერვის ცენტრებში მომსახურება გაეწია 488267 მოქალაქეს, დარეგისტრირდა (შემოვიდა ფოსტით და ელექტრონულად) 249647 კორესპონდენცია და ხელზე გაიცა - 22007. ასევე, გაიცა 23191 ტაქსის ლიცენზია, უფასო ზონალურ პარკირებაზე რეგისტრაცია გაიარა 2328 მოქალაქემ და კონსულტაცია გაეწია 3424 მოქალაქეს. ასევე, მოხდა მუნიციპალურ სივრცეში მოქალაქეთა პროფილის მართვის პროგრამაში 1125 პროფილის შექმნა/განახლება,

ცხელი ხაზის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 515750 სატელეფონო ზარის მომსახურება,

საქმისწარმოების დეპარტამენტში დარეგისტრირდა ფოსტით და ელექტრონულად შემოსული 99883 კორესპონდენცია, ელექტრონულად გაიგზავნა - 55241 და ფოსტით - 109222 (მათ შორის მომსახურების ცენტრების მიერ ელექტრონულად და ფოსტით გაცემული კორესპონდენცია),

ხარისხის კონტროლის სამმართველოს მიერ განხორციელდა დისტანციური მომსახურების სამსახურის ცხელ ხაზზე შემოსული 10376 სატელეფონო ზარის მოსმენა. აქედან შეფასდა 581 სატელეფონო ზარი და შესაბამისად, მოხდა თანამშრომელთა საქმიანობის ყოველთვიური შეფასებაც, სამმართველო აქტიურად ახორციელებს მუნიციპალური სერვის ცენტრების მონიტორინგს, ადგილზე ვიზიტისა და დაკვირვების გზით და საანგარიშო პერიოდში ჯამური ვიზიტების რაოდენობამ შეადგინა 450, აგრეთვე, განხორციელდა ზონალური პარკირების 10 საინფორმაციო პავილიონის შემოწმება და ჯამურად ვიზიტის რაოდენობამ შეადგინა 63, მოქალაქეთა მომსახურების მიმართულებით დამუშავდა

ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 11 ერთეულისთვის, კერძოდ: თითოეული ერთეულისათვის კატეგორიების მიხედვით მომზადდა და გადაეგზავნათ ანგარიში კორესპონდენციების მოცულობის, დატვირთულობის და ვადაგადაცილებული წერილების რაოდენობის გათვალისწინებით, შემოწმდა დოკუმენტბრუნვის პროგრამაში დარეგისტრირებული განცხადებები ნომენკლატურის მიხედვით და მომზადდა არასწორი ნომენკლატურით დარეგისტრირებული განცხადებების სტატისტიკური ანგარიში,

პროფესიული განვითარების სამმართველოს მიერ მიმდინარე პერიოდში ჩატარდა ტრენინგი შემდეგ მოდულებში: რისკების მართვა სახელმწიფო შესყიდვებში, პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი, კომუნიკაციის ფსიქოლოგია, საჯარო კომუნიკაციის ტექნიკა, ფოტოგადაღება და ტექნიკური მხარდაჭერა, ძუძუს პათოლოგიათა მულტი დისციპლინარული შეფასება, მოხელის მენეჯერული უნარები, კომუნიკაციის ფსიქოლოგია, საჯარო კომუნიკაციის ტექნიკა, რელაციურ მონაცემთა ბაზებთან მუშაობა, ემოციური ინტელექტი, პირველადი სამედიცინო დახმარება და სახანძრო უსაფრთხოება, ექსელი (II დონე), მართვის ფსიქოლოგია, პროგრამული ბიუჯეტირება, საგადასახადო და აუდიტორული პროცესების მართვა, პროგრამული ტესტირების საფუძვლები, შრომითი ურთიერთობები და სამეწარმეო სამართალი, ვიდეო სათვალთვალო სისტემის პროექტირება, მართვა და მონიტორინგი, AutoCad 2D. მიმდინარე პერიოდში სულ გადამზადება გაიარა 1778 თანამშრომელმა,

საკუთარი სახსრების ფარგლებში, დეცენტრალიზაციის რეფორმის მიმართულებით, გაწეულია 359.3 ათასი ლარი, განხორციელდა სხვადასხვა საქმიანობები, მათ შორის: ხელვაჩაურის, წალენჯიხის, თიანეთის, დუშეთისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მერიაში, საკრებულოებსა და აღნიშნული მუნიციპალიტეტების მერიას (თიანეთის მერიის გარდა) დაქვემდებარებულ იურიდიულ პირებში დაინერგა 10 ახალი ელექტრონული სისტემა: ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, ადამიანური რესურსების მართვის

სისტემა, ელექტრონული განცხადებების სისტემა, ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის სისტემა, მოქალაქეთა დახმარების სისტემა, ინტერაქტიული რუკის სისტემა, მუნიციპალური კალენდრის სისტემა, ქონების აღრიცხვის სისტემა, ნარჩენების მართვის სისტემა, თქვენი იდეა ქალაქის მერს, 63 მუნიციპალიტეტში დაინერგა მუნიციპალური კალენდარის სისტემა, ქონების აღრიცხვისა და ნარჩენების მართვის (გარდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის) სისტემები, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის თოთხმეტივე ადმინისტრაციული ერთეული და ცხრავე იურიდიული პირი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 11 ადმინისტრაციული ერთეული და მერიის დაქვემდებარებაში არსებული 7 იურიდიული პირი, დუშეთის მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული 10 იურიდიული პირი, ხულოს მუნიციპალიტეტის მერიას დაქვემდებარებული 10 იურიდიულ პირი და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას დაქვემდებარებული 8 იურიდიული პირი სრულად ჩაერთო ახალი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის მიმართულებით მუდმივად მიმდინარეობს სერვისების ფუნქციონალების ცვლილება/დამატება/კონსულტაციები, სააგენტოს მიერ ჩართული დეპარტამენტების მხრიდან.

**მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს 11 მოდულში ჩატარებული ტრენინგები და 503 გადამზადებული თანამშრომელი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - 25-მდე მოდულში ჩატარებული ტრენინგები და 2000-მდე გადამზადებული თანამშრომელი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - 21 მოდულში ჩატარებული ტრენინგები და 1778 გადამზადებული თანამშრომელი.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - თანამშრომელთა მიერ დაფიქსირდა მოთხოვნის ცვლილება.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მომსახურება გაეწია სააგენტოს 11 სერვის ცენტრში 455468 მოქალაქეს, დისტანციურად - 527925 მოქალაქეს.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - სააგენტოს 11 სერვის ცენტრში 1 500 000-მდე მოქალაქის მომსახურება

*მიღწეული მაჩვენებელი* - სააგენტოს მომსახურების ცენტრების 11 სერვის ცენტრში მომსახურება გაეწია 488267 მოქალაქეს, დისტანციურად (სატელეფონო ზარის მომსახურება) - 515750 მოქალაქეს.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - მომსახურების ცენტრებში მიმართვიანობის ნაკლებობა.

**3.საბაზისო მაჩვენებელი** - შეიქმნა თბილისის ურბანული ნაწილის ფოტორეალისტური 3D მოდელი, შეძენილ იქნა და განახლდა 24 პროგრამული ლიცენზია,

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - 30-მდე პროგრამული ლიცენზიის შეძენა/განახლება,

*მიღწეული მაჩვენებელი* - ინტერაქტიული რუკის სისტემაში დასრულდა თბილისის 3D და ობლიქ რუკის დიზაინი, MS Maps კონცეფციისა და დიზაინის შემუშავება, 2020 წლის 3D მეტა მონაცემების გადაწერა და დარეზერვება, განახლდა 24 პროგრამული ლიცენზია,

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - გარკვეულ პროგრამულ ლიცენზიებზე მოთხოვნის ცვლილება და ახალი პროგრამული ლიცენზიების მაღალი ფუნქციური შესაძლებლობები.

**4.საბაზისო მაჩვენებელი** - თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს 63 მუნიციპალიტეტის სასერვერი სისტემის შექმნა/გაფართოება/განახლების მიზნით, განხორციელდა ციფრული ინფორმაციის შემნახველი მასივების და სისტემების, სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის შეძენა/განახლება/ჩანაცვლება და მასთან დაკავშირებული საჭირო პროგრამების/ლიცენზიების შეძენა, სასერვეროს გამართვა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება. ამასთან დაკავშირებული პროგრამების/ლიცენზიების შესყიდვა, სასერვეროს გამართვა, სასერვერო სისტემის უსაფრთხოება.

*მიღწეული მაჩვენებელი* - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**07 02 04 საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ა(ა)იპ საზოგადოებასთან საკომუნიკაციო სააგენტო

**2022 წლის გეგმა** - 5,041.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,855.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 56.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის, მედიისა და სხვა დაინტერესებული ინსტიტუტების დროული და სრულყოფილი ინფორმირება, სხვადასხვა საკომუნიკაციო ინსტრუმენტების მეშვეობით დაგეგმილი პროექტების განხორციელება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტოს ფუნქციონირების ხარჯები, მათ შორის: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების შესახებ მედია საშუალებებით გასული ინფორმაციის მონიტორინგი - 62.4 ათასი ლარი, თარგმანის მომსახურების ხარჯები - 17.9 ათასი ლარი, სოციალური მედიის ხარჯები - 10.1 ათასი ლარი, ხოლო პირდაპირი ეთერით ღონისძიებების (საახალწლო გალა კონცერტი, ახალი სამარშრუტო ტაქსების პრეზენტაცია, ვარკეთილის ახალი პარკის გახსნა, ქალაქის დასუფთავებისთვის შეძენილი ტექნიკის და სატრანსპორტო პოლიტიკის პრეზენტაცია, თბილისობის დღესასწაულის ფარგლებში გალა კონცერტი/საპატიო თბილისელის დაჯილდოება, ახალი წლის დღესასწაულის ფარგლებში ნაძვის ხის ანთება/საახალწლო სოფლის გახსნა) გადაცემა და ვიდეორგოლების განთავსება საეთერო სივრცეში - 552.9 ათასი ლარი.

გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: ყოველდღიურ რეჟიმში მზადდებოდა დღის ამბები, რომელიც თბილისის გამგეობებისა და მერიის სამსახურების ყოველდღიურ საქმიანობას ეხებოდა. ასევე, დამზადდა ვიდეორგოლები: „თბილისის მერია გილოცავთ ახალ წელს“ – 2 ვიდეორგოლი (2021 წლის დეკემბერში დამზადდა და გასული წლის ბოლოდან მიმდინარე წლის პირველ რიცხვებში იქნა განთავსებული სატელევიზიო ეთერში), „თბილისი დღეს“ 26 (ფოტო და ვიდეო კოლაჟი) და გამგეობები დღეს (10 ვიდეორგოლი) საიმიჯო ვიდეორგოლები, თბილისზე მზრუნველი (31 ვიდეორგოლი), ქეთევან წამებულის გამზირის რეაბილიტაციის ორი

ვიდეორგოლი (გრაფიკული), კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის საიმიჯო ვიდეორგოლი +60, ჩემი ადვოკატის და მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს საინფორმაციო ვიდეორგოლები და ბოტანიკური ბაღის საიმიჯო ვიდეორგოლი, 2 საიმიჯო ვიდეორგოლი თბილისზე, ეროვნული სკრინინგ ცენტრისთვის 5 ვიდეორგოლი (მათ შორის მსხვილი ნაწლავის სიმსივნის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად), საქალაქო სამსახურების შემაჯამებელი 12 ვიდეორგოლი და გამგეობების საპრეზენტაციო 10 ვიდეორგოლი, ევროპის მობილობის კვირეულის, თბილისობის პროგრამის და ახალი წლის პროგრამის ვიდეორგოლები.

დიზაინის მიმართულებით მომუშავე ჯგუფმა იმუშავა სხვადასხვა თემებზე, მათ შორის: შობის მისალოცი და ნათლისღების პოსტი, ფბ ფრეიმის დიზაინი, ტრანსპორტის ბარათის ტარიფების შესახებ პოსტერი და ბანერი, 500 ლარიანი ვაუჩერი პრენსიონერებისთვის - ვაუჩერის და ფლაერის დიზაინი, ქეთევან დედოფლის გამზირის გადაკეტვის შესახებ ბანერი, ტრანსპორტის ჩანაცვლების შესახებ - სტიკერები ავტობუსებში გასაკრავად, ინფრასტრუქტურის სამსახურის ფბ ქავერი, ელ. მობილების სატენებზე განსათავსებელი სტიკერიები ქართული და ინგლისური, ჯარიმების შესახებ ინფოგრაფიკი ფბ-ზე განსათავსებლად, უსაფრთხოების სამსახურის ფორმების დიზაინის ცვლილება და სიგელები, დღის ამბების და ფბ ვიდეოს ახალი შეფუთვის დიზაინი, ახალგაზრდების სოციალური მეწარმის პროექტისთვის - დიზაინის შეფუთვა: შტენდერი, ბანერი, ფბ პოსტი, უკრაინა - საქართველოს მხარდამჭერი შეფუთვა: ბექმანერი, შტენდერები, ოფისის ვიტრაჟებისთვის სტიკერები, სტიკერები საჩუქრებისთვის, დროშები, დახლები, ყუთები და ა.შ., დედაენის დღის ბრენდირება (ბანერები, სცენა, გიფერი, ფბ პოსტი, შტენდერი, მდგრადი ურბანული განვითარების გეგმა (SUMP) - ლოგო, (SUMP) - პრეზენტაცია, ტრანსპორტის ჩანაცვლების შესახებ - სტიკერები გაჩერებებისთვის, 3, 8 მარტის მთლიანი შეფუთვა: აბრები, ბეიჯები, ბანერები, სკრინინგის ოფისის ბრენდირება (გარე ფასადის, აბრები, ბეიჯები, ბადე სტიკერები) და სკრინინგის მანქანის შეფუთვა, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით ყველა გამგეობის ყველა ღონისძიების ბრენდირება (სცენის ბანერები, შტენდერები, ბუშტი, გიფერი,

ფბ ქავერი და ა.შ.), სტუდენტური ფესტივალის ბრენდიერება (სიგელები, ბანერები სცენის შუბლი და ა.შ.), გამგეობების სპორტული ღონისძებებისათვის (მათ შორის ტურნირები) ბანერი, სიგელი, მაისური, ცხოველთა მონიტორინგის ბანერი, თბილისი ცის ქვეშ ვიზუალი, ხანდაზმულებისთვის უფასო პროგრამა - როლაფი, თბილისობა - სრული ბრენდირება (ზოგადი სტილი, ორენოვანი ლოგო, ბილბორდები, სცენის ბანერი, სოციალური ქსელისთვის და ვებ ბანერები - პროგრამა, ვიდეოს დიზაინი, სიგელი, მანქანის საშვი, ბეიჯი, რუკები, მოსაწვევი, კონვერტი, საბურთალოს გამგეობისთვის ჯიხურის დიზაინი, welcome ბარათი სტუმრებისთვის, საჩუქრების დიზაინი) და სხვა.

უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა მედიასთან კომუნიკაცია, ინფორმაციისა და პრესრელიზების მომზადება. ასევე, მომზადდა თბილისის მუნიციპალიტეტის ყველა უწყების მედიააქტივობების და სოციალურ ქსელში განსათავსებელი ინფორმაცია, გაშუქდა ბრიფინგები და კომენტარები, განხორციელდა დაგეგმილი პიარ აქტივობები (243 აქტივობა).

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - სატელევიზიო და რადიო ეთერში ინფორმაციის განთავსების მიზნით, 2021 წელს დამზადებულია ვიდეო რგოლები (მათ შორის 50 საიმიჯო და 5 გრაფიკული).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - 55 ვიდეო რგოლების დამზადება (ინფორმაციული, საიმიჯო, გრაფიკული).

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დამზადებულია 171 ვიდეორგოლი (მათ შორის: საიმიჯო -101, გრაფიკული- 3, საინფორმაციო-67).

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წლის განმავლობაში ინფორმაცია განთავსდა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და გამგეობების Facebook - 33 გვერდზე და ერთ Instagram გვერდზე.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**3.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს პირდაპირ ეთერით გადაცემულია 18 ღონისძიება.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - პირდაპირი ეთერით გადასაცემი 26 ღონისძიება.

*მიღწეული მაჩვენებელი* - პირდაპირი ეთერით გადაცემულია 9 ღონისძიება.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - ინფორმაციის გავრცელების მიზნით მეტი facebook გვერდის გამოყენება.

**07 03 ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა** დაფინანსებულია 4,018.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 4,037.5 ათასი ლარის 99.5%-ი) შემდეგ ქვეპროგრამაზე:

**07 03 03 მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება

**2022 წლის გეგმა** - 4,037.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 4,018.4 ათასი ლარით. რაც გეგმის 99.5%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა, მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების შეთავაზება და ბიბლიოთეკების სერვისით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ფუნქციონირების (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 92.9 ათასი ლარი) ხარჯები. ბიბლიოთეკების გაერთიანება მოიცავს თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის 34 ფილიალს თბილისის სხვადასხვა უბანში, შემოერთებული ტერიტორიების 1 ბიბლიოთეკას და თბილისის მედიათეკების გაერთიანებას (ვაკის, ვარკეთილის და ნაძალადევის ფილიალი). მიმდინარე პერიოდში გაწევრიანდა და ბიბლიოთეკის სერვისით ისარგებლა 33833 პირმა.

გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა ცამეტ ბიბლიოთეკასა და ორ

მედიათეკაში (გათბობა-გაგრილების სიტემის შეკეთება), ხოლო სამივე მედიათეკაში და ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულისთვის განახლდა კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტქსელი, გაერთიანების ყველა ბიბლიოთეკისა და მედიათეკის წიგნადი ფონდი შეივსო ახალი გამოცემებით, რომლებიც მოიცავს როგორც კლასიკურ, ისე სამეცნიერო და საბავშვო ლიტერატურას, მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში მომხმარებლებისათვის დაიწყო კორეული ენის შემსწავლელი სამთვიანი უფასო კურსი, ხოლო კორეის რესპუბლიკის ეროვნული ინფორმაციული საზოგადოების სააგენტოს მიერ განახლდა საქართველო-კორეის ინფორმაციაზე წვდომის ცენტრში, უსინათლო და მცირედმხედველი ადამიანებისთვის განკუთვნილი სპეციალური აპარატურა (პროექტის ფარგლებში გაერთიანებამ თანამშრომლობა დაიწყო N202 საჯარო სკოლასთან (სკოლა სპეციალიზირებულია უსინათლო და მცირემხედვე ბავშვებზე)), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფთან (WISG) თანამშრომლობის ფარგლებში გაერთიანების ფილიალებში (ვარკეთილის, ვაკისა და ნაძალადევის მედიათეკებში, მირზა გელოვანისა და აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკებში) განთავსდა ფემინისტური ცოდნის კალათები (კალათაში თავმოყრილია ორგანიზაციის მიერ წლების განმავლობაში გამოცემული მასალა: კვლევები, ანგარიშები, პოლიტიკის დოკუმენტები, გზამკვლევები, ვიდეოესეები გენდერისა და სექსუალობის საკითხებზე, მხატვრული ანიმაციური ფილმები ისტორიის მიერ მიჩქმალული ქალების შესახებ, ღია ბარათები. კალათა იქნება მუდმივად განახლებადი და დროთა განმავლობაში დაემატება ორგანიზაციის მიერ წარმოებული პუბლიკაციები და მედიაპროდუქტები), განახლდა ბაღის აღსაზრდელების და დაწყებითი კლასის მოსწავლეების ვიზიტები ფილიალებში ბიბილიოთეკის საქმიანობის და წიგნითსარგებლობის წესების გაცნობის მიზნით, ვარკეთილის მედიათეკაში The school hub-განათლებასა და გაერთიანების თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა ინგლისური ენის შემსწავლელი უფასო კურსები ზრდასრულთათვის, სკოლამდელი ასაკისა და მე-9-10 კლასის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი ჯგუფებისთვის (ჩატარდა 12-12 გაკვეთილი), გაერთიანების

ფილიალებმა ილუსტრაციის დღეს უმასპინძლეს, რომელიც თბილისის ბიბლიოთეკებში სექტემბრიდან განახლდა, თბილისის N33 ბიბლიოთეკაში პროექტი „მოდი, წავიკითხოთ“ მიმდინარეობდა, რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში, სასწავლო წლის დაწყებამდე გაგრძელდა, უკრაინის სოლიდარობის ნიშნად თბილისის N7 ფილიალში ჩატარდა უკრაინული ლიტერატურის კვირეული - „სოლიდარობა უკრაინას“ და ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი კვირეული, თბილისის საკრებულოში გაიმართა ბიბლიოთეკების გაერთიანების ყველაზე ხანგრძლივი სამუშაო სტაჟის მქონე ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებისა და აქტიური მკითხველების დაჯილდოება, ვარკეთილის მედიათეკაში მოზარდებისათვის გაიხსნა კინოსახელოსნო და კინოკლუბი „სარკმელი კინოსამყაროში“, აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკაში დაიწყო უფასო ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი (პროექტი ხორციელდება Generator 9.8 / გენერატორი 9.8-სთან პარტნიორობით), რომელიც 13-18 წლის მოზარდების ენის შესწავლის არაფორმალურ მეთოდებს შეთავაზებს, პროექტს გაუძღვება „მშვიდობისა და ინტეგრაციის საერთაშორისო ცენტრის (International Center for Peace and Integration) მოხალისე მასწავლებელი მარიო გერბალდო, ორგანიზაციასთან „ბავშვთა ცენტრი - შტაბი“ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, 6-8 და 9-12 წლის ბავშვებისათვის, ვარკეთილისა და ნაძალადევის ფილიალებში დაიგეგმა კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი აქტივობები, თბილისის მულტიფუნქციური ბიბიკიოთეკების გაერთიანება წიგნის საახალწლო ფესტივალისა და საბავშვო ლიტერტურული პრემია „ნაკადულის“ თანაორგანიზატორი გახდა, მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში გაიხსნა პირველი „60+ - კლუბი ჯანსაღი და აქტიური ცხოვრებისთვის“, განხორციელდა საბავშვო პროექტები: ზღაპრის დღეები, წიგნის ილუსტრაციის დღეები, სარკმელი კინოსამყაროში, შტაბი მედიათეკაში: ხელმარჯვეობა, მითოლოგია, ჭადრაკი, რობოტიკა. საახალწლო პროექტი თითების თეატრთან და მეზღაპრე მსახიობებთან ერთად და სხვა.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**1.საბაზისო მაჩვენებელი -** საშუალოდ წლის განმავლობაში 35000-მდე მოსარგებლე პირი და 100-მდე განხორციელებული ღონისძიება

**დაგეგმილი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 20%-ით

***მიღწეული მაჩვენებელი*** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი ღონისძიებების ნაწილში, ხოლო წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის სერვისებით ისარგებლა 33833 პირმა.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე -** ვაკის პარკის რეაბილიტაციის გამო, ვაკის მედიათეკა დახურული იყო ორი წლის მანძილზე, გაიხსნა 2022 წლის 10 მაისს, ხოლო ვაკის მედიათეკა 4 ივლისიდან - 5 ოქტომბრამდე და ვარკეთილის მედიათეკა 18 ივლისიდან - 15 სექტემბრამდე დახურული იყო გათბობა-გაგრილების სისტემის გაუმართაობის გამო. ასევე, 2022 წლის 17 მაისიდან შეჩერებულია 30-ე ფილიალის (მეტრომშენი, ყვარლის ქ.№107ა) ფუნქციონირება კორპუსში მიმდინარე გამაგრებითი სამუშაოების გამო, ხოლო 21 ნოემბრიდან დროებით შეჩერებულია მე-5 ფილიალის (ც. დადიანის ქუჩა №2, პირველი სართული) ფუნქციონირება.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - მოსაწესრიგებელია ფილიალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გასარემონტებელია და თანამედროვე ტექნიკით აღსაჭურვია სივრცეები

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - გარემონტებული და თანამედროვედ აღჭურვილი სივრცეები

***მიღწეული მაჩვენებელი*** - სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა სამეტ ბიბლიოთეკასა და ორ მედიათეკაში (გათბობა-გაგრილების სიტემის შეკეთება), ხოლო სამივე მედიათეკაში და ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულისთვის განახლდა კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტქსელი.

**07 04 პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 317.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 266.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 83.7%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მიზნობრივი სოციალური ჯგუფების პროფესიული მომზადება/გადამზადება მოკლევადიანი პროფესიული კურსების მეშვეობით და დასაქმების ხელშეწყობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში (18 მაისი - 30 მაისის ჩათვლით) გამოცხადდა ელექტრონულ პლატფორმაზე www.dasakmdi.ge რეგისტრაცია პროგრამაში ჩართვით დაინტერესებული მოქალაქეებისთვის, დარეგისტრირდა 1600-მდე მოქალაქე, შერჩევა გაიარა და 43 პროფესიულ სპეციალობაზე ჩაირიცხა 700-ზე მეტი თბილისში რეგისტრირებული მოქალაქე, 2022 წლის 6 ივნისიდან დაიწყო სასწავლო პროცესი და დასრულდა სექტემბერში. სულ პროგრამის „ისწავლე და დასაქმდი“ ფარგლებში დაფინანსდა 4 პროფესიული კოლეჯის (სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“ - 83.1 ათასი ლარი, ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“ - 70.2 ათასი ლარი, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯი „მერმისი” - 73.8 ათასი ლარი, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი" - 36.0 ათასი ლარი) მიერ წარმოდგენილი პროექტები თბილისში რეგისტრირებული სამსახურის მაძიებელი მოქალაქეების პროფესიული მომზადება/გადამზადების და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. გარდა ამისა, დაფინანსდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროექტი - შრომის უსაფრთხოების აკრედიტირებული სრული კურსი და წინა წელს შესრულებული და გაუნაღდებელი მომსახურების ღირებულება, რომელიც ითვალისწინებდა საერთო ჯამში 100-მდე თბილისში რეგისტრირებული მოქალაქის პროფესიულ მომზადება/გადამზადებას (სსიპ კოლეჯი „სპექტრი“ - 2.4 ათასი ლარი, სსიპ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ - 11.9 ათასი ლარი).

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს გადამზადება გაიარა 1123 კურსდამთავრებულმა 43-მდე სპეციალობის მიმართულებით, პროგრამაში ჩართული 4 პროფესიული ორგანიზაცია.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

*მიღწეული მაჩვენებელი* - გადამზადება გაიარა 833 კურსდამთავრებულმა 43-მდე სპეციალობის მიმართულებით, პროგრამაში ჩართული 5 სახელმწიფო პროფესიული სასწავლებელი/პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - არსებული ბიუჯეტის ფარგლებში გაიზარდა სწავლების ხარისხის (გაიზარდა სასწავლო კურსის ღირებულება და სასწავლო კურსში ჩართული კვალიფიციური პედაგოგების ანაზღაურება), რამაც გამოიწვია ბენეფიციარების რაოდების შემცირება.

**07 05 უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება** დაფინანსებულია 3,971.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 3,995.1 ათასი ლარის 99.4%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**07 05 01 უწყვეტი განათლების სისტემის და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 220.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 219.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სტუდენტების საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების და საუნივერსიტეტო კონტაქტების განვითარების მიზნით უცხოელი პროფესორების და სპეციალისტების ვიზიტების მხარდაჭერა თბილისისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებში, ქალაქში თემატურ ვორქშოფებში, მასტერკლასებში და კონფერენციებში სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობა, თემატური საზაფხულო და ზამთრის სკოლების მხარდაჭერა, სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა და წახალისება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „საქართველოს თანასწორობის ასოციაციის“ პროექტი - „თანასწორობის სკოლა“, რომლის მიზანი იყო თბილისში მოქმედ ექვს უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულების სტუდენტებს შორის ახალგაზრდა ლიდერების შერჩევა და მათი შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვა, გადამზადების გზით; სსიპ „თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის“ პროექტი, რომლის მიზანი იყო საშემსრულებლო მიმართულებაზე სწავლის ხარისხის ამაღლება და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ევროპულ სამუსიკო სფეროში დამკვიდრებული გამოცდილების გაზიარება; ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა რევმატოლოგთა გაერთიანების“ პროექტი - შავი ზღვის რევმატოლოგია - 2022, რომლის მიზანია ახალგაზრდა რევმატოლოგების მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში, შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების პრაქტიკოს და მკვლევარ რევმატოლოგებს შორის ინფორმაციის გაცვლა და სამომავლო თანამშრომლობის ხელშეწყობა; არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანების) „ერასმუსის სტუდენტური გაერთიანება - საქართველოს“ პროექტი - „ერასმუსის თაობის შეხვედრა პორტუგალია 2022“-ში საქართველოს წარმომადგენლების მონაწილეობა, რომლის მიზანია ერასმუსის თაობის სტუდენტების, ჩართულობის გაზრდა დემოკრატიულ პროცესებში და მათი საჭიროებების იდენტიფიცირება; ა(ა)იპ „კავკასიური ხელოვნების წრის“ პროექტი - “კავკასიური ხელოვნების წრის მასტერკლასები”, რომლის მიზანია სახელოვნებო დარგებით დაინტერესებული სტუდენტების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; ა(ა)იპ „თბილისი სტარტაპ ბიუროს“ პროექტი - „თბილისის ყოველწლიური ციფრული ფესტივალი (განათლება, დასაქმება, მეწარმეობა)“, რომლის მიზანი იყო სტუდენტებში და ახალგაზრდებში მომავლის პროფესიების და თანამედროვე ტექნოლოგიების პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ასევე მათი განათლებისა და დასაქმების მხარდაჭერა; ა(ა)იპ „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს“ პროექტი - „საერთაშორისო საზაფხულო სკოლა ინტელექტუალური საკუთრების სამართალში“, რომლის მიზანია სამართლის სკოლის საერთაშორისო პლატფორმის შექმნა და სამართლის სტუდენტებს შორის კონკრეტული სამართლის დარგის პოპულარიზაცია; ა(ა)იპ “თანამედროვე ხელოვნების ცენტრი - თბილისის” პროექტი - „შემოქმედებითი მედიაცია ურბანული განახლებისთვის“, რომლის მიზანია ახალგაზრდების

შესაძლებლობების გამოვლენის ხელშეწყობა, პროფესიული განვითარება და სოციალური და ურბანული პროექტების შექმნის ხელშეწყობა, ასევე პროექტის ფარგლებში არაფორმალური საგანმანათლებლო კურსების დანერგვა; ა(ა)იპ „სამედიცინო ეკოლოგიის ასოციაციის“ პროექტი - „XIV საერთაშორისო კონფერენცია ჯანმრთელობა და ეკოლოგია“, რომლის მიზანია პრევენციული მედიცინის თანამედროვე მიღწევების გაცნობა სამედიცინო საზოგადოებისთვის და ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა; ა(ა)იპ „აფხაზეთი - ჩემი სახლის“ „რაკურსი“ (თბილისური ამბები) მომავალი ჟურნალისტების შემოქმედებითი და პროფესიული უნარების მოტივირება და ხელშეწყობა, ასევე მათი ჩართვა დედაქალაქის კულტურულ - საგანმანათლებლო ცხოვრებაში; ა(ა)იპ „ჰუმანიტარული კვლევების ცენტრის” პროექტი - “სამეცნიერო ჟურნალი და საერთაშორისო კონფერენცია „Scientia“, რომლის მიზანია სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების პროფესიული განვითარების წახალისება და უცხოელი და ქართველი ავტორების კვლევების გაცნობა ქართველი მკითხველისთვის; ა(ა)იპ „ერასმუსის სტუდენტური ქსელი საქართველოს“ პროექტი - „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის პლატფორმა თბილისი (SEEP Tbilisi)“, რომლის მიზანი იყო სტუდენტებისა და ახალგაზრდებისთვის ევროკავშირისა და ევროპის სამოხალისეო და სასწავლო შესაძლებლობების გაცნობა; ა(ა)იპ „თავისუფლების ფონდის“ პროექტი - „საჯარო მმართველობისა და საერთაშორისო ურთიერთობების თემატიკის შესახებ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები ახალგაზრდებისათვის“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს თბილისში მცხოვრებ, საჯარო მართველობითა და საერთაშორისო ურთიერთობებით დაინტერესებულ, ახალგაზრდებს შესაბამისი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების მიღებაში; ა(ა)იპ „ჯანმრთელობა და ქალის“ პროექტი - „სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „კლინიკური რადიობიოლოგიისა და რადიაციული დაცვის თანამედროვე პრობლემები“, რომლის მიზანია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო კონფერენციის ფარგლებში, რადიაციული რისკების განსაზღვრა და შეფასება და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, მათ შორის მოწვეული უცხოელი პროფესორების ჩართულობით. ასევე, სტუდენტების

წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით, განხორციელდა სტუდენტთა დაფინანსების პროგრამების შემაჯამებელი ღონისძიება, ღონისძიების ფარგლებში წარჩინებულ მაგისტრანტებზე გაიცა სერტიფიკატები, ასევე სტუდენტებმა მიიღეს ინფორმაცია თბილისის მერიის მიმდინარე და დაგეგმილი პროგრამების შესახებ. ღონისძიებას 300-ზე მეტი სტუდენტი დაესწრო.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს საზაფხულო და ზამთრის სკოლებში ვორქშოფებში, მასტერკლასებში და კონფერენციებში მონაწილე 800-მდე სტუდენტი და ახალგაზრდა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

***მიღწეული მაჩვენებელი*** - საზაფხულო და ზამთრის სკოლებში ვორქშოფებში, მასტერკლასებში და კონფერენციებში ჩართული 1000-ზე მეტი სტუდენტი და ახალგაზრდა, ხოლო ინიციატივების და პროექტების განხორციელებაში მონაწილე 300-მდე სტუდენტი.

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - სტუდენტებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, 2021 წელს მოწვეული 5 უცხოელი სპეციალისტი/პროფესორი (ვიზიტი ნიდერლანდებიდან, დიდი ბრიტანეთიდან, პოლონეთიდან და გერმანიიდან) და ლექციებში, მასტერკლასებში და ვორქშოფებში ჩართული 200 სტუდენტი

**დაგეგმილი მაჩვენებელი** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მოწვეული 11 უცხოელი სპეციალისტი/პროფესორი (ვიზიტი გერმანიიდან, ავსტრიიდან, ნიდერლანდების სამეფოდან, საბერძნეთიდან, საფრანგეთიდან) და ლექციებში, მასტერკლასებში და ვორქშოფებში ჩართული 800-მდე სტუდენტი

**07 05 02 იურიდიული კლინიკა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ჩემი ადვოკატი

**2022 წლის გეგმა** - 662.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 650.9 ათასი ლარით. რაც გეგმის 98.3%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** თბილისში მცხოვრები მოქალაქეებისათვის უფასო იურიდიული მომსახურება, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის პროფესიული პრაქტიკების ორგანიზება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ ჩემი ადვოკატის ფუნქციონირების (მათ შორის შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე ავეჯი) ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან 5.0 ათასი ლარი). გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

იურიდიული კლინიკას სამართლებრივი დახმარების მიზნით მომართა 14189-მა ფიზიკურმა პირმა (ცხრილი 2, ცხრილი 3), ხოლო ცხელ ხაზზე განხორციელდა დაახლოებით 9912 ზარი (მათ შორის ზეპირი სამართლებრივი კონსულტაცია გაეწია 4877 მოქალაქეს).

**ცხრილი 1:** სამართლებრივი დახმარება თემატიკის მიხედვით

| დასახელება | უბნებზე მომართვა | ცხელ ხაზი (ზეპირი კონსულტაცია) |
|---|---|---|
| კომუნალური | 109 | 58 |
| სახელშეკრულებო | 1 089 | 380 |
| სასარჩელო | 2 339 | 456 |
| „ატსტუპნიკები“ | 127 | 7 |
| საოჯახო | 732 | 76 |
| სამემკვიდრეო | 369 | 134 |
| სააღსრულებო | 244 | 87 |
| სოციალური | 2 052 | 1 057 |
| ამხანაგობები | 250 | 340 |
| უძრავი ქონება | 1 391 | 348 |
| შრომითი ურთიერთობები | 192 | 91 |
| სამოქალაქო აქტები | 87 | 88 |
| საჯარო რეესტრი | 397 | 143 |
| სამეზობლო დავა | 301 | 232 |
| საგადასახადო-სამეწარმეო | 62 | 82 |
| სამშენებლო ნებართვა | 678 | 333 |
| ადმინისტრაციული წარმოება | 1 218 | 333 |
| ადმინისტრაციული სამართალდარღვევა | 1 224 | 318 |
| უკანონო მშენებლობა | 737 | 232 |

| | | |
|---|---|---|
| რეპრესირებული (აღიარება/კომპენსაცია) | 1 | 2 |
| უდაო წარმოება | 409 | 38 |
| ბინის პრივატიზაცია | 175 | 42 |
| ინტელექტუალური სამართალი | 6 | - |
| **სულ** | **14 189** | **4 877** |

**ცხრილი 2:** სოციალური სტატუსიის მიხედვით მომართვიანობა

| **დასახელება** | **რაოდენობა** |
|---|---|
| სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი | 2 227 |
| პენსიონერი ასაკისა გამო | 2 817 |
| შეზღუდული შესაძლებლობების მქონე | 129 |
| იძულებით გადაადგილებული | 442 |
| სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი და შშმ პირი | 160 |
| პენსიონერი ასაკის გამო და შშმ პირი | 55 |
| იძულებით გადაადგილებული და შშმ პირი | 10 |
| და სხვა | 8 349 |
| **სულ** | **14 189** |

**ცხრილი 3:** დახმარების სახეებიდან გაწეულია შემდეგი

| **დასახელება** | **რაოდენობა** |
|---|---|
| ზეპირი კონსულტაცია | 11 230 |
| წერილობითი კონსულტაცია | 6 |
| სამართლებრივი დოკუმენტის შექმნა | 34 |
| საპროცესო დოკუმენტი | 1 206 |
| წარმომადგენლობა | 113 |
| განცხადება | 384 |
| ადმინისტრაციული საჩივარი | 506 |
| მატერიალურად შედგენილი დოკუმენტი | 710 |
| **სულ** | **14 189** |

დაწყებული სასამართლო და ადმინისტრაციული წარმოებებიდან (სულ 3157 საქმე) წარმატებით დასრულდა 582, მიმდინარეა - 2024 საქმე, არ დაკმაყოფილდა - 443, სასამართლო დოკუმენტი არ შეიტანა - 61 მოქალაქემ, გამოიხმო - 35, არ მიიღო წარმოებაში - 7, საქმის წარმოება შეწყდა 4 საქმეზე, განუხილველი დარჩა 1 საქმე. საკვლევი პერიოდის განმავლობაში სულ განხორციელდა 82 წარმომადგენლობა.

ორგანიზაცია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობს უმაღლეს სასწავლებლებთან და ჯამში 157 სტუდენტი გადაამზადა, მათ შორის: მოხალისე - 120, პრაქტიკანტი - 37. სტუნდენტები პრაქტიკისა და სტაჟირების მანძილზე ეუფლებიან საადვოკატო საქმიანობას და სწავლობენ მოქალაქეებთან ურთიერთობას. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციამ 2022 წლის 21 სექტემბერს, საქართველოს მედიატორთა ასოციაციასთან ურთიერთთანმშრომლობის მემორანდუმი გააფორმა, რომლის ფარგლებში „ჩემი ადვოკატი“ ახორციელებს მედიაციის პროცესის მხარდაჭერას (მოსახლეობას მედიაციის შესახებ აწვდის ინფორმაციას და დავების მედიაციის მეშვეობით გადაწყვეტას სთავაზობს) და გეგმავს საინფორმაციო კამპანიის ხელშეწყობას (განხორციელდა საინფორმაციო ვიდეო რგოლის გადაღება). ორგანიზაციაში შემოსული საქმეებიდან 3 საქმე მედიაციის ჩართულობით წარიმართა.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს სამართლებლივი დახმარება გაეწია 15347 მოქალაქეს.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა 16000 მოქალაქემდე

***მიღწეული მაჩვენებელი*** - სამართლებრივი დახმარება გაეწია 19066 მოქალაქეს (მათ შორის ცხელი ხაზი (ზეპირი კონსულტაცია) - 4877).

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - შეზღუდვების მოხსნის შემდეგ გაიზარდა მოქალაქეთა მომართვიანობა.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს პროფესიულ პრაქტიკაში მონაწილეობა მიიღო 141 სტუდენტმა (მათ შორის ბიჭი - 29, გოგო - 112).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - პროფესიული პრაქტიკაში მონაწილეობას მიიღებს 150-მდე სტუდენტი/მოხალისე.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - პროფესიულ პრაქტიკაში მონაწილეობა მიიღო 157 სტუდენტმა (მათ შორის ბიჭი - 29, გოგო - 128).

**07 05 03 სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა -** 3,113.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,100.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტუდენტების, შშმ სტუდენტების და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსება, თბილისში რეგისტრირებული მაგისტრანტების წახალისება და მოტივაციის ამაღლება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში სოციალურად დაუცველი სტუდენტების 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაფინანსების მიზნით, 1 მარტს გამოცხადდა განაცხადების მიღება სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით, სამსახურში შემოსული 1400-მდე განცხადებიდან, მომზადდა დასაფინანსებელი სტუდენტების მონაცემთა ბაზა და დაფინანსდა 1294 სოციალურად დაუცველი სტუდენტი;

წარჩინებული მაგისტრანტების წახალისების კომპონენტის ფარგლებში გაზაფხულის სემესტრში 564 წარჩინებულ მაგისტრანტზე გაიცა ფინანსური წახალისება 562.5 ლარი (მათ შორის სტუდენტების მოთხოვნის შესაბამისად ფინანსური წახალისება 379 მაგისტრანტს ჩაერიცხა პირად ანგარიშებზე, ხოლო 185 მაგისტრანტს უნივერსიტეტების ანგარიშებზე სწავლის საფასურის დაფარვის მიზნით), ხოლო შემოდგომის სემესტრში 271 სტუდენტზე გაიცა თბილისის მერიის ფინანსური წახალისება (სტიპენდია).

მიმდინარე წლის 6 მაისს, ცვლილებები შევიდა სტუდენტთა დაფინანსების წესში და პროგრამას დაემატა ახალი კომპონენტი მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისა და შშმ სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსება. შესაბამისად, 18 მაისს გამოცხადდა განცხადებების მიღება ზემოაღნიშნული სტუდენტების სწავლის საფასურის დასაფინანსებლად და დაფინანსდა 20 შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტი და 112 მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტი.

გარდა ამისა, 1 სექტემბერს გამოცხადდა სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შშმ სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის განცხადებების მიღება 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სწავლის დაფინანსების მიზნით, შემოვიდა 2300-ზე მეტი განცხადება, მომზადდა დასაფინანსებელი სტუდენტების სია და დაფინანსდა თბილისში რეგისტრირებული 1824 სოციალურად დაუცველი სტუდენტის, 432 მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტის და 38 შშმ სტუდენტის სწავლის საფასური.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს დაფინანსებული 2868 სოციალურად დაუცველი სტუდენტი და 782 წარმატებული მაგისტრანტი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა (მათ შორის 3500 სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შშმ სტუდენტი და 850 წარჩინებული მაგისტრანტი).

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაფინანსებული 3720 სოციალურად დაუცველი, შშმ და მრავაშვიილიანი ოჯახის წევრი სტუდენტი და 835 წარმატებული მაგისტრანტი.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - დაფინანსების ახალი წესის და პროგრამაში ახალი მიმართულების დამატების შედეგად გაიზარდა სტუდენტთა მომართვიანობა.

**07 06 მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე** დაფინანსებულია 2,764.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,903.1 ათასი ლარის 95.2%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**07 06 01 მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

**2022 წლის გეგმა** - 2,903.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,764.0 ათასი ლარით. რაც გეგმის 95.2%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მოსწავლე - ახალგაზრდობის შემეცნებით - შემოქმედებითი და დასვენება-გაჯანსაღების პროგრამების განხორციელება, მოზარდების და ახალგაზრდების ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა და ამ მიზნების განსახორციელებლად შესაბამისი პირობების შექმნა, მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბებისა და სტუდიების შექმნის ხელშეწყობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ფუნქციონირების (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 684.5 ათასი ლარი), სხვადასხვა კულტურულ, საგანმანათლებლო, შემოქმედებითი ღონისძიებებისთვის ინვენტარის, კომპიუტერული ტექნიკის, მუსიკალური ინსტრუმენტების, ვიდეო-აუდიო აპარატურის და სხვა აქტივების შეძენის ხარჯები. გარდა ამისა, სასახლის დარბაზების და სამუზეუმო სივრცეებისთვის შეძენილი იქნა მაგიდები, სკამები, სავარძლები, კარადები, ჩარჩოები, ფერწერული ნამუშევრები, ახალი წიგნები. ხოლო სასწავლო მიმართულებით შეძენილ იქნა საკანცელარიო საქონელი, საღებავები, ფუნჯები, პრინტერი, ღონისძიებაში გამარჯვებული ბავშვებისთვის მაისურები, ბრენდირებული ჩანთები, სასაჩუქრე წიგნები, მეხსიერების ბარათები და საახალწლო აქსესუარები;

თბილისის ახალგაზრდულმა ორკესტრმა 2022 წელს რეპეტიციები განაახლა მარტის შუა რიცხვებში, სეზონის მანძილზე ჩატარდა კონცერტები რუსთაველის თეატრში, წინანდლის ფესტივალზე და კონსერვატორიაში. გარდა ამისა, მონაწილეობა მიიღეს საახალწლო ღონისძიებებში ორბელიანის მოედანზე. ასევე, ცნობილი მუსიკოსების მიერ ჩატარდა მასტერკლასები; საანგარიშო პერიოდში მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ჩატარდა 381 ღონისძიება (სასახლეში სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების გათვალისწინებით ღონისძიებების დიდი ნაწილი მიმდინარეობდა გასვლით და ჰიბრიდულ რეჟიმში), მათ შორის: კუტურულ - საგანმანათლებლო - 82, გასვლითი ღონისძიება - 47, საგანმანათლებლო პროექტი/ლექცია/მასტერკლასი/კონფერენცია/შეკრება - 35,

გამოფენა/კონცერტი/სპექტაკლი - 49, შეხვედრა/პრეზენტაცია/დისკუსია - 52, სატელევიზიო გადაცემა/რეპორტაჟი - 60, ფესტივალი/კონკურსი/ტურნირი - 52, საზაფხულო სკოლა - 2, სიმპოზიუმი/ფორუმი - 2;

გრძელდება თბილისის განვითარების ფონდის პროექტის „ახალი ტფილისის“ ფარგლებში, ეროვნული სასახლის სარეაბილიტაციო/სარესტავრაციო სამუშაოები. მნიშვნელოვანია, რომ დასრულდა ეროვნული სასახლის „ბ“ კორპუსი და მოეწყო სულ 46 ოთახი, აქედან 29 ოთახი სამეცადინო სივრცე.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**1.საბაზისო მაჩვენებელი -** 2021 წელს ჩატარდა 3 ფესტივალი

**დაგეგმილი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.


**2.საბაზისო მაჩვენებელი -** 2021 წელს რეგისტრირებული 2207 ბენეფიციარი (მათ შორის 284 სოციალურად დაუცველი, 14 შშმ პირი, 103 მრავალშვილიანი ოჯახიდან, 25 წარჩინებული მოსწავლე).

**დაგეგმილი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის 10 %-ით გაზრდა.


***მიღწეული მაჩვენებელი*** - რეგისტრირებული 3814 ბენეფიციარი (მათ შორის 250 სოციალურად დაუცველი, 14 შშმ პირი, 45 წარჩინებული მოსწავლე).

- **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა**

ათასი ლარი




**კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის პრიორიტეტის პროგრამების 2020-2022 წწ შესრულების დინამიკა**




| | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა | ახალგაზრდული ღონისძიებები | კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა | თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა | ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება | ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია | კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში | თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი | ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა | შემოქმედებითი თბილისი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2020 წლის ფაქტი | 13,257.1 | 3,380.5 | 1,833.8 | 3,719.2 | 1,956.9 | 1,461.0 | 2,061.3 | 116.4 | 388.3 | 51.5 | 569.1 |
| 2021 წლის ფაქტი | 15,439.0 | 2,942.7 | 1,703.0 | 6,341.8 | 2,613.0 | 1,078.5 | 1,543.0 | 201.2 | 439.5 | 106.4 | 862.2 |
| 2022 წლის ფაქტი | 23,238.8 | 2,608.6 | 3,080.0 | 6,289.9 | 3,155.7 | 2,758.4 | 3,200.6 | 1,056.8 | 484.0 | 113.3 | 579.1 |

**კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის პრიორიტეტის პროგრამების პროცენტული დაფინანსება**



**08 01 თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა** დაფინანსებულია 3,155.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 3,179.3 ათასი ლარის 99.3%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**08 01 01 ს.ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

**2022 წლის გეგმა** - 785.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 784.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** თეატრის სრულყოფილი ფუნქციონირების ხელშეწყობა, შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან 118.6 ათასი ლარი). გაიმართა სპექტაკლები: „ჯადოსნური წრე“, „თოვლის დედოფალი“, შედგა ქართულ-უკრაინული კოპროდუქციის პრემიერა „ქალები 30+“ და უკრაინელი დრამატურგის, ნატალია ვოროჟბიტის პიესა „ცუდი გზები“, რომელიც ქართულ სცენაზე პირველად განხორციელდა, ქალთა №5 დაწესებულებაში მსჯავრდებულებისათვის გაიმართა დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს „არმიჰოლში“ თავდაცვის უწყების თანამშრომელთა შვილებისათვის ახმეტელის თეატრის დასმა წარადგინა სპექტაკლი „ჯადოსნური წრე“ ნიკოლოზ წულუკიძის იგავ-არაკების მიხედვით, თეატრში მეხუთე პენიტენციური დაწესებულების მსჯავრდებულებმა სპექტაკლი „ციხის თავზე ანგელოზები დაფრინავენ“ წარმოადგინეს, პროექტის განმახორციელებელი - CIC ინოვაციური შემოქმედების ცენტრი, სტამბოლში, Maltepe Türkan Saylan-ის კულტურის ცენტრში გაიმართა “Tuncer Cücenoğlu Theatre Days” – თეატრის დღეები, ღონისძიების ფარგლებში საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა

მიიღო და მასტერკლასი ჩაატარა ახმეტელის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით შედგა სპექტაკლის პრემიერა - „ტიტუს ანდრონიკუსი“, რომელიც განხორციელდა უკრაინიდან მოწვეული რეჟისორის ოლექსანდრე ჟურაველის მიერ, ახმეტელის თეატრის დასი სპექტაკლით „ჯადოსნური წრე“ იმყოფებოდა ინდოეთში, სადაც ოთხი სპექტაკლი წარადგინეს. ასევე, მსახიობებმა მონაწილეობა მიიღეს ვორქშოფსა და სემინარებში, გაიმართა ზურაბ რთველიშვილის სახელობის პერფორმანსის საერთაშორისო ფესტივალი, სადაც წარდმოდგენილნი იყვნენ პერფორმერები საქართველოდან, უკრაინიდან, შვედეთიდან, გერმანიიდან, ესტონეთიდან, თეატრს სტუმრობდა ინდოეთის ელჩი კიშან დან დევალი და შედგა შეთანხმება თანამშრომლეობაზე სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად. გარდა ამისა, გაწეულია განათების ახალი სისტემის (განათების სისტემის სამართავი პულტის-მიქშერი) დამონტაჟების ხარჯები და შესაძლებელი გახდა სპექტაკლების წარმოდგენა (თეატრში სეზონი გაიხსნა 24 დეკემბერს). სულ მიმდინარე პერიოდში წარმოდგენილ იქნა სამი პრემიერა („ქალები 30 +“, „ცუდი გზები“ და ტიტუს ანდრონიკუსი“) და 98 მიმდინარე სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 18960.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს წარმოდგენილი იქნა 50 მიმდინარე, 2 საპრემიერო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 3019.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაიგეგმა 200-მდე მიმდინარე, 6-მდე საპრემიერო სპექტაკლის ჩვენება, რომელსაც საშუალოდ 25000-მდე მაყურებელი დაესწრება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - განხორციელდა 98 მიმდინარე, სამი საპრემიერო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 18960.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - განათების სისტემის მწყობრიდან გამოსვლის გამო თეატრში სეზონი გაიხსნა 24 დეკემბერს, ნაცვლად 25 სექტემბრისა.

**08 01 02 პანტომიმის სახელმწიფო თეატრი**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ პანტომიმის სახელმწიფო თეატრი

**2022 წლის გეგმა** - 474.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 462.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.4%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** თეატრის სრულყოფილი ფუნქციონირების ხელშეწყობა, შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან 10.0 ათასი ლარი). თბილისის მერიის თანადაფინანსებით ჩატარდა "ამირან შალიკაშვილის სახელობის საერთაშორისო ფესტივალი 2022" (ფესტივალზე იყვნენ მოწვეული თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები და უცხოეთიდან მოწვეული სტუმრები - თურქეთის მიმების ორგანიზაციის წარმომადგენლები), გაიმართა სპექტაკლის პრემიერა "შალიკას შვილები", თურქეთის მიმების ორგანიზაციის წევრებმა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში ჩაატარეს მასტერკლასი, უნივერსტეტის სტუდენტებთან. გაიმართა სპექტაკლები: „კრიმანჭული“, „სიყვარულის ეიფორია“, „ოცნება და სინამდვილე“, „ნატვრის ხე“, „კიდევაც დაიზრდებიან“, „მოხუცი და ზღვა“ (განახლებული სპექტაკლი), მოეწყო პოეზიის საღამო - „მიწიდან ცამდე“, თეატრმა 15 მაისიდან 2 ივნისამდე უმასპინძლა არტ-სკოლის ფესტივალს. სულ მიმდინარე პერიოდში წარმოდგენილ იქნა ორი პრემიერა („თეთრი და შავი“ და "შალიკას შვილები") და 35 მიმდინარე სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 891.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს განხორციელდა 30 მიმდინარე, 1 ლაივ პრემიერა (ონლაინ მაყურებელი - 2200), მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 1500.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაიგეგმა 75-მდე მიმდინარე, 5-მდე საპრემიერო სპექტაკლის ჩვენება, რომელსაც საშუალოდ 7000-მდე მაყურებელი დაესწრება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - განხორციელდა ორი პრემიერა და 35 მიმდინარე სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 891.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - მესამე კვარტალში თეატრში სპექტაკლები არ ჩატარებულა (მიმდინარეობდა პრემიერისთვის მზადება).

**08 01 03 თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, სსიპ თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი

**2022 წლის გეგმა** - 1,000.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 991.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.2%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება, შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან, თანამშრომლობითი პროექტების შექმნა, პროფესიული განვითარება და ახალი პროფესიების შემოსვლა შემოქმედებით სფეროში.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია სსიპ თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის ფუნქციონირების (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან 90.4 ათასი ლარი) და ნაწილობრივ თეატრალური ფესტივალის მოსამზადებელი ღონისძიებების ხარჯები (მათ შორის: ჩამოყალიბდა ფესტივალის ახალი მრჩეველთა საბჭო, გამოცხადდა საკონკურსო პროგრამა „NEW“ და ქართული სპექტაკლების პროგრამა Georgian Show-Case, მოძიებული იქნა პარტნიორები, დასრულდა მოლაპარაკებები საერთაშორისო პროგრამის შესაძლებელ მონაწილეებთან, განხორციელდა ფესტივალის ვიზუალური სახის და ვებ-გვერდის ცვლილების პროცესი, აქტიურ სამუშაო

ეტაპზეა საგანმანათლებლო პროგრამა და პრაქტიკული ვორქშოპები, 2022 წლის ფესტივალის ძირითადი მიმართულებაა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სპექტაკლებში. საერთაშორისო პროგრამის „NEW“ განაცხადი დაიგზავნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების თეატრებში და ფესტივალებზე, ხოლო ქართული პროგრამის განაცხადები ქართული თეატრებისთვის დაეგზავნა საქართველოს მასშტაბით ყველა თეატრს (უცხოელებს ელექტრონულ ფოსტებზე). ასევე, განაცხადები დაიდო ევროპის ფესტივალების გაერთიანების EFA-ს ვებ გვერდზე და ფეისბუქზე, თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის საიტზე და ფეისბუქზე. საერთაშორისო პროგრამით წარმოდგენილი იყო 4 დასის მიერ (საფრანგეთი-უკრაინა, გერმანია, ნიდერლანდები, იაპონია) 8 ჩვენება (26 სექტემბერი - 8 ოქტომბერი). დაგეგმილი იყო ასევე, ირანული თეატრის ვიზიტი, რომელიც ირანში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო გადაიდო; ჩატარდა 3 ვორქშოფი - გამორჩეული პერსონაჟების შექმნის ხელოვნება (17-19 სექტემბერი), ხოლო ქართული სპექტაკლების პროგრამა (28 სექტემბერი - 2 ოქტომბერი) მოიცავდა ორი წლის განმავლობაში გამოშვებულ სპექტაკლებს, რომელშიც მონაწილეობდა 26 თეატრი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, თბილისში სულ ნაჩვენები იქნა 37 სპექტაკლი. ფესტივალს ქართული პროგრამის ფარგლებში ესტუმრა 65 სტუმარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა 2 კონცერტი, 3 არტ ინსტალაცია ფილმით და განხორციელდა 13 ვორქშოპი/ტრენინგი, ხოლო ქართული სპექტაკლების პროგრამამ გადაიწია მომდევო წელს.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - ფესტივალის ფარგლებში იმართება საშუალოდ 15-მდე უცხოური, 20-მდე ქართული სპექტაკლი, 10-მდე ვორქშოპი/მასტერკლასი, ფესტივალში მონაწილეობს საშუალოდ 10-მდე მოწვეული და 35-მდე ქართული დასი

*მიღწეული მაჩვენებელი* - ფესტივალის ფარგლებში ნაჩვენები იყო 4 უცხოური დასის 8 სპექტაკლი, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან 26 თეატრის 37 სპექტაკლი, 3 ვორქშოფი.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - დაგეგმილი იყო ირანული თეატრის ვიზიტი, რომელიც ირანში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო გადაიდო.

**08 01 05 სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი

**2022 წლის გეგმა** - 514.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 513.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** თეატრის სრულყოფილი ფუნქციონირების ხელშეწყობა, შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან 10.4 ათასი ლარი) და შენობის იჯარის ხარჯები. გაიმართა სპექტაკლები: „პარტახი“, „კვერცხი“, „ქვრივები“, „ორი მსახიობისთვის“, „ცილინდრი“, „უსაზღვრო დროთა“ (გალაქტიონი), თეატრი იმყოფებოდა იტალიის ქალაქ პენაბილში გასტროლზე დიდი იტალიელი დრამატურგისა და პოეტის ტონინო გუერას ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, გაიმართა სპექტაკლი „უსაზღვრო დროთა'' (გალაქტიონი), სადაც თეატრს გადაეცა ჯილდო, შედგა ონლაინ სპექტაკლი „ერთი კაცის ნაამბობი“ სატელევიზიო ჩვენება (საზოგადოებრივი მაუწყებელი, პროექტი „სცენა“); ოზურგეთში ფესტივალზე გაიმართა სპექტაკლი „პარტახი“, რომელსაც 300 ადამიანი დაესწრო; თეატრში მიმდინარეობს მუშაობა ახალ სპექტაკლებზე: ,,ქართველები'' (პიესის ავტორი - თამაზ მეტრეველი) და „დედა კურაჟი“ (პიესის

ავტორი - ბერტოლდ ბრეხტი). სულ მიმდინარე პერიოდში წარმოდგენილ იქნა ერთი პრემიერა (“სამშობლო“) და 63 მიმდინარე სპექტაკლი, შედგა ონლაინ სპექტაკლის სატელევიზიო ჩვენება (10000 ნახვა), მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 2391.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს წარმოდგენილი იქნა 34 მიმდინარე, 4 საპრემიერო სპექტაკლი, 1 სატელევიზიო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 1250; 2 ლაივ პრემიერა (ონლაინ მაყურებელი - 6000).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაიგეგმა 80-მდე მიმდინარე და 2 საპრემიერო სპექტაკლის ჩვენება, რომელსაც საშუალოდ 2500-მდე მაყურებელი დაესწრება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - განხორციელდა ერთი პრემიერა და 63 მიმდინარე სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 2391; ერთი ონლაინ სპექტაკლი პრემიერა (ონლაინ მაყურებელი - 10000).

**08 01 08 სამეფო უბნის თეატრი**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ სამეფო უბნის თეატრი

**2022 წლის გეგმა** - 405.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 402.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** თეატრის სრულყოფილი ფუნქციონირების ხელშეწყობა, შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან 1.1 ათასი ლარი). გაიმართა მიმდინარე სპექტაკლები: „მოახლეები“, „მსახურთა შემოდგომა“, „დეკალოგი“, „ბეჩავი“, „ტროელი ქალები“, „დემონები“, „მსახურთა შემოდგომა“. გაიმართა თემურ ჩხეიძის სახელოსნოს პროექტის „დაცული ტერიტორიები“ ონლაინ-ჩვენებები (7 მცირე მოცულობის სპექტაკლი-პერფორმანსი), თბილისის არქიტექტურის ბიენალესა და სამეფო უბნის თეატრის კოლაბორაციით

პერფორმანსი „ლარი და ჰიბრისი“, ისრაელის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით სარეპეტიციო პროცესი დაიწყო სპექტაკლზე ჰანა აზულაი ჰასფარის „სინანულის დღეები“ (პრემიერა შედგა 2023 წლის იანვარში). გარდა ამისა, გაწეულია ვიდეო-პროექტორის შესაძენის ხარჯები. სულ მიმდინარე პერიოდში წარმოდგენილ იქნა ოთხი პრემიერა („მედეა“, „ფედრა ცეცხლის ალში“, „წმინდა ნაწილები“ და „მკვდარი ძაღლები“) და 84 მიმდინარე სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 15115.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს წარმოდგენილი იქნა 16 მიმდინარე, 2 საპრემიერო სპექტაკლი, 4 ლაივ პრემიერა, 11 სპექტაკლი ღია ცის ქვეშ (მაყურებელი - 800), სულ მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 1600.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაიგეგმა 120-მდე მიმდინარე, 3-მდე საპრემიერო სპექტაკლის ჩვენება, რომელსაც საშუალოდ 14000-მდე მაყურებელი ესწრება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - განხორციელდა 84 მიმდინარე, 4 საპრემიერო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 15115.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - პანდემიის განმავლობაში შეჩერებული სარეპერტუარო სპექტაკლების აღდგენას ცალ-ცალკე დაეთმო მინიმუმ ერთკვირიანი სარეპეტიციო პროცესი. გარდა ამისა, თეატრის სივრცის სპეციფიკიდან გამომდინარე (შესაბამისი სარეპეტიციო დარბაზის არარსებობა), თითოეული ახალი სპექტაკლისთვის მზადება ითხოვს გარკვეული ვადით რეპერტუარის შეჩერებას, რის გამოც სპექტაკლების ინტენსიურად დანიშვნა შეუძლებელი ხდება.

**08 02 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ხელოვნების სკოლები, სკოლების, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზია, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ი. სუხიშვილის სახ. ქართული ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯი,


**2022 წლის გეგმა** - 3,511.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,608.6 ათასი ლარით. რაც გეგმის 74.3%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სახელოვნებო განათლების, არამოთხოვნადი სპეციალობების შენარჩუნება, პოპულარიზაცია, მოსწავლეთა დაინტერესება, წახალისება, ხელოვნების სკოლების, ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის, ი. სუხიშვილის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიის და სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის შეუფერხებლად და გამართულად ფუნქციონირებაში ხელშეწყობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა არამოთხოვნად სპეციალობებზე (N20 და N19 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – საორკესტრო ინსტრუმენტების სპეციალობით, N28 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – ქართული ხალხური საგუნდე ხელოვნების განყოფილებაზე, ჰ.გონაშვილის N29 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – თანამედროვე და ტრადიციული მიმდინარეობების განხრით და ალიოზ მიზანდარის სახელობის №1 ხელოვნების სკოლის ბაზაზე საგუნდო ხელოვნების განყოფილებაზე (კაპელა) მოსწავლეთა უფასო სწავლება (სულ ჯამში თვეში საშუალოდ - 667 მოსწავლე, ცხრილი 1), გრძელდება ხელოვნების სკოლების (33 სკოლა/კოლეჯი/სტუდია/გიმნაზია, 660 მოსწავლე) სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად (წარმატებული მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების წახალისების მიზნით) დაფინანსება, ამასთან, გაწეულია ხელოვნების სკოლების (30 სკოლა), ქ.თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ი. სუხიშვილის სახ. ქართული ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიის და ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის მიერ მოხმარებული კომუნალური, დასუფთავების, ინტერნეტის, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამების

უზრუნველყოფის ლიცენზიის 2022 წლის განმავლობაში გაგრძელების, თანამშრომელთა ფულადი ჯილდოს, ა(ა)იპ ხელოვნების სკოლებისთვის (არამ ხაჩატურიანის სახელობის N10, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ვიქტორ დოლიძის სახელობის N15, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის N19 და ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის N1 სამხატვრო) საიუბილეო კონცერტების ჩასატარებლად და გამოფენის მოსაწყობად დარბაზის იჯარის, ზოგიერთი ხელოვნების სკოლის და ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის თანამშრომელთა სახელფასო ფონდის შევსების ხარჯები. ასევე, გაწეულია ქ.თბილისის მერიის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის N19 ხელოვნების სკოლის ჩასაბერ საკრავთა ორკესტრის მოსწავლეთა, ბათუმში გამართულ ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად, სასტუმროს მომსახურების, ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის ალოიზ მიზანდარის სახელობის N1 ხელოვნების სკოლის“ სომხეთის დედაქალაქ ერევანში საბავშვო გუნდის „ARMENIAN LITTLE SINGERS“ 30-ე საიუბილეო ფესტივალში მონაწილეობის მიღებისა და სოლო კონცერტის გამართვის ხელშეწყობის ხარჯები.

**ცხრილი 1**. მოსწავლეთა რაოდენობა თვეების მიხედვით




**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი -** 2021 წელს მოსწავლეთა რაოდენობა თვეში საშუალოდ 1345 მოსწავლე (მ.შ. – 775 გოგო, 570 - ბიჭი). აქედან: არამოთხოვნად სპეციალობებზე მოსწავლეთა რაოდენობა - 685 (მ.შ. 290 - გოგო, 395 - ბიჭი), სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა - 660 (მ.შ. 485 გოგო, 175 ბიჭი).

**დაგეგმილი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

***მიღწეული მაჩვენებელი*** - თვეში საშუალოდ 1327 მოსწავლე (მ.შ. – 756 გოგო, 571-ბიჭი). აქედან: არამოთხოვნად სპეციალობებზე მოსწავლეთა რაოდენობა - 667 (მ.შ. 294 - გოგო, 373 - ბიჭი), სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა - 660 (მ.შ. 462 გოგო, 198 ბიჭი).

**განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში)** - პროგრამის ფარგლებში პოსტპანდემიური პერიოდში გათვალისწინებული იყო ხელოვნების სკოლების თანამშრომელთა სახელფასო ფონდის შესავსებად თანხები, ხოლო შეზღუდვების მოხსნის შემდგომ პერიოდში შრომის ანაზღაურების დაფარვის მიზნით, ობიექტებს, არ მოუმართავთ თანხის გამოყოფის მოთხოვნით. ასევე, გათვალისწინებული იყო მოსწავლეების და მასწავლებლების ყოველწლიური საიუბილეო კონცერტებისა და გამოფენების მოწყობა/პროექტებისათვის დარბაზის იჯარა, ვინაიდან პოსტპანდემიური პერიოდი იყო, რიგი ღონისძიებები არ ჩატარდა

**08 03 ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია** დაფინანსებულია 3,200.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 3,321.9 ათასი ლარის 96.3%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**08 03 10 ე.ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა

**2022 წლის გეგმა** - 164.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 151.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 92.2%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** გამოფენები, აქციები, შეხვედრები და კონკურსები, ბავშვთა, მოზარდთა და ზოგადად საზოგადოების ჩართულობა, საზოგადოების დაინტერესება და მათი ზოგადი განათლების ამაღლება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია გალერეას ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 8.4 ათასი ლარი). გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: გაიმართა ანა ზოიძის ნახატების პერსონალური გამოფენა-გაყიდვა (საქველმოქმედო ღონისძიება) მოხუცთა თავშესაფარში მცხოვრები ხანდაზმულებისთვის, ბავშვთა ნახატების გამოფენები და ბავშვთა ნახატების გამოფენის ორგანიზება-მოწყობის ღონისძიებები. სულ მიმდინარე პერიოდში ჩატარდა 8 ღონისძიება (ღონისძიებებში მონაწილე - 450, ბავშვთა რაოდენობა - 25) და ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 2380.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი -** საშუალოდ ყოველწლიურად იმართება 50-მდე გამოფენა, აქცია, შეხვედრა და კონკურსი, ღონისძიებებში ჩართულია 50-მდე მოსწავლე, 3500-მდე მონაწილე, ვიზიტორთა რაოდენობა 5000-მდე.

**დაგეგმილი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

***მიღწეული მაჩვენებელი*** - ჩატარდა 8 ღონისძიება, ღონისძიებებში ჩართული 25 მოსწავლე, 450 მონაწილე, ვიზიტორთა რაოდენობა 2380.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე -** ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით მიმდინარე სამუშაოების გამო, სასწავლო პროცესი შეჩერებული იყო.

**08 03 12 მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ "მუზეუმების გაერთიანება"

**2022 წლის გეგმა** - 3,157.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,048.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში, მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 38.4 ათასი ლარი). გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: ჩატარდა გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულების სახლ-მუზეუმებში 271 საგანმანათლებლო პროგრამა და 88 ღონისძიება, გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი მუზეუმების გაერთიანებასა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეს შორის (სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კვლევითი თანამშრომლობის განვითარება და ერთობლივი პროექტების, გამოფენების, კონფერენციების და სხვა საქმიანობის განხორციელება), თბილისის მუზეუმების გაერთიანება მასწავლებელთა ეროვნული ჯილდოს პარტნიორი გახდა (2022-2023 სასწავლო წლის მანძილზე თბილისის მუზეუმების გაერთიანება უსასყიდლოდ უმასპინძლებს ათეულთა კლუბის ყველა მასწავლებელს მოსწავლეებთან ერთად გაერთიანების სახლ-მუზეუმებსა და საგანმანათლებლო პროგრამებზე), დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მუზეუმმა უმასპინძლა „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაცის“ წარმომადგენლებს, მუზეუმების საერთაშორისო კვირეულის -„მუზეუმების ძალა“ ფარგლებში სხვადასხვა აქტივობები ჩატარდა (აქტივობებს სახლ-მუზეუმებში 1482 ვიზიტორი სტუმრობდა და შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამებს 405 მონაწილე დაესწრო), მუზეუმების გაერთიანების სოციალურ ქსელებში გრძელდება გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული ნარატივებისა და თემების გამოყენებით საინფორმაციო-შემეცნებითი და ზოგადსაგანმანათლებლო ციფრული კამპანიები (ფეისბუკზე გამოქვეყნდა 177 პოსტი, ხილვადობა - 483886, ინსტაგრამზე გამოქვეყნდა 109 პოსტი და 86 სთორი,

ხილვადობა - 2811), მუზეუმების გაერთიანებამ 2022 წლის 21 აგვისტოდან 28 აგვისტომდე ჩეხეთის რესპუბლიკის დედაქალაქ პრაღაში, მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტის ICOM Prague 2022 - “The Power of Museums” გენერალურ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა (ICOM-ის გენერალური კონფერენციის სადისკუსიო ფორმატის ფარგლებში ICOM- საქართველოს წარმომადგენლობის მიერ მოხდა თბილისის მუზეუმების გაერთიანების ასოცირებული წევრობის კანდიდატათ განხილვა, რაც დღის წესრიგში დადგება 2023 წლიდან), ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ - მემორიალური მუზეუმი ევროპის მუზეუმების ფორუმის კონკურსის "EMYA - ევროპის წლის მუზეუმი 2023" ნომინანტი გახდა, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში აღდგა ილიასეული „ხუთშაბათობების“ ტრადიცია, რომლის ფარგლებში მუზეუმი საზოგადოებას ეტაპობრივად უმასპინძლებს საჯარო ღონისძიებებზე, სადაც მონაწილეებს საშუალება ექნებათ გაიცნონ არა მხოლოდ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი დეტალები, არამედ სრულიად ეპოქა და იმდროინდელი ტფილისური ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტები (ჩატრდა 7 საჯარო ლექცია, რომელსაც დაესწრო 359 სტუმარი), გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში სხვადასხვა თემატიკაზე მიმდინარეობდა საჯარო ლექციები, პრეზენტაციები და ღია კარის დღეები, ფონდების შევსების და ექსპონატების შეძენის მიზნით განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები (მათ შორის: საფონდო ერთეულების აღწერილობათა ელექტრონული ვერსია, ინვენტარიზაცია ჩაუტარდა ფოტოსურათებს, მოხდა მათი დასკანერება და გატარდა ელექტრონულ ჟურნალში, მომზადდა მასალები რეგისტრაციისათვის), გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში ექსპონატების დაცვა-აღრიცხვის მიზნით, საქართველოს სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის შესახებ ინსტრუქციის საფუძველზე, დამტკიცდა და მომზადდა ექსპონატის პასპორტის ფორმა და სტრუქტრული ერთეულების მუზეუმებმა დაიწყო შემუშავებული ფორმით მუზეუმის კოლექციათა პასპორტიზაცია, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში გაიხსნა კაფე „ელეგია“, რომელიც ბუნებრივი ღვინის რესტორანია, ფოკუსირებული სეზონურ პროდუქტსა და

ველურ ინგრედიენტებზე და ასახავს ქართული ძირძველი ტრადიციების შეხამებას თანამედროვე ესთეტიკასთან, აგვისტოში ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმს სტუმრობდნენ შვედეთის სოდერტორნის უნივერსიტეტისა და შვედეთის ინსტიტუტის (The Swedish Institute Academy for Young Professionals (SAYP)) მიერ ორგანიზებული ტრენინგ პროგრამის (Cooperation beyond Borders – Transnational Public Administration and Organizing (TPAO)) მონაწილეები, სექტემბერში დასრულდა არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან საგანმანათლებლო პროგრამების ციკლი (მუზეუმების გაერთიანებასა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მე-11 პენიტენციურ სარეაბილიტაციო დაწესებულებას შორის თანამშრომლობა, რაც გულისხმობს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას) სადაც დამსწრეები გაეცნენ სამუზეუმო საქმიანობას (საგანმანათლებლო პროექტი ორი თვის განმავლობაში მსჯავრდებულთა ჩართულობითა და ინტერაქციით მიმდინარეობდა და პროექტის დასასრულს მსჯავრდებულებს სერტიფიკატები გადაეცათ), გაიმართა ახალი შემეცნებით-საგანმანათლებლო შეხვედრათა ციკლის - „პიკის საათი“ შეხვედრები მე-19 საუკუნეში დაწყებულ ქალთა მოძრაობის ისტორიის ქართულ და ევროპულ მაგალითებზე, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში დასრულდა სახლ-მუზეუმის კვლევითი, გეოლოგიური და სარესტავრაციო პროექტისათვის მოსამზადებელი სამუშაოები, დაიწყო და გრძელდება მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის და ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის (გ. ჩუბინაშვილის №22) სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოები, შესაბამისად სახლ-მუზეუმების სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, მუზეუმების საფონდო მასალები და კოლექციები შესაბამისი წესით გადატანილია უსაფრთხო ადგილას და თანამშრომლები აგრძელებენ შემუშავებული გეგმით ფონდებისა და კოლექციების შეჯერებისა და საგამოფენო კონცეფციის დამუშავებას, თბილისის მუზეუმების გაერთიანების ფონდებისა და კოლექციების გასამდიდრებლად შესაბამისი წესითა და საქართველოს ფასეულობათა დაცვისა და აღრიცხვის ინსტრუქციის თანახმად მიმდინარე პერიოდში შეძენილია სულ 569 ერთეული საფონდო მასალა და

ექსპონატი, კონსერვაციისა და რესტავრაციის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის (ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში 2020 წელს გაიხსნა) მიერ რესტავრაცია ჩაუტარდა ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ - მემორიალური მუზეუმის ფონდში დაცულ 6 რარიტეტულ წიგნს და სხვა. გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების სახლ-მუზეუმებსა და ბინა-მუზეუმებში ვიზიტორებისა (6040) და დამთვალიერებელთა (5874) რაოდენობამ შეადგინა 10230, ხოლო შემეცნებით-საგანმანთლებლო პროგრამებს დაესწრო 5874 მონაწილე.

ამასთან, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გაწეულია 56.2 ათასი ლარი.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**1.საბაზისო მაჩვენებელი -** ჩატარდა 20 ღონისძიება, საგანმანათლებლო - 40, ჩატარდა ტრენინგები და ვორქშოპები, მედია გაშუქება - 62

**დაგეგმილი მაჩვენებელი -** საშუალოდ ყოველწლიურად იმართება 100-მდე ღონისძიება, ვიზიტორთა რაოდენობა 7500-მდე,

***მიღწეული მაჩვენებელი*** - გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების სახლ-მუზეუმებში ჩატარდა 271 საგანმანათლებლო პროგრამა და 88 ღონისძიება, ვიზიტორებისა და დამთვალიერებელთა რაოდენობამ შეადგინა 10230, ხოლო შემეცნებით-საგანმანთლებლო პროგრამებს დაესწრო 5874 მონაწილე.

**2.საბაზისო მაჩვენებელი -** გასაახლებელი და აღსაჭურვია სამუზეუმო სივრცეები

**დაგეგმილი მაჩვენებელი -** დაიგეგმა 2 ობიექტის პროექტირება-რეაბილიტაცია, 6 ობიექტის აღჭურვა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - განხორციელდა 2 ობიექტის პროექტირება და გრძელდება სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები, მოხდა სამუზეუმო ფონდების შევსება (შეძენილია 569 ერთეული საფონდო მასალა და ექსპონატი).

**08 04 ხელოვნების და კულტურის ობიექტების განვითარება**

დაფინანსებულია 2,758.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 3,066.4 ათასი ლარის 90%-ი) შემდეგი ქვეპროგრამებზე:

**08 04 01 საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი”**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი"

**2022 წლის გეგმა** - 920.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 908.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.7%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია ორკესტრის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან 81.7 ათასი ლარი). ორკესტრმა მონაწილეობა მიიღო ორბელიანის მოედანზე გამართულ ღონისძიებაში, სასტუმრო შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში ჯაზის საერთაშორისო დღის აღმნიშვნელ ღონისძიებაში, პროკურორთა საერთაშორისო კონფერენციისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, მალტაზე ქალაქი სენტ ჯულიანსი ქართული კულტურის დღეებისადმი მიძღვნილ ფესტივალში - „ევროარტ 2022“, გორში გამართულ ღონისძიებაში - JAZZ&WINE, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შავი ზღვის უნივერსიტეტში გამართულ ღონისძიებებში და სხვა.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს ორკესტრმა მონაწილეობა მიიღო 20-მდე ღონისძიებაში.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მონაწილეობა იქნა მიღებული 12 ღონისძიებაში, ხოლო მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 12900.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - განსხვავება გამოიწვია პირველ რიგში იმან, რომ ორკესტრს არ გააჩნია საკუთარი დარბაზი და მეორე, რამდენიმე წლის მანძილზე თბილისის სკვერებში ორკესტრი მართავდა კონცერტებს მთელი ზაფხულის მანძილზე

პროექტის - „თბილისის ცის ქვეშ“ ფარგლებში, პანდემიის პერიოდშიც და 2022 წელს ეს პროექტი აღარ განხორციელდა.

**08 04 03 ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონი

**2022 წლის გეგმა** - 411.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 407.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.9%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მოწესრიგებული, კეთილმოწყობილი პანთეონები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა პანთეონების (მთაწმინდის, დიდუბის, ,,ხოჯევანქი” და ახალი პანთეონი) მოვლა-პატრონობის ხარჯები (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები, საფლავების დასუფთავება). ასევე, გაწეულია ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამების უზრუნველყოფის ლიცენზიის 2022 წლის განმავლობაში გაგრძელების, შშმ პირებისათვის ადაპტირებული ლიფტის მოვლა-შენახვის და ახალ პანთეონში არსებული საფლავების კეთილმოწყობის ხარჯები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - პანთეონებში (მთაწმინდის, დიდუბის, ,,ხოჯევანქი” და ახალი პანთეონი) მოვლილი და კეთილმოწყობილი საფლავები (მათ შორის 2021 წელს ახალ პანთეონში კეთილმოეწყო 22 საფლავი)

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

**მიღწეული მაჩვენებელი** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა (მათ შორის ახალ პანთეონში კეთილმოეწყო 28 საფლავი)

**08 04 04 კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ხელოვნების სკოლები

**2022 წლის გეგმა** - 1,734.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,442.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 83.2%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** კულტურის დაწესებულებების მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი კულტურის დაწესებულებების რაოდენობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა არჩილ ჩიმაკაძის სახელობის N3 ხელოვნების სკოლის კანალიზაციის სისტემის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოების ჩატარება, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის N2 ხელოვნების სკოლაში როალების შეკეთება/აწყობა, სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით პროექტის მომზადება და სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები; არამ ხაჩატურიანის სახელობის N10 ხელოვნების სკოლისთვის - კონდინციონერების შეძენა, კოტე ფოცხიშვილის სახელობის N7 ხელოვნების სკოლისთვის - ელექტროპიანინოს და კონდინციონერის შეძენა, მერი ნაკაშიძის სახელობის N17 ხელოვნების სკოლისთვის - პრინტერის, ალექსანდრე ნიჟარაძის სახელობის N27 ხელოვნების სკოლისთვის - ინვენტარის შეძენა, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის N6 ხელოვნების სკოლისთვის - მოლბერტების, სახატავი დაფის, გეომეტრიული ფიგურების შეძენა, გოგი ცაბაძის სახელობის N25 ხელოვნების სკოლისთვის მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა, არამ ხაჩატურიანის სახელობის N10 ხელოვნების სკოლისთვის - გათბობის ქვაბის შეძენა და მონტაჟი, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეასთვის ავეჯის შეძენა, დავით ანდღულაძის სახელობის N14 ხელოვნების სკოლის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები, ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის N28 ხელოვნების სკოლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, ალოიზ მიზანდარის სახელობის N1 ხელოვნების სკოლაში - კანალიზაციის სისტემის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, მერი ნაკაშიძის სახელობის N17 ხელოვნების

სკოლის - შენობის გარე ფასადის რეკონსტრუქციის სამუშოები. ასევე, გაწეულია ზოგიერთ ხელოვნების სკოლაში, მატერიალური ფასეულობების შეფასების მიზნით, აუდიტის მოწვევის ხარჯები და ზოგიერთი ხელოვნების სკოლის, ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის და სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის სახანძრო სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის რიგი სამუშაოები და მატერიალური აქტივების შეძენა.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს განხორციელდა 27 კულტურის ობიექტისათვის ფუნქციონირების ხელშემწყობი სხვადასხვა ღონისძიებები.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელის შენარჩუნება და კულტურის ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები მოთხოვნის შესაბამისად

***მიღწეული მაჩვენებელი*** - განხორციელდა 25 კულტურის ობიექტისათვის ფუნქციონირების ხელშემწყობი სხვადასხვა ღონისძიებები (მათ შორის სარემონრო სამუშაოები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება).

**08 05 კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქი, ა(ა)იპ საქართველოს მუსიკალური კონკურსების ფონდი, ა(ა)იპ თბილისის მუსიკალური ფესტივალების ცენტრი, ა(ა)იპ თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალი.

**2022 წლის გეგმა** - 6,570.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 6,289.9 ათასი ლარით. რაც გეგმის 95.7%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი კულტურული აქტივობების განხორციელების შედეგად, თბილისის გადაქცევა რეგიონის კულტურის ცენტრად გადაქცევის უზრუნველყოფა, კულტურული ტურიზმის ხელშეწყობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში 4,533.9 ათასი ლარით დაფინანსდა სამსახურის მიერ განხორციელებული და სრულად/ნაწილობრივ დაფინანსებული სხვადასხვა ღონისძიებები და პროექტები, მათ შორის: სახელმწიფო, სახალხო და რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით 8 პროექტი, თეატრალური ხელოვნების განვითარების და თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობის მიზნით 39 პროექტი, ფესტივალების, კონკურსების, საიუბილეო და გაცვლითი ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით 181 პროექტი. ასევე, დაფინანსდა ა(ა)იპ საქართველოს მუსიკალური კონკურსების ფონდი - 285.3 ათასი ლარით, „პიანისტთა თბილისის VII საერთაშორისო კონკურსის“ (1 ოქტომბრიდან 11 ოქტომბრის ჩათვლით) დასაფინანსებლად, ა(ა)იპ თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალი - 94.5 ათასი ლარით, „თბილისის საგუნდო მუსიკის XII საერთაშორისო ფესტივალის“ (1 ოქტომბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით) ჩასატარებლად და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამების უზრუნველყოფის ლიცენზიის 2022 წლის განმავლობაში გაგრძელების ხარჯების ასანაზღაურებლად, ა(ა)იპ თბილისის მუსიკალური ფესტივალების ცენტრი - 291.0 ათასი ლარით, 30-ე საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის „შემოდგომის ფესტივალი“ განსახორციელებლად (12 ჩატარებული კონცერტი 16 სექტემბრიდან - 3 ნოემბრამდე) და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამების უზრუნველყოფის ლიცენზიის 2022 წლის განმავლობაში გაგრძელების ხარჯების ასანაზღაურებლად, ა(ა)იპ თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის ფუნქციონირების და ფესტივალის დასკვნითი ღონისძიებების (მათ შორის დუბაიში მიმდინარე „Expo Dubai“-ის ღონისძიებაზე გაიმართა ქართული ლიტერატურის და დამწერლობისადმი მიძღვნილი საღამოების სერია, საქართველოს პავილიონში გაიმართა არაბულად თარგმნილი წიგნების პრეზენტაცია და შეხვედრა მათ ავტორებთან, მოეწყო ქართული

კალიგრაფიის კუთხე, სტუმრებმა იხილეს თეატრალიზებული წარმოდგენა, პუშკინის სკვერში გაიმართა წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებული სახალხო ღონისძიება, ქართველი გამომცემლებისათვის საგამომცემლო საქმის თანამედროვე ტენდენციების გაცნობის და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით გაიმართა ლექციები საგამომცემლო საკითხებზე, საქართველოში ამერიკის საელჩოს ორგანიზებითა და მწერალთა სახლის მხარდაჭერით გაიმართა ონლაინ პანელური დისკუსია თემაზე „მწერლობა რთულ ეპოქაში“ (მონაწილეობდნენ თანამედროვე ქართველი და ამერიკელი მწერლები), მოეწყო ბოლონიის საბავშვო წიგნის ბაზრობა, გაიხსნა კავკასიისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების პირველი რეგიონული საგამომცემლო კონფერენცია, ადამიანების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენის და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების მიზნით განხორციელდა პროექტი - „ექო“, ქართულ ლიტერატურის პოპულარიზაციის, ცოდნის და გამოცდილების გაზიარების და თანამედროვე სალიტერატურო პროცესში აქტიურად ჩართვის წასახალისებლად განხორციელდა პროექტი ლიტერატურული ბანაკი, თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის გუნდმა ქართველი და უცხოელი სტუმრების - მწერლების, გამომცემლების, ილუსტრატორების, სფეროსთან დაკავშირებული სხვა პირების, პარტნიორი ორგანიზაციებისა და კომპანიების წარმომადგენლებისთვის, პროექტის შემაჯამებელი შეხვედრა ჩაატარა, იუნესკოს წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსი თბილისმა მექსიკის ქალაქ გვადალახარას გადასცა) ხარჯები - 1,085.2 ათასი ლარით. აღსანიშნავია, რომ ოქტომბრიდან დაიწყო ა(ა)იპ თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის ლიკვიდაციის ღონისძიებები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს განხორციელდა 173 პროექტი, რომელშიც მონაწილეობდა 3500 მონაწილე საშუალოდ წლის განმავლობაში.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - განხორციელდა 228 პროექტი, რომელშიც მონაწილეობდა 4000-ზე მეტი მონაწილე.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - 2022 წელს, პოსტპანდემიურ პერიოდში, განსაკუთრებით იმატა პროექტების რაოდენობამ, რაც წინა პერიოდის შეჩერებული პროცესების შედეგია.

**08 06 სპორტის განვითარების ხელშეწყობა** დაფინანსებულია 23,238.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 37,822.1 ათასი ლარის 61.4%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**08 06 01 სპორტული ღონისძიებები**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ სპორტული ცენტრები

**2022 წლის გეგმა** - 6,253.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 6,122.5 ათასი ლარით. რაც გეგმის 97.9%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სპორტის სხვადასხვა სახეობებში მასობრივი, ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებები, ქალთა სპორტის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა, მატერიალურად წახალისებული მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული თბილისელი სპორტსმენები, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის მატერიალურად წახალისებული ქალთა გუნდები/კლუბები და პარასპორტის გუნდური სახეობების საქართველოს ჩემპიონატში მიღწეული წარმატებისთვის მატერიალურად წახალისებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სპორტის სხვადასხვა სახეობებში სპორტული ფედერაციებისა და კლუბების ხელშეწყობა, საჭირო ინვენტარით და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის 37 სპორტული ფედერაცია: ბადმინტონის, ბეისბოლის და სოფტბოლის, ჭადრაკის, ტანვარჯიშის, ძალოსნობის, ფარიკაობა, ჯიუ-ჯიცუ, ტაეკვონდოს, აფროსნობის, მძლეოსნობის, სროლის, უშუს, მაგიდის ჩოგბურთის, უძლიერეს მამაკაცთა, კრივის, მშვილდოსნობის, ფეხბურთის, ჰოკეის, ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის, სპორტული ცოცვის, გირის სპორტის, ბილიარდის, საწყლოსნო სახეობების, ქართული ჭიდაობის, ნიჩბოსნობის, ათლეტიზმის, ხუთჭიდის,

ჭიდაობის, კალათბურთის, ნარდის, საავტომობილო, კენდოს, მკლავჭიდის, ხელბურთის, ამერიკული ფეხბურთის, ველოსპორტის და დრიფტის და დრაგის თბილისის ფედერაცია, საქართველოს 38 სპორტული ფედერაცია: ფარიკაობის, ჭადრაკის, ჩოგბურთის, ეტლით ფარიკაობის, ძიუდოს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა წოლჭიმის, პარაფრენბურთის, ხუთჭიდის და ტრიატლონის, ფეინთბოლის, ტანვარჯიშის, სამთო სირბილის, ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის, ათლეტიზმის, მინი გოლფის, შერეული საბრძოლო ხელოვნებების, საუნივერსიტეტო სპორტის, საწყლოსნო სახეობათა, თანამედროვე ხუთჭიდის და ტრიატლონის, უძლიერეს მამაკაცთა და მთიელთა თამაშების, რაგბის, გირის სპორტის მასრესლინგის, ბაგირის გადაწევისა და კროსფიტის (ძალისმიერი ფიტნესის), ვეტერან მოფარიკავეთა, კრივის, სამბოს, უშუს, ხელბურთის, პადელის, სროლის, მოტოსპორტის, კალათბურთის, ჭიდაობის, ჰოკეის, მკლავჭიდის, ძალოსნობის, კონტაქტური კარატეს, ფეხბურთის, კუდოს და ფრენბურთის ეროვნული ფედერაცია. ასევე, დაფინანსდა: ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა "ნიკე", ა(ა)იპ "აფხაზეთის ძიუდოს აკადემია", ა(ა)იპ "კავშირი მშვიდობის თასი-საქართველო", ა(ა)იპ "სექტორ 27", ა(ა)იპ "სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი კოლხი", ა(ა)იპ "საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაცია", შპს "ჯი-ემ-თი სასტუმროები", ა(ა)იპ "საქართველოს ეროვნული მინი ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ "სპორტის მართვის მეთოდოლოგიის და ტექნოლოგიების ასოციაცია", ა(ა)იპ "სპორტული კლუბი დიდუბე-2014", ა(ა)იპ "სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი შევარდენი 2019", ა(ა)იპ "საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმის აკადემია", ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბი "მარგვეთი", ა(ა)იპ ძიუდოს კლუბი "ჯორჯია", ა(ა)იპ "გრანდ ავლაბარი", ა(ა)იპ "ბრუკლინ აკადემია", ა(ა)იპ "საქართველოს პარალიმპიური კომიტეტი", ა(ა)იპ "ჩოგბურთი", ა(ა)იპ თბილისის ქალთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბი „დესიდა“, სსიპ N10 საჯარო სკოლა, ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბი "ცხუმ აფხაზეთი", ა(ა)იპ "საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ "7X7 ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ "სპორტული თაობა", ა(ა)იპ "ახალგაზრდული მედია კავშირი", ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა "ბრიჯი", ა(ა)იპ "საქართველოს სპორტის, ფიტნესის და ფიზიკური განათლების

ეროვნული ასოციაცია", ა(ა)იპ "ფრენბურთის კლუბი ქართველა", ა(ა)იპ "კასტირიონი", ა(ა)იპ "საქართველოს ბავშვთა ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბი სოხუმის "კოლხა", ა(ა)იპ სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი "ტორტუგა", ა(ა)იპ სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი "ფენიქსი", ა(ა)იპ "თბილისის კალათბურთის აკადემია", ა(ა)იპ რაგბის კლუბი "წიქარა", ა(ა)იპ რაგბის კლუბი "ავჭალა", ა(ა)იპ რაგბის კლუბი "ლაშარი", ა(ა)იპ "ს.კ. გოლიადორი 2017", ა(ა)იპ ქალთა საჩოგბურთო კლუბი „ეისი", ა(ა)იპ "საქართველოს სპორტის ტრადიციული სახეობებისა და თამაშების ასოციაცია", ა(ა)იპ "საქართველოს სპორტის ქვიშის სახეობათა ეროვნული ასოციაცია", ა(ა)იპ თბილისის ქალთა მინი გოლფ კლუბი "პირველი კლუბი" და ა(ა)იპ "საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია", ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ფედერაცია "სპორტი ყველასთვის", ა(ა)იპ "მალისმიერი სპორტის საერთაშორისო გაერთიანება", ა(ა)იპ "სპორტული კლუბი თბილისი თიმი 2022", ა(ა)იპ რაგბის კლუბი "აკადემია+", ა(ა)იპ "ქალთა კლუბი-გლდანი", ა(ა)იპ "ქალთა კლუბი-ვარკეთილი", ა(ა)იპ "თბილისის ქალთა ჰოკეის კლუბი ლურჯი ქორები", ა(ა)იპ "ქალთა კლუბი დიღომი", ა(ა)იპ "საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი",

საანგარიშო პერიოდში სპორტული ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო სპორტის სხვადასხვა სახეობაში თბილისის პირველობები და ჩემპიონატები, სასწავლო–საწვრთნო შეკრებები, თბილისის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პირველობებში და ჩემპიონატებში, თასის გათამაშებებში, საერთაშორისო ტურნირში. სულ დაფინანსდა 238 პროექტი, განხორციელებულ პროექტებში მონაწილეობა მიიღო 52725 ბენეფიციარმა (მ.შ 33628 კაცი, 19097 ქალი), მათ შორის დასაქმებული იყო - 2093 (მ.შ. 1344 კაცი, 749 ქალი), კერძოდ: დაფინანსდა ქ. თბილისის თასის გათამაშებები, პირველობები და ჩემპიონატები: ბადმინტონში, ჭადრაკში, ბატუტზე ხტომებში, სპორტულ აკრობატიკაში, ფარიკაობაში, სპორტულ ტანვარჯიშში, მხატვრულ ტანვარჯიშში, ძალოსნობაში, აფროსნობაში, მძლეოსნობაში, სასტენდო სროლაში, პნევმატური იარაღიდან სროლაში, უშუში, მაგიდის ჩოგბურთში, მშვილდოსნობაში, კიკბოქსინგში, მასრესლინგსა და კროსფიტში, ბილიარდში, ცურვაში, ქართულ ჭიდაობაში,

ათლეტიზმში, ბიატლსა და ტრიატლში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, კალათბურთში, ნარდში, საავტომობილო სპორტში, ქვიშის ხელბურთში, ქუჩის კრივში, სამოყვარულო ფეხბურთში, ბიცეპსზე წონის აწევასა და არმლიფტინგში,

თბილისის გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს თასის გათამაშებებში, პირველობებსა და ჩემპიონატებში: ძალოსნობაში, კრივში, მშვილდოსნობაში, ჰოკეიში, სპორტულ ცოცვაში, ქართულ ჭიდაობაში, ნიჩბოსნობაში, ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში, დრიფტში და დრაგში, შერეულ ორთაბრძოლებში, ფრენბურთში და ჩოგბურთში,

თბილისის გუნდების მონაწილეობა სახელობითი ტურნირებსა და ტურნირებში: ჭადრაკში, სპორტულ აკრობატიკაში, ძალოსნობაში, ფარიკაობაში, სასტენდო სროლაში, მაგიდის ჩოგბურთში, უძლიერეს მამაკაცთა დისციპლინაში, კრივში, ფეხბურთში, ჰოკეიში, ქართულ ჭიდაობაში, აკვატლონსა და ოთხჭიდში, ნიჩბოსნობაში, თავისუფალ ჭიდაობაში,

თბილისელმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ტურნირებში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში საქართველოში და საზღვარგარეთ: ჯიუ-ჯიცუში, მშვილდოსნობაში, წყალში ხტომაში, ბადმინტონში, ფარიკაობაში, ჩოგბურთში, მინი ფეხბურთში, ძიუდოში, უძლიერეს მამაკაცთა დისციპლინებში, მხატვრულ ტანვარჯიშში, კიკბოქსინგში, ათლეტიზმში, ძიუდოში, სპორტულ აკრობატიკაში, მხატვრულ ცურვაში, მასრესლინგში, წყალბურთში, პარაწოლჭიმში, ბიატლსა და ტრიატლში, კრივში, სამბოში, უშუში და ცურვაში,

დაფინანსდა სასწავლო-საწვრთნო შეკრება: ბეისბოლში, ტანვარჯიშში, ძალოსნობაში, ფარიკაობაში, ტაეკვონდოში, მშვილდოსნობაში, უშუში, მაგიდის ჩოგბურთში, კრივში, ხელბურთში, ქალთა ფეხბურთში, ეტლით ფარიკაობაში, ფეხბურთში, ქვიშის ჭიდაობაში, პარაძიუდოში, ფრენბურთში, ძიუდოში,

განხორციელდა ბეისბოლის/სოფტბოლის სპორტული სექციებისთვის, ქ. თბილისის მშვილდოსნობის კლუბებისთვის, თბილისის ჰოკეის ქალთა და მამაკაცთა გუნდებისთვის, თბილისის ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ფედერაციის თბილისელი სპორტსმენებისთვის, თბილისის ქალთა სპორტულ-

გამაჯანსაღებელი კლუბისთვის, ფრენბურთის კლუბ „ქართველას“ გოგონათა გუნდისთვის, ქალთა საჩოგბურთო კლუბი "ეისი"-სთვის, ქალთა მინი გოლფ კლუბი "პირველი კლუბისთვის" და ბავშვთა ფეხბურთის ასოციაციაში შემავალი კლუბის "ვილიარეალის" სპორტსმენებისთვის სპორტული დარბაზებისა და ღია მოედნების იჯარის დაფარვა, ასევე დაფინანსდა: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ღია პირველობაზე ძალოსნობაში 15 წლამდელთა შორის ქ. თბილისის ნაკრები გუნდის მონაწილეობა, თბილისის ძალოსანთა ნაკრები გუნდის სავარჯიშო დარბაზის კომუნალური (მარტი-დეკემბერი) ხარჯების დაფარვა, ჭადრაკში „ნანა იოსელიანის საიუბილეო თასი-2022“, ფეხბურთის ასაკობრივი ჩემპიონატი "მშვიდობის თასი-2022", სამოყვარულო საფეხბურთო ჩემპიონატი "თბილისი ლიგა 1-ში" ფეხბურთის გუნდი კოლხის მონაწილეობის საწევრო გადასახადი, 2022 წელს ადგილობრივი და საერთაშორისო ტურნირებისთვის "აფხაზეთის ძიუდოს აკადემიის" სპორტსმენების მომზადება, ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდის მომზადება ევროპის ჩემპიონთა ლიგის, საქართველოს რეგულარული ჩემპიონატის, საქართველოს თასის და სუპერთასის გათამაშებებში მონაწილეობისათვის, სასტუმრო "თბილისი მერიოტი"-ს საკონფერენციო დარბაზში ქალთა სპორტის ხელშეწყობის ფარგლებში სპორტული კლუბებისა და სპორტული ფედერაციების წარმომადგენელთა შეხვედრა-პრეზენტაცია, "თბილისის სასკოლო ლიგა 2022", სამოყვარულო ფეხბურთის ჩემპიონატი "თბილისის ლიგა 2022", ქ. ქუთაისში რესპუბლიკურ პირველობაზე "ჩვენ მომავალი ოლიმპიელები" სპორტულ ტანვარჯიშში ქ. თბილისის გუნდის მონაწილეობა, 7X7 ფეხბურთის სამოყვარულო ჩემპიონატები "MASTER LEAGUE"-"MASTER LEAGUE"-2, "MASTER LEAGUE" 3 და თბილისის მერიის თასი, საფეხბურთო ჩემპიონატი "ფან-კლუბ ლიგა 2022", "გაზაფხულის ჩემპიონატი ფეინთბოლში 2022", სამთო გარბენში "ლისის სამთო ფესტივალი", საფეხბურთო კლუბ "დიდუბე 2014"-ში შემავალი გუნდების მომზადება 2022 წლის ჩემპიონატისთვის, პატარა ლილოს მთაზე პროექტის "აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა" ფარგლებში-პარაპლანით ფრენის აქტივობაში თბილისელი შშმ პირების, სამშვიდობო მისიებში დაჭრილი ჯარისკაცების და ომის ვეტერანების

მონაწილეობა, საფეხბურთო სკოლა "ბრიჯი"-ს სრულფასოვანი ფუნქციონირების ხელშეწყობა, ქ. თბილისის N41 საჯარო სკოლაში უკრაინელი და ქართველი ბავშვების ჩართულობით სპორტულ გამაჯანსაღებელი ფესტივალი, ფაბრიკის საგამოფენო სივრცეში "სპორტფოტო 2021 - Sportphoto 2021", ბორჯომში, სოფელ ჩითახევში პროექტის "აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა" ფარგლებში ჯომარდობის, ფეინთბოლის, მშვილდოსნობისა და ზიპლაინის აქტივობებში თბილისელი შშმ პირების, დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეებისა და ომის ვეტერანების მონაწილეობა, კიკვიძის ბაღში, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის ფარგლებში ტურნირი მინი გოლფში "განთიადი 2022", კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე "თბილისის სათავგადასავლო გარბენი", GFC 16 (Georgian Fighting Championship - საქართველოს საბრძოლო ჩემპიონატი), "თბილისის სტუდენტური თასი 2022", ფეხბურთში, საქართველოს 2022 წლის ჩემპიონატის პირველი წრის, "ეროვნული ლიგა 4"-ში მოასპარეზე საფეხბურთო კლუბ "დიდუბე 2014"-ის სპორტსმენების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, ხელვაჩაურში თბილისის ნაკრები გუნდის მონაწილეობა "იუნესკოს" მიერ ქართული ჭიდაობის მსოფლიო აღიარების დღისადმი მიძღვნილ ტურნირზე, ქალაქ თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის სასკოლო ხელბურთის ფესტივალი - "ხელბურთი ყველასათვის", "დიდი რაგბი თბილისის უბნებში", იტალიის ქ. პერუჯაში საერთაშორისო ფესტივალში - "European Sport for All Games"- " - ევროპული სპორტი ყველასთვის" სპორტის ტრადიციული სახეობებისა და თამაშების ასოციაციის საჩვენებელი ჯგუფის მონაწილეობა, სამოყვარულო ტურნირი შერეულ საბრძოლო ხელოვნებებში - "ახალგაზრდა მებრძოლები - 1", 2021-2022 წლების სეზონის სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული ფეხბურთელების დაჯილდოება, მთაწმინდის პარკში სამოყვარულო ღონისძიება პადელში "თბილისის თასი 2022", რიყის პარკში „თბილისობა 2022’-ის ფარგლებში ღონისძიებები: ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, სპორტულ ცოცვაში, ქართულ ჭიდაობაში, ნარდში, მკლავჭიდში და მინი გოლფში, ხელბურთში 2024 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშების (საქართველო-უნგრეთი) განსახორციელებლად დარბაზის იჯარა, ფარიკაობაში "ბასა"-ს თასის გათამაშებაში

(რაპირა გოგონები და ვაჟები) თბილისის ნაკრები გუნდის მონაწილეობა, ქ. ქუთაისში ჰოკეის ფესტივალში ბავშვთა და მოზარდთა შორის თბილისელი სპორტსმენების და მწვრთნელის მონაწილეობა, საახალწლო ტურნირი ნარდში - 2022, "პუბლიცისტ პაატა ნაცვლიშვილის სპორტულ-ბიოგრაფიული ორტომეულის "ცხოვრება გიორგი ნიკოლაძისა" მე-2 ტომის გამოცემა, სამოყვარულო ტურნირი შერეულ საბრძოლო ხელოვნებებში "YW-2 (Young Warriors - ახალგარზდა მებრძოლები), საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის წარდგენა, დამსახურებული სპორტსმენების, მოტოკლუბების და ფედერაციის პარტნიორი ორგანიზაციების გალა დაჯილდოება, "თბილისი ჰილს სამთო გარბენი", წყალტუბოს ღია პირველობაზე თბილისის ნაკრები გუნდის მონაწილეობა მაგიდის ჩოგბურთში, ტურნირი ქართული საბრძოლო ხელოვნების ერთერთ სახეობაში - კრიობა, დაბა ბაკურიანში ეტლით თხილამურის აქტივობაში - "ბაკურიანი 2023" თბილისელი შშმ-ების, დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეებისა და ომის ვეტერანების მონაწილეობა, ადგილობრივი და საერთაშორისო ტურნირებისთვის "აფხაზეთის ძიუდოს აკადემიის" სპორტსმენების მომზადება (მწვრთნელების 3 თვის ანაზღაურება), სასტუმრო "პულმან თბილისი აქსის თაუერსში" 2022 წელს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებისთვის თბილისელი სპორტსმენების, ასევე საქართველოს ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებისთვის ქალთა გუნდების და პარასპორტის გუნდების დაჯილდოების ღონისძიება.

თბილისში მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით, განხორციელდა 43 სპორტული ორგანიზაციისთვის საჭირო ინვენტარითა და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა, ინვენტარით და ეკიპირებით ისარგებლებს 3756 ბენეფიციარი (მ.შ. 2812 კაცი, 944 ქალი), კერძოდ: ა(ა)იპ "სპორტული კლუბი დიდუბე-2014", ა(ა)იპ "სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი შევარდენი 2019", ა(ა)იპ "საფეხბურთო კლუბი დინამო სოხუმის აკადემია", ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბი "მარგვეთი", ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა "ნიკე", ა(ა)იპ ძიუდოს კლუბი "ჯორჯია", ა(ა)იპ "გრანდ ავლაბარი", ა(ა)იპ "ბრუკლინ აკადემია",

ა(ა)იპ "საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა წოლჭიმის ეროვნული ფედერაცია", ა(ა)იპ "საქართველოს პარალიმპიური კომიტეტი", ა(ა)იპ "ჩოგბურთი", ა(ა)იპ საქართველოს პარაფრენბურთის ეროვნილი ფედერაცია", N10 საჯარო სკოლა, ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბი "ცხუმ აფხაზეთი", ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბი სოხუმის "კოლხა", ა(ა)იპ სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი "ტორტუგა", ა(ა)იპ სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი "ფენიქსი", ა(ა)იპ "საქართველოს ბავშვთა ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ "თბილისის კალათბურთის აკადემია", ა(ა)იპ "საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიატლონის ეროვნული ფედერაცია", ა(ა)იპ რაგბის კლუბი "წიქარა", ა(ა)იპ რაგბის კლუბი "ავჭალა", ა(ა)იპ რაგბის კლუბი "ლაშარი", ა(ა)იპ "თბილისის საწყლოსნო სახეობების ფედერაცია", ა(ა)იპ "თბილისის ნარდის ფედერაცია", ა(ა)იპ "ს.კ. გოლიადორი 2017", ა(ა)იპ "თბილისის ძალოსნობის ფედერაცია", ა(ა)იპ "თბილისის უშუს ქალთა კლუბი", ა(ა)იპ "ირაო", ა(ა)იპ "თბილისის ხელბურთის ფედერაცია", ა(ა)იპ "საქართველოს სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაცია", ა(ა)იპ სპორტული კლუბი "თბილისი თიმი 2022", ა(ა)იპ "ქ. თბილისის ფარიკაობის N1 ფედერაცია", ა(ა)იპ ქალთა ფრენბურთის გუნდი "იბერია", ა(ა)იპ "თბილისის ამერიკული ფეხბურთის ფედერაცია", ა(ა)იპ რაგბის კლუბი "აკადემია+", ა(ა)იპ "თბილისის ველოსპორტის კავშირი", ა(ა)იპ "ტაეკვონდოს თბილისის საქალაქო ფედერაცია", ა(ა)იპ "ქალთა კლუბი -გლდანი", ა(ა)იპ "ქალთა კლუბი -ვარკეთილი", ა(ა)იპ "საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა წოლჭიმის ეროვნული ფედერაცია", ა(ა)იპ "თბილისის ქალთა ჰოკეის კლუბი ლურჯი ქორები", ა(ა)იპ "ქალთა კლუბი დიღომი",

საანგარიშო პერიოდში დაჯილდოვდა 2021 წელს ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული წარმატებისთვის ერთი თბილისელი სპორტსმენი. ასევე, საქართველოს ჩემპიონატში მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა ამპუტანტთა ფეხბურთის გუნდი, ხოლო 2022 წელს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე, ასევე, ჭადრაკის ოლიმპიადაზე მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა 20 ეროვნული ფედერაციის 140 თბილისელი სპორტსმენი (მ.შ. 108 კაცი, 32 ქალი), 2022 წლის საქართველოს ქალთა ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული

წარმატებისთვის დაჯილდოვდა თბილისის 4 ქალთა გუნდი (52 ქალი და 5 მწვრთნელი კაცი), საქართველოს ჩემპიონატში მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა ამპუტანტთა ფეხბურთის გუნდი (12 კაცი),

გარდა ამისა, ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა ა(ა)იპ „წყალბურთელთა გუნდი „თბილისი“, იანვარში შრომის ანაზღაურების დასაფარად სუბსიდიის სახით დაფინანსდა შპს „წყალთა სახეობის ცენტრი - ტონუსი“, მიმდინარე პერიოდში თანამშრომელთა სახელფასო ფონდის შესავსებად და კომუნალური ხარჯების დასაფარად დაფინანსდა: ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი“, ა(ა)იპ „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი", ა(ა)იპ „მარინა ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრი“, ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი იმედი“ და ა(ა)იპ „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი“, ფულადი ჯილდოს გაცემის მიზნით დაფინანსდა: ა(ა)იპ „მარინა ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრი“, ა(ა)იპ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი" და ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი“, საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამების უზრუნველყოფის ლიცენზიის 2022 წლის განმავლობაში გაგრძელებისთვის დაფინანსდა: ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტულ ცენტრი იმედი“ და ა(ა)იპ „მარინა ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრი“, მუხიანის რაგბის კომპლექსის რაგბის კლუბ „ხვამლისთვის“ რაგბის სათამაშო ფორმების, რაგბის ბურთების, სპორტული ლეიკოპლასტირების, ასევე სადაზღვევო მომსახურების შესაძენად დაფინანსდა ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი“.

ამასთა, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 53.7 ათასი ლარი, ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული საბავშვო-ახალგაზრდული სპორტული სკოლის „მიკოლაივის“ ფეხბურთელების გუნდისათვის და მათი

მწვრთნელებისათვის საქართველოში დასვენების, რეაბილიტაციის და გაჯანსაღების მიზნით.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს დაფინანსდა 228 პროექტი (მათ შორის 49 სპორტული ორგანიზაციისთვის ინვენტარის და ეკიპირების შეძენა).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - 200-მდე პროექტის განხორციელება და დაახლოებით 30 სპორტული ორგანიზაციისთვის სპორტული ინვენტარით და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა).

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაფინანსდა 238 პროექტი და 43 სპორტული ორგანიზაციისთვის ინვენტარის და ეკიპირების შეძენა.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, ასევე ოლიმპიურ/პარალიმპიურ თამაშებში მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა 2020 წლის ჩემპიონატებში გამარჯვებული 5 თბილისელი სპორტსმენი, 2021 წლის ჩემპიონატებში გამარჯვებული 58 თბილისელი სპორტსმენი, საქართველოს ქალთა ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა თბილისის 2 ქალთა გუნდი (40 ქალი სპორტსმენი).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებისთვის დაახლოებით 60 თბილისელი სპორტსმენის დაჯილდოება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაჯილდოვდა 2021 წელს ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული წარმატებისთვის 1 ეროვნული ფედერაციის 1 თბილისელი სპორტსმენი. ასევე, საქართველოს ჩემპიონატში მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა ამპუტანტთა ფეხბურთის გუნდი, 2022 წელს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე, ასევე ჭადრაკის ოლიმპიადაზე მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა 20 ეროვნული ფედერაციის 140 თბილისელი სპორტსმენი, საქართველოს ქალთა ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა თბილისის 4 ქალთა გუნდი.

**3.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობდა 28366 ბენეციარი (მათ შორის 20335 კაცი, 8031 ქალი).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/გაუმჯობესება.

*მიღწეული მაჩვენებელი* - მონაწილეობა მიიღო 52728 ბენეფიციარმა (მათ შორის 33628 კაცი, 19097 ქალი).

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - 2021 წელს პანდემიიდან გამომდინარე ზოგიერთი ღონისძიებების განხორციელებისას დაფიქსირდა დაბალი მომართვიანობა.

**08 06 02 მწვრთნელთა მხარდაჭერა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 2,614.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,610.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული მწვრთნელ–მასწავლებლები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის 348 (თვეში საშუალოდ) მწვრთნელ - მასწავლებელს, რომლებიც სპორტის 49 (ფრენბურთში, ნიჩბოსნობაში, ჭადრაკში, მეკლდეურობაში, სპორტულ ტანვარჯიშში, მხატვრულ ტანვარჯიშში, სპორტულ აკრობატიკაში, ბატუტზე ხტომებში, ბ/რ ჭიდაობაში, თავისუფალ ჭიდაობაში, ფარიკაობაში, მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, მშვილდოსნობაში, ძალოსნობაში, ცურვაში, წყალბურთში, წყალში ხტომაში, მხატვრულ ცურვაში, აფროსნობაში, ძიუდოში, კრივში, ხელბურთში, სროლაში, ველოსპორტში, რაგბში, ბეისბოლსა და სოფტბოლში, ჩოგბურთში, სამბოში, ქართულ ჭიდაობაში, კალათბურთში, კარატეში, თანამედროვე ხუთჭიდში, ფუტსალში, ბალახის ჰოკეიში, ფრისბიში, უშუში, ბადმინტონში, პარალიმპიურ სპორტში - პარაწოლჭიმში, პარაცურვაში, მკლავჭიდში, ხრიდოლში, კიოკუშინკაი კარატეში, ფეხბურთში, პანკრატიონში, ტაეკვონდოში, ამერიკულ ფეხბურთში, კიკბოქსინგში და ამპუტანტთა ფეხბურთში) სახეობაში ავარჯიშებენ მოზარდებს.

| თვეები | სულ | მათ შორის | |
|---|---|---|---|
| | | ქალი | კაცი |
| იანვარი | 350 | 67 | 283 |
| თებერვალი | 350 | 67 | 283 |
| მარტი | 350 | 67 | 283 |
| აპრილი | 349 | 67 | 282 |
| მაისი | 349 | 67 | 282 |
| ივნისი | 346 | 67 | 279 |
| ივლისი | 345 | 66 | 279 |
| აგვისტო | 348 | 69 | 279 |
| სექტემბერი | 348 | 70 | 278 |
| ოქტომბერი | 347 | 67 | 280 |
| ნოემბერი | 347 | 67 | 280 |
| დეკემბერი | 348 | 67 | 281 |

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული 350 მწვრთნელ – მასწავლებელი (მ.შ. 280 კაცი, 70 ქალი).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული 350 მწვრთნელ–მასწავლებელი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული თვეში საშუალოდ 348 მწვრთნელ–მასწავლებელი (მ.შ. 281 კაცი, 67 ქალი).

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე -** წლის განმავლობაში ფედერაციების მოთხოვნის შესაბამისად ხდება მწვრთნელების პროგრამიდან ამორიცხვა ან/და ჩანაცვლება.

**08 06 03 სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 3,091.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,291.6 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 1,085.8 ათასი ლარი), რაც გეგმის 74.1%-ია

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ახალგაზრდებისთვის შექმნილი სპორტული ინფრასტრუქტურა და არსებულის ჩენარჩუნება, ქუჩის სპორტის განვითარება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ ფეხბურთის სპორტული ცენტრის „იმედი“ მზიურის მიმდებარედ არსებული ფეხბურთის მოედნის სამშენებლო სამუშაოები და მოედნის კომუნიკაციების დაერთება, სამგორის რაიონში, ვარკეთილის ზემო პლატო, ბერიაშვილის ქ. N6-ის მიმდებარედ (ს/კ 01.19.19.004.102) და მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე სპორტული მოედნის სამშენებლო სამუშაოები, დაიწყო ვარკეთილის დასახლება მე-2 მიკრო რაიონი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N41-ის მიმდებარედ და ლიბანის ქუჩა N11-ის მიმდებარედ სკეიტ-მოედნების მოწყობის სამუშაოები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მოეწყო 1 სკეიტ-პარკი და 1 სპორტული მოედნის სამშენებლო სამუშაოების ნაწილი, მომზადდა 1 სპორტული მოედნის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია 2 სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, 1 სპორტული მოედნის კომუნიკაციების დაერთება, 2 სკეიტ-მოედნის მოწყობა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მოეწყო 2 სპორტული მოედანი, 1 მოედანზე განხორციელდა კომუნიკაციების დაერთება, დაიწყო 2 სკეიტ-მოედნის სამშენებლო სამუშაოები.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - კომპანიამ ვერ დაასრულა ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სამუშაოები და საჯარიმო სანქციების გათვალისწინებით სამუშაოები დასრულდება 2023 წელს.

**08 06 04 სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ სპორტული ცენტრები.

**2022 წლის გეგმა** - 23,897.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 10,408.5 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 9,633.4 ათასი ლარი), რაც გეგმის 43.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით საპროექტო-სახარჯთარიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ახალი მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრების და სპორტული ობიექტების მშენებლობა, არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ლადო ასათიანის ქ.N50-ში სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ა(ა)იპ „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის“ გაზმომარაგება-გაზიფიცირების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ა(ა)იპ "გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის" სტრუქტურული ერთეულის, გლდანის საცურაო აუზის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, გლდანის საცურაო აუზის და "ნაძალადევის სპორტული კომპლექსის სარემონტო სამუშაოები, მუხიანის რაგბის კომპლექსისთვის სპორტსმენთა სარეაბილიტაციოდ სამედიცინო აპარატურის, სათამაშო უნიფორმების საშრობის, ტელევიზორის და ტექნიკის შეძენა. ასევე, დიღმის საჭიდაო დარბაზისთვის და გლდანის სპორტული კომპლექსისთვის კომპიუტერული ტექნიკის შეძენა, ა(ა)იპ "ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრის" აკრობატიკის დარბაზის სარემონტო სამუშაოები და ტურნიკეტების შეძენა, ა(ა)იპ ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრის ვარკეთილის სპორტული დარბაზის სახურავის სარემონტო სამუშაოები, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრისთვის „იმედი“ ბუნებრივი აირის მოხმარების მოცულობის გაზრდის, გათბობის ქვაბის, კამერების და კომპიუტერის შეძენა, მზიურის სპორტული მოედნის

კამერებით/ავეჯით აღჭურვა, ა(ა)იპ "მარინა ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრის" სარემონტო სამუშაოები.

სამუშაოები გრძელდება შემდეგ ობიექტებზე: დიდ დიღომში, სკოლა „ფესვების“ მიმდებარედ მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოები, ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოები, ლადო ასათიანის ქ.N50-ში სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოები, სოფელ დიდ ლილოში სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები, ა(ა)იპ "ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის" მუხიანის რაგბის კომპლექსის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მომზადების პროცესშია - დიდ დიღომში, სკოლა „ფესვების“ მიმდებარედ და ქ. თბილისში, ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური სპორტული ცენტრების ავეჯისა და სხვადასხვა სახის ინვენტარის დამზადებაზე, ხოლო დიღმის მასივში, მე-3 კვარტალში (ს/კ 01.13.03.041.038, 01.13.03.041.037) მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - მომზადდა 2 სპორტული ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - 3 ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - სხვადასხვა ღონისძიებებისთვის დასრულდა 3 სპორტულ ობიექტზე, ხოლო მომზადების პროცესშია ერთი სპორტული ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება დასრულდება 2023 წელს.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს დასრულდა 4 სპორტული ობიექტის სარემონტო სამუშაოები, 1 ობიექტის რეაბილიტაცია და 1 ობიექტის დემონტაჟი, გრძელდება 2 მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის მშენებლობის სამუშოები.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დასრულდება 2 მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის მშენებლობა და დაიწყება 2 სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები, 6 ობიექტის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (მათ შორის 1 სპორტული დარბაზის სახურავის რემონტი), 1 სპორტული ცენტრის ბუნებრივი გაზის მოხმარების მოცულობის გაზრდა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დასრულდა 6 სპორტული ობიექტის სარემონტო სამუშაოები (მათ შორის 1 ობიექტის ბუნებრივი გაზის მოხმარების მოცულობის გაზრდა), გრძელდება 5 სპორტული ობიექტის (მათ შორის 2 მულტიფუნქციური ცენტრი) მშენებლობის სამუშოები.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - კომპანიების მიერ 2022 წლის გეგმის შესაბამისად არ იქნა წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების დოკუმენტაცია.

**3.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით, 8 სპორტული ობიექტი აღიჭურვა სპორტული ინვენტარით და ყინულის მოედნის სამაცივრე დანადგარით.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - 9 სპორტული ობიექტის აღჭურვა (სპორტული ინვენტარი, ავეჯი, ტრენაჟორები).

***მიღწეული მაჩვენებელი*** - აღჭურვილია 8 სპორტული ობიექტი/ფილიალი (სპორტსმენთა სარეაბილიტაციოდ სამედიცინო აპარატურა, კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი, სპორტული ინვენტარი, კამერები და სხვა), ერთ ობიექტზე მიმდინარეობს ავეჯისა და სხვადასხვა სახის ინვენტარის დამზადება (დასრულდება 2023 წლის იანვარში).

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - არ შედგა ტენდერი მულტიფუნქციური სპორტული ცენტრებისათვის ტრენაჟორებისა და სპორტული ინვენტარის შესყიდვაზე.

**განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში)** - კომპანიების მიერ 2022 წლის გეგმის შესაბამისად არ იქნა წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების დოკუმენტაცია. ასევე, არ შედგა ტენდერი მულტიფუნქციური სპორტული ცენტრებისათვის ტრენაჟორებისა და სპორტული ინვენტარის შესყიდვაზე

**08 06 05 წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 397.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 393.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.1%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში აქტიურად ჩაბმული და წახალისებული პერსპექტიული ბავშვები და მოზარდები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:**საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სპორტის 32 (ფარიკაობა, ფრენბურთი, ბეისბოლი და სოფტბოლი, წყალში ხტომა, ძალოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, ბატუტზე ხტომები, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული აკრობატიკა, მძლეოსნობა, ჭადრაკი, კალათბურთი, ბ/რ ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, კრივი, ცურვა, მხატვრული ცურვა, ნიჩბოსნობა, რაგბი, თანამედროვე ხუთჭიდი, მშვილდოსნობა, მეკლდეურობა, ჩოგბურთი, უშუ, ტაეკვონდო, ტაიბოქსი და კიკბოქსინგი, ველოსპორტი, კიოკუშინკაი კარატე, ხელბურთი და ბადმინტონი) სახეობაში 18 წლამდე ასაკის სხვადასხვა ჩემპიონატში გამარჯვებული თვეში საშუალოდ 237 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი.

| თვეები | სულ | მათ შორის | |
|---|---|---|---|
| | | გოგო | ბიჭი |
| იანვარი | 230 | 74 | 156 |
| თებერვალი | 237 | 88 | 149 |
| მარტი | 236 | 88 | 148 |
| აპრილი | 237 | 79 | 158 |

| | | | |
|---|---|---|---|
| მაისი | 237 | 82 | 155 |
| ივნისი | 238 | 90 | 148 |
| ივლისი | 237 | 86 | 151 |
| აგვისტო | 240 | 90 | 150 |
| სექტემბერი | 240 | 89 | 151 |
| ოქტომბერი | 239 | 87 | 152 |
| ნოემბერი | 236 | 80 | 156 |
| დეკემბერი | 240 | 90 | 150 |

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩართული 239 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი, მ.შ.160 ვაჟი, 79 გოგონა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - 260 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - თვეში საშუალოდ 237 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი, მ.შ.152 ვაჟი, 85 გოგონა.

**08 06 06 პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი

**2022 წლის გეგმა** - 1,541.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,412.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 91.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** სხვადასხვა პარასპორტულ სახეობაში საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი, პარასპორტულ საერთაშორისო-სარეიტინგო შეჯიბრებებში ქართველი პარასპორტსმენების მონაწილეობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრის ფუნქციონირების ხარჯები: ცენტრში მიმდინარეობდა ინტენსიური საწვრთნელი–სარეაბილიტაციო პროცესი, საერთო ჯამში საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესში ჩართულია თვეში საშუალოდ 234 პარასპორტსმენი და 20 მწვრთნელი.

| თვეები | სულ | მათ შორის | |
|---|---|---|---|
| | | ქალი | მამაკაცი |
| იანვარი | 222 | 25 | 197 |
| თებერვალი | 226 | 27 | 199 |
| მარტი | 226 | 27 | 199 |
| აპრილი | 226 | 27 | 199 |
| მაისი | 226 | 27 | 199 |
| ივნისი | 232 | 28 | 204 |
| ივლისი | 232 | 28 | 204 |
| აგვისტო | 232 | 28 | 204 |
| სექტემბერი | 232 | 28 | 204 |
| ოქტომბერი | 252 | 33 | 219 |
| ნოემბერი | 256 | 34 | 222 |
| დეკემბერი | 257 | 34 | 223 |

ცენტრში ვითარდება 15 პარასპორტული სახეობა: ამპუტანტთა ფეხბურთი, უსინათლოთა ფეხბურთი, ეტლით მოსარგებლეთა ფარიკაობა, პარამკლავჭიდი, პარამშვილდოსნობა, ეტლით მოსარგებლეთა ჩოგბურთი, პარამაგიდის ჩოგბურთი, ბოჩა, ეტლით მოსარგებლეთა კალათბურთი, მჯდომარე ფრენბურთი, პარაძიუდო, წოლჭიმი (სპინალური დაზიანების მქონე პირთა ძალოსნობა), აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდების კალათბურთი, აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდების ფეხბურთი და პარატაეკვონდო. ასევე, ცენტრში ტარდება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრება,

მიმდინარე პერიოდში საერთაშორიშო შეკრებებსა და შეჯიბრებებში მონაწილეობა მიღებული აქვს 5 ქალ და 13 მამაკაც პარასპორტმენს,

„ინკლუზიური ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში ცენტრი ემსახურება თბილისის საჯარო სკოლის შშმ მოსწავლეებს და ახორციელებს მათ ტრანსპორტირებას ადაპტირებული მიკრო ავტობუსებით. მიმდინარე პერიოდში ცენტრის 9 სატრანსპორტო საშუალება ემსახურებოდა 10 შშმ მოსწავლეს.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს პარაცენტრში 15 სახეობაში მიმდინარეობდა საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი, რომელშიც ჩართული იყო თვეში საშუალოდ 222 პარასპორტსმენი (მათ შორის 197 მამაკაცი და 25 ქალი).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - არანაკლებ 15 პარასპორტული სახეობაში საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი, რომელშიც ჩართული იქნება 232 პარასპორტსმენი, მ. შ. კაცი - 204, ქალი - 28.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - 15 პარასპორტული სახეობა, რომელშიც ჩართულია თვეში საშუალოდ 234 პარასპორტსმენი (მათ შორის 205 მამაკაცი და 29 ქალი).

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს ჩატარდა 7 საერთაშორისო ტურნირი, სადაც მონაწილეობა მიიღო 39 პარასპორტსმენმა (მათ შორის 33 მამაკაცი და 6 ქალი).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - ჩატარდა 11 საერთაშორისო შეკრება და შეჯიბრება, სადაც მონაწილეობა მიიღო 18 პარასპორტსმენმა (მათ შორის 13 მამაკაცი და 5 ქალი).

**08 06 07 სპორტი უფროსი თაობისთვის**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი.

**2022 წლის გეგმა** - განსაზღვრულია 26.8 ათასი ლარით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** 60 წლის და 60 წელს გადაცილებული მოქალაქეებისთვის უსასყიდლოდ სპორტული სერვისებით სარგებლობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში ხარჯები არ გაწეულა. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის ოქტომბრიდან დაიწყო პროექტი „სპორტი უფროსი თაობისთვის“ ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის ორ სტრუქტურულ ერთეულში, გლდანის სპორტულ კომპლექსში და ნაძალადევის სპორტულ კომპლექსში. ჯამში აღნიშნულ პროექტში 2022 წელს ჩართული იყო 301 ბენეფიციარი. მიმდინარე წელს ცენტრს გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

მთავრობის (2022 წლის 22 ნოემბრის N22.1801.1927 და 2022 წლის 19 დეკემბრის N22.1960.2113) განკარგულებების საფუძველზე გამოეყო ოქტომბრის თვის მომსახურებისთვის 6 252 ლარი, ხოლო ნოემბრის თვის მომსახურებისთვის 6 956 ლარი, ხოლო დეკემბრის თვის მომსახურებისთვის თანხა გამოიყოფა 2023 წლის ბიუჯეტიდან.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - N/A.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - სპორტული სერვისით ისარგებლებს დაახლოებით 300 თბილისელი მოქალაქე.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - სპორტული სერვისით მოსარგებლე 301 ბენეფიციარი (მათ შორის 178 ქალი, 123 კაცი).

**განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში)** - 60 წლის და 60 წელს გადაცილებული მოქალაქეებისთვის უსასყიდლოთ სპორტული სერვისებით სარგებლობის მიზნით, ცენტრის გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად გამოყოფილი თანხები გათვალისწინებული იყო კომუნალური ხარჯების დასაფარად, თუმცა ცენტრმა საკუთარი სახსრებით უზრუნველყო კომუნლური ხარჯების დაფარვა, შესაბამისად გამოყოფილი თანხის ათვისება არ განხორციელდა.

**08 08 ახალგაზრდული ღონისძიებები** დაფინანსებულია 3,080.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 3,482.9 ათასი ლარის 88.4%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**08 08 01 ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი

**2022 წლის გეგმა** - 2,593.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,266.3 ათასი ლარით. რაც გეგმის 87.4%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტების ხელშეწყობა და ახალგაზრდების თვითრეალიზების მიზნით, მათი

სამეწარმეო და სტარტაპ საპროექტო იდეების დაფინანსება, ახალგაზრდების ჩართულობის ზრდა სარეკრეაციო, გართობის, დასვენების და მასობრივ ახალგაზრდულ ღონისძიებებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სერვისების ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ა(ა)იპ დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანება - სტუდენტური პარლამენტის პროექტი - საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკი ერევანი 2022, რომლის მიზანია თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართვა საერთაშორისო არაფორმალურ საგანმანათლებლო პროექტებში; ა(ა)იპ თბილისის სტარტაპ ბიუროს პროექტი - „ახალგაზრდული შეხვედრების მარტის სერია“, რომლის მიზანია მეწარმეობის, ინოვაციების და ციფრული ტენოლოგიების სფეროში ახალგაზრდების თვითრეალიზების ხელშეწყობა; ა(ა)იპ მზის შვილების პროექტი „ინკლუზია ნიშნავს“, რომლის მიზანია შშმ ბავშვების დისკრიმინაციის შემცირება და საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება დაუნის სინდრომთან დაკავშირებით; ა(ა)იპ „საზოგადოებრივი აზრის“ პროექტი - ,,ბანაკი კოვიდ პანდემიის პერიოდში ჩართული მოხალისე სტუდენტებისთვის'', რომლის მიზანია პანდემიის პერიოდში ჩართული მოხალისე სტუდენტების წახალისება; „საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის“ პროექტი - „სტუდენტური ბანაკი 2022“, რომლის მიზანია წაახალისოს დედაქალაქში მაცხოვრებელი წარმატებული სტუდენტები; ა(ა)იპ ახალგაზრდული ასოციაცია დრონის პროექტი - USE-IT თბილისი, რომლის მიზანია უცხოელი და ქართველი ახალგაზრდების ჩართულობით თბილისის ახალგაზრდული ალტერნატიული რუკის შექმნა და განთავსება შემდგომში USE IT EUROPE პლატფორმაზე;

შემუშავდა ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის პროექტების ხელშეწყობის პროგრამა და გამოცხადდა კონკურსი საპროექტო განცხადების მიღების მიზნით (შემოვიდა 30 საპროექტო განაცხადი და დაფინანსდა 17

პროექტი); თემატური ახალგაზრდული ფესტივალების მხარდაჭერის ფარგლებში დაფინანსდა 14 პროექტი, საზაფხულო ახალგაზრდული პროგრამების ფარგლებში დაფინანსდა 11 პროექტი, ხოლო ახალგაზრდული ორგანიზაციების და ინიციატივების ხელშეწყობის ფარგლებში - 7 პროექტი. გარდა ამისა, გაწეულია საკონფერენციო დარბაზის იჯარის ხარჯები და დაფინანსდა ა(ა)იპ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი – 422.3 ათასი ლარის ოდენობით (საკუთარი სახსრებიდან - 1,115.6 ათასი ლარი). მათ შორის: გრძელდება სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად (წარმატებული მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების წახალისების მიზნით) დაფინანსება, მიმდინარე პერიოდში სახლის მიერ გაწეული კომუნალური, დასუფთავების, ინტერნეტმომსახურების ხარჯების ანაზღაურება. გარდა ამისა, გაწეულია თანამშრომელთა სახელფასო ფონდი შევსების, ფულადი ჯილდოს, კომპიუტერული ტექნიკის შეძენის და სხვა ხარჯები.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სერვისების ხარისხის განვითარების, სასწავლო და სამუშაო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, სამგორის ფილიალის სრულ სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, გაფორმებული იქნა ხელშეკრულება და დაიწყო სარეაბილიტაციო სამუშაოები; ასევე, მომზადების პროცესშია ისნის და ჩუღურეთის ფილიალების სრული რეაბილიტაციის მიზნით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**1.საბაზისო მაჩვენებელი -** 2021 წელს მხარდაჭერილი იქნა 26 ახალგაზრდული ინიციატივა და განხორციელების პროცესში დასაქმდა 300-ზე მეტი ახალგაზრდა, საგანმანათლებლო, შემეცნებით, კულტურულ-შემოქმედებითი აქტივობებში და მასობრივ ღონისძიებებში 10000-მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაფინანსებული 49 პროექტი, საგანმანათლებლო, შემეცნებით, კულტურულ-შემოქმედებითი აქტივობებში და მასობრივ ღონისძიებებში 30000-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - ახალგაზრდების ინტერესების და საჭიროებების შესაბამისი ღონისძიებების და პროგრამების შეთავაზება, კონკურსების გამოცხადება, შესაბამისი გამჭვირვალე მექანიზმების დანერგვა, ახალგაზრდული ორგანიზაციების ინფორმირება და კომუნიკაცია მათთან.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - წლის განმავლობაში საშუალოდ 1000-მდე ახალგაზრდა მონაწილეობს რეკრეაციის, გართობის და დასვენების მიმართულების ღონისძიებებში (ბანაკებსა და ლაშქრობებში).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - გაიზრდება ახალგაზრდების ჩართულობა, დაინერგება ახალი სერვისები და გაიზრდება მათზე ხელმისაწვდომობა

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაინერგა მრავალფეროვანი პროგრამები და სერვისები, პროგრამებში ჩართული 7000-ზე მეტი ახალგაზრდა.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - დაინერგა ელექტრონული რეგისტრაციის სერვისები, ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი და მათ ინტერესებზე მორგებული პროგრამების შეთავაზება.

**3.საბაზისო მაჩვენებელი** - მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (9 ფილიალი) სერვისებით მოსარგებლე 3200-მდე ახალგაზრდა (მათ შორის 1750 სოციალურად დაუცველი და 130 წარმატებული მოსწავლე).

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (9 ფილიალი) სერვისებით (38 დასახელების წრესა და სტუდიაში) მოსარგებლე 3300-ზე მეტი ახალგაზრდა (მათ შორის 1740 სოციალურად დაუცველი და 130 წარმატებული მოსწავლე).

**4.საბაზისო მაჩვენებელი** - მომზადებულია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალის სრული რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაიწყება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალის სრული რეაბილიტაციის სამუშაოები და შეძენილი იქნება ისნის

ფილიალის რეაბილიტაციის მიზნით საპროექტო-სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაცია.

*მიღწეული მაჩვენებელი* - გრძელდება თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (სამგორის ფილიალი) რეაბილიტაციის სამუშაოები, დაიწყო ისნის და ჩუღურეთის ფილიალების სრული რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

**08 08 02 თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება, ა(ა)იპ თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი

**2022 წლის გეგმა** - 202.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 161.3 ათასი ლარით. რაც გეგმის 79.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** თბილისში სპორტული და ახალგაზრდული ცენტრების ფუნქციონირება, სერვისების ხელმისაწვდომობა, არაფორმალური განათლების პროგრამის განხორციელება, პროგრამის "მერიასთან ერთად" ფარგლებში სერვისებზე (ტრენინგ-ცენტრი, სპორტული ინვენტარი და ეკიპირება, ტრანსპორტი და ა.შ.) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ახალგაზრდებისთვის, მასობრივი ღონისძიებების, ახალგაზრდული ბანაკებისა და სკოლების ჩატარება, მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების“ და ა(ა)იპ თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 26 სექტემბრის N22.1493.1597 განკარგულების გათვალისწინებით, დასრულდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპების: „ჩოგბურთის განვითარება“ (ს/ნ 404443456), „ქ. თბილისის მერიის ვ. კაჭარავას სახელობის ფრენბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრი“ (ს/ნ 404408066), „ქ. თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი იმედი“ (ს/ნ 401963666) და „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება“ (ს/ნ

405155898) რეორგანიზაციის (შერწყმა/ გაერთიანება) პროცესი, რომლის შედეგად ჩამოყალიბდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი“ ზემოაღნიშნული იურიდიული პირების სამართალმემკვიდრე) ფუნქციონირების (საკუთარი სახსრებიდან - 260.6 ათასი ლარი) ხარჯები. ასევე, ცენტრების ორგანიზებით და მხარდაჭერით ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები (ახალგაზრდული და სპორტული ფილიალების ფუნქციონირებისა და ახალგაზრდული პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები), მათ შორის:

**ელექტრონული პლატფორმები** - საანგარიშო პერიოდში მომზადდა ევროპის ახალგაზრდული ბარათის (European youth card) საქართველოში ოპერირებისათვის საჭირო ვებ-პლატფორმისა და მობილური აპლიკაციის ტექნიკური მოთხოვნების დოკუმენტი, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები დაინტერესებულ და სფეროში გამოცდილ ორგანიზაციებთან, მომზადდა ბაზრის კვლევა და შემუშავდა საკონკურსო დოკუმენტაცია. ევროპის ახალგაზრდული ბარათი, თბილისის მერიასთან თანამშრომლობით, ქართველი ახალგაზრდებისათვის ხელმისაწვდომს გახდის ევროპის მასშტაბით არსებულ ახალაზრდულ ფასდაკლებებსა და სერვისებს;

მომზადდა თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის მრავალფუნქციური ონლაინ ვებ-პლატფორმების Youthtbilisi.ge-სა და Trainer.ge-ს შექმნისათვის საჭირო ტექნიკური დავალება. ვებ-პორტალი გააერთიანებს ცენტრის მიერ მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფილ როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ შესაძლებლობებს. პორტალზე განთავსდება EuroDesk პროგრამის, European Youth Card-ის საინფორმაციო გვერდები, პროექტის, „მერიასთან ერთად“ ფარგლებში მხარდაჭერის მოთხოვნის ონლაინ ბლანკი, ინფორმაცია ორგანიზაციის სპორტული ცენტრებზე და მათი დაჯავშნის ონლაინ სისტემა, სპორტული აბონემენტების შეძენის და მომხმარებელთა რეგისტრაციის ონლაინ სისტემა, ამასთან, სხვა სიახლეები დედაქალაქში არსებული სპორტულ-რეკრეაციული, საგანმანათლებლო, ახალგაზრდული პროგრამების შესახებ;

რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული ა(ა)იპ თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის მრავალფეროვანი პროგრამებისა და სამუშაო მიმართულებების ფართო საზოგადოებისთვის ეფექტური გაცნობისათვის შეიქმნა განახლებული ვიზუალური იდენტობა, რომელიც მოიცავს ორგანიზაციის Logo Book-სა და Brand Book-ს. განახლებული ვიზუალური იდენტობა თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ფასეულობების გამომხატველი, თანამედროვე, დინამიური ვიზუალური ბრენდინგის მეშვეობით ბენეფიციარებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარებასა და დედაქალაქში ორგანიზაციის ცნობადობის ზრდას მოემსახურება.

**საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში** დაფინანსდა ევროკომისიის Erasmus+ K 1 აქტივობის ფარგლებში განხორციელებული პროექტის „GAIN – Growth Access Inclusion Network with reference“ შემაჯამებელი შეხვედრა. პროექტის პარტნიორ ორგანიზაციებს შორის ინფორმაცია გამოცდილების გაზიარება და ახალგაზრდულ სფეროში არსებული გამოწვევების განხილვა, შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართება ესპანეთში, ქალაქ ლეიდაში, 9 მაისს თბილისის მერიისა და ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების მხარდაჭერით დედაენის ბაღში მოეწყო გამოფენა - "ევროპა 2022", Erasmus+ -ის საინფორმაციო ცენტრისა და ევროპის სოლიდარობის კორპუსის ორგანიზებით განხორციელდა ევროპის დღის აღსანიშნავი ღონისძიება, ცენტრების გაერთიანების მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი - Thinking Bridge, 7-9 ივლისს ცენტრმა უმასპინძლა ევროპის ახალგაზრდული ბარათის ასოციაციის დირექტორს და ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელს. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში მოხდა საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება, დაისახა დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების ბარათის სერვისში ჩართვისთვის საჭირო სამოქმედო გეგმა. გაიმართა საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრები დედაქალაქში მოქმედ ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან, დედაქალაქის მერიის ხელმძღვანელ პირებთან.

**არაფორმალური განათლების პროგრამის ფარგლებში** ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა შეხვედრები ახალგაზრდებთან, თემაზე:

მდგრადი განვითარების მიზნები და ახალგაზრდების ჩართულობა, უცხოელი მოხალისეების (გერმანიიდან და ჩეხეთის რესპუბლიკიდან) ჩართულობით შემუშავდა და განხორციელდა შეხვედრების ციკლი - "ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის" ადგილობრივ ახალგაზრდებთან, რომლის მიზანია უცხოელი მოხალისეების გამოცდილების გაზიარებისა და საურთიერთობო წრის გაფართოვების ხელშეწყობა, არაფორმალური განათლების პროგრამის პროექტის - "აირჩიე პროფესია" ფარგლებში ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის ბენეფიციარებისთვის თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა (ახალგაზრდებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაკვირვებოდნენ შემოქმედებით პროცესებს როგორც სცენაზე, ისე მის მიღმა), ჩატარდა ახალგაზრდების და ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლების გამოკითხვა ცენტრის ბაზაზე დასაგეგმ ტრენინგებთან მიმართებაში და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა ტექნიკური დავალება 2023 წელს განსახორციელებელ ტრენინგ-კურსთან დაკავშირებით.

**მასობრივი ახალგაზრდული ღონისძიებების, ბანაკების და სკოლების ფარგლებში** მოეწყო ზამთრის ბანაკი სტუდენტებისთვის, რომლის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები თემაზე - "მოხალისეობა" და "ლიდერობა", მონაწილეები აქტიურად იყვნენ ჩართულები თემატურ განხილვებში (ზამთრის ბანაკში მონაწილეობას ღებულობდა ჯამში 83 სტუდენტი), საგურამოში, გასვლითი ფორმატით ჩატარდა სტუდენტური კლუბებისა და საინიციატივო ჯგუფების სამუშაო შეხვედრა, სადაც მათ განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები და შეიმუშავეს 2022 წლის სამოქმედო გეგმა (შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო თბილისში მოქმედი ექვსი უნივერსიტეტის 20-მა სტუდენტმა), დაბა ბაკურიანში გაიმართა "საქართველოს თანასწორობის ასოციაციის" მიერ ორგანიზებული პროექტი - თანასწორობის სკოლა, რომლის ფარგლებშიც თბილისში მოქმედი 6 უნივერსიტეტის 40 სტუდენტი 10 ტრენერისა და ფასილიტატორის ჩართულობით გადამზადდა ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: ლიდერობა, გუნდური მუშაობა, ეფექტური კომუნიკაცია, საჯარო გამოსვლები, გენდერული თანასწორობა, ფემინიზმის ისტორია და

სტერეოტიპების გავლენა სოციუმზე, დაბა ბაკურიანში განხორციელდა „ახალგაზრდული ბანაკი“ ფონიჭალაში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის (განსახილველი თემები: მდგრადი განვითარების მიზნები, ახალგაზრდების ჩართულობა, პროექტების ინიცირება და ეფექტური კომუნიკაცია), ბანაკში მონაწილეობა მიიღო ფონიჭალაში მცხოვრებმა 55 ახალგაზრდამ, საქართველოს თანასწორობის ასოციაციის ორგანიზებითა და თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „სტუდენტთა თანასწორობის სკოლა“, რომელშიც ჩაერთო თბილისში მოქმედი უნივერსიტეტების 50 სტუდენტი. ერთკვირიანი გასვლითი გადამზადების კურსები მიზნად ისახავდა ახალგაზრდა ლიდერების გაძლიერებას, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვას, გენდერული თანასწორობის საკითხის გარშემო სტუდენტთა ინფორმირებულობის დონის ამაღლებასა და სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტურ კლუბებს შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბებას; ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით და საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ორგანიზებით კლუბ „ანდერვილში“ განხორციელდა სტუდენტური წვეულება. აქტივობამ გააერთიანა თბილისში არსებული სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები; სტუდენტურ სამოყვარულო თეატრთა ორგანიზებით და ცენტრის მხარდაჭერით გაიმართა ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალი „ნიღაბის“ შემაჯამებელი ღონისძიება (ფესტივალი „ნიღაბი“ დაარსდა 2012 წელს ასოციაცია "ასტას" მიერ და მას შემდეგ ყოველწლიურად ხორციელდება); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა თანასწორობის კლუბის ორგანიზებით და ცენტრის მხარდაჭერით საგურამოში განხორციელდა თანასწორობის კლუბის გასვლითი სამუშაო ფორუმი 2022 წელს შესრულებული სამუშაოების შეჯამებისა და 2023 წლის გაზაფხულის სემესტრის სამოქმედო გეგმის შედგენის მიზნით; ცენტრის მხარდაჭერით თბილისის მერიის სტუდენტთა დაფინანსების პროგრამის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა (ღონისძიება ყოველწლიურად ტარდება და ითვალისწინებს მერიის მიერ დაფინანსებული წარჩინებული მაგისტრანტების, მრავალშვილიანი

და სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრი, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების დაჯილდოებას).

**პროგრამა „მერიასთან ერთად“** - თბილისის მერიის და თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების მხარდაჭერით გაიმართა მასშტაბური საქველმოქმედო ღონისძიება "გარბენი უკრაინისთვის", რომელშიც ცენტრის მხარდაჭერით ჩაერთო 1000 მოქალაქე. სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის ორგანიზებით კახეთში ჩატარებული სპორტული აქტივობის ფარგლებში მიღებული თანხა სრულად გადაირიცხა უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად; საქართველოს თანასწორობის ასოციაციის ორგანიზებითა და თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების მხარდაჭერით განხორციელდა პროექტები - „სტუდენტთა თანასწორობის სკოლა“ და „GAFE-ს სამუშაო კვირეული“, რომელშიც ჩაერთო თბილისში მოქმედი უნივერსიტეტების 100 სტუდენტი, მონაწილეთა და ტრენერების ტრანსპორტირება უზრუნველყო გაერთიანებამ; თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების ორგანიზებით, დაბა ბაკურიანში გაიმართა „ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკი“ ფონიჭალაში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, ბანაკი მოიცავდა საგანმანათლებლო, შემეცნებით და ინტერაქტიულ აქტივობებს. ტრენინგის თემა იყო, პროექტების და ინიციატივების მართვა ახალგაზრდების ჩართულობით. ბანაკში ჩაერთო 50 ახალგაზრდა;

ცენტრების გაერთიანების აქტიური მონაწილეობით განხორციელდა თბილისის მერიის მასშტაბური საზაფხულო პროგრამა (ლაშქრობები, საველე-ბანაკები (კემპინგი), საჯომარდო ტურები, ველო ტურები თბილისთან ახლო მარშუტებზე, კარტინგი, მინი გოლფი და სასროლეთი (ლისის მიმდებარე ტერიტორია), საცურაო აუზი) ახალგაზრდებისთვის ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის, აქტიური დასვენების, გართობის და რეკრეაციის ხელშეწყობის მიზნით (საზაფხულო პროგრამებთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელება და მონაწილეთა შერჩევა მოხდა ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად), საზაფხულო პროგრამაში ჩაერთო 5000-მდე ახალგაზრდა;

გარდა ამისა, მიმდინარე პერიოდში განხორციელდა ახალგაზრდული ბანაკებისა და სკოლების მონაწილეების ტრანსპორტირება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სტუდენტური ორგანიზაციების მხარდაჭერა სოციალური ტურების ორგანიზებისთვის, სპორტული ფედერაციებისა და კლუბების მხარდაჭერა სხვადასხვა ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად, ცენტრის მიერ ორგანიზებული და თბილისში მოქმედი 8 ახალგაზრდული ორგანიზაციის ინიციატივით წარმართული ღონისძიებების მონაწილეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა. საზაფხულო პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების ტრანსპორტირების სერვისით ჯამში 4000-მდე ახალგაზრდამ ისარგებლა; 2022 წლის 19 - 29 დეკემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერით და თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ჩართულობით, თბილისში განხორციელდა უკრაინის საბავშვო-ახალგაზრდული სპორტული სკოლა „მიკოლავის“ საფეხბურთო გუნდის ვიზიტი 31 წევრის შემადგენლობით. თბილისში ყოფნის პერიოდში უკრაინელი ბავშვებისთვის განხორციელდა საგანმანათლებულო, შემეცნებითი, კულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი აქტივობები მათი დასვენებისა და გაჯანსაღების მიზნით, ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის სტუმრები ეწვივნენ პარლამენტს, ასევე, თბილისში მდებარე სხვადასხვა კულტურულ - საგანმანათლებლო და სპორტულ ობიექტებს.

**ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში** საგანმანათლებლო პროცესი (კურსების თემატიკა: ინგლისური ენა, ხელნაკეთი ნივთების დამზადება, გრაფიკული პროგრამირება, IT ინჟინერია, გერმანული ენა, ჭადრაკი, გიტარა, მათემატიკა) მიმდინარეობდა აქტიურად და მიმდინარე პერიოდში კურსები გაიარა 230 ბენეფიციარმა. ცენტრში, ქართველ მასწავლებლებთან ერთად საგანმანათლებლო პროცესში ჩართული იყვნენ უცხოელი მოხალისე ტრენერები გერმანიიდან; „ევროპის სოლიდარობის კორპუსის მოხალისეებმა“ და „ახალგაზრდული ასოციაცია დრონის“ გუნდმა, ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში (ESC Carvan-ის შეხვედრა ჩაატარეს, რომელსაც ესწრებოდნენ 14-15 წლამდე ახალგაზრდები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ Erasmus + და მისი შესაძლებლობებით; გაეროს ბავშვთა ფონდმა ჩაატარა საკონსულტაციო შეხვედრა ბავშვებთან და ახალგაზრდებთან, ბავშვზე მორგებული ქალაქების ინიციატივის ფარგლებში,

რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცენტრის ბენეფიციარებმა; ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა კალათბურთის, ფეხბურთის, ჭადრაკის ტურნირები გაიმართა ცენტრის მოსწავლეების ნამუშევრების (თექა, მხატვრული) გამოფენა, ჩატარდა სემინარი -მედიაწიგნიერების შესახებ (ბავშვები თემას გაეცნენ სახალისო და შემეცნებითი თამაშის, „გაქცევის ოთახის“ საშუალებით), შეხვედრა თემაზე - „კრიტიკული აზროვნება“ და „კრიპტოვალუტა“, პროექტის - „გარემოს დაცვა“ ფარგლებში, ცენტრის ორმა მოხალისე - მასწავლებელმა, სამუელ გოთლებემ, ემი ბალზერმა და ცენტრის 12-მა ბენეფიციარმა მოაწყო ლაშქრობა და პიკნიკი ზემო ფონიჭალაში მდებარე მთაზე, ცენტრში დაიწყო გერმანული ენის და მათემატიკის შემსწავლელი კურსები 13 დან 16 წლამდე ასაკის ახალგაზრდებთან კვირაში ერთხელ და სხვა; 18-21 ივლისს, ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის ბენეფიციარებმა მონაწილეობა მიიღეს პარტნიორი ორგანიზაცია @droniorg -ის მიერ ორგანიზებულ გარე განათლების ბანაკში, სახელწოდებით Track1, სათავგადასავლო ბანაკი, რომელიც ჩატარდა არაგვის ხეობაში; 1 დან 8 აგვისტოს ჩათვლით ფშავში არაგვის სათავგადასავლო ცენტრში Youth Association DRONI - ის ორგანიზებითა და Erasmus+ ის მხარდაჭერით, გაიმართა ახალგაზრდული გაცვლითი ბანაკი - Track One Youth Exchange, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის ბენეფიციარებმა და 42 - მა ახალგაზრდამ 6 სხვადასხვა ქვეყნიდან: უკრაინა, ლატვია, პოლონეთი, რუმინეთი, სასომხეთი და საქართველო. ბანაკის პროგრამა მოიცავდა დებატებს, როლურ თამაშებს და სხვადასხვა, ახალგაზრდებზე მორგებულ, შემეცნებით და გასართობ აქტივობებს. პროექტის დასასრულს ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი, ხოლო 8 ოქტომბერს არაგვის სათავგადასავლო ცენტრში გაიმართა ახალგაზრდული ფესტივალი (პროექტ Track One-ის დასკვნითი ღონისძიება), რომლის მიზანი იყო სწავლით, ეკო ტურიზმით, განათლებითა და აქტიური ცხოვრების წესით დაინტერესებული პირების მხარდაჭერა; ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში ჩატარდა ბილიარდის ტურნირი თავისუფალ პირამიდაში, შეჯიბრი წარიმართა ოლიმპიური სისტემით და მასში 12 ახალგაზრდა მონაწილეობდა; ტრენინგი თემაზე - „კიბერბულინგი: გამომწვევი მიზეზები და აღმოფხვრის გზები“, ტრენინგი განკუთვნილი იყო 15-დან 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისთვის (მოზარდებმა გაიგეს თუ რა არის კიბერბულინგი და როგორ უნდა აირიდონ

თავიდან მოსალოდნელი საფრთხე); ახალგაზრდულ ცენტრში ვიზიტით იმყოფებოდნენ ახალგაზრდა დიზაინერები, რომლებმაც ბენეფიციარებთან ტყავზე მუშაობის მასტერკლასები ჩაატარეს და ცენტრს საჩუქრად გადასცეს სამუშაო იარაღები და საკერავი მანქანა; ცენტრში ჩატარდა ვორქშოფი თემაზე "ადამიანის უფლებები". ასევე, ცენტრის ბენეფიციარების მიერ გაიმართა კულტურულ-შემოქმედებითი საღამო (50-მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა), ხოლო ცენტრის ბენეფიციარებისთვის საახალწლო წვეულება მოეწყო (ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა ცენტრის მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა, სახეზე მოხატვა და სხვადასხვა გასართობი თამაშები, სტუმრებს საშუალება ჰქონდათ მოესმინათ ცოცხალი მუსიკა. საღამო დიჯეიმ დაასრულა).

**პროექტი „თბილისის მეგობრობის სახლი“** - „სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის" ფარგლებში, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის (კურსის მსმენელები არიან, როგორც ადგილობრივი დიასპორის წარმომადგენლები, ასევე, სხვადასხვა ქვეყნიდან (სომეხი, პოლონელი, აზერბაიჯანელი, რუსი, ლატვიელი, უკრაინელი, ბელორუსი) საქართველოში ბოლო პერიოდში დამკვიდრებული ადამიანები) სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსების ონლაინ სწავლების პარალელურად განახლდა აუდიტორული სწავლება; სექტემბრიდან მეგობრობის სახლმა განაახლა ქართული ენის უფასო კურსები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის (პროექტი ხორციელდება სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან ერთად), ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებმა სახელმწიფო ენის და ინტეგრაციის პროგრამის A1 დონეზე სწავლება დაასრულეს და კურსდამთავრებულებს გადაეცათ სერტიფიკატები (კურსი გაიარა 50 ბენეფიციარმა); პროექტის „თბილისის მეგობრობის სახლი“ ფარგლებში გაიმართა საქმიანი შეხვედრა ეროვნულ უმცირესობათა ახალგაზრდა წარმომადგენლებთან გამოცდილების გაზიარებისა და ახალი პროექტების შემუშავების მიზნით, ლიტერატურული ალმანახის - „ნა ხოლმახ გრუზიი“ 35-ე საიუბილეო ნომრის პრეზენტაცია, ცნობილი ბერძენი მწერლის ოლეგ ციბენკოს შემოქმედებითი საღამო, ლატვიელთა სათვისტომო „ავე-სოლთან“ ერთად აღინიშნა ლატვიის დამოუკიდებლობის აღდგენის წლისთავი, გაიმართა სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის სამი სემინარი თემაზე:

„ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის დასაქმებასა და უნარების გაუმჯობესებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა“;

**სპორტული ცენტრები და სერვისები** - სპორტულ ობიექტებზე სერვისების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა შემდეგი აქტივობები: სპორტულ ცენტრში „იმედი“ მოწესრიგდა ბენეფიციართა ყოველდღიური აღრიცხვიანობის სისტემა, ამ მიზნით ცენტრი აღიჭურვა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით (ტურნიკეტი, პროგრამა, ბარათები), ცენტრს დაემატა და გადამზადდა შესაბამისი პერსონალი. მოწესრიგდა გასახდელები, საშხაპეები, გამათბობლები, ჩატარდა მცირე სარემონტო და მცირე ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები, სველ წერტილებში დამონტაჟდა გამწოვები, გაიწმინდა და გაიმართა საკომუნიკაციო სისტემები, შეივსო ცენტრის სან-ჰიგიენური და აუზის წყლის მოვლისთვის საჭირო ქიმიქატების მარაგით;

სპორტული ცენტრის „იმედი“ - საცურაო აუზის წყლის მოქმედ სტანდარტებთან და სანიტარულ ნორმებთან შესაბამისობაში ყოფნის დადგენის მიზნით ყოველთვიურად ხორციელდებოდა აუზის წყლის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლებისა და მორფოლოგიური შემადგენლობის კომპლექსური კვლევა გ. ნათაძის სახ. სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის ინსტიტუტთან თანამშრომლობით, აუზის წყლის ტესტირებისა და ქიმიური საშუალებებით დამუშავების გადამზადების კურსი ჰიგიენის ინსტიტუტში გაიარა ცენტრის ორმა აუზის მომვლელმა და გადაეცათ შესაბამისი კომპეტენციის დამადასტურებელი ცნობები;

სპორტული ცენტრის „იმედი“ საცურაო აუზის ტერიტორიაზე ვენტილაციის გაუმჯობესების მიზნით შესყიდული იქნა ვენტილაციის პროექტი; მიმდინარე პერიოდში დაქვემდებარებულ ობიექტებზე (სპორტული ცენტრი იმედი, ფრენბურთის ცენტრი, ვერისა და ვაკის ჩოგბურთის კორტები, ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრი, სპორტული ცენტრი მზიური) დამონტაჟდა და გაიმართა სახანძრო უსაფრთხოების სისტემები, აკრედიტირებული ორგანიზაციის მიერ ცენტრის ყველა ობიექტზე განხორციელდა „ენერგოაუდიტი და დიაგნოსტიკა“ - ელექტრული ქსელების „ელექტროდანადგარების მოწყობის წესებისა“ და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის #340 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - ცენტრების სერვისებისა და პროგრამების ფარგლებში ჯამურად 30000-მდე ბენეფიციარზე გათვლილი ღონისძიებების ორგანიზება.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - 5 სპორტული და 2 ახალგაზრდული ცენტრის (ჩუღურეთისა და ფონიჭალის) ფუნქციონირების ხელშეწყობა (სერვისების ხელმისაწვდომობა), პროგრამებში მონაწილე 30000-მდე ახალგაზრდა

***მიღწეული მაჩვენებელი*** - 5 სპორტული და 2 ახალგაზრდული ცენტრის (ჩუღურეთისა და ფონიჭალის) სერვისების და პროგრამებში ჩართული 28810 ბენეფიციარი.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - მასობრივი სპორტული და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძებების, ზამთრისა და საზაფხულო ახალგაზრდული პროგრამების განხორციელებაი მონაწილე ახალგაზრდები.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მასობრივი სპორტული და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძებების, ზამთრისა და საზაფხულო ახალგაზრდული პროგრამებში მონაწილე 12000-მდე ახალგაზრდა.

**მიღწეული მაჩვენებელი** - მასობრივი სპორტული და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძებების, ზამთრისა და საზაფხულო ახალგაზრდული პროგრამებში მონაწილე 11800 ახალგაზრდა.

**3.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს გადამზადდა მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული 80 ახალგაზრდა და თბილისში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების 483 წარმომადგენელი, ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის სერვისებით მოსარგებლეა 250 ახალგაზრდა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული 1300 ახალგაზრდის გადამზადება, ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის სერვისებით მოსარგებლე 250 ახალგაზრდა, თბილისში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენელთა გადამზადების, ტრენინგებისა და საჯარო ლექციების ორგანიზებაში ჩართული 600 ბენეფიაციარი

***მიღწეული მაჩვენებელი*** - მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული 800 ახალგაზრდის გადამზადება, ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის სერვისებით

მოსარგებლე 250 ახალგაზრდა და თბილისში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენელთა გადამზადების, ტრენინგებისა და საჯარო ლექციების ორგანიზებაში ჩართული 430 ბენეფიციარი

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - საზაფხულო პროგრამებზე მაღალი მოთხოვნის გამო საბიუჯეტო რესურსის გამოთავისუფლება.

**4.საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამის „მერიასთან ერთად“ ფარგლებში, სოციალურ-შემეცნებითი ტურებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდაში ჩართული 7800 ახალგაზრდა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - პროგრამის „მერიასთან ერთად“ ფარგლებში, ახალგაზრდების ინვენტარით, ტრანსპორტით, საკონფერენციო დარბაზებით მხარდაჭერა და ჩართული 16000 ახალგაზრდა

***მიღწეული მაჩვენებელი*** - პროგრამის „მერიასთან ერთად“ ფარგლებში ახალგაზრდების ინვენტარით, ტრანსპორტით, საკონფერენციო დარბაზებით მხარდაჭერა და ჩართული 15780 ახალგაზრდა.

**08 09 შემოქმედებითი თბილისი**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 606.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 579.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.5%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** რეწვისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება, შემოქმედებითი ინდუსტრიის ხელშეწყობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა კონკურსის პირველი ეტაპი (მარტი), რომლის ფარგლებშიც შემოვიდა 60-მდე განაცხადი (მათ შორის: საგამომცემლო საქმიანობა - 30 განაცხადი, დიზაინი და რეწვა - 7 განაცხადი, მედიაარტი - 12, ვიზუალური ხელოვნება - 10 განაცხადი), წარმოდგენილი განაცხადებიდან დაფინანსდა - 36 განაცხადი, ხოლო კონკურსის მეორე ეტაპის (ოქტომბერი) ფარგლებში სულ შემოვიდა 30 განაცხადი (მათ შორის

საგამომცემლო საქმიანობა - 11 განაცხადი, დიზაინი და რეწვა - 6 განაცხადი, მედია არტი 8 განაცხადი, ვიზუალური ხელოვნება - 5 განაცხადი), წარმოდგენილი განაცხადებიდან დაფინანსდა - 20 განაცხადი. სულ მიმდინარე პერიოდში დაფინანსება გამოეყო 57 პროექტს (ერთი - გაუქმდა განმცხადებლის ინიციატივით), მათ შორის: შეიქმნა 23 მნიშვნელოვანი საგამომცემლო პროექტის ელექტრონული და ნაბეჭდი ვერსია, კერამიკული ფილებით მოპირკეთდა და ვარკეთილის და პუშკინის სკვერებში განთავსდა კერამიკული სანათები, გოძიაშვილის სახელობის ბაღში დაიდგა დროებითი ინსტალაცია, შეიქმნა რამდენიმე ანიმაცია, თანამედროვე საგალერეო სივრცეებში გაიმართა გამოფენები, შეიქმნა თანამედროვე და ტრადიციული ხელნაკეთობები და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მედიახელოვნების მიმართულების პროექტებს, რადგან თბილისს, როგორც UNESCO-ს „შემოქმედებითი ქალაქების ქსელის“ (UCCN) წევრს, პასუხისმგებლობა აქვს აღებული ამ სფეროსთან მიმართებაში.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს განხორციელდა 86 პროექტი, 300-მდე ქართველი ხელოვანის და 10-მდე უცხოელი ხელოვანის ჩართულობით.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება (საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტების ნაწილობრივ/სრულად დაფინანსება).

***მიღწეული მაჩვენებელი*** - განხორციელდა 56 პროექტი, 300-მდე ქართველი ხელოვანის და 20 უცხოელი ექსპერტებისა და მონაწილეების ჩართულობით.

**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - 2021 წელს ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, შემცირებული იყო უცხოელი ექსპერტებისა და მონაწილეების მაჩვენებელი.

**08 11 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში** დაფინანსებულია 1,056.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,068.3 ათასი ლარის 98.9%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**08 11 01 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** გლდანის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 108.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და მოსახლეობის ჩართულობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა კულტურულ გასართობი და სპორტული ღონისძიებები: გლდანის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ჩატარდა სპორტული ტურნირი მინი ფეხბურთსა და ქუჩის კალათბურთში, საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს გადაეცათ სპორტული მაღაზიის ვაუჩერები, მედლები და თასები; ივნისში (სკოლის დამთავრებასთან დაკავშირებით) და სექტემბრის თვეში (სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით) რაიონის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში ჩატარდა საკონცერტო წარმოდგენები; გაიმართა სხვადასხვა გასართობი აქტივობები; დაფინანსდა წინასაახალწლოდ შშმ ბავშვებისთვის გასართობ ცენტრში მოწყობილი ღონისძიებები; მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ და შეჭირვებულ ოჯახებში მცხოვრები ბავშვებისთვის მოეწყო საბავშვო თეატრალური სპექტაკლები და გადაეცათ საახალწლო სასაჩუქრე პაკეტები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 12 სპორტული და კულტურული ღონისძიება.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - კულტურული, სპორტული და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობის და უკეთესი განწყობის შექმნის მიზნით იგეგმება 12 სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარება.

**მიღწეული მაჩვენებელი** - განხორციელდა 8 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 2 სპორტული და 6 კულტურული).

**08 11 02 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ნაძალადევის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 110.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 108.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.7%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და მოსახლეობის ჩართულობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ქვიშის რაგბის ჩემპიონატი, ბავშვთა დაცვის დღისადმი გასართობ-შემოქმედებითი ღონისძიება, მინი ფეხბურთის, ფრენბურთის და კალათბურთის ტურნირების და კარატეს ჩემპიონატის ორგანიზება; პროექტის - „რა? სად? როდის“ გამარჯვებული მოსწავლეებისთვის შესყიდულია წიგნები. ასევე, გაწეულია სკვერში რაგბის მატჩის გაშუქების მიზნით ეკრანისა და თანმდევი აპარატურის ქირის ხარჯები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწლიურად ტარდება საშუალოდ 12 სპორტული და კულტურული ღონისძიება.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დაგეგმილია 10 სხვადასხვა ღონისძიების ჩატარება

**მიღწეული მაჩვენებელი** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**08 11 03 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** დიდუბის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 170.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და მოსახლეობის ჩართულობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა საახალწლო კულტურული ღონისძიება, სპორტული მოედნის გახსნასთან დაკავშირებით ჩატარდა სპორტული ღონისძიება. ასევე, გაწეულია „ახალი ქართული კინო-2022“-ის ჩატარების ორგანიზების, „ქუჩის კალათბურთი დიდუბე 2022“-ის, „ფრენბურთი დიდუბე 2022“-ის, „მინი ფეხბურთი დიდუბე 2022“-ის,

„ჩოგბურთი დიდუბე - 2022“-ის, „ბადმინტონი დიდუბე 2022“-ის ტურნირების ორგანიზების მომსახურების ხარჯები. ასევე, საახალწლო კულტურული ღონისძიების ფარგლებში ა(ა)იპ „ბავშვი და გარემოს“ ბენეფიციარი ბავშვებისთვის შეძენილია სპორტული ჩანთები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი -** ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 8-10 სპორტული და კულტურული ღონისძიება.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - კულტურული, სპორტული და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობის მიზნით იგეგმება 6 ღონისძიების ჩატარება (მათ შორის 4 სპორტული და 2 კულტურული).

**მიღწეული მაჩვენებელი** - განხორციელდა 10 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 7 სპორტული და 3 კულტურული).

**08 11 04 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩოლურეთის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ჩოღურეთის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 63.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 57.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 91.5%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და მოსახლეობის ჩართულობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა რაიონში მცხოვრები სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული ოჯახების ბავშვებისათვის 3 სპორტული (ტურნირი რაიონის სკოლებს და მაცხოვრებლებს შორის ფრენბურთში, ჭადრაკში და მინი ფეხბურთში) და 1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კულტურულ-გასართობი ღონისძიება. ასევე, დაფინანსებულია მასწავლებლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, რაიონის საჯარო სკოლების ღვაწლმოსილი პედაგოგებისათვის კულტურული ღონისძიებისა და წინასაახალწლო ღონისძიების ორგანიზების ხარჯები.

აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობდა 800-მდე მოსწავლე-ახალგაზრდა და 55 სკოლი პედაგოგი.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს ჩატარდა ერთი კულტურულ - გასართობი ღონისძიება.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - ჩატარდება 4 სპორტული და 3 კულტურულ-გასართობი ღონისძიება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**08 11 05 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ვაკის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ვაკის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 66.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და მოსახლეობის ჩართულობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ფრენბურთის, ღია ჩოგბურთის, ქუჩის კალათბურთის და მინი ფეხბურთში „ვაკის თასი-2022“ ტურნირების, „წყნეთობის“ და ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების ხარჯები. ამასთან გაწეულია ტურნირის - „რა? სად? როდის?“ ორგანიზებისა და ამ ტურნირის გამარჯვებულთათვის წიგნის ვაუჩერების შეძენის ხარჯები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწლიურად ტარდება საშუალოდ 13 სპორტული და კულტურული ღონისძიება, მათ შორის 2021 წელს ჩატარდა ერთი კულტურული ღონისძიება.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - ჩატარდება 7 სპორტული, 3 კულტურული და 4 ახალგაზრდული ღონისძიება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**08 11 06 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები საბურთალოს რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** საბურთალოს რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 110.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 107.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.9%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და მოსახლეობის ჩართულობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სპორტული ღონისძიებებისათვის ინვენტარის შეძენის, 4 სხვადასხვა კულტურული ღონისძიების, დედისა და ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი და ახალი წლის ღონისძიებების ორგანიზების ხარჯები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს ჩატარდა 4 სპორტული და 3 კულტურული ღონისძიება.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - ჩატარდება 15 სხვადასხვა სახის ღონისძიება, მათ 7 სპორტული, 7 კულტურული და 1 შემეცნებითი ღონისძიება.

*მიღწეული მაჩვენებელი* - ჩატარდა 7 სპორტული და 7 კულტურული ღონისძიება.

**08 11 07 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ისნის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** ისნის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 110.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 109.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და მოსახლეობის ჩართულობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია სოციალურად დაუცველი მოზარდებისა და სოციალურად შეჭირვებული ახალგაზრდების გუნდისთვის სპორტული ინვენტარის და სპორტული საქონლის

შეძენის, ქუჩის კალათბურთის ერთდღიანი ტურნირის ორგანიზების, 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საბავშვო გასართობი ღონისძიების ორგანიზების, მინი-ფეხბურთის „ისნის თასი 2022“ ტურნირის ორგანიზების, საქართველოს უსინათლოთა კავშირის ბენეფიციარებისთვის ერთდღიანი ტურის „ციხე-ქალაქ სამშვილდეში“ კულტურული ღონისძიების პროექტის ფარგლებში სატრანსპორტო მომსახურეობის და კავშირი ადამიანებისათვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ შშმ პირებისათვის თერაპიული გარემოს შესანარჩუნებლად გამოფენის ორგანიზებისათვის საჭირო მოხეწილი ფანერის შეძენის, საფეხბურთო გუნდი „შევარდენი 2019“-ისათვის სათამაშო მაისურების ბრენდირების, საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის თამაშის - „ჩემი საქართველოს“ და კინოჩვენება-დისკუსიის (პროექტი „დისკუსია თემაზე“) ორგანიზების ხარჯები, საჯარო სკოლების გოგონათა და ვაჟთა გუნდებს შორის ფრენბურთის ოთხდღიანი ტურნირის, რაიონის ახალგაზრდებისათვის კიკ-ბოქსინგის ერთდღიანი ტურნირის და სოციალურად შეჭირვებული ოჯახების ბავშვებისათვის საახალწლო ღონისძიების ორგანიზების ხარჯები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწიურად იმართება საშუალოდ 10-მდე სპორტული და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - ჩატარდება 14 სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის: 6 სპორტული, 3 საგანმანათლებლო და 5 კულტურული ღონისძიება.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - ჩატარდა 13 კულტურულ, სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიება.

**08 11 08 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები სამგორის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** სამგორის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 110.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 109.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და მოსახლეობის ჩართულობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში ჩატარებული იქნა ტურნირი ჭიდაობაში (თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). ასევე, გაწეულია გასვლით საგანმანათლებლო კვირეულის ღონისძიების (ბაკურიანში), ფესტივალზე „თბილისის ცის ქვეშ“ ჩატარებული ღონისძიების, მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების, საგანმანათლებლო კვირეულის ღონისძიების და ახალი წლის ღონისძიების ორგანიზების და სხვადასხვა სპორტული (მათ შორის ფეხბურთი) ღონისძიების ხარჯები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი -** ყოველწლიურად ტარდება საშუალოდ 20-მდე სხვადასხვა კულტურულ - საგანმანათლებლო - სპორტული აქტივობა.

**დაგეგმილი მაჩვენებელი -** კულტურული, სპორტული და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობის და უკეთესი განწყობის შექმნის მიზნით 2022 წელს იგეგმება 16 სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარება (მათ შორის 9 სპორტული და 7 კულტურული).

**მიღწეული მაჩვენებელი** - განხორციელდა 10 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 5 სპორტული და 5 კულტურული).

**08 11 09 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კრწანისის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 110.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 109.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და მოსახლეობის ჩართულობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა დედის და ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ი.გრიშაშვილის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიება, 100 წელს გადაცილებული და შშმ დედებისათვის სასაჩუქრე პაკეტების შეძენა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობისა და

კიკ-ბოქსის 2 დღიანი ტურნირის, მინიფეხბურთის 7 დღიანი ტურნირის და ქუჩის კალათბურთის ტურნირების ორგანიზება. ასევე, გაწეულია გრიშაშვილის სკვერში, ქართველი ბორჯღალოსნების ზაფხულის ტესტ-მატჩების ერთ-ერთი თამაშის პირდაპირი ჩვენების, 300 არაგველის სახელობის სკვერში „კრწანისობა-2022“-ის კულტური ღონისძიების და ახალი წლის დრესასწაულთან დაკავშირებით ღონისძიების ხარჯები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 9 სპორტული და კულტურული ღონისძიება.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - ჩატარდება 3 სპორტული და 6 კულტურული ღონისძიება.

*მიღწეული მაჩვენებელი* - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**08 11 10 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** მთაწმინდის რაიონის გამგეობა

**2022 წლის გეგმა** - 110.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 109.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.5%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და მოსახლეობის ჩართულობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა რაიონის საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით ფრენბურთის ტურნირის, კალათბურთის ტურნირის, მინი ფეხბურთის ტურნირის და ქართული ჭიდაობის ტურნირის ღონისძიებები, სპორტულ-ინტელექტუალური თამაშის ორგანიზების, გასართობი პარკის მომსახურების ორგანიზების, ქალთა დღისადმი და ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 10 სპორტული და კულტურული ღონისძიება.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - კულტურული, სპორტული და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობის და უკეთესი განწყობის შექმნის მიზნით 2022 წელს იგეგმება 10 სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარება (მათ შორის 5 სპორტული და 5 კულტურული).

***მიღწეული მაჩვენებელი*** - განხორციელდა 9 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 5 სპორტული და 4 კულტურული).

**08 12 თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გიორგი ალექსიძის სახელობის კამერული დასი - თბილისის თანამედროვე ბალეტი“

**2022 წლის გეგმა** - 484.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** მრავალფეროვანი რეპერტუარით, საერთაშორისო კავშირების დამყარებით, ქართული თანამედროვე ცეკვის/ბალეტის პოპულარიზაციის უზრუნველყოფა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია საბალეტო დასის ფუნქციონირების (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 55.3 ათასი ლარი) და შენობის იჯარის ხარჯები. გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: განახლდა თანამედროვე ცეკვის ტექნიკის შემსწავლელი კურსი მოცეკვავეებისათვის და თანამედროვე ცეკვის სამოყვარული კლასები, მარიამ ალექსიძემ მუსიკოსებთან და თანამედროვე კომპოზიტორებთან თანამშრომლობით, დაამკვიდრა ახალი საავტორო პროექტი - ღია სტრუქტურის ეგრეთ წოდებული „თეთრი ბალეტების“ დადგმების ციკლი ი.ს. ბახის მუსიკაზე, გაიმართა სამეფო უბნის თეატრში პრემიერა - თანამედროვე ბალეტი - „THE BACH PROJECT1”, რომლის ვიდეო ვერსიაც დასის პლატფორმების მეშვეობით ფართო აუდიტორიისათვისაც იქნა ხელმისაწვდომი, რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე წარმოდგენილი იყო მარიამ ალექსიძის თანამედროვე ბალეტი „ბეატრიჩე“ დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ მიხედვით, აბრეშუმის ფაბრიკის

პავილიონში წარმოდგენილი იყო მარიამ ალექსიძის თანამედროვე ბალეტი „მეტამორფოზები“ ოვიდიუსის მიხედვით, თბილისის „მოძრაობის, ფიზიკური თეატრის და ცეკვის საერთაშორისო ფესტივალის“ ფარგლებში, მოძრაობის თეატრში დასმა წარმოადგინა მარიამ ალექსიძის მულტიმედიური თანამედროვე ბალეტი „12 პაემანი“, ირლანდიაში, დუბლინში, ისტორიულ ჯეიმზ ჯოისის ცენტრში, BLOOMSDAY FILM FESTIVAL 2022-ის პროგრამის ფარგლებში, გაიმართა მარიამ ალექსიძისა და დავით მაზიაშვილის ფილმ-ბალეტის, „ლუჩიას ოთახის“ პრემიერა, ხოლო ჯეიმზ ჯოისის კულტურის ცენტრში, საქართველოს საელჩოსა და ჯეიმზ ჯოისის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა ღონისძიება - Ulysses at 100 – A Shared Celebration of James Joyce, სადაც საქართველოდან მიწვეულ სტუმართა შორის იყო დასის დირექტორი, დასმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებელობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო გალა-კონცერტში (სპეციალურად შეიქმნა ქორეოგრაფიული სურათი დიდი ქართველი კომპოზიტორის სულხან ნასიძის მუსიკაზე), იერუსალიმის ისტორიულ კულტურის ცენტრში „The Hansen House” წარმოდგენილი იყო მარიამ ალექსიძის მონო-ქორეოგრაფიული კომპოზიცია „ქუჩა“, დასმა მონაწილეობა მიიღო ჭიათურის სათავგადასავლო ტურიზმის საერთაშორისო ფესტივალში - Adventure 2022. ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრის მიწვევით, მარიამ ალექსიძის თანამედროვე ქორეოგრაფია გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაზე წარმოდგენილი იყო კოტიას მღვიმესთან, თეატრალური სეზონის გახსნასთან დაკავშირებით რუსთაველის ეროვნული თეატრის მცირე სცენაზე წარმოდგენილი იყო მარიამ ალექსიძის საავტორო თანამედროვე ბალეტი „დოვინ-დოვენ-დოვლი...“, რითაც გაიხსნა გიორგი ალექსიძის სახელობის „თბილისის თანამედროვე ბალეტის“ მეშვიდე სეზონი, სამეფო უბნის თეატრში წარმოდგენილი იყო დასის მიერ აღდგენილი და გაცოცხლებული გიორგი ალექსიძის ქორეოგრაფიის მეხუთე პროგრამა, სადაც დასის მიერ პირველად შესრულდა: გიორგი ალექსიძის მიერ ალბან ბერგის მუსიკაზე დადგმული თანამედროვე ბალეტი „ლირიკული სიუიტა“ და მინიატურა მ.რაველის მუსიკაზე - პრემიერა, ასევე წარმოდგენილი იყო: გიორგი ალექსიძის მიერ გია ყანჩელის მუსიკაზე დადგმული თანამედროვე

ბალეტი „ფსალმუნი“ და საბალეტო მინიატურები ე.დენისოვის, დ.შოსტაკოვიჩის და გ.ყანჩელის მუსიკაზე - დასის რეპერტუარიდან.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს განხორციელდა 17 სხვადასხვა პროექტი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 10%-ით

***მიღწეული მაჩვენებელი*** - შედგა სამი პრემიერა და განხორციელდა 16 ღონისძიება.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - 7000-მდე ვიზიტორი საშუალოდ წლის განმავლობაში

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 10%-ით

***მიღწეული მაჩვენებელი*** - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებლი

**08 13 ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა** - 142.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 113.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 79.8%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** ინკლუზიური განათლების მიმართულებით შემეცნებითი და შემოქმედებით პროექტების ხელშეწყობა, სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ჩართვა და ადაპტაცია სოციალურ გარემოში, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარუფლებიანობის შესახებ.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გარდა ტრადიციული ღონისძიებებისა, განხორციელდა რამდენიმე ისეთი პროექტი, რომელიც მიმართული იყო უშუალოდ შშმ პირების კულტურულ-საგანმანათლებლო პროცეში ჩართვისკენ და ითვალისწინებდა მათთვის გარკვეული ცოდნისა და უნარების შესწავლასა და გადაცემას. ასევე, დაფინანსებული პროექტების ფარგლებში შეიქმნა განმავითარებელი ვიდეო-თამაში განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოზარდებისათვის და შემოქმედებითი სივრცე დამოკიდებულებითი დაავადებების მქონე ადამიანებისთვის. დაფინანსდა ინკლუზიური პროექტები, რომელიც მიმართული იყო განსაკუთრებული

საჭიროების მქონე და შშმ პირების ინტეგრაციისაკენ, სახელოვნებო-საგანმანთლებლო პროცესებში. მათ შორის: „გაზაფხულის ფერები“, „დუდა ამბობს“, „ხმა საკრავისა ნელ ნარნარისა“, ,,მშობელთა ხიდი", ,,ქართული საბავშვო წიგნის დღე", ,,დაავადებების მქონე მოზარდთა მხარდაჭერა", "შემოდგომის ფერები“, "სამყარო ჩვენი თვალით", „ხელოვნებით თერაპის შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის", "ფილოსოფიური ქვა", "ინკლუზიური თბილისი". ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 22.0 ათასი ლარი, ა(ა)იპ „საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის, განათლებისა და სპორტის ცენტრისათვის“ ჟურნალის „სინათლე“ ბრაილის შრიფტით გამოცემის უზრუნველსაყოფად.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველწლიურად საშუალოდ ფინანსდება 15-მდე ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშემყობი პროექტი, მონაწილეების საშუალო რაოდენობა 350-მდე შშმ პირი.


**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა 10%-ით

***მიღწეული მაჩვენებელი*** - განხორციელდა 11 პროექტი, აქტივობებში ჩაერთო 300-მდე შშმ პირი


**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - პროგრამის ფარგლებში დაფინანსება გამოეყო 12 პროექტს, მათ შორის 1 პროექტი განმცხადებლის ინფორმაციის თანახმად, ვერ განხორციელდა, მნიშვნელოვანი შემაფერხებელი გარემო მოწყვლადი ჯგუფისთვის აღმოჩნდა პოსტ კოვიდური გარემო.

- **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**


ათასი ლარი




ათასი ლარი




| | ცხოველთა მონიტორინგი | თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა |
|---|---|---|
| 2020 წლის ფაქტი | 3,935.9 | 513.9 |
| 2021 წლის ფაქტი | 3,753.6 | 704.1 |
| 2022 წლის ფაქტი | 4,282.7 | 856.3 |




**09 01 თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა**

**განმახორციელებელი ორგანიზაცია:** უსაფრთხოების საქალაქო სამსახური

**2022 წლის გეგმა -** 867.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 856.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.7%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგები:** დაცული მუნიციპალური ქონება, მუნიციპალური ქონების უკეთ დაცვისა და ვანდალიზმის პრევენციის გაძლიერების მიზნით, უსაფრთხოების, ვიდეო სამეთვალყურეო და აუდიო სისტემების დანერგვა, ქსელში ჩართული კამერები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში თბილისის მერიის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებისა და საგანგებო სიტუაციის დროს, უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დაცვის თანამშრომელთა 24 საათიანი მორიგეობისთვის შეძენილია 3275 ულუფა საკვები. ასევე, გაწეულია online ტიპის უწყვეტი კვების წყაროების (UPS) და უწყვეტი კვების წყაროების (UPS) აკუმულატორების (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი), ქვედანაყოფების საქმიანობის მონიტორინგის უზრუნველსაყოფად 2 ალკოტესტერის, 28 ცალი ვიდეო-ჩამწერი მოწყობილობის (სერვერი) მყარი დისკის, კომპიუტერების, მონიტორინგის ცენტრისთვის მონიტორების, უწყვეტი კვების წყაროების, სერვერული ინფრასტრუქტურის მოწყობილობის (Supermicro SSG-6049P-E1CR60H

(S/N: A318032X9805895)) სამწლიანი მხარდაჭერისა და საგარანტიო სერვისის მომსახურების, ელექტრონული ბარიერების (შლაგბაუმები), 199 ვიდეო-სამეთვალყურეო კამერის (თანმდევი მომსახურებით - მოწყობა და კონფიგურაცია) შეძენის ხარჯები.

ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით აღიჭურვა: ვარდების სკვერი, თხინვალას სკვერი, ბროწეულას სკვერი, ორთაჭალის სკვერი - სულ 78 კამერა, ,,ადამიანი და მზე“, ბარათაშვილის ქუჩა, გმირთა მოედანი, ჟ.შარტავას ქუჩა, ვ.გოძიაშვილის ბაღი, კრწანისის გამგეობა, ვეტერანთა დასვენების პარკი, დედაენის ბაღი, 9 მარტის ბაღი, ბავშვთა ქალაქი მზიური - სულ 43 კამერა), ორთაჭალის სკვერი, პუშკინის სკვერი, ვარკეთილი-3 I მიკრო რაიონის მიმდებარედ არსებული სკვერი, დიდი დიღმის პარკი - სულ 74 კამერა, დედაენის პარკი - 4 ნორმის ამომცნობი კამერა.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - 2021 წელს დასაცავი ობიექტების რაოდენობა არის 67.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მუნიციპალური ქონების დაცვის მიზნით, 2022 წელს დასაცავი ობიექტების რაოდენობა იქნება 87

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის მოწყობისა და გაუმჯობესების მიზნით, ქსელში ჩართულია 3 სერვერი და 8 პერსონალური კომპიუტერი, ხოლო მონიტორინგის ცენტრის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, ცენტრში ჩართულია 15 მონიტორი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დამატებით დამონტაჟდება მონიტორინგის ცენტრში 10 მონიტორი, სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით ჩაირთვება 3 ცალი პროცესორი და 4 ცალი მონიტორი.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.


**3.საბაზისო მაჩვენებელი** - მუნიციპალური ქონების უკეთ დაცვის და ვანდალიზმის თავიდან აცილების მიზნით, ქსელში სულ ჩართულია 836 კამერა

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - დამატებით ჩართული იქნება 199 ცალი კამერა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**09 02 ცხოველთა მონიტორინგი** საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 4,350.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 4,282.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.4%-ი და 2021 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 529.2 ათასი ლარით მეტია. გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 90.7%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის – 7.7%.

(ათასი ლარი)




**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო ფუნქციონირების (მათ შორის საკანალიზაციო სისტემის კაპიტალური რემონტი, ოპერატიული ეკიპაჟებისთვის ახალი ოპერატიული ბაზის შენობის, ცხოველებისათვის ახალი სადგომის (ბოსელის) და საკატის შენობის კაპიტალური ღობის მშენებლობა, შეძენილი იქნა ერთი ერთეული ახალი ავტომანქანა ცხოველთა გადაყვანისათვის) ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 49.2 ათასი ლარი). ასევე,განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

ცხოველებთან და ქვეწარმავლებთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებზე სააგენტოში შემოვიდა 66654 შეტყობინება, მათ შორის 64122 სატელეფონო და 2530 წერილობითი, რის შედეგადაც დაჭერილი და თავშესაფრის

ტერიტორიაზე გადაყვანილ იქნა 10187 ცხოველი და ქვეწარმავალი- 252, სააგენტოს ეკიპაჟებმა სამაშველო ოპერაციების შედეგად 431-მდე ცხოველი გადაარჩინეს;

წინა წლებთან შედარებით გაიზარდა თავშესაფრიდან გაჩუქებული, პატრონთან დაბრუნებული და მიკედლებული ცხოველების რაოდენობა (თავშესაფრიდან გაჩუქდა - 716 ცხოველი, მიკედლებით გაიყვანეს - 1926 ცხოველი, პატრონს დაუბრუნდა - 132 და ბუნებრივ არეალში გაშვებულ იქნა 4662 ცხოველი), სხვა თავშესაფრებში გადაყვანილ იქნა 119 ცხოველი, მიმდინარე პერიოდში ცხოველებს ჩაუტარდა 5928 ოპერაცია, მათ შორის 3753 სტერილიზაცია, 1880 კასტრაცია და 295 სხვა სახის ოპერაცია, ევთანაზია ჩაუტარდა 2548 ცხოველს;

ცოფის ვირუსის პრევენციის მიზნით, სააგენტო პერიოდულად ახორციელებდა ქუჩის ბინადარი ძაღლებისა და კატების მასობრივ ანტირაბიულ ვაქცინაციას, განხორციელდა 6101 ანტირაბიული ვაქცინა;

ფასიანი მომსახურების ფარგლებში განხორციელდა ცხოველის 381 იდენტიფიკაცია, 578 - ტრანსპორტირება, 328 - დაჭერა-გაყვანა, 95 - ოპერაცია, 60 ვაქცინაცია, გაწეული მომსახურებიდან მიღებულმა საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 62.2 ათასი ლარი, ოპერატიული სამორიგეო ეკიპაჟების მიერ 412 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე განხორციელდა შესაბამისი საჯარიმო სანქცია, რომელთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 4136 ლარი;

გაზაფხულის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ მაისი-აგვისტოს თვეებში რეპელენტით დამუშავებული იქნა თბილისში მდებარე 178 ობიექტი, დამუშავებულმა ფართობმა შეადგინა 308627 კვ.მ.;

გრძელდება მიუსაფარი ძაღლებისათვის თბილისის ქუჩებში ხის სახლების დადგმის პროცესი; მიმდინარე წელს სააგენტომ შინაური ცხოველების გაჩუქების აქცია 2-ჯერ გამართა. აქციის ფარგლებში, მიუსაფარი და დაკარგული ძაღლები და კატები გაჩუქდნენ. გარდა ამისა, სააგენტომ, მიუსაფარი ცხოველების გამოსაკვებად, ფიზიკური პირისგან უსასყიდლოდ მიღებული 280 კგ ძაღლების საკვები, უსასყიდლოდ ეტაპობრივად გადასცა სხვადასხვა ცხოველთა დამცველ ორგანიზაციებს და ფიზიკურ პირებს;

მოსახლეობის ვეტერინართან კონსულტაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სააგენტოს ვეტერინარებმა დედაქალაქის მასშტაბით სხვადასხვა მისამართზე ძაღლების მეპატრონეებს უფასო კონსულტაცია შესთავაზეს, ხოლო

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით თბილისის მასშტაბით სკოლებში ჩატარდა საინფორმაციო - შემეცნებითი გაკვეთილები შინაური ცხოველების შესახებ; გარდა ამისა, საზოგადოების მხრიდან პოზიტიური დამოკიდებულების გაზრდის მიზნით, სააგენტო პერმანენტულ რეჟიმში მართავდა საინფორმაციო შეხვედრებს მოსახლეობასთან, შეხვედრები დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში ჩატარდა და მისი ორგანიზება როგორც გამგეობების, ასევე ადგილობრივი მაჟორიტარის ბიუროების ჩართულობით განხორციელდა, საბოლოო ჯამში, აღნიშნული ღონისძიებების შედეგად, სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე საგენტოს საქმიანობით დაინტერესებული მოქალაქეების რიცხვი დაახლოებით 80%-ით გაიზარდა.

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები**:

**1.საბაზისო მაჩვენებელი** - სააგენტოს გამართული ფუნქციონირებისთვის საჭიროა ავტომობილების, მოპედების შეძენა და არსებული მატერიალურ/ტექნიკური ბაზის განახლება.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - ცხოველთა გადასაყვანი მანქანის შეძენა, სხვადასხვა სახის ტექნიკა/ინვენტარის შეძენა.


***მიღწეული მაჩვენებელი*** - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

**2.საბაზისო მაჩვენებელი** - სააგენტოს ინფრასტრუქტურა შედგება სხვადასხვა შენობებისგან (ადმინისტრაციული შენობა, საკარანტინო შენობა, ბოსელი, საკატე, ცხოველთა გამოსასეირნებელი), რომელიც პერიოდულად საჭიროებს სარემონტო სამუშაოების განხორციელებას.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დასრულება და ახალი ვოლიერების მშენებლობა.

***მიღწეული მაჩვენებელი*** - დასრულდა ოპერატიული ეკიპაჟებისთვის ახალი ოპერატიული ბაზის შენობის, ცხოველებისათვის ახალი სადგომის (ბოსელის) მშენებლობა და საკატის შენობის კაპიტალური ღობის მშენებლობა.

❖ ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები




**10 01 ქ.თბილისის საკრებულოსათვის** საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 17,795.8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 17,695.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 98%-ია, მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 7,958.4 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება – 7,735.1 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა – 135.6 ათასი ლარი, სხვა ხარჯები – 943.1 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 923.2 ათასი ლარი.


**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობებისათვის** საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 69,432.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 60,995.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 87.8%-ია. მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 29,550.1 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება – 25,319.7 ათასი ლარი, გრანტები - 26.2 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა - 545.6 ათასი ლარი, სხვა ხარჯები – 611.4 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 4,942.8 ათასი ლარი. ამასთან, წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდის ხარჯები ცალკეული სამსახურებისა და რაიონის გამგეობების მიხედვით, მათ შორის:

მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) დაფინანსებულია 18,634.9 ათასი ლარით (მათ შორის სარეზერვო ფონდის ხარჯები - 147.5 ათასი ლარი), საფინანსო საქალაქო

სამსახური (კოდი 10 03) – 1,012.2 ათასი ლარით (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, პროცესის ხარჯები და სხვა - 84.2 ათასი ლარი), ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური (კოდი 10 04) – 619.5 ათასი ლარით, მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური (კოდი 10 06) – 800.6 ათასი ლარით, მუნიციპალური ინსპექცია (კოდი 10 07) – 6,143.8 ათასი ლარით, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური (კოდი 10 09) – 617.4 ათასი ლარით, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური (კოდი 10 10) – 1,375.8 ათასი ლარით, იურიდიული საქალაქო სამსახური (კოდი 10 12) – 1,635.6 ათასი ლარით, უსაფრთხოების საქალაქო სამსახური (კოდი 10 13) – 6,837.0 ათასი ლარით, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (კოდი 10 37) – 839.3 ათასი ლარი, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (კოდი 10 43) – 1,244.0 ათასი ლარი, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური (კოდი 10 44) – 887.8 ათასი ლარი, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) – 2,002.5 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონის გამგეობა (კოდი 10 28) – 2,035.2 ათასი ლარი, დიდუბის რაიონის გამგეობა (კოდი 10 29) – 1,663.9 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (კოდი 10 30) – 1,5450.0 ათასი ლარი, ვაკის რაიონის გამგეობა (კოდი 10 31) – 2,019.4 ათასი ლარი (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება - 49.3 ათასი ლარი), საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 32) – 1,793.7 ათასი ლარი, ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 10 33) – 1,948.4 ათასი ლარი, სამგორის რაიონის გამგეობა (კოდი 10 34) – 1,960.9 ათასი ლარი, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) – 3,193.9 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 36) – 2,180.0 ათასი ლარი.

**10 18 სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო** საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 6,916.2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 6,839.5 ათასი ლარი (მათ შორის სარეზერვო ფონდის ხარჯები - 1,031.4 ათასი ლარი), რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.9% და 2021 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 235.4 ათასი ლარით მეტია. სააგენტოსთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 95.8%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის - 3.1%.

(ათასი ლარი)




**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში ასევე, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: გაწეულია სააგენტოს ფუნქციონირების (მათ შორის შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა, ავტომანქანები და სხვა), ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 722.9 ათასი ლარი); მომზადდა და შესაბამისი მომართვის საფუძველზე სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებს გადაეცათ სამსახურის მფლობელობაში არსებული სათვალთვალო კამერების მიერ დაფიქსირებული 93 ვიდეო ჩანაწერი სხვადასხვა სახის სამართალდარღვევათა შესახებ; განხილულ იქნა და შესაბამისი რეაგირება მიეცა ,,ცხელ ხაზზე“ შემოსულ 15932 წინადადებასა და შენიშვნას;

საგზაო მოძრაობის ორგანიზების განყოფილების თანამშრომლები, შსს ერთობლივი ოპერაციების ცენტრისა და მერიის სხვა სამსახურების თანამშრომლებთან ერთად, აქტიურ მონაწილებას იღებენ დედაქალაქის მასშტაბით საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის გამოყოფილი სპეციალური ზოლებისა (ე.წ. BUSLANE) და სიჩქარის ვიდეო კონტროლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის კვლევისა და დაგეგმვის პროცესში;


მომზადდა ჟღენტი-ამაშუკელი, ჩოლოყაშვილი, თამარ მეფის გამზირის, გოთუას და რჩეულიშვილი-ისაკიანის ქუჩების მოდელირებები, რომელთა მიხედვითაც ქუჩებზე ძირეულად იცვლება მოძრაობის მიმართულებები (ჩნდება

სპეციალური ზოლები სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებისთვის, მათ შორის საერთო ნაკადის შემხვედრი მიმართულებითაც). აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებულ ქუჩებზე დაგეგმილი ცვლილებები დადებითად იმოქმედებს მიმდებარე ქუჩებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების კუთხით.

ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 1,031.4 ათასი ლარი საქართველოში ახალი კორონა ვირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, M2 კატეგორიის ავტობუსებით, სამედიცინო პერსონალისა და საკარანტინე ზონებში მყოფი მოქალაქეების სხვადასხვა რეგიონში გადაყვანისათვის, გაწეული მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, მათ შორის: შპს „კაპიტალ გრუპი“ – 177.2 ათასი ლარით, შპს „თბილ ლაინი“ – 552.6 ათასი ლარით, შპს „თბილ ქარი“ – 172.4 ათასი ლარით და შპს „ფაბლიქ ქარი“ – 129.2 ათასი ლარით.

**10 20 სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის** საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 2,189.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 2,092.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.6% და 2021 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 232.2 ათასი ლარით მეტია. სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 95.6%.


(ათასი ლარი)



**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია სამსახურის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 1,195.6 ათასი ლარი). სამსახურში სულ შემოსულია 25 581 განაცხადი (მათ შორის მშენებლობის ნებართვზე - 10 398 განაცხადი), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2021 წელი - 25 758) შედარებით 177-ით ნაკლებია, ხოლო მშენებლობის ნებართვა (ყველა სტადიის და ქმედების) გაიცა 7 057 განაცხადზე (2021 წელს გაცემულია 5212 ნებართვა).

**10 21 სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსათვის** საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 1,488.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 1,467.0 ათასი ლარი (მათ შორის სარეზერვო ფონდის ხარჯები - 7.1 ათასი ლარი, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ხარჯები - 84.6 ათასი ლარი), რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.5% და 2021 წლის შესაბამის მაჩვენებელზე - 414.1 ათასი ლარით ნაკლებია. სააგენტოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 82.2%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის - 16.4%.

(ათასი ლარი)



**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში გაწეულია სააგენტოს ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 2,212.2 ათასი ლარი). ასევე, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: ქალაქ თბილისის მუნციპალიტეტის მთავრობის 13.10.2021 წლის N21.1416.1610 განკარგულების შესაბამისად, თბილისის მუნციპალიტეტისათვის მიწის შესაძენად ფ/პ გიორგი ქელდიშვილს გადაერიცხა - 243.8 ათასი ლარი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 29.03.22წლის N22.418.470 და 28.06.22 წლის N22.974.1065 განკარგულებების თანახმად, თბილისის მუნიციპალურ საკუთრებად მიწის შეძენის მიზნით, საკუთარი სახსრებიდან გადარიცხულია 142.8 ათასი ლარი. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 7.1 ათასი ლარი ქალაქ თბილისში, ავარიული სახლების ტექნიკური (აზომვითი ნახაზი) დოკუმენტაციის მოსამზადებლად გაწეული მომსახურების ანაზღაურების მიზნით, ხოლო წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან - 84.6 ათასი ლარი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულება შემოსულობების, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის, გადასახდელების პროგრამული კლასიფიკაციის, კაპიტალური (საინვესტიციო) პროექტების და სსიპ(ებ)-ისა და ა(ა)იპ(ებ)-ის ბიუჯეტების შესრულების მაჩვენებლების მიხედვით წარმოდგენილია დანართი N1-5.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი
გაიოზ თალაკვაძე